

ილია ჭავჭავაძე



რჩეული
ნაწარმოებები
ხუთ
ტომად



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1985


ილია ჭავჭავაძე



ტომი

II

ლექსები
პოემები
თარგმნილი
ლექსები და პოემები
სცენები
პიესა



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1985

84 Гр 1
პ 152

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა :

- ბ. გვირდვითელი
- ნ. ღუმბაძე
- რ. ინანიშვილი
- ბ. ფანჯიკიძე
- ი. ქიქოძე
- ს. ციხიშვილი
- ვ. ჯაფარიძე

ტომი შუადგინეს;
შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს
სარგის ციხიშვილმა და ბურამ გვირდვითელმა.



მეცემ მღიწი გულისწი.
მეცემ მღიწი გულისწი.
მეცემ გულისწი გულისწი
მეცემ გულისწი გულისწი.

მეცემ გულისწი გულისწი
მეცემ გულისწი გულისწი;
მეცემ გულისწი გულისწი.
მეცემ გულისწი გულისწი?

მეცემ გულისწი გულისწი


საკრედიტო პოლიტიკისაგან

1987 წელს სრულდება 150 წლისთავი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ იწყებს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემას.

პირველ ორ ტომში შევა ილია ჭავჭავაძის ყველა მხატვრული თხზულება, მათ შორის ზოგი ისეთიც, რომელიც ადრეულ გამოცემებში ვარიანტებად იყო მიჩნეული და დამატებებში იბეჭდებოდა. რაც შეეხება მომდევნო ტომებს, აქ შერჩევით იქნება წარმოდგენილი დიდი მწერლისა და მოაზროვნის პუბლიცისტური, ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ხასიათის მნიშვნელოვანი წერილები და გამოსვლები.

ხუთტომეულს დაერთვის შესავალი წერილი და მოკლე მეცნიერული შენიშვნები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ტექსტების გამოცემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნობები.

ხუთტომეულის გამოცემა, რომლის პირველ ტომს მკითხველი მიიღებს 1985 წელს, უნდა დასრულდეს დიდი პოეტის საიუბილეო თარიღისათვის, 1987 წელს.

ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი ხუთტომეულის გამოცემა კარგი საჩუქარი იქნება ქართველი მკითხველისათვის.

ილია ჭავჭავაძე

„საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დადგი გრძნობის ტაძარი“.

ვაჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა

ქართველი ხალხის სულიერი მოღვაწეობის დიდ გზაზე ილია ჭავჭავაძე ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ილიას მონოლითურ პიროვნებაში თითქმის სრულყოფა ჰპოვა მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებებმა: დიადი აზრით გატაცება, გაუტეხელი ნება მრისხანე და ზარდამცემ ძალად იყო შენივთებული მის ხასიათში.

შარავანდელითაა მოსილი ილიას მოწამებრივი ღვაწლი, შეუპოვარი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის.

განსაკუთრებული იყო ისტორიული ვითარება და განსაკუთრებული შეიქნა ის მისიაც, რომელიც ასეთ დროს უნდა ეტვირთა ერის მეთაურს.

ეროვნული აღორძინება უნდა შეხებოდა თითქმის ყველა სფეროს, მატერიალურსა და სულიერს. ყოველივე ამან განაპირობა მისი მოღვაწეობის უნივერსალური ხასიათიც. მართლაც, ილიას მთელი მოღვაწეობა აშკარად განმანათლებლური იერით არის აღბეჭდილი.

განსაცვიფრებელია მისი მოღვაწეობის დიაპაზონი: პოეზია და პროზა, კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია, პუბლიცისტიკა და სოციოლოგია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და ფინანსები. რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს. არ დარჩენილა იმ ხანებში რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომლის ინიციატორი ან უშუალო მონაწილეც იგი არ ყოფილიყოს.

გასაგები მიზეზების გამო, გასული საუკუნე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით წარიმართა, ხოლო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ გადამწყვეტი მოძრაობის უპირველესი ლიდერი სწორედ ილია ჭავჭავაძე გახდა. ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა მან მთელი თავისი ღონეწეობა და შემოქმედებითი ძალმოსილება.

ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გასხივონებულია ზიზანთა ერთობლიობით, მეტყველი მაგალითია მამულისათვის უანგარო თავდადებისა.

ასეთი უკომპრომისო ცხოვრებით იცხოვრა მან და დაფნის გვირგვინთან ერთად, როგორც გარდუვალი ზვედრი, საკუთარ თავზე იწვინა გამწირაობის მწარე სუსხიც.

საკაცობრიო გამოცდილება კი ღალადებს: დიადი მსხვერპლი დიადი იდეალებისაკენ მიმართავს ხალხს. ამავე ქეშმარიტების ძალით უდავოა შემდეგიც: ქართველი ერის მომავალი აღზევებაც სამუდამოდ იქნება დაკავშირებული წიწამურის ტრაგედიის ნათლეთმოსილი გმირის სახელთან.

* * *

ილია ქავჭავაძეს — პოეტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, შეიძლება ითქვას, დაუძლეველი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი.

ილიას და მის გარშემო შემოკრებილ ახალ თაობას, როგორც ითქვა, მძიმე და ძალზე სპეციფიკურ ისტორიულ ვითარებაში მოუხდა გამოსვლა საქვეყნო ასპარეზზე.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია ამ დროს თითქოსდა ზოგელმარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირება, რითაც ქართველი ერი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველა პრობლემის მოგვარებას. კულტურული თვითმყოფობის საფუძველზე მას საკუთარი გზების ძიება მართებდა, მაგრამ მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე თითქოს აღარც ჩანდა ხვალისდელი დღის პერსპექტივა. მიმბაძველობისა და პროვინციალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს.

საჭირო იყო უდიდესი თავგამეტება, უშრეტი ძალისხმევა, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების ახალი დიდი მიჯნა გადაეღლა.

ეს სასწაული, მართლაც, გაცხადდა, ხოლო მის პირველ მეკვლედ და სულის ჩამდგმელად ჩვენ ხალხს სწორედ ილია ქავჭავაძე მოეკლინა.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული“ — ეს სიტყვები ილიამ მოღვაწეობის ქვაკუთხედად აქცია და მთელი მისი არსება ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა.

ილიას უწინარეს ღრმად ჰქონდა შეცნობილი, რომ ხალხის ასამოძრავებლად აუცილებელია თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი იდეალების საყოველთაო ათვისება. ყოველი ცალკეული პიროვნება უნდა გრძნობდეს დიადი მოძრაობის ერთიან ტალღას. ისეთ დროს ძალები ორკეცდება და ყოველი მათგანი ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად თვლის თავს.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“. „ქართველის ბე-

დის“ წაღმა შემობრუნებისათვის ზრუნვა იყო ის უმთავრესი ძალა, რითაც ილიამ გაიყოლია ბრძოლის ასპარეზზე თანამებრძოლები, მთელი ქართველი ერი.

* * *

ეროვნული, სოციალური თუ ზნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლაში, სხვაგვარად ალბათ წარმოდგენილაც იყო, ილია ჭავჭავაძე სასტიკი და შეუპოვარი იყო საქართველოს აშკარა თუ უჩინარი მტრების მიმართ. ეს მან არაერთგზის დაამტკიცა შვარაზმელთა, კატკოვებისა და იანოვსკების მსგავსთა თავხედური გამოხდომებისას, რომლებიც ასე უგუნურად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობათა აბუჩაღადებას, მისი უძვირფასესი საუნჯის, ქართული ენის ხელყოფას.

მაგრამ, თავისივე პრინციპების ბოლომდე ერთგული, ილია არც საკუთარ ხალხს აპატიებდა იოტისოდენა ნაკლს. წყლულს დაფარვა და მიფუჩეჩება კი არ შველის, მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის — ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, მოფერებით არავინ გასულა ფონს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიამეც ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად, გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

* * *

ილიას ეროვნული კონცეფცია იმ დროისათვის სამაგალითო იყო და აშკარად ეხმიანებოდა მსოფლიოში დაჩაგრული ხალხების უთანასწორო ბრძოლას სოციალური, ეროვნული და კულტურული აღორძინებისათვის. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ეს კონცეფცია გამოირჩეოდა კონკრეტული ამოცანების სიცხადით და დაფუძნებული იყო საკუთარი ხალხის ისტორიული ცხოვრების გამოცდილებაზე.

მე-19 საუკუნეს ილია „ძლევაშოსილს“ უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალური ამ თვალსაზრისით იდეა ადამიანის გონების უძლეველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა, რომლებიც აგრეირგად მსჭვალავენ მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ქმნილებებს.

საყურადღებოა ისიც, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლებისათვის ეს იდეები ულტრათანამედროვე იყო, ხოლო მათი ავტორი მთლიანად ითვისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის ზოგადი განვითარების უკეთეს მონაპოვართ. მაგრამ, როგორც ითქვა, ამ შემთხვევაშიც თავიდათავი ის არის, რომ ილია ამ დიადი მოძრაობის მიღმა სრულიად ნათლად

ქვერტდა საკუთარი ხალხის სპეციფიკურ გასაჭირს და საბრძოლო ამოცანებს: „ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... — წერდა იგი თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში — ჩვენებული დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს... ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნა დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ეინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვეცდენია, — ყველასათვის ცხადზე ცხადია... რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ეინაობა თავის შესაფერის და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს“...

* * *

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, და ესეც ნიშანდობლივია ისეთი უნივერსალური ტიპის მოღვაწისათვის, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, მის მიერ წამოყენებული ეროვნული კონცეფცია სავსებით იყო განძარტული ყოველგვარი ნიპილიზმისა და სხვა ეროვნებათა მიმართ უპატივცემლობისაგან: „სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი. ეს არის დედაბოძი ზნეობისა... ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველს შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე პატივდაუღებლობა, ავად ხსენება დიდად სათაყილო საქციელია“.

ხალხთა ურთიერთმიმართ გამოვლენილ შემწყნარებლურ პოზიციას იგი სანთელივით ეძებდა ჩვენივე ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში და სამომავლო გზას მანათობლად მიიჩნევდა მას.

ასეთი არაერთი ფაქტი გამოავლინა კიდეც მან, ხოლო ჩვენში ასეთი გონიერი ქმედების უპირველეს წინამორბედად, და ესეც ძალზე ნიშანდობლივია, იგი უწინარეს დავით აღმაშენებელს სახავდა, პიროვნებას, რომელმაც, მართლაც, ყველაზე ღონიერი ნაბიჯები გადადგა ძველი საქართველოს ფიზიკური და სულიერი აღორძინებისათვის: „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — საკვირველი და საოცარი მაგალითია მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. ილიას აქ მოტანილი სიტყვები დავით აღმაშენებლის ღვაწლის ზუსტ შეფასებასთან ერთად აშკარად ცხადყოფს თვით მისივე ეროვნული კონცეფციის ძირითად შინაარსს.

საკუთარი ხალხის მომავლისაკენ ლოგიკური გზების ძიება ილიას შემოქმედებაში წარსულის ღრმა ანალიზზე იყო დაფუძნებული.

სწორედ ამიტომ ქართველი ერის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენისათვის ბრძოლა და ისტორიული წარსულის შექცევა მიიჩნედა.

წარსული, აწმყო და მომავალი მას უწყვეტ ჯაჭვად ჰქონდა გააზრებული და ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ეროვნული უბედურების მაცნედ წარმოედგინა.

იგი მთელი არსებით გრძნობდა ამ უღრმეს შინაგან კავშირს. ამიტომაც ასე გაითავისა და თავის საპროგრამო ლექსს „ქართველის დედა“ ეპიგრაფად წარუშმდგარა დიდებული სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

ისევე როგორც ზოგადად, კულტურის საკითხებშიაც ილია ჰეგელადმი ყოველგვარი იზოლაციის, კარჩავეტილობის შეუპოვარი მოწინააღმდეგე იყო, ამიტომ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა შინაგანწავლ ფსევდოლიტერატორებს და მწერლებს. იგი ჩვენი ხალხის წარსულ კულტურას მსოფლიო ხალხების კულტურასთან კავშირში აღიქვამდა.

ასევე სძაგდა მას წარსულის უსაგნო განდიდება. მან ერთმა პირველთაგანმა არაერთხელ დაასაბუთა კიდეც, რომ ხალხს ჩვენი წარსულის მხოლოდ და მხოლოდ მართალი სურათი უნდა წარმოვესახოთ. ეს პოზიცია გამოკვეთილად ჩანს როგორც მის ისტორიულ თხზულებებში, ისე მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებშიც.

მისი აზრით, ჰემმარტი ისტორიკოსი ფაქტების ზედაპირზე კი არ უნდა მოექცეს, არამედ უწინარეს იმ მამოძრავებელი ძალების აღმოჩენისაკენ უნდა ილტვოდეს, რომლებიც ამა თუ ეტაზე წარმართავდნენ ერის ცხოვრებას.

ეს დღეს აღიარებული და სახელმძღვანელო დებულებებია, მაგრამ ჩვენში მის დამკვიდრებას საკმაო ხანი დასჭირდა. კარგად არის ცნობილი, რომ ეროვნული თვითშემეცნების მწყობრ, მეცნიერულ სისტემაში მოქცევა ერის ცხოვრებაში თვისობრივ ნახტომს მოასწავებს.

პირველი სერელის გატანა ამ მიმართულებით წილად ზედა სწორედ ილია ჰეგელადმისა და მის თანამებრძოლებს. ილიას ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.

ილიამ, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში (საკმარისია აქ ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ გახსენება), ისე ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში, წარსულის გააზრების მაღალი მეცნიერული ნიშნულები გვიანდერძა და ისტორიული განვითარების დაფარულ მიზეზთა ძიება დაიწყო.

ილია ჰეგელადმის ისტორიული კონცეფციები, მისივე შემოქმედების

მთავარი რწმენის შესაბამისად, წარსული ცხოვრების რეალისტურ შეფასებაზე იყო დაფუძნებული. ილია ამ პოზიციებიდან მკაცრად აკრიტიკებდა „ქართლის ცხოვრების“ ძველ-ქართულ მათიანეთა მიდრეკილებას ოფიციალურ მოვლენათა აღწერისაკენ. ცნობილია ილიას სიტყვები: „ჩვენნი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. ილიასთვის, რასაკვირველია, ისიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ მსგავსი მიდრეკილება საერთოდ შუა საუკუნეთა ქრონიკების მთავარი სენი იყო და გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ქართველი ქადაგებულებები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძეს ამის გამო კარდინალურ საკითხად მიაჩნდა იმის გამოკვლევა, თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შესძლო ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გადაერჩინა საკუთარი არსებობა, კულტურა, ენა... ან რომელ ცდუნებას აჰყვა იგი ქართველებით აღსავსე ნარეკლიან გზაზე.

„ჩვენ ერს, — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — ორი ათასი წელი მაინც უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრიც მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენს ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს, ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებს ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამასთან ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიაში. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, და თუ ასეა, რალაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“.

ისტორიულ მოვლენათა ღრმა გაგებასთან ერთად, ამ სიტყვებში ხაზგასმულია წარსულის, როგორც ისტორიული გაკვეთილის, მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. წარსულზე დაფიქრებასთან ერთად აქ კარგად მოჩანს დიდი მოღვაწის მომავლისაკენ მზირალი თვალი.

მართლაც, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ილია ჭავჭავაძემ პირველთაგანმა კვლევის სიმძიმის ცენტრი სოციალური და ეკონომიური საფუძვლების კვლევაზე გადაიტანა, რადგანაც ქართველი ხალხი, როგორც ამას ილია ამბობდა, რასაკვირველია, მხოლოდ „მკლავითა და გულადობით“ ვერ შეძლებდა ისტორიის მძიმე ჰაპანის ზიდვას.

ქართველი ხალხი დიდი სულიერი კულტურის მემკვიდრეა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, სწორედ ასეთი საამაყო წარსულის შესწავლასა და მართებულ შეფასებას უნდა წარმოეჩინა ჩვენი ხალხის კულტურული სახეც და ეროვნული თავისუფლებისათვის გამწვავებულ ბრძოლაში დაესაბუთებინა მისი არსებობის უფლება.

განსაკუთრებით კი ქართული კულტურის ყველაზე დიდა მონაპოვრის, ქართული მწერლობის დიდი ტრადიციების აღორძინება დაისახა მიზნად. ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში გარდასულ საუკუნეთა მწერლობა მას უპირველეს მოკავშირედ ეგულებოდა.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა „გააღვიძეს სიყვარული და გაამახვილეს ყურადღება შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი. თითქმის მათ მოაწყვეს არქეოლოგიური გათხრები და ისტორიის წიაღში დაფარული პოეტური სიტყვის ღვთაებრივი ძეგლები ისევ მზის სინათლეზე გამოიტანეს. ამ ძეგლების შესწავლის საქმე სახალხო საქმედ აქციეს“ (ს. ჩიქოვანი).

სანიმუშოდ აქ იკმარებდა ის განსაკუთრებული პოზიცია, რომელიც გამოავლინა მან „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მიმართ. უწინარეს კი იგი „ვეფხისტყაოსნის“ მეზნებარე დამცველი და დამფასებელია. ილიას სიტყვებით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ის უპირველესი წიგნია, რომელსაც „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

ამიტომ, როგორც ეს ადრე აღნიშნული გვაქვს სპეციალურ წერილში ილია ჭავჭავაძეზე, იგი მკაცრად ემიჯნებოდა საერთოდ პოეტური ქმნილებისა და, მით უფრო, „ვეფხისტყაოსნის“ ცივი გონებით, ე. წ. „მეცნიერული პედანტიზმის“ პოზიციებიდან შეფასებას. აქ ფართო თვალთახედვაა საჭირო, რადგან „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა კჳებით, მხოლოდ, არამედ გულთითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა“.

მაგრამ იგი კიდევ უფრო სასტიკი იყო იმათ მიმართ, ვინც, ნებისთ თუ უნებლიეთ, ზოგჯერ კი უცოდინარობის გამო, სწორად ვერ აფასებდა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას და ამით მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

„ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, — დასძენდა ამასთან დაკავშირებით ილია, — თუ რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, კარგად იციან, — რა ბურჯია ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს. აქედამ შეგვიწვრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა“.

სამაგალითოა ამ თვალსაზრისით ილიას პასუხი ივანე ჯავახიშვილის

(იგივე „ნარ-დონის“), ნიკო მარისა და სხვათა მიმართ. ილიამ გამიზნულად მიმართა თავისი დროის საზოგადოებრივი აზრი კულტურული მემკვიდრეობისა და, კერძოდ, რუსთაველის შეფასების მნიშვნელობისაკენ. მართებულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ზარიშვიძე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ქართველი საზოგადოებისათვის ვეფხისტყაოსანი წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელობის მხატვრულ მოვლენას, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები. ამიტომაც იყო შეუპოვარი ქომაგი რუსთაველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ქართველთა ამ ეროვნული ღირსების განმაქიქებელთა წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ივ. ჯაბადარს, მან არ დაინდო არც ნ. მარის ზოგიერთი შეუფერებელი გამოსვლა. ნიპოლისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ილიას მხარში ამოუდგნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენლები“. სწორედ ასეთი პოზიციიდან აფასებს დღეს ქართული მეცნიერება იმ ბრძოლებს რუსთაველის გარშემო, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადაიხადა ქართველმა ხალხმა მე-19 საუკუნეში.

ასევე განსაკუთრებულია ილია ჭავჭავაძის წვლილი თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა-შეფასების საქმეში. აქაც იგი ნიშნულის მომცემი იყო. დღესაც გზის გამკაფავია ილიას სიტყვები, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ იმიტომაც ჩვენთვის ძვირფასი, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანი“ თავისი მხატვრული თუ იდეური ღირსებებით, მაღალი ჰუმანიზმის მსოფლიო მასშტაბის ქმნილებაა და იგი გვერდს უშუშვინებს ისეთ გიგანტებს, როგორიცაა ჰომეროსი, შექსპირი და, როგორც ილია იტყოდა, „ძმანი მათნი“.

ამიტომ იყო, რომ რაიმე შეღავათი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ხლი-ას დაუშვებლად მიაჩნდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თვითონვე გაიკვლევდა გზას მსოფლიო ასპარეზზე, ხოლო ეს იქნებოდა ქართველი ხალხის მაღალი პოეტური კულტურის ტეშმარტი აღიარება.

დღეს, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, წინასწარმეტყველებასავით ელერს ილიას სიტყვები.

ასევე სამაგალითოა „ვეფხისტყაოსნის“ ილიასეული მხატვრული ანალიზი. მის წერილებში სრულიად ახლებური კუთხით გაშუქდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, სიუჟეტური თავისებურებანი და პერსონაჟები. ილია ადასტურებდა ქართული ცხოვრების, ქართული სინამდვილის ანარეკლს პოემაში, რაც თავისთავად უარყოფდა პოემის ე. წ. უცხოური წარმოშობის უნიდავო თეორიას. ილიას რწმენა ამ საკომპანო საკითხში ურყევი იყო, რაც სავსებით დაადასტურა კიდევ რუსთაველოლოგიის შემდგომმა განვითარებამ.

ილიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოაჩინა“ პოემის ზოგი იშვი-

ათი მხატვრული მიგნება და ღრმა ფსიქოლოგიზმი, წარმოაჩინა პოემაში ჩაქსოვილი ზოგადსაკაცობრიო იდეები, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ ახალ საუკუნეებში აღმოცენებულ უდიდეს პოეტურ ქმნილებათა წინამორბედად გვევლინება.

ილია ჭავჭავაძემ თავისი დიდი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის, „ვისრამიანის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა ძეგლთა თუ ავტორთა გამოცემაში. ეს, როგორც ითქვა, მას პირველ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

ილიას, მრავალი საზოგადოებრივი საქმისაგან დამაშვრალს, არც ღრო და არც მოცალოება უწყობდა ხელს ქართული მწერლობის სისტემური კურსის შესაქმნელად, რაც დიდი განძი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი წერლობისა და მეცნიერებისათვის.

ეს განზრახვა კი, როგორც ჩანს, პოეტს ჰქონია. ჩვენამდე შემონახულა ამ დიდი ჩანაფიქრის კონსპექტური გეგმა, რომელშიც ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპებია მინიშნებული და წარმოდგენილია არაერთი თავისებურება.

მაინც მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ძველი საქართველოს არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მწერალი.

საკმარისია დავასახელოთ დავით გურამიშვილი, რომლის შემოქმედების ეროვნულ ძირებზე მითითებასთან ერთად, ილიამ მის პოეზიაში დაინახა სწრაფვა სრულიად ახალი ნაპირებისაკენ, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა მე-19 საუკუნის 'მწერალთა შემოქმედებაში. აღმოსავლური პოეზიის წამლექავი გავლენისაგან განთავისუფლება ილია ჭავჭავაძემ „ეპროპეიზმის“ სახელით აღნიშნა, ხოლო მის სათავეში სრულიად მართებულად დავით გურამიშვილი დააყენა.

ილიას ალღო წარსულის მემკვიდრეობის შეფასებაში უცდომელი იყო, ხოლო მეთოდოლოგია — ზუსტი და მკაცრი; აქაც არ ღალატობდა იგი თავისი ცხოვრების წესს, აზროვნების პრინციპს. იგი ორიენტაციას იღებდა მხოლოდ უკეთესზე (გავიხსენოთ მისი მკაცრი მსჯავრი ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელზე, რომლებსაც იგი პოეტური სიტყვით თვითმიზნურ გატაცებას უსაყვედურებდა), რადგან მიაჩნდა, რომ ხელაღებით წარსული მემკვიდრეობის შეფასება ზიანის მომტანი და სხვა არაფერი.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ასეთი პრინციპული პოზიცია დღესაც სანიშნოა.

* * *

ზღვასავით ვრცელია და უნაპირო ილიას ღვაწლი. განუზომელია მისი დამსახურება ქართული მხატვრული სიტყვის შემდგომ განვითარებაში. „განდეგილისა“ და „აჩრდილის“ ავტორის დიადი ნააზრევნი ჩვენი ეროვნული საუწიის ოქროს ფონდს განეკუთვნება და სამარადჟამოდაა აღბეჭდილი ქართველი კაცის ცნობიერებაში:


„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა..
მე ვარო შენი თანამდევი, უკედავი სული“.

* * *

ახლოვდება დიადი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. მადლიერი შთამომავლობა კიდევ ერთხელ სასიკეთოდ გადაავლებს თავს დიდი წინამორბედის უკედავ შემოქმედებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება შემწე უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

წარმოდგენილი ხუთტომეულიც, რომლის პირველ ტომს სთავაზობს აქჟამად მკითხველს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ამ დიადი თარიღის ერთი პირველი მაცნეა.

სარგის ცაიშვილი



2. ა. ჭავჭავაძე, ტ. I.





ყვარლის მთებზე

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალა.
მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაუვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შეენატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული,—
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
 ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
 ვითა ფოთოლი—ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
 იმ ზმებში ვგრძნობდი მე რალაცას ნაცნობს, მშობლიურს.
 თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
 აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
 თქვენ შორისა მზედა, ბუნებისა თქვენის ვარ შეილი,
 გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.
 როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
 სჩაგრავდა ზოლმე. თქვენ-წინ ვლერიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
 თქვენ შეგზიოდით, შეგტიოდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
 როგორცა ეზლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...
 და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
 ჩემს სიკვდილამდე შემარხება გულშია ღრმათა!..

რარეგ მიყვარდით, მეგობარო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
 და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
 მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად
 და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
 ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
 ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მათვლებს...
 აგერ თქვენც ჰქრებთ თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
 ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდლა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა.
 ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
 და მოუსვენრად ვატანტალებ მწუხარს თვალსა ჩემს!..
 თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენიერად ცას
 აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..

მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
 უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
 კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული,
 და დამიწყებცა სიყვარულით ფეთქასა გული.

სანთელი

გზივარ და შევჰვრეტ ჩემ-წინ სანთელსა,
რომელიც წელან უხვად ნათელსა
ჩემს ოთახს ჰფენდა და აშუქებდა
და თვალ-წინ ბნელსა განმინათლებდა;

აწ მიწურვილა გასაქრობლადა,
შანდლისა თავზე ძლივ-ძლივლა ბეუტავს,
ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა
კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს...

ებრძვის სიკვდილსა ჩემი სანთელი,
მაგრამ მას, წყეულს, რა დაამარცხებს?
ლაჟვარდად ქმნილი სუსტი ნათელი
შანდლის ჯურღმულში თავსა ანარცხებს.

აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა,
კედლებზე ძლივს სცემს ბნელადა შუქი,
აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა...
რა დამრჩა მისგან? — მწვარი პატრუქი.

ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი—მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ლა გამხმარი მტვერი.

16 დეკემბერი, 1857 წ.
პეტერბურგი.

ხმა სამარილამ

I

სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
გროშისათვის კაცს გავყიდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი;
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი,
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დამნანდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.

II

ობლის ვედრება, ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებრად,
განა ვიყავ მე გულჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ-შვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ, —
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
როს საქმისთვის მოვიდოდნენ.
ირჩობოდა, კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა, —
მის მორჩენას გავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მას წყალში მე ჩავკლავდი,
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა

მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიცოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრმავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება.
დროზედ სიფიცხით ვიწოდდი,
ხანც ვიცოდი დაზანტება.

IV

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
ტუტუცი ნაჩაღნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა—
მას ბრაგა-ბრუგს დავუწყებდი,
და ვინც კი დამიყვირებდა—
მას მე ფეხ-ქვეშ ვუძვრებოდი.
ღმერთმან მომცა მარდი ხელი,
დაუღლევი თავის-ღლეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძღარ ჯიბეში.

V

სულ ჯიბისთვისა ვცდილობდი,
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი:
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჰა, მოგვედი, ვერ გავტენე...
რალა გითხრათ? ვიყავ კარგი,
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს ღლეში ცრუადა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივანბეგი!
და აწ, მეხი გლეხებისა,

ერთგული ყმა ფულებისა,
მტვრადა ვღევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!..
შეიბრაღეთ ჩემი გვამი!..
თუ ოდესმე ვინმემ ნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ.

27 დეკემბერი, 1857 წ.
პეტერბურგი.

გაზაფხული

ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული.

ამწვანდა მთები,
ტყე და მინდვრები,
ათასფრად ჰყვავის
ბალი და ზვრები.

განახლებული,
გაცოცხლებული
ჰლხინობს და სტკება
ყველა სულდგმული.

ბელურა იქ ჰმღერს,
ბულბული აქ სტვენს,
თვის მიჯნურ ვარდსა
დაჰკენესს და დაჰკენესს.

აგერ პეპელა
ფრთააკრეფილი
ყვავილს სწოწნს ნელა,
და თრთის ყვავილი.

იქავ კურკურით,
ჩუმის ჩურჩულით,
წყარო ჩამორბის
ლხენით, ჩუხჩუხით.

რა-რიგად ჰგეუობს
ბრწყინვალე წყარო,
მიცურს და ჰხარობს:
„ყინვით არ ვარო“,

ზამთრითა შეკრულს
წყალს დამონებულს
ყინვა აღნება,
მონებაც სწყდება.

მიდის, აძლევს ბანს
ქვეყნის გალობას
და მით მადლს უხდის
თავისუფლობას.

ყველა ჰყვავდება,
ყველა ახლდება,
რა ჰხედავს ტკბილ დღეს—
გამოცოცხლდება,—

და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არ აყვავდება,
არც გაცოცხლდება!

7 მარტი, 1858 წ
პეტერბურგი.

ვგალობ და ვგალობ
და იმით ვხარობ,
რომ მე ქვეყანას
გალობით ვატყობ.

ჩემია წერა:
მღერა და მღერა,
ლხენა, გალობა,
თავისუფლობა.

ღვთით მოცემული
დიდ არს ქვეყანა,
გახარებული
ვფრინავ ყველგანა.

სადაც კი მინდა, —
გადავფრინდები,
ნიჭი მაქვს წმინდა,
საფრენათ ფრთები.

ლურჯსა ჰაერში
ჩავილუბები,
ფოთლიან ტყეში
დავიბუღები.

ღამეს ვატარებ
ხეზედა ძილით,
დილას ვახარებ
გალობით ტკბილით.

და რა მზე მალვით
თავს შორს ამოჰყოფს,
მის სხივი კრძალვით
ფოთლებს ააშრობს, —

გავიშლი ფრთებსა,
გავიჭიმეზი,
გავიწვდი ფეხსა,
გავიზმოვრები.

ჯერ შევხედავ ცას,
ქვეყნის დამბადავს,
მერეთ მთა და ბარს,
ჩემსა შემნახავს;

მერეთ ჩემს ფრთებსა,
ჩემ საყვარლებსა...
მათის იმედით,
მღერით და ლხენით

მსწრაფლ ისარივით
ცას აღვფრინდები
და შორს ქარივით
თვალ-წინ გავჰრები.

მინამ ვარ უფლად
ჩემის თავისა,
მხიარულ სტუმრად
ვარ მაისისა, —

და როს ცდუნებით,
ძალდატანებით,
გალიას ჩამსმენ,
მშვიდობით, ველო,
— მაშინ აღარ გსტვენ,
საწყალობელო!

დაღონებული,
ფრთებდაშვებული
დავიწყებ ჭკნობას,
სიკვდილის ხმობას...

და, ველო, შენსა
გამღვიძებელსა
შენს ჩიტს პატარას
მაღე ნახავ მკვდარს.

რაი სურს კაცსა,
რომ მიბამს ფრთასა?
თავისუფლება
ჩიტის ჰშურდება?!

7 მარტი, 1858 წ.
პეტერბურგი.

გუთნის-ღელა

„გადი-გამოდი, გუთანო,
ლირლიტავ, ბანი უთხარო“.
ხ ა ლ ხ უ რ ი

ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუენს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვინოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუდილის
სიტყვანი გულში მეზადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკედებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ, რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..

4 ივნისი, 1858 წ. პეტერბურგი
(ბოლო რედაქცია 1863 წ.)

სიმღერა

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისაჲ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისაჲ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.
შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდს ზღვას
და იქ ჩაჰლუპავ ჩემს ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ესწყევლი ჩემ შობის წამსა.
რად მინდოდა ხვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხვდა ხვედრად?..
ვინც კი ეგრეთ მსვლეელია,
შესაბრალებელია!..
ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირეს ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

✦ ივნისი, 1858 წ
პეტერბურგი.

მეც ზავს თვალზეს

მეც მინახავს თვის სიბნელით თვალნი,
ვითა წყვდიადი ისე ღრმად-ღრმანი,
საშიშნი ცეცხლით, დაუმონავნი,
ვით ქარიშხალში აღმუფოთნი ზღვანი.

სიცოცხლე მათში დუღს იმა ცეცხლით,
რომ დაიდაგო მისის ნაპერწკლით,
სიცოცხლესთანა სცნობ შერიგებას
და არ ინდომებ სხვა ნეტარებას.

რა-რიგ ჩანს ტრფობათ ამღვრეულობა
და არწივისა თავისუფლობა
მათ დიდ მშვენიერ სიბნელის ტბაში.
მათ გრძნეულ, უხმოდ ცხად გამოთქმაში!

მშვენიერების ამპარტავნება,
სიყვარულისთვის ცეცხლად ანთება
და დიდ სურვილის უგუნურება
რა მაცდურებით იქ იხატება!

როს დაიწყებენ ივინი ცქერას,
გული სხვა გრძნობით მოჰყვება ძვერას:
ჰგრძნობ, რომ საბრალო გული განგიწვეს
და ჰძრწვი, რომ სრულად მათ წარგიკითხეს.

რა გინდ ტკბილ იყოს თავისუფლება,
მათგან უფრო ტკბილ არს დამონება!
ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს,
მარამ რუსეთში ვინ დამანახვებს!..

20 ივნისი, 1858 წ.
ტიარლევო.

გიჟვარდეს

კაცო, გიჟვარდეს!
კათ შთამომახეს,
როს მათ დამბადეს.
ყველგან ეგ სიტყვა
ლამპრად წინ მიმეცა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიჟვარდეს!..

23 ივნისი, 1858 წ.

ტიარლევო.

ტიალ სივრცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული,
 ჯოჯოხეთისა სიწყვდიადით ღრმად გადაკრული.
 და იმ საშიშარ სამარისებრ უზომო სიღრმეს
 ვსჭვრეტდი არეულთ ურთიერთთან ნგრეულთა ქვეყნებს.
 რისხვა წყევლისა, შეჩვენების და განგდებისა
 იყო თანმგზავრად გაწირულის იმ ქვეყნებისა.
 სისხლით აღვსილსა ფიალასა იქ მზენი ჰგვანდნენ
 და ჯოჯოხეთის უფსკრულადა ვარსკვლავნი სჩანდნენ.
 მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა საშიშ გრიალით
 უგზო-უკვლოდა წანწალებდნენ ტრიალით მალით.
 აქ. მთვარე მზესა — იმ სისხლის ტბას — მიაწყდებოდა
 და ზარით, გრგვინვით და ქუხილით უკუ ხტებოდა...
 და მზიდამ თითქო სისხლი სიღრმეს ღვარად სდიოდა
 და მუნით ალი ჯივრის ფრადა ამოდიოდა.
 და ის ქვეყნები იმ ალის ფრით იყვნენ ისეთი,
 თითქო უზომო სივრცეს მოცურს თვით ჯოჯოხეთი.
 და ღვთის რისხვისა ხმისა მძაფრი და ყრუ გრიალი,
 ქვეყნებთა მრავალთ უგზო-უკვლოდ წყევლით ტრილი,
 გრაგალთა, ცეცხლთა, წყალთა, ხმელთა ერთად მოდენა,
 „წყუელიმც იყავ, წყუელიმცა!“ ამის მოსმენა,—
 მეგონა, დემონთ აღმშფოთველთა ლხინად ეყოფათ,
 მაგრამ ზოგად შიშით კაცებრ მხდალად ყველა ემონათ.
 კაცებრ დემონნიც, ჩვეულებრივ სულით ძლიერნი,
 იმ შეჩვენებულ ქვეყნებშია თრთოდნენ, ვით ხენი...
 კაცებრ დემონნიც ურთიერთსა კბილით ხორცს ჰგლეჯდნენ
 და სამარცხვინო სიმხდალით კბილთ აკრაჭუნებდნენ.
 ყველა ელოდა, განუშლიდა ხელებს სიკვდილსა,
 იწვევდა, როგორც უკანასკნელს ნუგეშს შთომილსა,
 მაგრამ სიკვდილიც იქ თვის მეხთა არ აღვიძებდა
 და იმა ქვეყნებს ღვთის რისხვასა მიაწებებდა!..

15 ივლისი, 1858 წ.

ტიარლევო.

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგევარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-გჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუენდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

17 ივლისი, 1858 წ.
ტიარლევო.

შახოეთი

მთვარე მიცურავს დინჯადა ცაზედ
და თვის მკრთალ სხივთა ჰყრის ქვეყანაზედ.
მძინარ სოფელსა კამარა ცისა
თვის სიმშვიდითა არ უფრთხობს ძილსა.
ყოველი ჰჩუმობს გარშემო ჩემსა,
სძინავთ ნიავეთ, სძინავთ ფოთლებსა,
ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება,
ყველას მშვიდობა გარს ეფინება, —
და მხოლოდ ჩემი ურევით მოკლული
შემომტირის მე მწუხარედ გული...
მისთვის ზომ არა, რომ ვსჭერეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული.

23 ივლისი, 1858 წ.
ტიარლევო.

ლოთის რჩევა

შმანო! სიცოცხლეს ნუ მოჰკლავთ ცდაში,
სულ ამოა ამ ქვეყანაში:
ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს,
რისთვისაც კაცი თავ-კისერს იმტვრევს,
არ გავცვლი ტრფიალ ქალის კოცნაში
და კახურ ღვინით ერთ სავსე ყანწში.
ორს პატივს სცემდეთ ამ ქვეყნიურსა:
მხიარულს ბაზუსს და ცელქს ამურსა...
მენდეთ, ამათგან დაწნულ გვირგვინით
სიცოცხლეს ჩიტებრ განვლით ღიმილით.
ნუ დაუჭერებთ უგემურსა ჭკვას,
გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას,
გულის კითხვაზედ უარისთვის მზას;
რა უნდა სჯობდეს, მითხარით, ამას,
რომ ერთის ხელით ეხვიო მიჯნურს,
მეორით—ყანწით ჰყლაპავდე კახურს?
ან ღვინის ორთქლით გახურებულსა,
რა დაგკოცნის შენ სხივი ავრორის, —
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,
შენს საყვარლისა ხვევნათა შორის
შენს თავს იხილავ... მაშინ ჰკითხე ჭკვას—
რა უნდა სჯობდეს მაგ გაღვიძებას!

1 ივლისი, 1858 წ.
ტიარლევო.

როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსაზავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტერითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტერათა.
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტერის თანამგზავრად?
რომ მართო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“.

1 აგვისტო, 1858 წ.

ტიარლეუო.

ლოცვა

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს,—

ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, —
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი.

მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო, შენი!

28 აგვისტო, 1858 წ.
ტიარლევო.

* * *

ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ჰღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა,
მის ცრემლი დამჟენარს ვარდს დასდიოდა
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა!

მოვიდა სხვა დღე,—განქრა მის დარდი,
მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი,
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰლიმოდა —
და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა!

26 ოქტომბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი,
ამას მეტყოდა ნარნარი, ნაზი:
— „ჭაბუკო, რისთვის ხარ მოღრუბლული,
როს დღე აგრეა გაბრწყინებული?
შეხედე მზესა, — ვით აბნევს ნათელს,
აღნობს თოვლ-ყინვას და ათბობს სოფელს“.
— „რა შევხედო მზეს? ვიცი, გადმოყრილს
კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხივს
არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დარდის ცრემლად დადნობა“.

26 ოქტომბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

მარტო მიეცურავ ცხოვრების ზღვაში,
თითქო უსურვლოდ და უფიქრელად;
და ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად.

ზვირთი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,
ჯერ ჩემს მცირეს ნავს ზედ ასკდებიან,
და, ვუჭვრეტ რა მე ჩემ ნავის რხევას,
ვუცდი ანუ მის, ანუ ზღვის ძლევას.

რა-რიგ მაქანებს ზღვა გამოუცდელს
და მათამაშებს თვის მსხვერპლს წარუვლელს;
ვიცი, როს კი სურს, გადამკრავს მძლავრს ხელს
და ჩამლუპავს მე თვის ცივსა სიღრმეს;

და ურგებს ჩემს კვალს იგი სიჩქარით
სქლადა დაჰფარავს ზვირთთა კამარით...
თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ველირები!..

5 ნოემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

დაე თუნდ მოგკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან—ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

19 ნოემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ქართველის ღედას

აჲწყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა“.

ლ ე ი ბ ნ ი ც ო

ქართველის ღედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
ღედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნალველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ,—სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოგიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აჲ არის, ღედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,—
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,—
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვეცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

· 15 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი,

მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით,
როს, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,
და ქალწულების კრთომით, მორცხვობით
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე;

მე დაგყურებდე ტრფიალებითა,
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა
მე შენთვის კოცნაც ვერ გამეხედნოს.

ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულის-ცეძასა,
ვით ლოცვის ბგერას, ღმობით ვისმენდე
და ცოდვილთ ფიქრთა ზედ-მოსევასა
შენის სიწმინდით ვიგერიებდე...

1658 წ.

ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,
მაგრამ ეს არ არს მიზეზი ცრემლის,
რომელიც მარად თრთის ჩემ თვალშია.

ყველას გავუძლებ: სასტიკ ტანჯვასაც,
ჩემ საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს,
და თვით ჩემ ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს.

ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!

26 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

რისთვის მიუყვარხარ?

რისთვის მიუყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული;
მისთვის, რომ მტანჯველს ჩემს ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.

რისთვის მიუყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა,
მისთვის მიუყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.

31 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი,

მითხარით, რისთვის ჩემ თავთანა მსურს
უფრო და უფრო დავრჩე ხშირ-ხშირად?
რისთვის ვღალატობ კრემლს მხიარულს,
მის შორის ვღალატობ ძვირად და ძვირად?

მითხარით, რისთვის მე ვეძებ გულით
განმარტოებულს უხმო მადნარსა?
და გრძნობით ტკბილად მინაზერულით
ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთს ვარსკვლავსა?

რისთვის მივრბივარ, სადაც მცინარი
მხიარულად სჩქეფს წყარო მდინარი?
სადაც ველია ნაზი და მტკბარი,
სად სიყვარული ისე ცხად არი?

მისთვის, რომ იქ ჰფრენს ხშირად ბულბული,
სიყვარულითა აღტაცებული,
იქ შეყვარებულს ჩემს წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულს.

1858 წ.
პეტერბურგი.

ჩემი თარიარალი

(მიბაძე ალ. ჭავჭავაძისადმი)

ჰე, ძმანო! ნეტავი ჩვენა,
ჰარიარალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,
თარიარალი!
მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩავვიყენა.

რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.

მინდა ვსთქვა, კალამი მამე,
ცენზორო, დასტური დამე;
მონება კაცთ არ შეშვენის,
ქრისტეა ამის მოწამე.

ცარმა რა ერთხელ ინება
მორკმულ კაცის დამონება,
თვის სხეული კერპად დასვა,
სული ეშმაკთ მიანება.

ჰე, ძმანო! ჩვენ მას განვშორდეთ,
ჩვენ ჩვენ მამულს ვეპატრონეთ;
ქართველს ვაჩვენოთ ქართველობა,
მერე თუნდა დავიხოცნეთ.

თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვით დაგვიდგება;

ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება.

თუ ჩვენში ძმობა იქნება,
საქმე არსად წავგიხდება,
აგერ თვით დიდი ეზოპი
თავის ზღაპრით მემოწმება.

ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ცენზორი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით.

დავეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჰსა დიდებასა;
ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს,
და ჩვენ კი—გამარჯვებასა.

ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას,
ვაშოროთ ქართველი მონებას;
ქართველის უბრალო მადლობა
გვერჩინოს ყოველ დიდებას.

ჰე, ძმანო! თქვენც მეთანხმებით.
ამგვარის აზრის ხსენებით,
სიბრიყვის კარი გაეტეხთ
მონარქთა გამოჯავრებით.

ამა სოფლისა ცხოვრება
განყოფით არ იბოვება,
ვინცა ძმობით არ ყოფილან,
მათ მოხვედრიათ მონება.

მაშ, მოდით ისევ ძმობითა,
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევწიროთ
შვილურის ერთგულებითა.

თუ დავესწრათ გაზაფხულსა,
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,
მეტი ჯილდო რაღად გვინდა,
თუ ესჭვრეტთ მამულს გაფურჩქენილსა.

ჰე, ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,
თუნდ სამოთხე მით დავკარგოთ,
მხიარულების სიმღერა
თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ.

ქართველის ქვეყნისა ვართ შვილნი,
მაშ, მოდით, ქართველნო, ძმობით,
მაშ, მოდით, ქართველნო, ძმობით, ჰარიარალი,
ვიწრომოდ ჩვენთვის ერთობით, თარიარალი!

1858 წ.
პეტერბურგა,

ხმა გულისა

ჩუმ მადნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდლამაც ნაზი ბუღბუღი
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნელს;
ვგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა-რიგ ცემას.

დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე, ჩემს გულში ნაზი ბუღბუღი
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

11 იანვარი, 1859 წ.

პეტერბურგი.

გავსწორდეთ, ბედო!

ეჰ, ჩემო ბედო! ჩემ სიცოცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებებზედ გინავარდნია.
სისხლისა ცრემლით დამწვი თვალები,
გულზედ მატყვია შენი ბრწყალები.
გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდო გავსწორდეთ, ნუ მემალევი,
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს ღუღუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა ღუღუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და — შენ კი იხტუნე.

19 იანვარი, 1859 წ.
პეტერბურგი.

ვაი, მას—ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად
ჩემს თავს, სიცოცხლეს, გრძნობას, სურვილსა,
ის აღარ ჰყვავის ამა ბნელ ქვეყნად,
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა!..

გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,
კვლავ დამიობლდა ობოლი თავი,
წამერთო ყველა და ნუგეშად დღეს
მარტოლა ცრემლი მე დამშთენიეს.

19 თებერვალი,
1859 წ. პეტერბურგი
(ბოლო რედაქცია 1860 წ.).

ციურნი ხმები

ციურნი ხმები—
ეგ საკვირვლები,
როს მომესმიან,
მსწრაფლ მომითხრობენ,
საიღამ სრბიან
და სად სცხოვრობენ,
და ნელს სიხარულს
მიგალობებენ.
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირვლებო!

მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა,
მათ ვაძლევ ბანსა,—
და მშვიდობასა,
აღტაცებასა
ჰგრძნობს ჩემი გული
და შევჭვრეტ ცასა
განცვიფრებული.
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირვლებო!

27 მარტი, 1859 წ.

პეტერბურგი.

ნანა, შვილო, ნანინა!
 ნეტა რამ შეგაშინა?
 რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
 რისთვის მომაპყარ თვალნი?
 ჯერეთ ხომ შენი ბედი,
 გრძნობა წინამორბედი
 არ უხატავს მაგ შენს თვალს
 ქართველთადმი ღვთიურს ვალს!..
 მაშ, რალამ შეგაშინა?
 ნანა, შვილო, ნანინა!

ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
 მინამ დრო მოგესწრება,
 ისწრაფე, შვილო, ძილი,
 ისწრაფე განსვენება!
 მოვა დრო, გაიზრდები,
 მკლავი გაგიმაგრდება,
 შვილო, ყრმობის სიზმრები
 ბრძოლაზედ გაგეცვლება.
 არ შემიდრკე მაშინა,
 ნანა, შვილო, ნანინა!

გაიგებ მამულისას,
 ბედ-ქვეშ დაჩაგრულისას,
 კენესის ხმასა მწუხარეს,
 შველის ძახილს მმუდარეს;
 დალოცვილსა ჩემგანა
 გული აგიღელდება,
 შვილო, დედისა ნანა
 ხმლის ჟღერად შეგეცვლება.
 არ შემიდრკე მაშინა,
 ნანა, შვილო, ნანინა!

ჰნახავ ჩვენ ბედშობას,
ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰყვდება!
ვისაც ძე არ შეუტლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლავ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!

ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი ღიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი,
მამულისთვის მომკვდარი!

მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ-იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს მისგან მოცემულს
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით—
რომ მამულს არ უმტყუნე,
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.
გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი—
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

13 აპრილი, 1859 წ.

პეტერბურგი.

ელეგია

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაცვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!.

4 ივნისი, 1859 წ.
პეტერბურგი.

მტკვრის პირას

ლ. მაღალაშვილს

კვლავ ჩემ-წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვცნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავე წუხილით
შეჰკვნესს მღვრიე ზვირთთ მღერითა ღენას.

კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
და აღმეშალა დიდის ხნის წყლული...
შევკვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.

წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტვრად აღუგვიხარ საუკუნესა...
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!

3 ოქტომბერი [1859 წ.]

ტფილისი.

ოჰ, სად არიან, სიჭაბუკე, სიტკბონი შენნი?
 სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა, სამოთხე?
 განძრევილვარ გრძნობით, უღროლოდა შეგვეთნენ ფრთენი,
 გაზაფხულია, მეტი ვდგევარ ვით უფოთლო ხე.

აღმესპნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,
 გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება...
 თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მტკნარნი,
 მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება.

ჭკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა.
 ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა,
 მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...
 ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!..

30 ნოემბერი, 1859 წ.

დაკარგული ედემი

ვის უნახავს ის ედემი შლილი,
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი,
როგორც ტკბილია გამოღვიძება;
სადაც ბუნების თავისუფლება
მონებას, როგორც უხმო ყვედრება,
ცოცხალ ფშვენითა უყენებს თვალსა;
სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა
იმ თვით ედემში თვისი ედემი?
ვის უნახავს ის, სამშობლო ჩემი?..

26 დეკემბერი,
1859 წ.

„სიჭაბუკისა ყვავილი
დამიჭკნო ჟამთა დენამა,
ნდომა მომაყოლო, დამიგდო
სასაპყროდ გული რბენამა“.

ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

მდინარევე, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შეძდგარო!
აწ შენს კიდზედ ვდგევარ, დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჭმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
ღროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს,
დანთქმულს.

რაც-კი არს ჩემ-წინ, მომაგონებს მას, რაც დავკარგე
და რის წუხილიც უნუგეშოდ გულში ღრმად ჩავრგე!..
აგერ ის მუხა, რომლის ჩრდილ-ქვეშ ვისხედით ერთად
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად.
მუნით დაგცქერდით: შენ გრგვინავდი აღელვებულო,
ვით შენ ჰღელავდი — ისეც ჩვენში ჰღელავდა გული;
ორნივე გავსცქერდით დაუდგრომელ ზვირთთა დენასა,
მაგრამ მასში ჩვენ არ ვეძებდით შედარებასა.
რად გვინდოდა ჩვენ მომავალი, როს აწმყო ტკბილი
ისე შევენოდა, ვით უმანკო დილის ღიმილი?
მაგრამ წარივლტო წუთის შეება ჩვენის გულისა,
გაჰქრა სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა!..
წამერთო ყველა და წარვიდა ბედიც მღიმარი,
წარვიდა, ვითა მაშინდელი ზვირთი მდინარი...
შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა...
მეც უდრო-უდროთ გამერია თმებში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული!

1859 წ.

მძინარე ბაღი

მე შენ დაგყურებ
მშვიდ მძინარესა
და დავსტრიალებ
შენს ბროლის მკერდსა;
მესმის მის რხევა
შუქ-შესხმულისა
და ნელი ღელვა
წრფელის გულისა.
აგწითლებიან
ნაზი ლოყები,
ლიმილით თრთიან
ტუჩთა ლალები.
წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა,
ზედ გადგა ჩრდილი
ანგელოზთ ფრთისა.
შენ თითონ წრფელსა
წრფელი გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა!..

19 ივნისი,
1860 წ.

მ წ უ ხ ა რ მ ბ ა

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.

სული მიგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა ზედ-გადესხა ნავთი მდულარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე.

ესე უწყალოდ განწირული და დაშთომილი
ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა!

11 ივლისი, 1860 წ
ბავლოვსკი.

«В труде проходит жизнь его
И не приносит ничего».
ნ ე კ რ ა ს ო ვ ი

I

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი; მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ლილინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიღამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?... რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია, აბა, რა ჰპოვე?..

II

იი ტვირთ-ქვეშა მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გელვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?... აგერ მოჰქრის დიდკაცის დროშეც,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევენელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა—და, როგორც კოკა,
შენ—კერძო ღვთისა—არ დაგინდო დასამსხვრეველად...

შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სიტყვა მწუხარმა თვალმა:
შენს ღუმელშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი
იმავე ღუმელით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი, — გეკარგება შენ საზრდო ღღისა...
ხალხი გიყურებს—და არავინ არა გშველიან!..

III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარავის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა,
განივრად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია,
იცდი, საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გიკლებს შიმველს, მშიერს, მწყურვალს,
უბედურს!..

„ნუ მიტებ ლუკმას, — ეუბნები, — ღმერთსაც შეხედე!
მე ეგე ლუკმა პირუტყვისავით ზიდვით ვიყიდე“.
შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრძოვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით ღლე გემატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ-რიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.

IV

შენ სიცოცხლესა დაღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა ღღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ საზღაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა

და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმავ, მოჰყვდები
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მღუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოჰყვდები და მსწრაფლ ჩაგჰედავენ საკაცშია,
უცრემლოდ, ძმავ, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, — და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა.

12 ივლისი, 1860 წ.

პავლოვსკი.

ალექსანდრე ზავეზაძე

„Его стихов пленительная сладость
Пройдет веком завистливую даль“.

ბ უ შ კ ი ნ ი

მისი ლექსი შვებით, ლხენით,
ხან მეჭლისში შეჭტორინდება,
გულს ჩაეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება;

ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;

ხან ბუჩქებში მიმალული
ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყევს ვარდსა გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი;

ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკენესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;

ხან დაჰყურებს ნადვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
ლაუნდობელ დროთ ბრუნვასა...

1860 წ.

„ცუდად ზომ მაინც არ ჩაველის
ეს განწირულის სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი;
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“

ნ. ხარათაშვილი •

ვაი, დაგკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?

ვინ იცის განა, რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩაჰკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?

არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინლა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

1849 წ.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკენეს დაობლებულმა!

19 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.

სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევია
საესეს ეშხის სიამითა.

„დასტები, გიჟო! — მეუბნები, —
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული“

თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც სტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტბეს
უიმედო სიყვარული..

21 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.

ჩ . . . სას

უცხო თემის ყარიბ მთქმელსა
რად აღმიგზენ სიყვარული?
ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში
მე შთავწურო სრულად გული!

ერთხელ მითხრა: „ცხოველს ქვეყნის
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჰეჭით გაზრდილი ხარ.

„მე ჩრდილეთის ველზედ ვყვავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?!“

ტურფამ ეგრე განირიდა
ჩემი წმინდა სიყვარული!
სჩანს, ოდითგე დანიშნულა
სამართლად ჩემი გული!

22 ივლისი, 1860 წ.
ბავლოვსკი;

პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ერთ ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარგუძღვე წინა ერსა.

ღაღის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჰმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციღამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.



მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტკრევისა
სიშართლის ხმა ქვეყნადა ჰჭუხს
დასათრგუნელად მონებისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტყბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

29 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.

მართველ სტუდენტების სიმღერა

დედამ რომ შვილი გაზარდოს,—
ემაგრე ჩვენისთანაო;
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

ლხინში მოლხინეს მოვუღებთ;
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენსაც არ დავუვარდებით.

დიდს არ გავეჭეღვინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა;
ქალას გულდაგულ დავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხვეთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
უღონოსა და დავრდომილს.

უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუვარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით.

ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო:
თუ დედამ შვილი გაზარდოს,—
ემაგრე ჩვენისთანაო.

1860 წ.

„Да вряд ли есть родство души“.

ლერმონტოვი

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
განცაცვიფრდეს უქმი ერი;

ზაგრამ შენში რაღაცაა,
ის ათრთოლებს ნატვრით გულსა...
ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა.

აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი.

აგერ რაზმიდამ ისკუბა ყარაბაღულმა მერანმა,
 შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ჟღერამა...
 მიჰქრის, მიფრინავს, მიჰეჟავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი,
 მასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი.
 აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
 თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
 მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
 ხან ცხენიდამა ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
 შევნოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა, ვით ალვა რგული;
 მაგრამ მე მის მჰვერეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
 ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
 შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?
 შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
 მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიზალისებს!..

5 ნოემბერი, 1860 წ.
 პეტერბურგი,

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!

შენ მოსწყვითე ქორფა ვარდი,
გაღმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!“

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე აღრე შენი
სიყვარული დასტკნებოდა!..

გახსოვს, ტურფავ, იმავე ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშვავობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;

დაგყურებდი, ველარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეჰკრთი და ლამაზ თითით
ლიმილით დამემუქარე.

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა.

5 ნოემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას,
და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი.
ბევრჯერ მამარცხეს, მაგრამ არვის წინ
არ მომიხრია ამაყი თავი.

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდნენ,
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზღ, მდაბალ მტრობაზედ
არც მეცინება, არც მეტირება.

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!

25 დეკემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა—
რასაც ბოლო ჰქონია!

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი.

ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..

1860 წ.
პეტერბურგი.

წუხილი

როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო,
კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად;
მყის თავის-თავად ლაღი, უბრალო,
სიმღერა მორბის ნუგეშ-საცდამად.
და იმ სიმღერას ჩემს წუხილს ვანდობ,
ის ჩემებრ არის სევდით ბურვილი,
მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვსცნობ
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი.

[1860 წ.]

ჩემო სიმღერავ, ნუ დადუმდები,
 შენითღა ლხინობს ეს კრული გულის
 შენში ცხოვრობენ ჩემი ღარდები,
 ჩემი ნაღველი და სიხარული.
 კაცში მოვტყუვდი, კაცმა დამშხამა,
 და ჩემსა გარეთ ბედს აღარ ვეძებ,
 გმობით მომწამლა მეგობრობამა
 და ეხლა ჩემ გულს მარტო ვაბერებ.
 მთელ გულის ტანჯვით მეგობრობასა
 მივანდე გული გამოუცდელი,
 თურმე ყმაწვილურს იმა ნდობასა
 შხამსა ასმევდა მეგობრის ხელი.
 თვისი სამარე ჰპოვა იმაში,
 რაშიც სიცოცხლეს ეძებდა გული...
 აწ ვიღას ენდოს ის ქვეყანაში,
 ესდენ უწყალოდ მოტყუებული, —
 თუ არ შენ, ჩემო სიმღერავ, შენა!
 შენით ღუმდება ბედის ქუხილი...
 რაკი დამიმღერ, მომივა ლხენა
 და მევე მიყვარს ჩემი წუხილი.

1860 წ.

ქმის სიკვდილზედ

ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე!..
მე დავრჩი მარტო, უბედური, შენად მახვრალი.
არ გამითენდა შენ შემდეგა ვაების ღამე,
მთელი ქვეყანა შემეჰმნა მე ნგრეულ, ტიალი!..

შენთან დავმარხე, ჩემო თემურ, ყოველიფერი!..
ქვეყნად ნუგეშად ღამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარი,
სალოცავადა, ძმაო, შენი ობოლი მტფერი
და უცხო ქვეყნად მდგომი შენი წმინდა სამარე!..

[1860 წ.]

როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მისწყდება
და ღღარ ისმის ბორბლების ხმა მოსაწყენი,
როს მძინარ სოფელს კამარა ცის ზედ გარდემლება, —
სამხრეთის ღამევ! მაშინ მიყვარს ყურება შენი.

[1857—1861 წ.]

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

28 იანვარი, 1861 წ.
პეტერბურგი.

მას აქეთ, რაკი შენდამი გცან მე სიყვარული,
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ლამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარია, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861 წ.
ყვარელი.

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
 რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
 ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
 ბოროტთა საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
 რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
 აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ზედმა
 და დაე გეძრახონ, — ჩვენ მის ძეგლით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიამოვნებს ქართველისას ამბობს,
 ჩვენს ცუდს არ მაღაგს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
 ბრიყვენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
 ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
 ყვარელა.

ბ. აზზ...

ღმერთო!.. აკუროთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,
აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ღმერთო!.. მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.

ღმერთო!.. თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაეღიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწყმინდოს.

1863 წ.

1871 წელი, 28 მაისი

(კომუნის დაცემის დღე)

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი ღროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი ღროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისა თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძაღნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

29 მაისი, 1871 წ.

**რა ვაკეთებთ, რას ვშვრებოდით ანუ
საქართველოს ისტორია
მაცხრამები საუკუნისა**

ერთხელ მე და პაპა-ჩემი
ერთს ადგილს შევიყარენით;
ჯერ, როგორც მოგეხსენებათ,
მრავალჯერ დავამთქნარევით.

მერე ვუთხარ: — პაპა-ჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?

მაგალითებრ, მაშინ, როცა
მიიწურა ქართლის ბედი,
როცა მოგვიკვდა ერეკლე,
ის ჩვენის ქვეყნის იმედი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შენი მტერი!.. პირლიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.

მერე, როს მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვისტომნი აუჯანყდნენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ
ვწეწდით და ვიწეწებოდით.

მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გავუჭირეთ
და ქვეყანას ერთგულება

ჩვენი ურცხვად დაფუძვირეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.

მერე, როცა საწყალ მეფემ
დაგვიყენა ლეკნი მცველად,
თვის ქონება სრულად დასდგა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაღლიერნი მუთაქაზედ
ვიწეჭით და ვნებივრობდით.

მერე, როცა მოკვდა მეფე,
აიშალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შუერთია
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჰენი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულყველასა,
თვითო-თვითოდ ვღალატობდით.

მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართველის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ყაბახზედ ვაყვაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!

მერე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხოს ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანა
ერთს ტათაში ვიწვევოდით.

მერე, როცა ამ წვა-დაგვამ
დღენი ჩვენი მოგვაწბილა,
ტანჯვა ველარ ავიტანეთ,
სინიდისმაც გაგყამხილა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.

მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხერისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს,
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერმიხდილნი ბეზლობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

მერე, როცა მაგ ბეზლობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი,
ჩვენ თავილამ ავიცდინეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მოვყევით და სიხარულით
ყოველ-დღე ვბედოვლათობდით.

მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვექონდა, სულ გავფლანგეთ,
არარა შემოგვდიოდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ერთმანეთს უსინიდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.

მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავლუბეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წაუუკიდეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

— ჰკვიანურად იმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით.

მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გალარიბდა, გალატაკდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მალლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.

მერე, როცა ეს ყმებიცა
დროთა ბრუნვით ჩამოგვერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაგას, შვილო, ნულარ მკითხავ...
გტიროდით, ვიხოცებოდით!..

მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დაგვიბრუნდა
და ყმებისა მოშორების
გულს ტკივილი დაგვიყუჩდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რაღაც ბანკი მოვიგონეთ
და მასზედ ვლაზნანდარობდით.

მერე, როს საშვილიშვილოს
ბანკს უმუხტლა თქვენში ერთმა;
ჩემთვის ბანკი რა ჰკვაო,
არ მომცაო შვილი ღმერთმა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— „Наполео“-ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.

მერე როცა...—კიდევ როცა!..—
აქ გამიწყრა პაპა-ჩვენი:

— შემაწუხე ამდენ კითხვით.

„პოლოუსტა“, დამეხსენა.

რა ვაქეთეთ? რას ვშერებოდით?

მას ვშერებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით.

24 აგვისტო,

1871 წ.

ბედნიერი მამი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალბით,
ლამაზ ფალბით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მაღლიერი;
უმფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ღმობიერი;
თვალაბმული,
თაგაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი
ქვედამჯდარი, გულხშიერი;
სცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თაფდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კადევ არის სადმე ერი?!
...

29 აგვისტო,
1871 წ.

გამოცანები

1

ულვაშ-სრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხ-ხმისანი.
თუმცა ტანად პატარაა,
სხვაფრივ კი კარგა დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

2

კოხტაა და ღობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,
უჟამური, განს გამდგარი.
ჰკვით და გულთ მოცვეთილა,
ქვეყანაზედ უქმად გდია,
თვით მალლა ზის, — ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

3

ბულა არის, კისერმოკლე,
პირ-რგვალი და ტანად სრული,
ლაჟღანდარა და მასხარა,
ქვეყნისაგან ლაფდასხმული.
გაქნილობა რომ გაუდის,
ჰკვის ხმა აქვს დავარდნილია,
მაგრამ ჰკვიანი არ არის,

იგი მარტო გაქნილია.
ტაციობით დღეს აღამებს,
გულმურტალი და ფლიდია,
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

4

ცხვირდიდა და თვალდიდრონა,
მსუნავი და ტრაბახია,
ერთი უშნოდ აწოწვილა,
ერთი რაღაც ახმახია;
სეხნია ჰყავს სახელ-დიდი,
თითონ კი მარტო გრძელია,
ძველის მცოდნეა, მაგრამა
ყბედი და ჰკვავხედ თხელია;
ენაპრტყელია, გულმრუდე,
ადვილად მოსასყიდია,
ამ ყლაპიასაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

5

თეთრ-წითელი ვაშლსავითა,
ხაშხაშ ლოყა, მსუქანია,
რაც ნახირში გაერია,
არ არის დიდი ხანია;
ქვეშ-ქვეშაა, მელაძუა,
მორიელი, ფრთხილი, წყნარი,
თქვენ იმას კარგად არ იცნობთ,
დიდი კუდიანი არი.
ქალაჩუნა და ლუჩუნა,
ფარისეველი მშვიდია, —
ამ ძრომსაც თავის ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

6

პირტიტველა და ქროღთვალა,
 თავმდაბლად გამრმხედია,
 არც კარგი, არცა რამ ავი
 მის ხელთ არ უმოქმედია.
 ყველას უყვარს, ყველა უყვარს,
 ყველასთვის მეტად ტკბილია,
 ზემოთქმულ ღობემძვრალისა
 უკან მიმყოლი ჩრდილია.
 მე ვიცი, რომ ქვეყნისადმი
 მის გულში ტრფობა დიდია,
 მაგრამ საქმით კი ქვეყანა
 მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

7

ერთი ვინმე შავგვრემანი
 სუსტია და პირად ხმელი,
 დიდებში ბრძნად ქებულია,
 ჰკვამოკლე და ენაგრძელი.
 დიდთა ქებით გაბერილა,
 ვით ავის სენით ტრიკია,
 ახლის აღთქმის კაცი იყო,
 ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
 ახლისა და ძველის შუა
 ის ჩატეხილი ხიდია,
 ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
 ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

8

მოხუცია იგი ჯმუხი,
 პირად ბადრი, ტანდაბალი,
 საქმით წმინდა, გულმხურვალე,
 სიტყვატკბილი, ჰკვამალალი.

ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით საესე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველსა და ახალს შუა
შემაერთავი ხილია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

9

მეცხრე გამოცანად ითქმის:
— ეს ვის დაუწერიაო?
ნუ გაწყრებით და ნურც იტყვიო:
— იგი ჩვენი მტერიაო.
თუ გაწყრებით, რა მენაღვლის?!
მე არ მაქვს თქვენი რილია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიდია.

7 დეკემბერი,
1871 წ.

პილეზ გამოცანები

1

ოინბაზი, ლაქათაა,
გრძლად გაღებული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,
ეხლა ქვეყნის მმართველია;
ცულლუტია, ხერხიანი,
ენაცქეტი, ყურმახვილი;
დროთა ბრუნვის შესაფერი
კარგად იცის მოძახილი.
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,
სურს აღჩუა, სურს თაფია;
ბევრჯერ გაძვრა და გამოძვრა,
მაგრამ ვერ გახდა გრაფია.
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდი,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფენებზედ ჰკიდია.

2

ერთი არის ტანად მომცრო,
კარგად ჩასხმულ მხარ-ბეჭია,
თამამია, უანგარო
და ლაპარაკში ღმეჭია.
თუმც ბევრს იმის ჯურის ხალხსა
ქართველობა ეთაკილება,
მაგრამ ის მაინც ქართველობს,
ამით ეთქმის ჩვენგან ქება.
სხვა სიკეთე მე იმისი
არა რა გამოიგონია,

თუმც სიკეთის ქმნად შემთხვევა
იმას მრავალჯერ ჰქონია.
ჩვენგან შორსა მას უჭირავს
რალაც ადგილი დიდია,
ნეტა ვიცოდე: ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია?

3

ბაიყუშივით თავდიდა,
დაღვრემილი და ბღვერია,
მუდამ გაბუტვილი დადის,
რალაც უტყვი და შტერია;
თავმძიმეა, ჰკვასუბუქი,
ცომივით გათქვლეფილია,
ჯილდოსთვის ბევრი დაქსაქსა
მან საქართველოს შვილია.
დედათ წყევლამა აუგო
მას საქოლავი დიდია,
მაგრამ წყევლაც და ქვეყანაც,
ორივე ფეხებზედ ჰკიდია.

4

პირ-ტუჩ-რგვალი, მუდამ წმინდად
ლოყებ-ჩამოფხეკილია,
თავის-თავის მოარშიყე,
თუმც ასაკ-მიდრეკილია;
პრანჭიაა და გრეხია,
საკოპწოდ უტოკს ტანია;
ამბობენ, რომ ყურმარჯვეა
და ცოტად ენამტანია.
ჩინოვნობაში იგი
თურმე გამოქნილი არი
ისე, როგორც უღლის ქვეშა
ჩვენი გლეხიკაცის ხარი.

ეგ უსახო და უხამი
 ქართული მალჩალინია,
 თავი მოსწონს მხოლოდ მით, რომ
 ზედიზედ მოსდის ჩინია.
 წვრილებში თავმომწონეა,
 სხვილებში—ფეხის მტვერია,
 მამის სახელით გამოდის,
 რადგანც თვით არაფერია.
 მის ჯურის ხალხს მწერლად მოსწონს,
 ვერ კი შეუტყვეს მრუდობა,
 რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების
 იცის ცოტა რამ ქურდობა.
 რა გინდ მძიმე საქმე იყოს,
 ანუ ძნელი სავეზირო,
 ის მაშინვე წაეჩრება,
 ვითომც მეც ნახირო-ნახირო.
 ეს გამოცანა, მკითხველო,
 ახირებულად გრძელია,
 ფუყე, უსახო კაცისა
 მოკლედ აღწერა ძნელია.
 ვირ-ეშმაკა და ორპირი,
 ეგ ღილად მოსარიდია,
 ქართლი, სომხეთი, რუსეთი,
 სამივე ფეხებზედ ჰკიდია.

5

ერთის კარგის საქმის იგი
 დამწყობი, მეთაურია;
 თქმულა, — ნაყოფისაგანო
 ხე იგი საცნაურია.
 თუ ესეა, მაშ არ აღვწერ
 მის ნიშნებს და მის სახესა,
 მარტო ნაყოფს დაგანახვებთ
 და მით სცნობდეთ თვითონ ხესა,
 ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ

მან მარტომან შეგვიძრა ყველა,
 ერთმანეთის მტრებს გვასწავლა
 ერთმანეთის ძმური შველა.
 ბანკის ძირი იმან ჩარგო,
 ღონე ხსნისა მოგვცა ხელთა;
 ვახ! დაგვიმხეს ზოგთ ეს საქმეც!
 წყევა ჩვენი მათ—ჩვენ მტერთა!
 ამ უკაცურ კაცთა შორის
 მე იგი კაცად მგონია
 მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
 მას სიყვარული ჰქონია.
 ბევრი ვიცი მე იმისი
 ცოდვა და ნაკლულოვნება,
 მაგრამ კარგის საქმის დამთესს
 ბევრი რამ მიეტევენა.
 რაც არის, კიდევ ეგ არის
 ჩვენში ხელმოსაკიდია,
 მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა
 ფეხებზედ არა ჰკიდია.

6

აღწერილთა ჯურის ხალხი
 სხვანიც მრავალნი ჰყვავიან,
 მაგრამ მე იმათ არ ავსწერ,
 რადგანც თვის ქერქში არიან.
 დიდთა ნახირში არ ისმის
 მათგან არც ერთის ბლავილი,
 თუმცა იმათში ზოგიერთს
 ჭირად სჭირს ენის ქავილი.
 მათში ბევრი წურბელაა.
 გგელი, ხელიკი, ლოკოკინა;
 იციან, რომ არ ვარგანან
 და თავისთვის სხედან შინა.
 ხროვა ეგე, ანუ ჯოგი,
 საუბედუროდ, დიდია;

მათ ყველას ერთად ქვეყანა
შინვე ფეხებზედ ჰკიდია.

7

ესეც გამოცანად ითქმის:
— „ნეტა ამას რისთვის სწერსო,
მეთაურნი დაგვილანძღა,
მით ახარებს ჩვენსა მტერსო?“
ჩვენი მტერი—სიბრმავეა,
უვარგ კაცზედა დანდობა,
ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის
ფლიდობა და თვალთმაქცობა.
ის ზოგ-ზოგნი ჩრდილში იყვნენ,
ეხლა მზეზედ გამოვფინე,
ყველას თავისი მივუწყე
და მართალი აღვადგინე.
მინდა, რომ თქვენ შეუტრჩიოთ
თხა თხასა და ცხვარი ცხვართა
და, ვით თქმულა, მიაწებოთ
მკვდარნი დაფლვად მისთა მკვდართა;
მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირ-მომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოსთ,
ვით მე ფეხებზედ მკიდია.

7 დეკემბერი,
1871 წ.

II

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ.
იქილამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდა.

ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მივრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება
და სათნოება
ჯარისეგლობად არ შეგვიქმნია,

თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

ბოს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დაეჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
გერ შევაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა;

მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
იქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.

ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;

ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტირთმძიმეთა და მაშვრალთა მსხნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-ღევნული;

ორგულობისა,
ორბირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამღევნელი.

მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით საესენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის —
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვით, ჩვენა თუ თქვენა?

ეხლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც—გარეთ თუ შინა.

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაყვეთად?!
შიშით—არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.

ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სულარი გადააფარა.

ენა მდიდარი,
 თქვენს ხელში მკედარი,
 ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
 და ამასაც თქვენ
 ცოდვად გვითვლით ჩვენ,
 რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

თქვენგან გმობილი,
 თქვენგანით ლტოლვილი
 ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შეეფარეთ;
 კარგად თუ ივად,
 ჩვენ მას გინახავთ
 და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

გვიან თუ მალე,
 დღესა თუ ხვალე,
 რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
 მაგრამ კი თქვენი
 მრუდე საქმენი
 ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

უგზოდ მვლელნოო,
 უსწავლელნოო, —
 ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
 რომ ჩვენზედ ბევრსა
 თვით იწველდესა, —
 ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
 ვირები ხართო, —
 მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
 მაგრამ შოთამ სთქვა, —
 რაც კოკაში სდგა,
 იგივე, თურმე, წარმოსდინდება.

28 იანვარი,
 1872 წ.

თუ გინდა, ძმაო, იგემო
 ამა ქვეყნისა შვებანი,
 დიდთა საფეროდ მოჰმართე
 შენი გულ-სიტყვის ებანი.
 მერე ბრძნობით შეიმოსე,
 დიდთა უკმიე, სხვათ არა,
 და იქადაგე: „წესია,
 რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“.
 ამა წესის სიმართლისა
 შენ საბუთი ვინც მოგკითხოს,
 —„ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,
 საბუთი-თქო მერე იყოს“.
 დიდნი ზომ დაგიჯერებენ,
 აბა უარს რად იტყვიან?!
 პატარებს ჯანიც გავარდეს,
 დიდნი მაღლს გადაგიხდიან.
 თუმცა დიდთა პირფერობა
 არის მონებრივი ქცევა,
 მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
 უნდა თურმე კუდის ქნევა.
 ამას გირჩევ, იმიტომ რომ
 ჩვენ გვეყავს ერთი მეგობარი,
 რომელიცა ამგვარ ქცევით
 ჩვენში ბედნიერი არი.

29 აგვისტო,
 1872 წ.

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?...
 აწყყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
 თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
 მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
 ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
 მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
 არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
 მათის ღვაწლით შეგეჰმნეს სახე ბედით მთენია,
 ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
 მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
 ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
 მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
 ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

15 სექტემბერი,
 1872 წ.

• • •

აღარც ნატვრა და აღარც იმედი!..
ყველა წარხდა... ვაი ესრეთ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!..

ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ?
რამან შეგქმნა ეგრე სავსე სიკეთით?
ეჰა, გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღად აღსდექი მკვდრეთით?

მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას.

სად წარვიდე, ვის შეგჩივლო, ვის ვუთხრა?
ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?

1877 წ.

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარგყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...

მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ღვინში წინ მიმიძლოდა...
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.

ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება, —
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!

დავკარგე იგი... აწ მის დამკარგავს
უმაღლ, უნუგეშ მივის-ლა გული...
უმისოდ გული ცივია, ბნელი,
გითა სადგური გაუქმებული.

ნეტა მას, ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას, ვისც სამარემდე
გულით რწმენილი გულსვე შთენია!

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარგყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დესტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ —
აკვანში ვინ ჩააწვინა,

ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდებო იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

14 ივლისი,
1883 წ.

ღამაჰვირდი

I

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
ჩგივე ხმალი არიო.

II

პატიოსანთ მტერთა შორის
მოციქული ნამუსია.

III

ხმალი იმოღენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

IV

შუბი დიდია და მძლავრი,
სისხლმღვრელი, სისხლის მსმელია,
წყნარი, პატარა ნემსი კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია.

V

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.

VI

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ჯაყკაცობითა ძლევასა.

VII

წუთის-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია—
სიყვარულს უშენებია.

VIII

ვაჟკაცო ცრემლსა რად უძრახვენ!
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაცო და პირუტყვო გასარჩევად
ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი.

IX

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთ მხსნელია.

X

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?

XI

გებრალებოდეს, ნუ პრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მაღლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

XII

მადლმა სთქვა: წუთის-სოფელში
ყოფნა ვაი რა ძნელია!
ძალი ჰძალოვნობს, ჰბატონობს,
მე გული გადამელია;
საცა კი შევხვდი, დამძლია,
ვერ შევუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა:
„ძალა აღმართის მხენელია“.

XIII

იოა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
კაცთა მუსრვას და ომსაო!..
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო.

XIV

ჰკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა
აღმართი მე ვახენეგინე,
თესლი მოგკრიბნე და ხნულში
დავთესე, დავაბნეგინე,

უღონოს ღონე მე მივეც,
ხელი მე გავაქნევინე.
გულმა სთქვა: ჭკუავ, მართალ ხარ,
და ზოგიც მე მათქმევინე;
შენი ნახნავის გორახი
ფარცხით მე მომაფშენეტინე;
ნაგოლვი, მშრალი ბელტები
ცრემლით მე მომარწყვევინე;
შენი ნათესი, ნანერგი
სისხლის ღვრით გამაზრდევინე;
შენსა ჯეჯილში, ყანაში
ღვარძლი მე ამარჩევინე;
ნამაგარი ძნად შეგვკარ,
ზვინად მე დამადგმევინე...
გკენეს, რომ ერგოს ყველას სწორად,
და შენ ეს ვერ გაქმნევინე,—
არ იქმნა, ჭკუავ, მაღლის გზა
მე შენ ვერ დაგაქნევინე.

1886 წ.

კითხვა-პასუხი

კ ი თ ხ ვ ა

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ჰძლება;
მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენადც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენადც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მარქვი, რად არის იქ გულთა კდომა,
სად სიცოცხლეა გახარებული,
და რამდენადც შენ ცხოველ-მყოფელ ხარ—
იმდენად უფრო რად კვდება გული?

პ ა ს უ ხ ი

— მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ვაი, ძე ჩემო, ბედკრულ, უძლური!..

იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური;

საყვარელი ვარ... ჩემს მზიან ჩრდილში
სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას,—
და, ვაი, იმის სანაცვლოდ თქვენ კი
ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!..

მადლით სავსე ვარ და, ვაი, ჩემს შვილს
ეგ მადლი ჩემი ვერ უშვნევია;
და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ-წმინდამ,
სად ცოდვას მადლი დაუძლევია?

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით,
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელი,
უდაბნო-ღაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული.

[1894 წ.]

I

გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

მე ვარ და ჩემი ნახატი,
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა.

ხ ო რ ო

ბებერსა, სასძლოდ შორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო.

II

ზ ო ი ლ ი

ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან,
მაშ მე ვარ გამარჯვებული.

ხ ო რ ო

ქორი ბუზს არა იკადრებს,
არცა სდევს საჰმლად ნდომითა,
სონღული მუშლის შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.

III

„კ ვ ბ ლ ი“

ორი წელია დავდივარ,
ბევრა გთხზე სხვებზე არაკი,

ბევრსა შემწევდა ანაში
ჩვენი პოეტი აკაკი.

ხ ო რ ო

ბევრი რამ ვიციო ჩვენ თქვენი
უფროსნი ამოებანი:
ცუდს კაცსა მწე ააზგავებს,
მტყუანს — ტყუილი ქებანი.

„ კ ვ ა ლ ი “

გავწმინდე ენა ქართული,
უწყლოსა წყალი ვადინე,
მდიდარი პირქვე დავეცი
და ღარიბი აღვადვინე.

ხ ო რ ო

მკვეხარის სიტყვა ზღვა არის,
მღელვარე, კლდისა მცემელი,
არა მდუმარე წვიმისებრ
ნაყოფის გამომცემელი.

„ კ ვ ა ლ ი “

მინდა მაღალი დამდაბლდეს,
ამაღლდეს დამდაბლებული,
მდიდარი წყალმა წაიღოს,
ცხონდეს ლატაკი ვნებული.
ეს მცნება მე ჩემს დროშაზედ
მოქარგვით დამიწერია,
თურმე მის გამო მებრძოდა
მდიდართა ყმა „ივერია“.

ხორო

მაგ-გვარები ბევრს სხვა ცუდლუტს
წინადაც დაუწერია,
მაგ საკენკით მხოლოდ მართო
ბლარტები დაუჭერია.
ეგ უღარუნა არა-მცნება
მართო ბაღთ საცდუნელია,
მაგისთანა მაღაყები
არ ახალია, ძველია.

„კვალი“

კიდევ ვიტყვი, მე გავბედე
ღარიბთ სარჩლი, მდიდართ გმობა;
ბედნიერ ვარ: ამით ვპოვე
ახალგაზრდათ თანაგრძნობა!..

ხორო

სტყუის!.. ტყუილად ჰქადულობს
ახალთა თანაგრძნობასა,
„კვალის“ უღარუნზე ვინ მივა,
თუკი კაცია ცნობასა?
ვერ მოტყუვდება ახალი
ამისთანა გუნდრუკთ კმევით,
მის წინ „კვალი“ ფონს ვერ გავა
ლაქუცით და კულის ქნევით.

„კვალი“

სულგრძელება ჩემი იცით,
გზაზე ჩემი მტკიცედ დგომა,
ვერ დამაფრთხობს „ივერიის“
კუნტრუში და მაღლა ხტომა...
მე ჩვენს ახალ თაობაში
გბოვე ღონე ღერმეთელი,

შეგვარ დასი, სარდლად მივეც
გეურქ-ალა წერეთელი.
ვერ გამტეხოს „ივერიამ“,
ერთსა მცემდეს გინდ ასია...
ჩამოდექით!.. მობრძანდება
ჩემი მესამე დასია!..

ხ ო რ ო

(ახალგაზრდობას)

ტრელთა ენათა ერიდეთ,
კაცი გიყვარდეთ ცნობილი,
ტრაბახთა ყოლას ნუ უსმენთ,
სიტყვა ნუ გინდათ გმობილი;
ერთბაშად ფრინველს ნუ უწოდთ
შეგარდენსა და ძერასა,
სჩხრეკავდეთ ყვავთა ჩხავილსა,
ბულბულთა ტკბილსა მღერასა;
ტყუილ ფრაზების რახა-რუხს,
გულის მართალსა ძგერასა,
ჭკვათა- მყოფელთა მოძღვრებას,
სულელთა უგვანს ჟღერასა;
თვალსა ქორულებრ მჭვრეტელსა,
„კვალის“ ქვეშ-ქვეშა მზერასა...
თვალთ-ხედვის სულ არ ქონა სჯობს
„კვალის“ თვალთ-ხედვით ცქერასა.
კანს ნუ ენდობით, უჩხრიკეთ
ღვიძლი ჭეშმარიტს წერასა,
და ნურას შეუშინდებით
გეურქ წერეთლის ბღვერასა.

IV

ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

პოეტი ვარ და არვის სწამს,
ბრძენი ვარ და არვის სჯერა...

აფსუსს, ჩემი სიბრძნე-ცოდნა,
აფსუსს, ჩემი ჩანგის უღერა!..

ხ ო რ ო

ტყუილად იქადს... ზომ იცით,
ანწლი ვერ მოგცემთ ყურძენსა;
ბუისგან ნუ გამოვლით
ბოლოკარკაზის ბუდესა.

V

ი ლ ი ა ხ ო ნ ე ლ ი

ღმერთად მიმაჩნდა ქართული,
ტაძრად მწერლობა მისიო,
მაგრამ გავეჟექე: არ მიყვარს
მე ბატონ-ყმობა სხვისიო.
მას აქეთ დაეწანწალებდი,
ვერსად დავიდე ბინაო...
საძუე რომ შემომაწყდა,
ეზლა დავბრუნდი შინაო.

ხ ო რ ო

სად გინდ ეგდოს, ვინ რას აქნევს
ნაქაჩსა არ-ცოდნისასა?
მისი მწერლობა კვალსა ჰგავს
ზღვაზედა ნავთმავლისასა,
ბურუსსა ქართ მოკვეთებულს,
ანაზდსა დასავლისასა,
ისტორიულ აბდა-უბდას
გიორგი წერეთლისასა,
უმარილო ლექსთა-წყობას
პოეტის სილოვნისასა,
კვალ-დაუჩნეველ ლაქლაქსა,
ნაყოფს წყალთა ნაყვისასა.

„მოამბე“

გვიხაროდენ!.. აწ სონელი
გაზეთს „კავკას“ გაეყარა...
თავისუფლება მიკმია
და ჩემს ჭერს ქვეშ შეეფარა.
გვიქადის თუ,—მეც კაცი ვარ,
სხვებზე ნაკლებ არ ჭკვიანი,
ჩემს მერანსაც გადუქნია
გზა მწერლისა ეკლიანი.
დავიჯერეთ, თუმც აქამდე
მის ჭკვა არ გაგვიგონია...
ან რა ექნა? ვით ეჩინა,
რაც მის დღეშიც არ ჰქონია.
აწ იქნება საახალწლოდ
ღმერთმა ჭკუით დააბერა,
და ასწავლა, როგორც უნდა
მართებული თქმა და წერა...
ხონელიდამ ზოილამდე
რალა დიდი მანძილია,
და ვფიქრობ, ერთად შევეყაროთ
ის ერთმანეთის ჩრდილია.
იქნება ქართველთ მწერლობა
ღმერთმა მათით ააზეოს,
წყვდიადი და ბნელი ჩვენი
გაანათოს, დაამზეოს.

ხორო

მე ნუ მომცეს ღმერთმა იგი,
რაც ხონელმა სთესოს, ჰფარცხოს;
მე იმ პურსა ნუღარ მაჭმევთ,
რაც ზოილმა გამოაცხოს,
ნუთუ ხონელ-ზოილია,

წყალზე ვამდები ხიდისა!..
ნუთუ ეს დავგერჩა სანაცვლოდ
მის იმედისა დიდისა?!.

VII

აკაკი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა.
ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჰლარა...
რაცა ხარ, იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნალარა.
მოვიმკვდარუნე მე თავი,
ვთქვი: აწ იტყვიან რასაო?
ვნახოთ,—რა ძაძას ჩაიცმენ,
როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?
ან ვით მაქებ-მადილებენ
მე ქართველთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოჭლს ანტონასაო?
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ჩემი მევე ვთქვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვას არარა.
ვინც რომ გავკაწრე ბასრ ენით,
აწ აღარ მინდობს, აღარა...
ეხლა ბევრს ვნანობ,—ეს რად ვქმენ
რალა თქმა უნდა, რალა-რა?

ხორო

გვიანლა ჰნანობს, თუ ჰნანობს,
ამაოდ დაშვრნეს ენანი:

წამხდარს საქმესა რას არგებს
მერმელა თითზე კბენანი?
ნურგინ ემდურის სხვას ვისმე,
სოფელს ეს უღევს წესია:
მთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.
იგი დიდ მანძილს ვერ გავა,
ტყუილ-უბრალოდ ჰშვრებაო,
ვინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი კი გარედ რჩებაო.

VIII

მ ი ხ ე ი ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

მე იგი ვარ, ვინც თიანეთს
გადალახა მთა და გორი...
თავი ყოლა ნუ ჰგონია
ვისმე ჩემი თანასწორი.
საცა გინდათ მე მგზავნიან,
გზაა მოკლე, თუნდა შორი!..
არვინ უვით ჩემისთანა
გრძლად მეტყველი ორატორი.
ორატორი მას არ ჰქვია.
ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
გრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
და გაქირდეს ვითა ჯორი.
ვითა ცხენსა შარა გრძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მართ აგრეთვე ორატორსა
გრძელთა სიტყვით ცუდად ბნევა,
უპრაგონო ლაპარაკი,
გულში ცემა, ხელთა ქნევა,
არ-დაღალვა, არ-დაქანცვა,
ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა...
აჩუმებდნენ, არ დაჩუმდეს,
არ დაუწყოს სიტყვამ ლევა...

ნუ გეშინიათ!.. სტყუის, ვინც სთქვა—
 მუნჯისაგან ყბედის ძლევა.
 მეც ვერე ვარ, როგორც მხედავთ,
 ორატორთა კარგთა სწორი:
 ვფქვავ, რაც ენას მომადგება,
 თუნდ მართალი, თუნდა ჭორი...
 არას ვნადვლობ, თუ რამე ვთქვი
 უმსგავსო და შორი-შორი,
 არა ვტყდები, თუმცა ხშირად
 ბურტყლს მადენენ, ვით გნოლს ჭორი.

ხ ო რ ო

ეგ ის არის, ვისც პორტფელი
 იღლიას ქვეშ მუდამ სჩრია...
 არც ბევრი რამ თითონ არის,
 არც პორტფელში რამ უყრია.
 ბევრს მეტყველობს, ცოტას ჰფიქრობს,
 არ მისდევს ცოდნას, მცნებასა,
 და, ვით თვით სთქვა, აჰყოლია
 ბურუსში ძაღლის ყუფასა.
 რაც გინდ გრძლად სთქვას, მაგის თქმულსა
 ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,
 თვით არ დაშვრების, მსმენლისა
 ყურნი კი დაეაღდებიან.

ჟ ა

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

დავბერდი, დავგაჩანაკდი,
 წვერი გამიხდა ჭალარა...
 ზოილი აბუჩად მიგდებს,
 ზონელი მწყალობს ილარა.
 ჩემს ზარმაცობას, არ-ცოდნას
 რაღა თქმა უნდა, რაღა-რა...

ამისთვის მარტო ვანოსი
 კმარა ბუკი და ნალარა.
 დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
 თავზედ მექცევა ბჭენიო...
 ვაიმე, ბედკრულს შემომწყურნენ
 მე ძმანი ყიფშიძენიო!..
 ეს არ მაკმარა მე ბედმა,
 სხვებრ შემიმუსრა ფრთენიო:
 აილო და გადამკიდა
 მიშო, კაცი რამ ბრძენიო.
 დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
 აღარ ვარ ჩემსა ნებასა,
 ისევ სჯობს სადმე წავიდე,
 ბანკში ურგებად გდებასა.
 ისევ სჯობს ასე მოვიქცე,
 აყვვე მე მიშოს მცნებასა,
 ვით იგი აყვა თიანეთს
 ბურუსში ძაღლის ყეფასა.
 დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
 წვერი შემექნა ჭალარა...
 ერთი მალონებს, ერთი მკლავს,
 მარტო ერთს ფივი, სხვას არა,
 რომ ვანოს მოძულეებული
 მიშოს უნდივარ აღარა!..
 მე ამა ჭირმა გამტეხა,
 გული დასერა, დაჰლარა.

ხ ო რ ო

ჭირში გატეხა არ უნდა,
 თუ კაცი გონიერია,
 წავა და ყველგან დარჩება,
 ქვეყანა ღონიერია.
 ესეც კი ითქმის: კაცსა რა
 აუხდეს ნატვრა გულისა,
 ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა,
 ვით ღლისა გარდასულისა.

ივანე მაჩაბელი

მე საქორიდამ თვალთ მიჩანს,
 ჩვეულება მაქვს ბრმისაო,
 დავიარები ამ ქვეყნად
 ხელით მძებნელი ჭკვისაო.
 რაც ხელთ მხვდება, ჭკვა მგონია,
 აღარ ვუჩხრეკავ პირსაო...
 მათამაშებენ, ვთამამობ,
 დარდი არა მაქვს სხვისაო.
 ერთი რამა მჭირს მხოლოდ მე:
 მეტიჩარა მაქვენ ენანი,
 ჯერ ვიტყვი ხოლმე, მერე კი
 ჩემს ნათქვამს მევე ვინანი.
 რა ვუყო? რა გქნა? მეც ვჩივი,
 ენა არ მეკითხებაო:
 თუნდ მკითხოს,—ჩვენში კი დარჩეს, —
 ბევრს არას გამომრჩებაო.
 მაგრამ მაინც იმედია,
 თავ-ხედ გასდონ წკირი, ჩხირი,
 მეც ფასი მაქვს, ვიდრე კიდევ
 ხილად გადის პანტის ჩირი.

ხორო

ელოდოს, ვიდრე თავ-ხედა
 გასდებს ვინმე წკირს, ან ჩხირსა,
 ღმერთმა ნუ ჰქმნას, დრო მოვიდეს,
 ხილად ვხადდეთ პანტის ჩირსა.
 მიდის, მოდის ეგ ბატონი,
 იბრძვის, ჰშფოთავს, ჰთრთის და ჰღელავს...
 თვითც არ იცის,—ცელს რას აქნევს,
 რასა სთიბავს, რასა სცელავს?
 თუ კაცია, თვის თავს ეტყვის,

რასა ჰქსოვს და რასა სთელავს!..
ამად ვწუნობ ამგვარ კაცსა:
სულ ბნელია, რასაც ელავს.

X I

ნ. ზ. ც ხ ვ ე ღ ა ძ ე

ამას ვამბობ და ვღაღადებ,
ისმინეთ ჩემი თხრობილი:
ნუ არიდებთ შვილს სასწავლოდ,
რა ხელს მოგცემთ უწვრთნი შვილი!..
ქვანიცა ჰყრიან მინდორად
უხმარი და განაწბილი.
ისმინეთ, აი რას ამბობს
პედაგოგია ბრძნობილი:
„ვით ახალ ნორჩი ვაჟისა
ხელს მიჰყვეს საფურჩქენელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი
კარგს ოსტატს გასაწვრთნელადა.
„სწავლას ნურას დააბრალებთ,
თუ ვერ იქმნა შვილი წვრთნილი,
ცემა გმართებთ გამზრდელისა,
რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი“.

ზ ო რ ო

ვითა კლდე-ტინი მაგრად სდგას
და უძლებს ქართა ქროლასა,
ისე ჰკვიანი სწავლული
ამა საწუთროს რჩოლასა.
საჭირო არის წვრთნა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელი შვილის ყოლასა.

XII

ი. გოგებაშვილი

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუტე ქართველისა,
მაგარი, ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი ღარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულისა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი.

ხორო

მოგახსენებო, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გაეძლოთ,
როს ჩვენ ჰირი შინვე გვჭირდეს?
როს გიორგი წერეთელი
დედა-ენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს,
და მაინც კი კადნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს:
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

დეკემბერი,
1894 წ.

1

რად გვინდა ვინ ხარ, სიღამ ხარ,
ვისი სისხლი. ვისი შვილი?
თითონ გიცნობთ, რაც კაცი ხარ,
არად უნდა ამას ცილი.
წა, უკუდგე,—აი შმაგი,
უმეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე შენგან ქმნილი!
უშენოდ ვერ სძლებს „Листок“-ი
ვერც ჯდომას, ვერცა წოლასა;
შენთაგან გაჭრას გიწონებს
და ეშმაკებთან სრბოლასა;
შენთან არავინ ჰკადრულობს
არცა ზავს, არცა ბრძოლასა, —
სჯობს უყოლობა კაცისა
შენისთანისა ყოლასა.

2

ჩემი აწ ესე ნათქვამი
მისი სახე და დარია:
ვითომდა იღვწის ჩვენთვისა,
ჩვენთვის სდის ცრემლთა ღვარია,
ძმობას გვიქადის, ერთობას,
ისმის ზათქი და ზარია,
მაგრამ რა „ღუმას“ შეერთვის,
მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია.
ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის,
ჩლუნგია, არა მჭრელია;


რაზომცა ჰნათობს სინათლე,
მისთვის ეგრეცა ბნელია.
ახლებში თავს სდებს, გვატყუებს,
არ ახალია, ძველია,
რაც გინდ რომ ქერქი იცვალოს,
გველი ეგრევე გველია.

8


კალამი რომ უშოვნია —
მით ჰლამობს განვლოს ფონია,
მაგრამ უნარი წერისა
არცა აქვს, არცა ჰქონია;
თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგან არ გაგვიგონია;
ყვავი რა გარდსა იშოვის,
თავი ბუღბული ჰგონია.

[90-იანი წლ.]

—



პოეზი



ბარდილი

(გუგუნი ივ. პოლტარაკის და ილია წინამძღვრის მიერ)

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დამკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

I

...აღმოვრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰტინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივე ზვიადი, იგივე მძვინვარი,
იგივე დიდებულ და დაღუმებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდგორად
ცის გასარღვევად აღმოჩნდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად

თითქო განგებით შეყენებულა,
 მისი ყინულით ნაკვეთი თავი
 მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
 ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზევაი
 დასცქერის რისხვით და მუქარებით,
 თითქო ელისო განკითხვის დღესა,
 რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
 ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,
 თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
 იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
 რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
 იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
 ქვეყანაც იყო დაღუმებული,
 თითქო ღუმლით ყურს უგდებს ცასა,—
 და ცაც უღრუბლო და მხიარული
 გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
 ხოლო კი ჩემი უნდო გონება
 არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
 „ნუ გჯერსო,—მითხრა,—ეს მყუდროება,
 „სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა!
 „ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს
 „ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
 „მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
 „მადლი ცისა არ მიჰპარებია.
 „სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
 „ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,—
 „ღრმად ჩააკვირდი მის ღუმელს და სცნობ...
 „თვით მაგ ღუმელში რა წყევლაც არის..“

III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამა
 მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი
 და ყოვლად მხსნელმა სასოებამა

მომცა ნუგეში მაცხოვრებელი.
 ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალეს,
 ღამე ესეთის დილით თენდება,
 სადც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალეს,
 იქ ძალუძს კაცსაც ბედნიერება.
 ამა ნუგეშით აღძრული სული
 აღმევსო ნელის სიხარულითა,
 ეჭვთაგან წინათ გვემული გული
 განცხოვლდა წმინდის სიყვარულითა;
 გარდმომევიღა ყოვლად შემძლები
 ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
 აღმიფრთოვანა მან ოცნებები
 და განმიწმინდა ზედვა და სმენა.
 თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე
 ზედვად უცნაურთ სახილველისა,
 მოეხსნა ყურთა თითქო სიძნელე
 სმენად ბუნების მეტყველებისა.
 მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი,
 საესენი ლხენით, ნეტარებითა, —
 რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი
 საიდუმლოების მაცდურებითა.

IV

და მომევიღა მე კაცი დიდი,
 მყინვარზედ მდგომი მოხუცებული;
 ვითა ქვეყანა — ისც იყო მშვიდი,
 უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
 მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალი,
 ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
 მის გარეშემო შვენოდნენ მთანი
 და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.
 თერგი მრისხანე, თერგი მბდღვინვარე
 ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
 ვით შმაგი ლომი დაჰრილი, ცხარე,
 ჰრბოდა, ჰბლაოდა, მიღრიალებდა,
 სკექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი

თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ
და მის ბღაგილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.
იქით, შორს, სჩანდნენ მინდორნი, ტყენი,
და იმათ შორის—არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართვლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდევებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის ქვეყნისა ღიდება ძველი
შენს წმინდა თვალ-წინ აყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ—შენს კიდევზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდევებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეუტრევ მღვრიეს და მღოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე ჰდუღდა,
იქ მამულისთვის ქართველთ ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყენენ საუკუნენი
და საუკუნეთ—იგი ქართველნი!..
გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,—
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.

VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,

მთიდან ამაყად გადმოიწვიალი, —
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დაეცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს, მაგა ობოლსა,
სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიღამა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი?
რათ დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ვსთქვი ესა, მსწრაფლვე მოჰესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

„მარბდ და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვით შორის შენდამი რწმენა
და დაუგდისხარ, ვით ტაძარი გაუქმებული.
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ქვეით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების ღენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
ჰლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

VIII

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —
ქვეყნის ტყვილით არ სტყავა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკედება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მკაცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება, —
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

IX

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი

ჯაგით აღესილა, ვერანად ქმნილა,
 გმირის დამბადი დიდი საგანი
 თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
 გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
 დაგინგრევიათ დიდი მამული,—
 რალა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
 რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
 თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
 შეუტკრებნია ყოველიფერი,
 რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
 ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
 ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
 დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
 ქედმოღრეკილა ნაღვლით საწყალი,
 რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
 რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
 თქვენის სიავით დაწყულულებულა,
 თქვენგან გმობილი—უცხოს კალთის ქვეშ,
 ვითა ობოლი, შეფარებულა.

X

„ხოლო აქაც კი, ვრდომილთ შორისა,
 ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
 ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
 შეებრძვის და არ ემორჩილების;
 მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
 იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
 ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
 აღძვრისა უმაღ გაცუდებულა.
 აგერ ორ-სამს კაცს რალაც უგრძენიათ,
 ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
 ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
 და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
 ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
 თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;

თვით ამზობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

XI

ჩაგერ უფალი და მისი მონა
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა—ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰყურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე-და-ღამ ჩემი ეწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლაზი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?...
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

XII

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აპგლეჯენ,
ვინ იცის, სიღამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,—
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
უბრყვილო გულში ღეარძლს ჩაასხმნიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ, და არ გექნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება. —
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამზდომოდი.

XIII

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება

დღეს მარტო სიტყვით უქმით პრწმენია,
 მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
 რომ მყოობადი მარტო შენია.
 შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პერობილი,
 მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
 ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
 და დასამსხვრევლად გამზადებულა.
 შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
 ძლევამოსილის ამ საუკუნის,
 კაცთა ლელვისა დიადი ზვირთი
 მაგ ახსნისათვის მდგრადა იბრძვის.
 ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
 განახლებისა გრიგალის ქროლას,
 ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
 ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
 და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
 შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
 და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
 ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

XIV

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
 ჭეშმარიტების მის ძლიერებით
 და განმტკიცდება სოფელსა შინა
 კაცთმოყვარების სახიერებით.
 ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
 თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
 მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
 და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
 მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
 ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
 ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
 კაცთმოყვარება და სათნოება.
 ალლო აილო ქვეყანამ ძველმა,
 რომ დღე-და-ღღე მის წყობა ირღვევა,

და ამ ზვიადმა საუკუნემა
 უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
 მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
 წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიბოვებ,
 სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
 არც ვის ემონვი და არც იმონებ.
 მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
 დაბლად ღულღუნი დაღონებული,
 მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,
 შორი ხმა მწყემსის დაობლებული,—
 მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
 და შენს გუთანზედ გულით ღმობილი
 იტყვი სიმღერას თავისუფლების.
 ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა ტკბილი!..
 მინდორნი, ტყენი, ნახანენი, ველნი
 შენის ლხენითა განიხარებენ,
 შენგან შემკულნი იგი ყოველნი
 შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

XV

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
 კმაყოფილების განცხრომაშია
 მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
 სასოწარკვეთილ მონებაშია.
 მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
 წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
 და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
 რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
 ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
 როს მასა შველის მის ბედკრულება?
 რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
 როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?
 აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
 მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
 და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,

უნადგლოდ ჯანვლის ცხოვრების ზიდსა.
აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიან
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიან!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღალადებელი
ქვეყნის ხსენისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი, ბიწის მღვდენელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

XVI

„აგერ ტფილისიც!.. ყრმისაც და ბერსაც,
ქალსა—მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
პლხინობენ კიდეც, კიდეც ჰბარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუტს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს,—
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,
ჰმუნვას, სიხარულს და მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!

იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
ერთნაირად და უფერულადა,
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ—
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას—ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე—პატიოსნებას,
და დაუანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

XVII

„აგერ მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჩმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა
ჰყვაოდა ქართველის წყლულთა კურნებად,
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი,
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით გაბანილი
ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა.
აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამკვნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა.

XVIII

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაეხას შენსა თავზედ გარდაუელია..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოველოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენი!.. მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა,—
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა,—
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ ღაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

XIX

„თვალ-წინა მიდგა ის კირთების ბედშავნი დღენი,
როს შენ დაგიბყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა,
და შეგიჩრყია ღიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი,
შენმა მოძალემ და მოლალემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მოხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოსთვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰქელვოდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუხვრელი
თვით ერის ენას—მაგ ერის განძს — იგი სღევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის ღიდება, პატიოსნება,

რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულების და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებრივის თვალთმომქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულდაკეტით დღე-და-ღამ ჰზრდიდა.

XX

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მასსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან აღდა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაცმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
გიჟ მზე, მოჰფინა თავისუფლება, —
და შენ, ჰე, ქართლო, მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.

XXI

„მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმადლარი და ხარბი თვალი.
მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი

შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
 მაგრამ ვაჟკაცი შეილება შენნი
 გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
 იყო დრო, როს შენს ძაბილზედ, ხმაზედ
 მამულის დროშა გაიშლებოდა
 და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
 მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
 იყო დრო, როცა შენის გულისთვის
 თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
 და თავდადებას მამულისათვის
 ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
 ეხლა რაღაა!.. გაჰქრენ ის დღენი,
 გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
 და საკვირველნი მამათ საქმენი
 ეზღანდელ შენს შვილს არც აგონდება.

XXII—XXIII

. . .

XXIV

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
 მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,
 აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა...
 ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
 ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა...
 ქართლის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
 დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
 ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
 ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
 რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შობილა.
 მაშინ გათხრილნი ის კილენი მთლად დარღვეულან,
 ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
 სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
 დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულნი.

როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
 თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
 დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას,
 ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
 როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
 ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
 როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
 ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
 თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალეობა
 როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა
 და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
 ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?“

XXV

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
 გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,
 ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
 და გაანათა მდინარე ხევში.
 ცას გადაედვენ შავნი ღრუბელნი,
 ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი;
 ქარმა დაჰღმუვლა ხევ-ხუვსა, მთებსა,
 ბუქი სვეტსავით აატრიალა,
 რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,
 ზვავმაც მალლიდამ დაიგრიალა,—
 და მყის ბუნების მშვიდი ღუმილი
 ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცეოდა,
 წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
 ერთმანეთშია აირეოდა.
 მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა...
 დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
 მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს
 ვერ გაატანა თვალმა უძღურმა...
 „ნუ თუ გათავდა ამით ხილვა ეს!“—
 შემომტირა მე მწუხარე გულმა.
 მცირეს ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,

გამოიღიმა წათლად მთამაცა,
და მზისა სხივით გაბრწყინებული
კვლავ დაეინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

X XVI

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
საზღოვანი განუახლე წარსულ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შეილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან—რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“

X XVII

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაქვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ ჰშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

26 იანვარი, 1859 წ., [პეტერბურგი].
(ბოლო რედაქცია 1872 წ.).

გართვლის დედა

(სცენა მომავალ ცხოვრებიდან)

„გაგვიძელ, ბერო მინდიაჲ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ დ ე რ ა

ვეუძლენი პეტრე ნაკაშიძეს

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე,—მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,—
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

* * *

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰურებენ,
ერთ მხრივ ტანტხედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული
და მოხუცებული დედა)

დედა

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე, ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს. ფიქრსა ჰფიქრობს,—

და ეგ ფიქრია მთელ კაცკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლე და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისლა მშთენია,—
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, ღლეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის ღლეა ღლეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შეეწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული თუ მამულის,—რომელი დასთმოს?..
ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვმორდება.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლოს არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მეგრდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა
და ეგრეთ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!..
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და ქართველის დედაც:
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართველის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ საშოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მაღლთა უხვება,

მსწრაფლ აღვიარეს, პოი, ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრეთ ნაშოვნი რად წაგვერთვი მესავთა შენთა?
რალად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..

შვილი

(შემოდის გახარებული)

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამაზავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..
მაგრამ შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დედა

მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
მხოლოდდა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!..
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხარ... მაგრამ ამას რალა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ესთხოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შვილი

როგორ? მეც მგზავნი საომრად, დედის-ერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დედა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაუკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შვილი

არას დროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედა-ჩემო!... რასაც მნუჟავ, აღვისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?!

(ისმის გარედგან ჯარების ხმაურობა, შვილი თანჯარას მივარდება)

დედა

(თავის-თვალად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები,
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოვკვდები...
იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუტყრებ,
ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს, —
და მერე კი, ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა ორ-პირად)

„ქართველო, ხელი ხმაღს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გენუკავს შეელასა.

თავისუფლების შოვნაი
 სჯობს საშოვნელსა ყველასა.
 მამულის დამხსნელს — ვაჟკაცის
 ხმალი და გული სდომია,
 ვაჟკაცის გამომჩენელიც
 მტერთან გულდაგულ ომია.
 თავისუფლების მშოვნელი
 ამ ქვეყნად მარტო თოფია,
 შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
 ომში სისხლის ღერა სჯობია!
 მაშ მამულს თავი შეესწიროთ
 საშველად, გამოსახსნელად,
 თუ მისთვის დავიხოცებით,
 ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
 ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
 გათენდა ღლე დიდებისა,
 თოფ-იარაღი აისხი,
 დრო მოდის გამარჯვებისა.“

(ქუჩილამ ისმის დედაკაცების და სოფლის პატარა ბიჭების ძან-
 ლი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს“.
 ესმის კიჟინა და ხმაურობა)

დედა

(აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
 რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

(ჩამოიყვანს ლოგინიდან, დედას შეუჯდება მხრებზე და მიიყვანს
 ფანჯარასთან)

შვილი

შეხე, დედილო, ამ განწირულ ყმაწვილკაცობას,
 ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც ღლეობას.

(დედა, რა დანახავს ჯარს, ცრემლს ვერ იმაგრებს და სტირის)

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს,
 დიდი, პატარა მზიარულობს, შენ რა გატირებს?

დედა

ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვართ!
ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვართ,
რომ ჩვენ შეგვასწროს, მამულისთვის თავდადებულნი
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მინიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)

ვაიმე, შვილო, რამდენს დედა აუტირდება,
რომ ვეღარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!..

შვილი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შევლა არა აქვს მამულს!
(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედამ იძახის)

ცხენოსანი

კიაზო, წამო!.. რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შვილი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან—მეომარს, შენგან—შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადაეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)

მშვიდობით, დედი!.. შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი! გზადა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დედა

ვაი შენს დედას!.. მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები?!
ვაი თუ მოვკვდე და ვისგანლა დავიტირები?..

(სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე უეც-
რად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალში თვალს უყრის
და შცირებს ხანს ამ ყოფით არის)

დედა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი
(გაოცებით)

მერე, რო მიყვარს?

დედა
(ძლივს ბედავს თქმასა)

მასთან დარჩი!

შვილი

მერე, მამული?

დედა
(თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული... იგი უფრო საყვარელია,
მაშ, წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია.
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოდა მარტო მოვეცდები,
ვილა დამმარხავს?.. წადი... წადი... ნუ გვიანდება,

შვილი

ეპა, მამული! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში;
რა სხივოსანი შენი შუქი აღმოებრწყინდება
ეაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
გითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
გითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.

მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.
(შვილი გალის)

დედა

(ლონმეხილი გალიცევა ლოგინზედ და სულთობრძავე ამზობს)

გაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი...:

(კვდება)

14 ივლისი, 1860 წ. ბავლოესკა
(ბოლო რედაქცია 18 მარტი, 1871 წ.)

რამდენიმე სურათი

ანუ

ეპიზოდური ყაჩაღის ცხოვრებიდან

„მეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები;
მიღეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

შოთა რუსთაველი

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,—
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ლამის გუშაგი, მუდამ მკმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამყამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მღუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიაგი მთისა—მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემღუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მღუმარი
დაფიქრებული ყურს მიუბყრობდა.
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,

და ნაღვლიანად მასზედ მეურამ
მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა.
ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარო,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი.
მიდის ურემი და უეცრად
ვილაცამ ტყილამ ასკუბა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მდგარადა.
მჰმუნვარე სახის ამაყად მჩენი.
— ვერ მიმასწავლებ კუდი-გორის გზას? —
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.
— რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხედება;
რე გზას დაადგე, წადი,—და როცა
ცხვირწამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ? — ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება:—
იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბლაჭიაშვილი იქ იმყოფება.
მე, როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი—
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები,
ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი.
— შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებულნი!—

და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
ძო სხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა მთამა.
თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!“ — წაიღუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერმე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუდუნა.
კუდი-გორასთან ერთი ტყე არი, —
უწინ ყაჩაღის იყო საფარი, —
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბლაჭიაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.
მთვარე ჩასული იყო დიდ ხნისა,
როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა,
ფრთხილად ეძინა ბლაჭიაშვილსა,
ბედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი
კაზმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ქშირად უფრთხოვდნენ მოსვენებასა,
უეცრად შეჰკრთა, აცქვიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა:
მერე ტრიალით იწყო ფრუტუნნი
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდ ხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხვიჩვინა
და პატრონს ძილი დააფრთხოვინა.
წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკვილა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ, — მოყვრად, თუ მტრად?“

მხედარი

— მოყვარად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა.

კაკო

— თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მხედარი

— ამინ!.. შენ არ ხარ ბლაჭიაშვილი?

კაკო

— დიაღ! გახლავარ!.. რა გნებავს შენა?

მხედარი

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან ღარჩენა.

კაკო

— მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა.

მხედარი

— გულს გული იცნობს და ღონეს—ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.

კაკო

— ხოშ-გელდი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;

გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
 და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
 ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
 საღ მიღამდება, იქ მითენდება;
 თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
 მაგრამ აქ ჭირიც მიაღვილდება...
 უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი,
 მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
 კურდღელსავითა ფხიზელი ძილი
 და იარაღი დღე-ღამე ხელში, —
 მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
 ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი,
 მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
 სადაც ჩვენგან ვართ ჩვენი ბატონი!..
 მე თანა მყვანან რკინისა ძმები:
 ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი...
 არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
 მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
 ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა,
 მოუდრეკია როგორც რომ ჟინი;
 ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა,
 გამოუვლია ჭირი და ლხინი.
 ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
 არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
 და კაკოც ისე არ გაძუნწდება,
 რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა.
 ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..
 ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
 თუმცა ორგულთან ვარ დაუნდობარი,
 მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა.
 ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ, წამო!
 ღარიბულადა მე დაგიხვდება,
 და ნუ დამძრაზავ ყაჩაღსა, ძამო,
 თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.
 მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად
 და წამოჰყარა აღვირი ცხენსა;

ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა.
მოჰსნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც საესე გადმოიღო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გავაზედ
და მყის გაიგდო ცხენი ბალახზედ.
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
კაკოს პირდაპირ დადგა მღუმარი.
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,
და მოეწონნენ ორნიც ერთმანეთს.
მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასჯდნენ,
მღუმარედ იყვნენ ორნიც დიდ ხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ სინჯავდნენ,
ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:
— ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები,
და არ დამძრახავ მეტ კითხვისთვინა:
მითხარ, საიღამ გემცნაურები?
ჩემთან მოსელა რამ გაგაბედვინა?

მზედარი

— შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „კაკო“!
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქეზს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცევიხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმიდ მიგაჩნდეს—
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —

ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
 მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
 გლენკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
 გლენკაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
 შეილსავით კალთით უტარებია.
 აბა, კაციცა ისა ყოფილა
 და ქუდიც იმას, ძმავე, ჰხურებია!
 ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
 და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
 მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
 ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს...
 ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
 შენი ცხოვრება მენატრებოდა;
 შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი,
 მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა,
 ბოლოს კი, ძამო, გამიწყრა ღმერთი,
 დამიტრიალდა უკუღმა ბედი!..
 ყური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
 რაც გადამვიდა მწუხარებაში,
 და როგორც, ერთ დროს ბედის მადლიერს,
 გზა დამიხლართა ბედისწერამა!
 მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
 როცა ბატონმა სახლს მომშორა.
 წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
 ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა.
 ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
 ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
 სხვები ჰლხინობდნენ, და მე კი ლული
 ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
 პატარა ჩემი ამხანაგები
 ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
 დავიწყებოდათ თავის დარდები,
 როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!..
 მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა, —
 ჩემს ამხანაგებს გავეჭევოდი,
 მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა

და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი,
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნალველი;
პატარა გულმა გამოიღარა
და შეუბრუნა ნალველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
ალარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!
არაბა მქონდა იქ საფიქრელად,
ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე,
და რიგ-რიგითა ყველა ძმურადა
ვეყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა
და დავიწყებით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი,
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხოვდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
რაკი ტრედის-ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დავვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დავგიფრთხოვდა.
ავიშლებოდით, და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავის ძროხას ყველა ზღაზვნითა

ასაშვებლად მიესვოდა.
 ზოგი აქ მიდის თექა-მოსხმული
 და მიიფშენეტავს ზარმაცად თვალსა,
 სხვა იქ მიიმდერს დაღონებული
 და ერეკება თავის ძროხასა;
 და ერთს წუთს უკან ძროხა ბლავილით
 გაიშლებოდა ფართო მინდორზედ,
 და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
 მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზედ:
 პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხოვდით,
 მთის წყაროს წყლითა გავვრილდებოდით,
 ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზნანდარობდით
 და ზეზეურად დავნაყრდებოდით;
 მერე ვმართავდით თამაშობასა,
 ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
 და შუადღისა გოლვისა ჟამსა
 ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა;
 ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
 თან ჩაგყვებოდით უკანაც ჩვენა...
 ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობისა,
 მაგრამ სად არის ეხლა ის ლხენა?!
 საღამოს ჟამზედ ისევ იმ-რიგად
 ცეცხლსა ანთებულს მოვუხსნდებოდით
 და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
 თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით.
 ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
 და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
 ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ
 იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
 ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
 დვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
 ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
 ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა...
 (არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
 ჩვენამდინ, დამო, ზღაპრად მოსული,

ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
 ის იყო ჩემი გული და სული.
 ეგრეთ გონება ხალისიანი
 არსენას ამბით მე მეზრდებოდა:
 მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
 და არსენობა მენატრებოდა.
 ეგრეთ მინდორზედ, ძმაო, ვცვაოდი
 ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
 ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
 შინაურობის არ მქონდა ჯავრის
 მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
 და მადლიერი ჩემ კეთილ დღისა
 და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
 მადლიერია თავის ბედისა.
 მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
 დაუღლეელი და ბეჯითი, გამრჯე;
 თუმცა ხელმართ ის ცოდვილობდა,
 ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
 იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
 ვერც ხენას, ვერც თესვას და ვერცა მკასა;
 ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
 და წყალობითა უვსებდა სახლსა.
 ეგრე იქნება მუდამ, მეგონა,
 მადლიერად და უნაღვლოდ მამა,
 მაგრამ კი ბოლოს ის დააღონა,
 მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
 შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
 ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
 თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
 არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.
 ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
 ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
 გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
 ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...
 დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
 მამი-ჩემისა უბედურობა,

მამა თან-და-თან მიბერდებოდა,
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!..
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი,
შრომის სურვილი იმ უბედურსა,
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დროგარდასრულსა.
საბრალო მამა ჰხედავდა ცხადად,
რომ რამდენადაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, ძამო, ჭაცისა ბედი,
ის უკუღმართი, უღმრთო წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გაუბრუნდდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!
მაშინ შევიქნენ მეც ოცის წლისა...
კვხნით არ გიტყვი, ბევრს ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,
თუ გულსმოდგინედ მივეშველოდი.
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა,
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვლუპავდი,
შინ კი ოჯახი მელუპებოდა.
ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჩნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხევწნითა.
მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა.
რა გაფაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!|

და მამა-ჩემი გულმოწყვეტილი
იახლა ამ-გვარს უხამსსა ბატონს.
— შენი ჭირიმე, — უთხრა, — ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამაღონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

ბატონი

— რაო, რას ბოღავ?

მამა

— შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშელოთ,
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბატონი

— ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?...
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?

მამა

— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსწნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულეზ...

მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძლურდი,
 თორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
 მინამ შემეძლო—სახლს ვინახავდი,
 არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
 დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდა,
 მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა;
 აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
 უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო,
 ვცლარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
 თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!..
 ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
 კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!..
 ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კენესამე,
 მინამ პატრონი ცოცხალი არი.
 სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
 მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი,
 გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
 ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა.
 მძიმე უღელი მე მიწევია
 ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
 ამდენი ჯაფა გამიწევია
 ნუთუ, ბატონო, ამ შავის ღღისთვის,
 რომ უდროო-დროდ აღრე და მალე
 მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?
 ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
 ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბატონი

— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
 სადღა ვიშოვნო კარგ მეძროხესა?
 ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
 თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი ღღესა!
 ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტას!
 მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
 არა, „ერთი მაქვს—სჯობს ათასს მქონდეს“...

მამა

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბატონი

— გამეცა, ვირო, ნუ შელრიჯები!

მამა

— რომ გაგეცალო, ვისლა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დალუპვილსა!
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმოზ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბრძანე, შენი კვნესამე, შენი!

ბატონი

— თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენადვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მამა

— შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, —
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბატონი

— სუ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!..
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

—როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლავ,
 ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუბავ,
 ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,
 შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
 შვილს შეუძლიან მამის დარჩენა,—
 და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
 მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
 რომ შემინახოს სიბერის ღროსა,
 მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
 ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..
 ეს იყო, ძამო!.. ამ სიტყვებმა ჰქმნეს
 შვილის და მამის უღმრთოდ წახდენა...
 შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
 მაგრამ რა ექმნა, აბა სთქვი შენა?
 ეხვეწებოდა განა ცოტასა
 იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა!..
 მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა,
 ვერ დაუღბო, ვერ, გული ხვეწნამა.
 ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
 იმედგაწყვეტილ, მოკლულმა გულმა,
 და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
 უსამართლობამ წრიდამ გასულმა.
 ჩიბუხის ტარით მამა-ჩემს მტრულად
 ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
 უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
 არ გალახულა თავისი ღღენი.
 საწყალი იყო თავის-მომწონე,
 სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
 თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
 მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
 როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,
 „ბიჭო, როზგები ბიჭო, როზგები“
 და მამა-ჩემსა მოხუცსა, ძამო,
 წამოეჭიდნენ მისივ მოძმები..
 როზგით მიცემეს მამა სწეული,

მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
 იმისი კენესა და მწუხარება
 გულს მიკლავს ხოლმე, რო მაგონდება...
 არც უღონობამ, არც სიგამხდრებმა,
 არც სიბერებმა, არც თეთრმა წვერმა,
 არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
 არ მიპატივეს ბებერი მამა!..
 მაშინ იქ ვიდექი მე საცოდავი...
 გულამომჯდარმა წაიდუღუნა,
 მერე მღუმარემ მწუხარე თავი
 ამოიკენესა და ძირს ჩაღუნა.
 წამოხტა კაკო განრისხებული,
 მას აერია სული და გული
 და შეუტია მწყრალად ზაქროსა:
 — შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
 და იქამდინა მიუშვი მტერი,
 რომ აცემინე მამა ბებერი?!
 მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
 რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
 იქ რომ მდგარიყავ, ჩაგაძაღლებდი
 ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...
 რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
 როგორ სწუწვნიდნენ მამა-შენს სისხლსა!..
 ფუ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას,
 ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
 მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
 შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
 რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
 რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე
 სულწაწყმედილი შენი ბატონი!
 ემაგ შერცხვნილ ხმლისა პატრონი
 ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
 ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...
 შენ, ძმავე, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,
 შენ დედაკაცად დაბადებულხარ,
 ფუ, მაგ კაცობას!

მხედარი

— კაკო, ნუ სწყრები!

კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც ვავექცევი ხმალში კაკოსა.

ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.

ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:

მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...

მინამ ბატონი ხელითა სცემდა—

როგორცა ძალლი ხორცსა ვიგლეჯდი...

„მოჰკალ“ რაღაცა ხმა მაძალებდა,

მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.

მომეკლა, ვიცი მამას მოჰკლავდნენ,

მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჰამდნენ,

ამის მიზეზი მე ვიქნებოდი,—

და არ მომეკლა, უღმრთოდ სტანჯავდნენ,

ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.

მაშინ კი, როცა წამომიქციეს

და მოხუცებულს როზგი დამიკრეს,—

თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,

მივვარდი თოფსა გამწარებული,

მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თეჟა,

და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“

მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭეჟა

და შეუწვრია გულის-ფიცარი—

იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,

თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა.

კაკო

— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!

ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...

შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა—

რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,

ბი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა—

ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძამო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წელან გითხარ, ყველა დამითმე.
ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ-წინ თავი დაილოს.

მხედარი

— განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აილოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი.
ვით მეტი იყო წელან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.
მაგრამ, ეჰ, კაკო!.. მე მაგ სიკვდილმა
გულის ჭრილობა არ გამიმრთელა;
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა,
მამას ვერაფრით ველარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა...
მივევარდი მამას... უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დაღურჯებული
ეგდო უძრავად გაშეშებული!..
ვაიმე, მამა მე მომკდომიყო
როზგ-ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად!..
მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.
და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორიგ წაიღო ერთმა ნაღველმა..
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

11 დეკემბერი, 1860 წ.

პეტერბურგო.

მეფე დიმიტრი თავდადებული

(ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს)

უქმე დღე იყო, ტვირთმძიმეი და დამაშვრალი,
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.

„ეჰ, რას ჰყაყანებთ,—დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა,—
შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა...
ბრმა მეფანტურე, გვითხარ რამე, მამა-შვილობას!

გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩევის ნატკივარი გული ჩაგრული,
გული გაზრდილი ვაებითა, წვით და დაგვითა“.

ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვითი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა:

I

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა,—
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა.

იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის-შვილობა
სასახლოდ იყო ჩვენში,

შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.

შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.

ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.

უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის-თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.

მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვექონდა გულში აბჯრად
და სატევრად—ხმალი ხელში.

ეგრეთ, შვილნო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.

მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

II

„ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ,
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...“

რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ შაინც
გზად და ხილად გავედებით.

წინა კაცი უკანასი
ხილიაო, ნათქოშია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევეს
ვინცა ხვალისა მდომია.

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვინდეს.

ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართველის ერი.

III

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.

დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტანმაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.

კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.

ლამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.

მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავროდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალეობას და საზრდოსა.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა—
წავა—იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითავილებდა.
ყველგან იმის საშეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

IV

„მის დროს იყო ყვინობა,
მეფე ყვინს ჰპორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.

ერთხელ ყვინს აეშალა
თათარივე კაცი ურთი,
იმძლავრა და გადიყენა
ნახევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი ყვინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის—
კაცს შეჰრჩება ძმისავითა.

შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყვინი და განდგომილი;
ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს ყვინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.

ის ზომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის ზომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

V

„ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც...

— „რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო“.

გაუგზავნა მოციქული:

— „გამოცხადდი ჩემ-წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავაღენო“.

დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის,—იმ ღვთის-რისხვას
ჯარტ სიმრავლე შესწევს ქადილს.

რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყუ, გაგტენს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს,
წეუღდა ბჭობას, რჩევასა...

— „წავალ—მოძკლავს,—და არ წავალ—
ამოიხრებს ქვეყანასა“.

ბოლოს ბრძანა:—„თავს მოუყური
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო—
წესია მეფეთ ქებულთა.

ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან,—
წასვლას, თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, —
წეფის, თუ ქვეყნის დამხობას?“

VI

„ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
გეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ, დიდმა და პატარამ
თაყვანი სცეს ბატონს ყმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერიითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით, ყურებითა.

უბძანა თუ:—„დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.

შეიტყობდით, მომივიდა
ყვინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.

თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო,
ავადენ ნაცარ-ტუტასა.

თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება“.

VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიდნენ და თაყვანი-სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.

—„მეფე! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!

რად გვინდა სახლი, ქონება...

ჩვენ შენისთანა დიმიტრი

სხვა არვინ დაგვებადება.

მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლის-მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.

მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!

ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავეთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.

სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შემნატვრელსა.

ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილის-შვილამდიე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააჭდიე“.

VIII

„ეხლა წადგა სპასალარი...

— „მეფევ, რაც სთქვეს, მართალია.

შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, —

ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!

თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის,

რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?

არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —

სახელიო, ან სიკვდილიო.

ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სიოცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ,—მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი“.

ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებულო,
დიდ ხანს იყო დაღონებით
ეგრე თავჩაკიდებული...

IX

„ბოლოს ბძანა:—„ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით, რა მადლი არი!

ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ:
რა ვქნა,—ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხვარ და ვვალოვ.

ჩვენი კაცი ერთი—ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოდ გამიწყდება.

მერე უკაცურს ქვეყანას
დასწავს, დაჰბუგავს, დაანგრევს,
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მონაგრევს.

ხატებს, მამათ სალოცავსა
წამურტლავს და შეგვიგინებს,
ამოიღებს მკედრებს საფლავით,
ძალღსა და ღორს ათრევიანებს.

ქალწულ-ქალზედ ძალით მივა,
წაჰბილწავს, ნამუსს დაუმხოვს;
ორსულ დედაკაცებს კიდე
მუცლებსა ხანჯლით დაუხოვს.

დედას თავის ძუძუთა-შვილს
კბილითა დაავლეწინებს,
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალექვინებს.

X

„ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.

ქვეყნის ამოდენი ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება!

ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...

სირცხვილს ამბობთ!—რა სირცხვილი?
მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის—ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს—მთელის ერისათვის!..

არა! წავალ, არ დავდგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკედეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა.

XI

„შენ რას ბძანებ, მღვდელმთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?“

ატირდა და მოახსენა:

„ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.

მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ლმერთს შესცოდავს, ვინც ვამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.

მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...

ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ლმერთის ანდერძია.

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის-სოფლის გულისათვის!..“

XII

„მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:

„დიდებულნო, ხომ ისმინეთ,
რაც სთქვა წმინდა მღვდელმთავარმა!..
მოყვასთათვის თავდადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.

ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!..
წავალ და, თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსდებ.

მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გეზარებოდეს,
ლარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.

გლესს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰუინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

თუ დავებრუნდი, თქვენს სამსახურს
გადაგიზდით ორად ერთსა,
თუ არა და—სული ჩემი
შეავედრეთ მაღალ ღმერთსა“.

ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი:
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია.

XIII

„ბძანა და მსწრაფლ დაიშალა
დიდებულთა იგი კრება...
უხმო მხლებელთ და უბძანა
წასასვლელად მომზადება.

სთქვა და ურდოს კიდევ წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა: გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.

გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჯინჯველა ჰფუსფუსებდნენ
შინა-ყმანი სასახლისა.

ხმა გავარდა ქალაქშიაც:
მეფე ჩვენთვის სდებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა, —
ვერ გუღალატებ ხალხსაო.

შეძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეცა ერთმანეთსა,
მოზღვავედა და იგრილა
და მიაწყდა სასახლესა.

მივიდნენ, ნახეს, მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით!
მოედანი სასახლისა.

წინათ ბარგით გაეგზავნათ
ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალთად იყო,
ტურფად კაზმულ-დარახტული.

XIV

„თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა, —
ყველა ასე კარგნი იყვნენ.

წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა.
საამოა გაწყობილის
ვაჟკაცების რაზმის მზერა!

კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა
მაოს სიკეთეს, სიტურფესა.

მარაქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ-გარეთა ატარებდნენ,
მათი მხედნი დიდებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.

იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰგერიდა,
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო—თითო სოფლად ჰლირდა.

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული,
უკეთესს ვერ ინატრებდა
კაცის უძლომელი გული.

მეფისა იყო ის ცხენი,
თამამი—თითქო ვეფხვია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერვის შეედგა ფეხია.

ამაყი იყო ღომსავით
და ნაზი როგორც შეელია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა—
თუ არ ბატონის ხელია.

ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჭექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა.

XV

„გამობძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყენენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.

მეფეს ახლდა მხარმარჯნივა
გულმწუხარე მღვდელმთავარი
და მხარმარცხნივ შუბლშეკრული
ჯავრით საფსე სპასალარი.

მღვდელმთავარი სწუხს და ჰვებს
მეფის თავგადადებასა,

სპასალარი კი ჰთაქილობს
უმრად დამარცხებასა.

ხალხიც დაჰხვდა თავის მეფეს

ვიშითა და წუხილითა,

მეფეს გული ამოუჯდა

მათთვის გულის-ტკივილითა.

„უბძანა თუ: — „რასა სწუხხართ?

იქმნას, რაც კი საქმნელია..

ერისათვის თავდადება

მეფისათვის სახელია.

რაც მომივა, მომივიდეს,

მე იმისთვის არ ვინაღვლო...

თქვენ ჭირს დაგხსნით... დეე ვიქმნე

მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო“.

ხმა ჩაუწყდა ველარ-რა სთქვა,

მოეგუბა თვალში ცრემლი...

თქმულა: ქვასაცა მაგარსა

გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი.

მოუმატა ხალხმაც სულთქმა,

ხმა გაისმა ქვითინისა,

გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში

ობლისა და ქვრივ-ოხრისა.

XVI

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,

ხალხი გაირღვა შუაზედ,

ორს მარჯვე ბიჭს ბერი-კაცი

მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.

მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით

ჩაჩანაკი და ბებერი,

მკერდზედ სცემდა თოვლივითა

მოხუცებულს თეთრი წვერი.

მოვიდნენ და გააჩერეს

ის მოხუცი მეფის წინა,

ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,

თუმც ყავარჯენს დაებჯინა.

ის ამ ქვეყნის აღარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში,
მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

XVII

„მოახსენა: — „ჰე მეფეო,
ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა!
მე ხომ მხედავ, გარდასრულვარ,
სამარიდამ გაძლევ ხმასა.

მეფევ, კისრად აგილია
ტვირთი ჩვენის შავის ბედის,
ბედისწერას მისცემიხარ
უბედურის ჩვენის ქვეყნის.
ვიცი, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,
როცა ნდომობს თავგანწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.

მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
მამობასა ვილა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?

ერს ოფლის მღვრელს და ტვირთმძიმეს
პირსა ლხინად ვილა გვიქცევს?
წუთისოფლის მძიმე უღელს
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?
ამას ესტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბედსა და მშვიდობასა
ველარ მოუმართავ ხელსა.

ჩემებრ უძლურს, გაჭირვებულს
მწედ ველარ მიეშველები,
ღარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
პატრონად არ ეყოლები!

XVIII

„ნუ სწუხხართო!.. განა, მეფევ,
ჩვენს ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს— მაინც დასდნეს
ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.
გულს რად გვიკლავ? რად მიღიხარ?
ნუთუ, მეფევ, ხსნა არ არი!..

ჭუღზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.

ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯერ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.

აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
ზხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მკობია;

მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე.

შეჰკრიბე დიდი, პატარა,
გაუძელ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლადა!

ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაჰხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხზრია ქედია.

ნურც ღლეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევეთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!..“

XIX

„უბრძანა თუ:—ბერო-კაცო,
მესმის შენი ერთგულება...
შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება.

მაგრამ გეტყვი: ჯარს არ შეგვკრებ,
არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
მარტო ჩემის გულისათვის
არ შევაკლავ მტერს ათასსა.

ჩვენის ქვეყნის შავი ბედი
როგორც ტაროსი იცვლება,
დრო მოვა და თქვენი თავი
უფრო მეტად დასჭირდება.

მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა;
თუ თქვენ მე არ გემეტყობით,
მე რად გაგიმეტებთ თქვენა?..

განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ ედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის
ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა.

XX

„მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს ღღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

არ დავიშლი, ვსთქვი და კიდევ
თავი უნდა გავიწირო,

ისე მოვკვდე, რომ ჩემ გამო
დედა შვილზედ არ ვატირო.

წავალ-მეთქი!.. თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.

ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.

თქვენ ხომ მაინც აგცილდებით
ხოცვა, ჟლეტა, სრვა და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება
თქვენი ლოცვა და კურთხევა“.

XXI

„თითქო ზეცით ზარი იყო,
თითქო ღმერთი მოველინა, —
ხალხი პირქვე მყის დაემხო
საკვირველის მეფის წინა...“

თურმე დიდებას მადლისას
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდს მადლს
თავისი ზარი ჰქონია.

XXII

„მეფეს ერი შეეცოდა,
სთქვა:—„მეც ვწუხვარ, რომ გშორდებით.
ღმერთს ვსთხოვ, იყვნეთ ჩემს შემდეგა
მშვიდობით და გამარჯვებით.“

ნურას გიკვირთ, რომ ქვეყნისთვის
მეფე თქვენი თავს არ ჰზოგავს!
ამასა იქმს ყველა, ვინც კი
ჰკუთით სჭრის და გულით ჰზომავს.

მე მივდივარ!.. მეფე თქვენი
დიდს და მცირეს გეთხოვებით,
რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,
რაც შეგცოდეთ, შემინდევით“.

ბძანა და ცხენიც მოართვეს,
ზედ მოახტა ვეფხვსავითა;
ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი რომ დაენახა,
თვალი გაუშტერდებოდა;
მისებრი ცხენზედ მოხდენა
ბევრს ვაჟკაცს ენატრებოდა.

გამოეთხოვა ყველაქას,
ვინც კი შინ, სახლში ჰრჩებოდა,
სხვა კი ამხედრდა დიდკაცი
ყველა, ვინც უნდა ჰხლებოდა.

ამხედრდა თვით მღვდელმთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეივედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.

წაბძანდა და თან იახლა
ის ამაღა და მხედრობა,
უკან მისტირს ერი, ბერი,
გლეხობა თუ დიდკაცობა.

XXIII

„მინამ მეფე მიმავალი
ზღლომდინა მივიდოდა,
იმისი მისვლის იმედი
ყეინსა გადასწყვეტოდა...“

ებძანა თავის სარდლისთვის:
— „შეჰკრიბე ჯარი, ლაშქარი,
წადი, დიმიტრი მომგვარე
ან ცოცხალი, ანუ მკვდარი;
თუ არა, იმის ქვეყანას
შეესიე და მოსრეო,

სულ ძირს დაეც, რაც წინ შეგზედეს,
ქალაქი თუ სიმაგრეო“.

წინ შეხვდა მეფეს ეს ჯარი,
მრავალი და უთვალავი,
მაშინვე მიხვდა: აქაო
ამბავია რაღაც ავი.

უხმო მხლებელთ და უბძანა:
—„ფიცსა გთხოვთ და უნდა მომცეთ:
თუ უკადრისი მაკადრონ,
თქვენ არავინ ხმა არ გასცეთ.

თავს დაიხოცთ, ვერას უზამთ,
ჯარია მოზღვავებული!
თქვენს სიკვდილსაც არ იკმარებს,
თქვენგნით გაბოროტებული,—

წავა და ხალხს ამოგვიუღეტს,
ავციოხრებს ქვეყანასა...
ნუთუ მთელს ხალხს ანაცვალებთ
ვაუკაცთა თაკილობასა?!

ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას,
რაც ჩემს თავზე განგებულა!
საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო,
ბრძენთაგანა ასე თქმულა.

კვლავ ფიცსა გთხოვთ: სისხლს ხუ დაღვრით,
ნულარ დამიმძიმებთ სულსა!..
განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს, უქმად დანთხეულსა“.

X X I V

„რას იქმოდნენ? მისცეს ფიცი
გამწყრაღთა, გაბრაზებულთა,
სირცხვილის ჭამა ირჩიეს
ქვეყნისთვის დავალებულთა.

ბევრმა იკრა გულში ხელი,
სთქვა გულმწარედ: „ვაი დედას!

დრო მოგვიგა და ამ თათრებს
არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენას!“

ბატონმა ბძანა:—„ვინა ხარო?
წადით, ჰკითხეთ — რა სწადიან?
თუ მე უნდივარ, აქა ვარ,
ჰქმნან ის, რასაც მიქადიან“...

მალე დაბრუნდა უკანვე
მეფის კაცი მოცუქული,
მოახსენა:—„სარდალს ვუთხარ,
მეფევ, შენი ბძანებული;

მითხრა:—„მეფე შენი გვინდა,
თუ მოგვეცა თავის ნებით,
არას ვერჩით თქვენს ქვეყანას,
აქედამვე დავბრუნდებით...“

იამა, ბძანა: — „მადლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება
და ცოდვილი ჩემი სისხლი
ამაოდ არ დაიდვრება“.

თვით წაბძანდა სარდლისაკენ,
მის წინ შეაყენა ცხენი,
უბძანა თუ: — „მე ვარ მეფე,
რაც გენებოს, იგი ჰქმენი“.

მისცვივდნენ უკადრისადა,
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი.

XXV

„მიჰგვარეს ყვინს ურჯულოს,
სისხლმსმელს ადამიანისას...“

საღერდელი აეშალა,
ვით კრავის წინ მხეცა ტყისას.

გაწყრა:—„როგორ გაბედო,
არ გადუდეგ ჩემს მოსისხლეს?
სთქვი პასუხი და იცოდე,
შენი განკითხვის ღლეა ღლეჲ“.

იცოდე, რომ წინვე მიტყვამს:
თავი უნდა მოგეკვეთოს!
ამის შეცვლა თითონ ღმერთმაც
ჩემმაც მე ვერ შემომბედოს.
მინამ მოგკლავ, მსურს აქ ჩემ-წინ
შეინანო ბრალი შენი,
აქ ჩემ ფეხთ-წინ აღიარო
შენვე შენი სიმუხთლენი...“

მეფემ უთხრა:—„შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხგნელია.
შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.

ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ,—
რად გწადს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო?..“

გაწყრა ყვინი ამაყო,
ეს როგორ გამიბედაო!
უბძანა: —„ჰგვემეთ და სცემეთ,
ბნელეთს ჩააგდეთ ეგაო“.

წაიყვანეს მეფე ჩვენი
და საბნელეთში ჩააგდეს;
შემოარტყეს გარს მცველები,
კარს კლიტეები დაადეს.

XXVI

„სასჯელი დაუგვიანა
იმ ღვთის-მგმობელმა თათარმა,
მინამ მოაკვლევინებდა,
სცემა, ჰგვემა და აწამა;

აწამა, ვით სვავმა ტრედი,
მეფე იგი საკვირველი
და ვერ გაძღა მის წვალეებით
ის უღვთო და სისხლის-მსმელი.

ერთხელ მეფე, ნაწამები
ძლიერად და ულმობელად,
ბნელში ეგდო ძალმისხილი,
უპატრონოდ, უზრუნველად.

როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ღოცვითა
და ცრემლები გაღმოჰყარა.

მოსთქვამდა თუ: — „ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.

მე არა გთხოვ,—მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ,—სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სხვისთვის შეიწირო.

ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი“.

XXVII

„უეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაჭედილი;
ორი ვილაც შემოვიდა
ფეხაკრეფით, როგორც ჩრდილი.

მოვიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა, მისნი იყვნენ,
და ჩაიკრა ორივე გულსა.

მოახსენეს:—„შევისყიდეთ
და გაეტეხეთ ქრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.
ნულარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანდა იქნება:
ხვალ თავს გჭრიან, — ასეაო
ყვინისა თურმე ნება“.

უბძანა თუ:—„ადრეც მითქვამს,
არ გადვირჩენ სხვისით თავსა,
ჩემ-მაგიერ არ დავლუპავ
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქი!.. ტყუილია
თაყბირი და ყველა რჩევა!“

ბევრს ევედრნენ და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათ ხვეწნას და მუდარათა!

X XVIII

„გათენდა ღლე ზართ-ამხდელი,
ვაი იმა ღლის დამსწრესა!
ტყვე მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავთ-საკვეთსა.

ხალხი, თამაშად მოსული,
ვით ჭინჭველა ირეოდა,
თვით ვეზირიც ყვინისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.

ვეზირს გვერდთ ედგა ჯალათი
ერთი რაღაც საზარელი,
ილლიამდინ დაემკლავა
ძარღვიანი ტლანქი ხელი.

ამ ორ შუა ჩააყენეს
ფერმიხდილი წვალჭიბია...
დადგა მეფე... ღმერთს ზღუდა
ნადვლით საესე თვალეზიბია.

მერე თვალი იმაც ნადვლით
მოედანს შემოაღებია...
ის ყოფა და ის ჯიჟღათი
სანახავად შეეზარია...

შეჰკრთა როგორც ხორციელი,
უმისოდაც ქანცა წყვეტელი,
დასუსტდა და წიბო მზადდა,
როგორც ერთი დ პხელილი.

მაგრამ ისევ თავს ღმგელა,
არ დაუთმო ხორცის სული..
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული...

გაოცდა და მიიხიდა,
ჰნახა თვისნი დიდებულნი!..
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ,
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.

მღვდელმთავარიც მათთან იყო,
თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათის ცოდვით და ვაეებით
ქვეებიც კი ატირდებოდნენ.

თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი, ტომი,
ქვეყანა და თავის ერი...

ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!
ამას კი ველარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..

მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კენესით: ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: — „დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც კმარა!..“

სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
— „ჰა, ჯალათო!“ — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა“.

[1878 წ.]

განდებილი

ლეგენდა

(გუძღენი ოლლა ჭავჭავაძისას)

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრაღზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე

ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
 აქა გამდგარან, განშორებნიან
 ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
 აქ ჰლირსებიან მართალთა თანა
 საგანესა მას საუკუნოსა.
 გასულან ამა ქვეყნით მამანი
 და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
 იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
 მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
 და ის ადგილი, ის არე-მარე
 ესოდენ წმინდად სწამს ღღესაც ერსა,
 რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
 მონადირეცა ვერ ახლებს ხელსა.
 თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
 ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
 და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
 ჭეჭა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
 მეუღაბნოე შეჰკედლებია;
 საიქიოსთვის ეს სააქაო
 დაუთმია და განშორებია.
 განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
 ვით სამეუფოს ბოროტისასა,
 სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
 განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
 სად ცოდვა კაცსა სდევნის ღღე-და-ღამ,
 ვითა მპარავი და მტაცებელი;
 სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
 მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
 სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
 სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
 სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
 წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.

განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდევილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწყამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი—
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღე-და-ღამ სულთქმა და ღალადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა,
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მაღლით დაჰშვენებოდა,

და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
 შარავანდედი გადაჰფენოდა.
 მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
 ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
 თითქო მათ შიგან ჩასახებულა
 თვით სათნოება, კდემით მოსილი;
 თითქო ნელისა სიხარულითა
 სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
 და სულთან ერთად უფლისა მიმართ
 სასოებითა მიისწრაფიან.
 ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
 ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
 მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა
 ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
 ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
 და სასწაული ნიშნად მადლისა
 მლაღადებელზედ მოუვლენია.
 ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
 ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
 და მუნით თურმე გადმოდენილა
 შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
 ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
 მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
 იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
 სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
 როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
 თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
 და ხორცთუხმელი მზის სხივი იგი
 უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.
 ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
 ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა...
 და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
 ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, სადამოს, ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ზატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიაფ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრაღთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქოს მტერს შეეჯახაო,
ჰეჰა-ჰუხილით დაიგრილა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჰეჰით და იმა ჰუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ჰუხვა და ჰეჰა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,

ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა,—
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა
და ხელაღპყრობით ევედრებოდა
წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა—და თითქო ვილაც
ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვილაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ღალადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა, — „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
— „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ღამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვაა? შემიბრალებ მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

„მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
 ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს;
 თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
 მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
 ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
 ზელი ჩააფლე ეშაგ რკინის ჯაჭვს,
 ნუ შეშინდები... კიბეა იგი
 და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
 და იმ ბნელაში იგი წვალეებით
 ავიდა მალა იმა ჯაჭვითა.
 მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
 ვერ გაარჩია სიწყვედიალითა.
 —„გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
 გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
 სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
 შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა“.
 წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
 იქ უფრო, ვიდრე გარეთ, ბნელოდა,
 მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
 ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ-ქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
 და არ შერისხა იგი მოსული,
 გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა
 და არა მავნე, ბოროტი სული.
 სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
 ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
 ღველფი გაქეჭა, ჩაჯდა ცეცხლა-პირს
 და გაიწოდა სათბუნად ხელი.
 —„უჰ, უჰ, რა ცივა!..—სთქვა მან სტუმარმან:—
 ლამის გაგეშეშდე სიცივისაგან!..
 მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...

შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
 ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
 განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
 და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
 გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
 მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
 მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
 და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
 სასოებით და გულდამშვიდებით.

XII

— „შეშა არა გაქვს? — ჰკითხა სტუმარმა: —
 მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი,
 ხეალ თუნდა მთელ ზურგს მე ამოგიტან,
 ოღონდ დღეს გავთბე, შენ შენი ღმერთი“.
 მეუდაბნოემ იქავ კუთხიდან
 მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
 რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
 ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
 ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
 სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
 გასაოცარი რაღაც შევნება
 განდგეგის თვალწინ წარმოედგინა:
 ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
 სავსე შევნების ჯადოთი, გრძნებით,
 ნაზად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა,
 ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
 ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
 თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
 მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
 ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას,—ვინ ვის აშვეხებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქვენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დაჲ მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაჲი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა—მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატყბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: — „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
— „მწყემსი ქალი ვარ... აჲ მთის კალთებზედ
ცხვარს ვაძოვებდი მამი-ჩემისას,
ბოლახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვეყვე ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის სალამო,
რა-რიგ ჰმევენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,

გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალედა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი:—
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, ნზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ცილამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, —
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამოხნელდა,
მთილამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიანლა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავღარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა, უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამოხნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზე, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დავლუბე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსაგალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავლუბე,—ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
ჰჰეჰდა და ჰჰუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ესთქვი, — აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

„დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის,
გავალწევდი-ლა ამ ლამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ესთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისაც ვიცოდი მამი-ჩემისგან,

რომ მონასტერში ვილაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ ხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი,—ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე ღლეს გადამარჩინე“.

XVIII

—„მე ნუ მიმაღლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი“.
—„შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე“.
—„ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდევნის მწირს!“
—„განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“
—„მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.
—„მას აქეთ ბევრი წელიწადია?“
—„არ ვიცი“. — „როგორ“? — „არ ვთვლი წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!“
—„მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
—„ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“...
—„როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“

XIX

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...“

როცა აქ ცხვარი მიძოვებია
 და შემიხედავს მყინვარისთვისა,
 მომგონებია მამის ნათქვამი,
 იქ, ყინულებში კაცი სცხოვრებსო,
 სულისთვის ხორცი გაუწირნია,
 უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, —
 გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
 მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
 განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჭხარის
 ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
 ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
 ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
 განა მისთვის, რომ ადამიანმა
 შეაჩვენოს და აილოს ხელი?
 ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
 ჩემს ტოლს და სწორსა, ღვინს და სიხარულს?!
 ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
 ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..“



„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
 მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
 აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
 აქ ჭირია და იქ კი ღვინია.
 ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
 ყველა გულიდამ ამოგიღია?
 ნუთუ ნალგელი, დარდი და ჯავრი
 თან არავისი წამოგიღია,
 არ გაგონდება არც მამა, დედა,
 ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
 ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
 მოკეთე, გულის შემატკივარი?!
 როგორ მოშორდი?..—„რა გითხრა, შვილო?
 ყველაზე უფრო სული ტკბილია,
 იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა

და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

— „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“

— „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

XXI

„უბედურსაო“?! და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?

„უბედურსაო“?! ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამღურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის, წნებისა,
და არა ჰქმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამღურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამენ სძლია

და ეს სიტყვა რამ ამოაგენესა?
შომოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო.
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის დაწვზედ დაუღევი.



XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებელი
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბოვს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰქრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ეღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბობასა?

თუ ცოდვა არის, ეგრე რაღა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდი თუ არა“!..
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!“ ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომია ყურთა სმენისა!..

და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
 კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
 იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
 პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
 მით რა ეშველა?... იგივე ქენჯნაა.
 იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
 რად არ დადგება, რად არა სცხრება
 იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
 სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
 გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
 ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ-ქვეშეც
 წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
 მავედრებელი შეჰმართა თვალი...
 და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
 თვალთ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
 ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
 ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
 ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
 ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
 ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
 რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
 და მის შეწევნით მისვე წინაშე
 ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
 პირჯვარი უნდა—ხელი არ ერჩის,
 ლოცვის თქმა უნდა—ენა ებმება,
 ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე...
 ქალი წყეული თვალთ ელანდება!
 „აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიდაცამ
 გაიხარხარა იმის სენაკში...
 აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო
 და როგორც გიჟი გაგარდა კარში.

X X V I I

რიერაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციღამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
დილის ნიავე დაჰქროდა ნელი.
ეჲ ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურღნული?
ნუთუ მწირია?... იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალეობით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიღამ გამოელისო
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
ღღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
წივარდა სენაკს გაზარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

X X V I I I

გულზედ შოეშო... კვლავ სასოებით
ღედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმოშხირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალი დაუზნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბლავსა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

—
და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღალადების,—
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი, 1883 წ.



თაგბენი
ლექსები
და
პოემები



ჩიბი

ყოვლთ უწინარეს მე გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვკრავ, რა თვალს ვახილებ,
დავჰკრავ, დავუშტვენ, ღმერთსა ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს ვაგიჟებ.
უფლისაგან მაქვს სასმელ-საჭმელი,
არც ვთეს, არცა ვმკი, არცა ვარ მხენელი,
გამაძლარი ვარ, მაქვს მე ყოველი,
მოდო, ზაფხულო, მე შენ მოგელი.
მიყვარს ზაფხული მწვანით შემკული,
ვცელქობ და ვფრინავ გახარებული,
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის მოცემული
და საფრენად ცა განათებული;
ზეციით მწვანეზედ ჩამოვეშვები,
მშვენიერო ყვავილთ შორისა ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირს მოვედები,
ვითა ისარი მასზედ გავსხლტები...

ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
გინდ მიმინო და გინდ შევარდენი...
გარნა მიჭერენ მცირის შახითა.
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.

- 17 ნოემბერი, 1856 წ.
ტფილისი.

ბედა მჟაღაგებელი

სალამო არის, სხიენი მზისანი
 გარდმოიშალნენ მთისა მწვერვალზედ,
 დაშვებულ მზისგან ჩრდილნი ხისანი
 გადმოწვნენ გრძლად დედამიწაზედ.
 ყრუდ არის ველნი, ველურად ტყენი,
 სრულად მდუმარებს მთა თუ ბარია,
 შეჰფარებიან ბუდეს ფრინველნი
 და ხმაურობა მთლად მიმწყდარია.
 მხოლოდა ფიჭვნი დიდის ხნისანი
 ნელის ქართთა ძლივს ირხევიან,
 ხავსით მოსილნი წვეტნი კლდისანი
 ძირს გაშლილს ვაკეს გადმოსცქერიან.
 ყრმაზედ მინდობილ უძლურ ხელითა,
 ქარით დაჰმუჭვნილ სამოსელითა,
 უდაბურს ბილიკს შიშველის ფეხით,
 ქვაყრილსა გზასა ბარბაცით, რყევით,
 უსინათლო და მოხუცებული,
 ვიდოდა ბედა ჩაფიქრებული.
 გარნა ყრმამ თვალი მოჰკრა ტყეში ხილს...
 დაიღალა თუ ბედას ატყუებს,—
 „მოხუცო,—რქვა მან,—სგლა აღარ ძალმიძს,
 ღონე აღარ აქვს დაღალულ მუხლებს...
 ცოტას ვისვენებ და შენ, თუ გწადდეს,
 უქადაგე ხალხს ღვთისა დიდება...
 მალლობით უკვე მწყემსებმა გნახეს
 და აგერ შენს გარს ხალხიც გროვდება,
 აგერ წვრილ-შვილით დედა-მამანი...
 უთხარი იმათ სწავლა-მოძღვრება
 ჯვარცმულის ღვთისა, ვინცა ტანჯვანი
 ჩვენის ცოდვისთვის ნებით ინება“.

მსწრაფლ სასოებით, სიწმინდით, მადლით
 გამოუშუქდა სახე მოხუცსა
 და მოსკდა სიტყვა ღვარებრ მის ბავით
 მთა-ბარს უდაბურს და უკაცურსა.
 ვითარცა წყარო, ქვათა ძარღვისა
 ამოწმეთქი და გამაპობელი,
 ისე ნაკადი სიტყვის მალლისა
 მის ბავით იყო გაღმომდენელი.
 და ზეგარდამო შთაგონებითა,
 რალაც დიდებით, მოსვენებითა
 სიტყვა-სიტყვაზე იყო მდინარი...
 უღმრთოდ მის მსგავსი სიტყვა არ არი!
 თითქო თვით ზეცა მის ნეტარებით
 გამოეცხადა მოხუცს იმ დროსა
 და უკვდავების მშვენიერებით
 დაენახა მას, უსინათლოსა.
 თოვლივით თეთრსა მის წვერს და თმასა
 მთისა ნიავე ჰშლიდა და სძრავდა,
 ცისკენ პირ-ექმნა მის გამქრალ თვალსა,
 თითქო სინათლე მხოლოდ იქ აქვნდა.
 ჩაესვენა მზეც, ყვითლად მღვიმარე,
 ბინდის სიომა ტყე-ველს დაჰბერა,
 ამოკაშკაშდა ცაზედაც მთვარე
 და კლდენი ვერცხლის ფრადა დაჰფერა.
 ჰქადაგობს ბედა... და მოესმა ხმა,
 სიცილით, ხელ-კვრით ეუბნება ყრმა:
 „დროა, წავიდეთ... დაღამდა... კმარა,
 აღარვინ არის ეხლა შენს გარსა,
 ყველა წავიდა—დიდი, პატარა,
 დროა, გავუდგეთ ჩვენც ჩვენსა გზასა“.
 დადუმდა ბედა შეწუხებული,
 გზას განემართა თავჩალუნული;
 დადუმდა რა ის, კიდით კიდანდინ
 ქვანი მისძახდნენ პასუხად: „ამინ!“

23 აგვისტო, 1857 წ.
 პეტერბურგი.

* * *

რა ტკბილ არს, ოდეს წყვილიდ ღამეში,
ბნელ ბილიკზედა ჟღაბურ ტყეში,
წმინდა გალობა მეუდაბნისა
შეეპარება მგზავრისა ყურსა:
ლოცვა ირთვება მუსიკის ხმითა,
მუსიკა აღვალს ცად ლოცვის ფრთიდა,
და ვით ფრინველნი—მოალერსე შშის—
ფრინვენ ცისკენა ხმანი გალობის.

9 თებერვალი, 1853 წ.
პეტერბურგი.

ცრემლთა ზინა ნუგეზი

მოჰქუხს მდინარე ჩქარი და მალი
და ახმაურებს მდუმარე ტყესა,
წყლისკენ გადახრით ჰზის ნაზი ქალი,
სტირის და აფრქვევს მდულარე ცრემლსა.
არ ვაუთმეღდა გულისა წყლული
იმ შეუწყვეტელ ცრემლთა დენითა,
და წყლულთა ტკივილს შეწუხებული
ასე მოსთქვამდა ის გოდებითა:

— „ღამემსხვრა გული... და ეს სოფელი
გალქმდა ჩემთვის, დაცარიელდა,
ბედნიერება, ლხენა ყოველი
გაქრა, წამიწყდა და დაძინელდა.
ალარად მიღირს სიცოცხლე ჩემი,
რალად მინდა მე სოფლად ვიდოდე...
დედავ ღვთისაო, ნუგეშის-მცემი
მე ხელი შენი გამომიწოდე
და აღმიყვანე შენს წმინდას სადგურს...
რაც ამ სოფელსა მაღლი ჰრგებია,
ყოველი იგი მინახავს ბედკრულს:
მეცა დავმტკბარვარ, მეც მყვარებია“.

— „ამაოდ აფრქვევ ცრემლთ ნაკადულსა,
საფლავში სატრფოს შენსას არ არგებს...
მითხარ მე: შენსა დაკოდილს გულსა
რა მოგირჩენს და რა გაამთელებს
შემდეგ სიყვარულთ სიტკბოებისა.
მითხარ, და ყოველს ვავლენ შენთვისა“.

— „ნება მომეცი ეგრე ურგებად
ვაფრქვევდე ჩემს ცრემლს შეუშრობელად,
თუნდა საფლავში არრას არგებდეს
მას, ვინც ჩემს თვალში ჰბადებს ამ ცრემლებს.
შემდეგ ბედნიერ სიყვარულისა —
არის წამალი ჩემის გულისა,
არის ნეტარი ბედნიერება —
რითაცა ტანჯვა ჩემს გულს ჰნელდება,—
ეს ცრენლნი ჩემნი... მათში ნუგეშს ვგრძნობ,
მათში წარსულის სიცოცხლით ვცხოვრობ.“

12 თებერვალი, 1858 წ.
პეტერბურგი.

სტიროდეთ!

(გერაული მელოდია)

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოსა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ მსხვერულს იუდის ჩანგსა!
სტიროდეთ... სადაც ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა, აწ იმ ალაგსა
არიან—ვისაც ღმერთი არა ჰყავთ...
რომელ წყაროში დიდ ისრაილი
დაიბანს თვის ფეხთ აღსისხლებულთა?
როს იგალობებს კვლავცა სიონი
ღრმა სიტკბოებით ხმათ აღვსებულთა?
ან მელოდია როს კვლავ იუდის
გამოაცოცხლებს ისევ იმ გულთა,
რომელნიც სძგერდნენ მის ციურ ხმისთვის?
ტომო, ფეხითა—სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღალულითა,
ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?..
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს,
კაცსა—სამშობლო, და ისრაილსა—
არარა, გარდა თვის საფლავისა!

23 თებერვალი, 1858 წ.
პეტერბურგი.

ჟეშმარიტება

ამას წინადა ბრძენნი ეძებდნენ
 ჭეშმარიტების დავიწყებულ კვალს,
 დიდ ხანს და დიდ ხანს იგინი ხსნიდნენ
 მოხუცებულთა უწინდელთა აზრს,
 და მას ამბობდნენ: ჭეშმარიტება
 შიშველი ჭაში ჩვენ გვემალება.
 ბეჯითად სვამდნენ რა ისინი წყალს,
 ჰყვიროდნენ: აბა, აქ ვიპოვით მას.
 და ვილაცამ, კაცთ კეთილმყოფელმა,
 გგონებ რომ კიდეც ბრძენმა სილენმა,
 მათ სისულელის დიდის მხილველმა,
 წყლით და ყვირილით მობეზრებულმა,
 ის უხილავი დაანება მათ...
 პირველმან ღვინო ღრმად განიხილა,
 და რა დასწურა სავესე ჯამი მთლად,
 ჭეშმარიტება ძირში იხილა.

27 ივნისი, 1858 წ.
 ტიარლევო.

ანგელოზი

ედემის კარზე ნაზი ანღელი
 თავით მოხრილით მობრწყინვალეზდა;
 გარნა ღემონი აღმშფოთი, ბნელი,
 ბნელ ჯოჯოხეთის უფსკრულს დაჰფრენდა.

სული უკუ-თქმის და სული ეჭვის
შეჰყურებდა იმ უწმინდეს სულსა,
და მღვრიედ აღსა ლმობიერების
პირველად ჰკრძნობდა ის უნებურსა.

„შემინდე, — ჰრქვა მან, — მე შენ გიხილე,
ამოდ კი არ ჩემთვის იბრწყინვლე;
არა, ყველა მე არ მძულდა ცაში,
ყველა არ მძაგდა მე ქვეყანაში...“

27 ივნისი, 1858 წ.
ტიარლევო,

წინასწარმეტყველი

რა დავდიოდი ბნელ უდაბნოსა,
სასულიერო წყურვილი მწვავედა,
და სერაფიმი ჯვარედინ გზასა
მე ექვსფრთიანი გამომეცხადა.

თითებით მჩატით, ვითა სიზმარნი,
ჩემსა თვალებსა შეეხო ისა:
განმეხსნეს წინა-მხედველნი თვალნი,
ვით შეშინებულს დედა-არწივსა.
მერეთ ჩემთა ყურთ შეეხო ისა, —

ბგერით, გუგუნით აღმევსნენ ყურნი,
და მსწრაფლ მომესმა მე თრთოლა ცისა,
ანგელოზების ფრენა ციურნი,
აღმოცენება ველზედ ვაზისა
და ზღვის ქვემძრომთა წყლის ქვეშე დენა;
ჩემთა ბაგეთა შეეხო ისა

და ამომგლიჯა ცოდვილი ენა,
ენა ბოროტი, უქმი მეტყველი,
და ბრძენ გველისა მე საქენჯნელი

დალოცვილ ხელით შთამიდგა მანა
ჩემ გასისხლებულ ბაგეთა შინა.
მერმე განმიპო მკერდი მახვილით
და აღმოიღო მთრთოლარე გული,
და ნაღვერდული ცეცხლის ალივით
შთადგა ღია მკერდს მან ანთებული.

და, როგორც მკვდარი, უდაბნოს ვიწექ
და აღმიძახა უფლის ხმამ: „აღსდექ,
წინასწარ-მეტყვო! სჭვრეტდე, ისმენდე,
ჩემის ნებითა აღივსებოდე
და, მოივლიდე რა ხმელთ და ზღვათა,—
სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა!..“

23 ივლისი, 1858 წ. პეტერბურგა.

* * *

როცა შეგყურებ მე შენს თვალებსა —
გმინვა და ტეხა გულის ღუმდება,
როცა მე ვკოცნი შენსა ბაგესა—
სხვა სიცოცხლეზედ სული რწმუნდება.

როცა შენს მკერდზედ მე ვიხრი თავსა,
ქვეყნად ღლარ ვარ, სამოთხეს ვსცხოვრებ;
მიტხარ,—„მიყვარხარ!“—და იმავე წამსა—
თვითც არ ვუწყ რაზედ—მწარედ ვიტირებ.

22 დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

* * *

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთად შეერთდნენ;
გულით მოეკარ ჩემს გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივე აგნთნენ.

და როს იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მდუღარე ცრემლის,
გადაგეხვევი რა ორივე ხელით,
მოგკვდები ტანჯვით და ნეტარებით.

დეკემბერი, 1858 წ.
პეტერბურგი.

(მიზაძეა ჰეინესი)

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფრენდა ბედი მლიმარი,—
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

თურმე იქაცა ბრწყინავდნენ დღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი, —
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

19 იანვარი, 1859 წ.
პეტერბურგი.

* * *

ჩრდილნი მაღალ მთებისა
 აგერ წყალზე გადმოწვნიენ
 და გუნდი ბატებისა
 თეთრად შორსა აღმოჩნდნენ.
 სიჩუმეა... დაღლილად
 მკერდში სუსტად გული სცემს...
 აწ მეგობარს რა-რიგად
 მაგრად მივაპყრობდი მკერდს!
 გზაზედა სიხარულით
 გამოდის მგზავრი დილით,
 მაგრამ კი სადამო ჟამს
 შინ ნატრობს განსვენებას.

18 იანვარი, 1859 წ.
 პეტერბურგი.

კარტა თანა

სიმღიდრის კარი ვარაკუნე დიდხანსა მეცა:
 ფანჯრიდამ გროში ტრიალით ჩემ ფეხ-წინ დაეცა.
 სიყვარულის სახლს ვერ მიუველ მე კარამდისა,
 ისე ჰედით იქ გუგუნებდა გროვა ხალხისა.
 დავკარ ციხის კარს, სადაც კაცის დიდება სცხოვრებს:
 „ქვეითი ხარო, არ გაგიღებთ, — იქ მითხრეს, — კარებს“.
 შრომის სახლიდამ კენესის ხმანი მე მომესმოდა
 და მე იქ შესვლა საშიშრადა მეჩვენებოდა.
 ბედნიერების სახლის ქვეყნად დავიწყე ძებნა,
 და ვერავინა იმისკენ გზა მე ვერ მიჩვენა.

ერთი სახლილა დამრჩენია ეხლა საწყალსა,
იქაც გამოვცდი, ჩამოვრეკავ კარისა ზარსა;
იქ კი უთუოდ, — თუმც სტუმარი ბევრი ჰყავს საფლავს, —
ვპოვებ საწყალი ჩემთვისაცა მცირედსა ალავს.

26 ივლისი, 1859 წ.
ტფილისი

სიხარული

(მიბაძვა)

სიხარული ჰგავს გზის პირას გაზრდილს
გავლით მოწყვეტილს სურნელსა ყვავილს,
რომელიც ხელში დიდ ხანს არ გრჩება,
მცირეს ხანს გატკობს და მერე ჰჰკნება.

7 მარტი,
1859 წ.

ჰაჰნი-აბრეჰი

ჟემათი არის დიდი სოფელი,
 იგი მდიდარი არვის აძლევს ხარჯს,
 მისი ხმალია—მისი კედელი,
 წისი მეჩითი—ბრძოლის ველზედ სდგას.
 მის თავისუფალ შვილთა გულები
 ომის ცეცხლშია გამოწთულები.
 იმათ საქმესა მთელს კავკასია,
 შორეულ თემში, უცხო ხალხშია
 როგორც ქუხილსა გაურბენია,
 და რუსის გულსა იმათი ტყვია
 არცა ერთხელა არ ასცდენია.
 გოლვიანი დღე ცაზედ მოსცურავს,
 კლდით ჰბოლავს ორთქლი გახურებული,
 არწივი შავად ღრუბლებში მოსჩანს,
 უძრავად ფრთებზე შეყენებული.
 ხეობას სძინავს... გარნა სოფელი
 შეშინებული თითქო იცლება...
 და იქ, სადაც ჰქრის ნიაგი ნელი
 და კლდიდამ ცივი წყარო იღვრება, —
 იქ სიმრგვლივ ხალხი სდგას მთის ძირასა...
 რაზედ მოუბნობს, ანუ სჯის რასა
 ჟემათის ვაჟკაცთ ამაყი კრება?
 ხომ არ ჰსურთ იმათ მთების აკლება,
 ან მთით დაშვება ველზედ ხელახლად
 მტრის ცხენის ჯოგთა მოსატაცებლად?
 ხომ არ ელიან რუსისა ჯარსა—
 იმ სამსხვერპლოდა სატყბო სტუმარსა?
 არა,—მათ ნაიბთ თვალეზში ჰკრთება

მხოლოდა ჯავრი და შებრალება.
 მათ შორის უცხოის სამოსელითა
 ქვაზედ ჰზის ლეგი თავ-მოწყენითა,
 ლეგი უძლური, დაბერებული,
 თმით—ვით თოვლითა აღთეთრებული.
 წყაროსებრ სრბოდნენ მისნი სიტყვანი
 და შის გარემო მის მნათნი თვალნი
 შეწუხებულად მიმოვიდოდნენ.
 ბებერ ლეკისა შწყუხარ მოთხრობას
 ყველანი ყურსა იქ შეუპყრობდნენ,
 და იგი ლეგი მოსთქვამდა ამას:
 „სამი ვაჟ-შვილი და სამი ქალი
 ღმერთმან მოჰმადლა ჩემ სიბერესა,
 მაგრამ აღშფოთდა ავი გრიგალი
 და ჩამომცვიცდნენ შტოები ხესა.
 აწ ვდგევარ მარტო, სულ მარტოხელი,
 ვითა ხე მინდვრებ შორის შიშველი.
 ვაი, მოვხუცდი!.. იმ მთის თოვლზედაც
 უფრორე თეთროშს ჩემ თმის ჭალარი,
 მაგრამ კი ზოგჯერ თვით თოვლის ქვეშაც
 სცემს და ჰრბის ხოლზე წყალი მდუღლარი.
 ჯემათის გმირნო! მოგზოვდით! აქეთ!..
 ოქვენნი სახელი ჩემ წინაც აქეთ!
 ვინ იცნობს თავადს ბეი-ბუღლათსა?
 ვინ დამიბრუნებს ჩე ჩემსა ქალსა?
 ტყვეობას დაჰყენნ მის ორივე დები,
 უსწორო ოშნი მოკვდნენ მის ძნეობი,
 ორი—სხვა ქვეყნად, და უმცროსი ძმა
 ჩემ-წინ განჰვმირა წყეულმა შტიქმა.
 რა კვდებოდა ის, გაიღიმებდა!
 იგი უთუოდ მაშინა სკვრეტდა,
 ვით საშოთხისა ნაზი ქალწული
 მის თავზედ ფერადს გვირგვინს არხევდა,
 აღსრულების წინ ცით ჩამოსული.
 იმ უკანასკნელ ჩემის ქალითა
 უდაბნოს წაველ მე საცხოვრებლად;

მას ვინახავდი სამლოსავითა
 ჩემის სიბერის სანუგეშებლად.
 რაც კი რამ მქონდა ამ ქვეყანაში,
 ყველა შეერთდა მარტო იმ ქალში!
 უღაბნოს წამყვენენ მე თანა მარტო
 ერთგული თოფი და ის ნორჩი რტო...
 ქვაბში დავსახლდი მათთან ბედკრული
 მშობლიურ ქოხსა მოშორებული,
 და ჩემ სისაწყლის უბედურებას
 იქ შევეჩვიე დიად სწრაფათა;
 შეჩვეულ ვიყავ თავისუფლებას,
 მას აქეთ რაც მე ვახილებ თვალთა.
 მაგრამ ბედისა საათმა დაჰკრა
 და ჩემი გვრიტი გაფრინდა, გაჰქრა!..
 ერთხელ სდგა ღამე ყრუ უღაბნოსი,
 მე ჩამეძინა — და გვერდით მეჯდა
 ჩემი ყმაწვილი, ის ანგელოსი,
 და მწვანე ფოთლით მინიაგებდა.
 გამომეღვიძა, მესმა ჩურჩული,
 მესმა ძახილი რაღაც უძლური,
 ცხენის ფეხის ხმა ქარს ამოსდევდა...
 გავიქეცი და ვნახე მხედარი
 თავდაღმა ცხენსა მიაქროლებდა, —
 მას გულზედ ეკრა ჩემი ნარნარი!
 ვიხმე საშველად მიწა და ცანი,
 თან გავაყოლე ჩემნი წყევლანი,
 ზუზუნით ტყვია შევსტყორცე მკვდარმა!
 ოჰ, იმ ტყვიამაც ვერა რა მმატა:
 ერთგულმა თოფმა, გაწვრთნილმა მკლავმა
 მაშინ პირველად იქ მიღალატა!..
 და აქ ჩამარხულ სისხლის შურითა,
 ფიქრით, რომ ამა ჩემსა სირცხვილსა —
 ჩემის სიბერით, სიუძლურითა
 ვერ გადავასხამ ჩემის მტრის სისხლსა,
 მას აქეთ, ვამბობ, ამ მტანჯველ ფიქრით
 მე დავეთრევი აი ამ მთებზედ,

როგორცა გველი ცხენისა ჩლიქით
 გადასრესილი ეთრევა ველზედ.
 იმ წყეულ ღლიდამ ბედმა წარმტაცა
 გულის მშვიდობაც, მოსვენებაცა...
 ჯემათის გმირნო! მოგროვდით... აქეთ!..
 თქვენი სახელი ჩემ-წინაც აქეთ!
 ვინ იცნობს თავადს ბეი-ბულათსა?
 თქვენში ვინ მომგვრის მე ჩემსა ქალსა?“
 — „მეო!“ თქმა გმირმა შავთვალთანმა,
 ხელი დაიდო რა პრტყელ ხანჯალზედ;
 და განცვიფრებით გარშემო ხალხმა
 მსწრაფლ გაიწია და გადგა განზედ.
 — მე ვიცნობ თავადს, წასვლას ვბედავ მე!..
 შენ მომიცადე აქ ორი ლამე:
 თვის ცხენზედ ჰაჯის, ჰაჯის უშიშარს,
 ამოდ ფეხი ჯერ არ შეუდგამს.
 და თუ ვადაზედ ვერ დავბრუნდები,
 შენ დაივიწყებ ჩემსა აღთქმასა,
 და შენ შენს გზასა რა შეუდგები —
 სულს შემივედრებ ძლიერს მაჰმადსა“.
 იშვა ცისკარი დილისა ცაზედ,
 მის ლაჟვარდოსან ღრმა კამარაზედ
 ჯანლებიდანა მთები აღმოჩნდნენ;
 ცისა და ქვეყნის შუა გადმოწვნენ
 მათნი ურყევნი დიადნი თავნი,
 დაგვირგვინებულ ყინვით მბრწყინავნი.
 ხევშიც ღრუბელი მსწრაფლ აიშალა
 და როგორც აფრა ვარდისა ფერი—
 გაგანიერდა, ფრთა გაიშალა,
 და ეგრეთ მჩატე და მშვენიერი—
 აცურდა მალლა და ჩაიმალა.
 ჯერ ფშვენდა დილა... ხევის გაღალმა,
 ბედაურ ცხენით მოდის თავდაღმა
 მძიმე ნაბიჯით მხედარი მთისა.
 ჯერ უძლურია სიცხოვლე მზისა,
 ჯერ კიდევ იმის ზარმაც სხივებსა

არ შეუშვრიათ ქედისა ცვარი.
 კლდიდამ ორივე გზისა პირებსა.
 ხეთა შტოები წამოყრილ არი-
 და მათ ფოთოლთა დილისა ცვარი
 ჰკვირდა გზაზედ—და ცხენს და კაცსა
 ზედ შეაყრიდა ვერცხლისა ნამსა.
 სადავე ჰქონდა რა ცხენს მიყრილი;
 ჩერქეზი მათრახს ათამაშებდა,
 ზოგჯერ ფაფარზედ წინ გადახრილი,
 მამათ სიმღერას დაიძახებდა.
 და მის სიმღერას მთისა გადაღმა
 ხეობა დიდი ბანსა აძლევდა,
 და ნაღვლიანი შორილამა ხმა
 მწუხარედ იმ ხმას იმეორებდა.
 მოსახვევია და გზა გაჭრილი
 ჭრიჭინა ურმის განიერ თვლითა,
 იქ, სადაც ლამაზ კლდის თაგნი თლილი
 ერთად იკვრება გვირგვინივითა.
 მუნით—ვით თვისთა ფეხთ ქვეშ გაშლილსა—
 გამოარჩევდა სოფელსა მშვიდსა,
 მტერსა ცხვართაგან აყენებულსა
 და გაღვთების პირველ გუგუნსა.
 და დაქანებულ თავდაღმართზედა
 ბეი-ბულათის სახლს განარჩევდა...
 და არწივსავით იმის ბანზედა
 უძრავ თვალებსა დააშტერებდა.
 კარებში, ჩრდილში, დღონებულთ
 მოჩანდა ლეკის ყმაწვილი ქალი.
 მის თვალთა წინ გზა გავრძელებული-
 მიიკლაცნოდა, მაგრამ მის თვალი
 შორს გაჰყურებდა ნაღვლიანადა.
 ვის ელი ეგრე დარდინანდა,
 აღმოსავლეთის ცისკარო ნაზო,
 ვის ელი, მითხარ, ქალო ლამაზო,
 მაგ მინაზებულ საოცარ ზრუნვით,
 ემაგ დუმილით და ემაგ ურვით?

მეგობარს ხომ არ ელი შორიდაძე?
 ან საყვარელს ძმას წყვეულ ოსილაძე?
 ღლისა სიცხითა მისუსტებული,
 ნაზი თავი გაქვეს გამზადებული
 დასაცემად მალალ მკერდზედა,
 ხელი გისხლტება შენ მუხლებზედა...
 და სურვილისა ტკბილშა ძალაშია
 მხარი დაგისხნა ტყვეობიდან;
 მაგ მარგალიტის აღვსილნი ნაწით
 ნათელნი თვალნი დაგმძიმებდა,
 და სამხრეთისა სისხლისა აღით
 ლამაზნი ღაწვნი აგწითლებია;
 ტუჩნი გრძნეულნი, გასაოცარნი,
 სიყვარულისა კოცნას ჰლამიან,
 და მის ლოდნაში თითქმის დამდნარნი
 იმ გრძნეულ კოცნას ეტანებიან.
 აღტაცებული დიდ სურვილათა
 რადაცას ეძებს შენ მოსახვეჭნად
 და ხელი შენი უძლურ თრთოლათა
 სახურავს ებრძვის გადამსახდელად:
 „ჰოი, სადა ხარ, ძვირფასო ჩემო!...“
 და აჰა ცხენის ფეხის თქრიალი,
 და აგერ მტვერიც გზის ჟარეშეშო...
 „თავადიაო“, — ჩურჩულებს ქალი.
 ადვილად გვაძლევს იმედი ნუგეშს,
 თვალნიც ადვილად ბევრჯერ გვატყუებს.
 აგერ მხედარი სახლს მოახლოვდა...
 და ვაი! ქალი მხედარს ვერ სცნობდა,
 იგი პირველად ზედავს იმასა!
 ეგ ყარიბია, შორით მოსული,
 სტუმრის მოყვარულს დაეძებს სახლსა,—
 ჰბოლავს მის ცხენი აღქაფებული...
 ჩამოსახტომად კიდევ შიშად არი...
 და რად არ ხტება? რასხდვას მხედარო?
 თითქო სახლმაო ის შეაშინა...
 ის იყურება,—ამოიქშინა...

და ერთი მოკლე, მწუხარე კენესა
მოშორდა იმის შეკრულ ტუჩებსა,
როგორც მეხისა დაცემის დროსა
შორდება ხოლმე ფოთოლი შტისა.
— „რას იცდი, მგზავრო, ემაგ კარებზედ?
რალადა ჰზიხარ მაგ დაღლილ ცხენზედ?
მოულოდნელი მგზავრი სტუმარი,—
თვით იცი, — არის ღვთის საჩუქარი.
ჩამოხედ... ბოზაც, თაფლიც ბევრი მაქვს!
შენ ხარ საწყალი, მე ვარ მდიდარი;
პატივ ეც ბეი-ბულათისა სახლს,
სტუმრისთვის მუდამ ის ღია არი,
და შენს ლოცვაში, როს გაიმგზავრებ,
ჩვენს მოხსენებას ნუ დაიზარებ“.

ჰაჯი-აბრეკი

— ალერსით დამხვდი უცხო სტუმარსა,
ლეილავ, გიხსნას დიდმა ალლახმანს!
სამაგიეროდ საყვარელ ქალსა
მამის სალამი მოგიტანა მან.

ლეილა

— ვიშ, მამა-ჩემი!.. ნუთუ თვის ქალსა
ის არ ივიწყებს ამოდენ ხანსა?!
ნუთუ კიდევა ის მე მიგონებს?
მითხარი, იგი ეხლა სად სცხოვრებს?

ჰაჯი-აბრეკი

— სადაც სცხოვრობდა,—ხან სხვისა ქოხში,
ხან ხის ძირასა, ხან უდაბნოში.

ლეილა

— ბედნიერია, მხიარულია,
მითხარ მე, ეხლა იგი, თუ არა?...
თუ უჩემოდა დაჩაგრულია?
ოჰ, მიპასუხე, მითხარი ჩქარა...:

ჰაჯი-აბრეკი

— ის ცოცხალია, — თუმცა ხანდისხან
ვერცა წვიმისგან და ვერც ყინვისგან
ვერ დაუფარავს მას თვისი თავი.
შენ როგორღა ხარ?

ლეილა

— ისე მფრინავი
ჩიტიც არ არის სრულ ბედნიერი,
როგორაც მე ვარ.

ჰაჯი-აბრეკი (ჩუმაღ)

— მით უფრო ავი.

ლეილა

— რაო, რა სთქვი შენ?

ჰაჯი-აბრეკი

— მე? არაფერი.

ჰაჯი ჰზის, სუფრა მას წინ უშლია,
და არც ბოზასთვის, არც ბრინჯისთვისა
ჯერეთა ხელი მას არ უხლია.
საკვირველია მართლადაც ისა:
რა რისხვით, ჯავრით, უწყალოდ იძვრის
ნაოჭი მისის შეკრულის შუბლის.
მიზეზი—დროა, თუ წუხილია,
რომ ეგრეთ იგი გადახნულია?
ჰსურს რა სტუმრისა ურვის გადაყრა,
ლეილა ხელში დაირას იპყრობს;
აჰა მშვენიერ თითებით დაჰკრა
და აჰა ლეკურს იმღერს, ჰთამაშობს.

თვალნი ვარსკვლავებზე სხივთა ისვრიან,
 კოკრად ძუძუნი მკერდზედა ჰიბრთიან,
 ცხოველ ყმაწვილურ აღტაცებითა
 უმანკო სული გარემოცულა
 და გაუგებარ ლხენით, შვებითა
 გახარებულა, განათლებულა;
 იგი ტრიალებს სტუმრისა წინა,
 ვითა პეპელა მზის სხივთა შინა.
 მყის მოჟრიალეს დაირას თვისსა
 თეთრის ზელებით თავს იცილებდა,
 თავზედ ივლებდა,—და ეგრეთ ისა
 დიდ ხანს თვის ზემო აჟრიალებდა,
 და ანთებულსა შავ თვალსა მკვირცხლსა
 მშვიდად გარშემო მიმოაელებდა.
 უსიტყვოდ იმის ლამაზ ტუჩებსა
 ტურფა ღიმილით ჰსურთ ეთქვა ესა:
 „რად მოღრუბლულხარ? რაზედ შესწუხდი?
 შენს თვალში რაღაც მწუხარებაა!..
 ჩემო სტუმარო! გამხიარულდი, —
 ბედი და ურვა—სულ ოცნებაა!..“

ჰაჯი-აბრეკი

— ლეილავ! გეყო, კარგი, დადუმდი!
 ერთს წუთს მოიკალ მხიარულება!
 ნუთუ არასდროს სიკვდილი ფიქრად
 არა გწვევია შენს აღმაშფოთრად?
 გვედრებ, პასუხი ამის მითხარი,
 მხიარულება ერთს წუთს დასტოვე.

ლეილა

— არა, რად ჰინდა ცივი სამარი?
 მე ქვეყნად ჩემი სამოთხე ვპოვე.

ჰაჯი-აბრეკი

— ერთს კიდევ გკითხავ: არ გიდარდნია
მასზედ, სად ყმაწვილს გინავარდნია, —
შენს განშორებულ ტკბილ სამშობლოსთვის
და დაღისტნისა გადახსნილ ცისტვის?

ლეილა

— ნეტა რისთვისა? ამ ნისლებშიაც
მე არ მაკლია მხიარულება...
დამიჯერე, რომ ამ ცივ მთებშიაც
მოიპოვება ბედნიერება.
უფლისა ჩვენის უხვი ქვეყანა
მშვენიერია, მენდე, ყველგანა.
გულს კი არა აქვს არსად მამული!
ის ვერ იქნება დაძალებული,
და ძალადობის არც ეშინიან,
მის სურვილს ვერფრით ვერ დაუშლიან.
იგი ჩიტსავით სწრაფად დაფრთხება,
გამოვარდება და გაფრინდება
ისე, რომ მის კვალს ვერც ესწრობიან...
მენდე—იქ არის ბედნიერება,
სადაც ვუყვარვართ და გვენდობიან.

ჰაჯი-აბრეკი

— სიყვარულიო!.. მაგრამ შენ იცი
ამ ქვეყნად კიდევ მეორე რა არს
დიდ ნეტარება და დიდი ფიცი—
მისთვის, ვინც მისცა ტანჯვითა საფლავს
ყოველიფერი, რაც კი მას სწამდა,
რასაც ეტრფოდა და რაც უყვარდა?
ის ნეტარება და იგი ფიცი
სიყვარულზედა არს უფრო მტკიცი.
არც არას ეტრფის, არც ელის ისა,

და ითხოვს მარტო ცრემლსა და სისხლსა.
მასში კაცისთვის ნუგეში არის,
როს მოუკვდება სხვა ნეტარება;
მასშია ცოდვის, ცოდვის მწუხარის
სრული სიცოცხლე და სიტკბოება;
მასშია ჩემის სულისა ღმერთი,
მთელი სამოთხე და ჯოჯოხეთი.
ის მუდამ სცხოვრობს ჩვენს არსებაში,
ხან გვაძლევს ტანჯვას და ხან ღვენასა.
არა, ვფიცავ, ერთს სისხლ-ზღვევის წამში
მე არ ავიღებ მთელს ქვეყანასა!

ლეილა

— რაზედ გაყვითლდი? რამ გაგაფთორა?

ჰაჯი-აბრეკი

— მომისმინე მე და ყველა გითხრა.
დიდი ხანია, რაც მყვანდა მე ძმა
და ის,—მის წერა იყო უთუოდ, —
ტყვიით განხვრიტა ბეი-ბულათმა,
და ძმა მომიკვდა მე უსახელოდ,
განა თუ ომში? ვით მხეცი ტყისა!
არც კი უნახავს სახე თვის მტრისა.
როცა კვდებოდა, მაფიცა ძმობა,
მერეთ თვის სისხლი და თვისი მტრობა
მე მიანდერძა... მე მისი მკვლეელი
მალე ვიბოვე, ხანჯალი მჭრელი
მზად მქონდა გულში დასაცემადა
და მის სიცოცხლის დასაწთხევადა,
მაგრამ ვიფიქრე: „ზღვევა ეს არის?..
სიკვდილი რაა? ნუთუ ერთ წამის
მის ტანჯვად მიღირს ამოდენ ხნისა
ჩემი წუხილი, ტანჯვა, ვაება?
არა! უთუოდ ამ ქვეყნად ისა

რასმესა ეტრფის, რამ ეყვარება!
 ვპოვებ ტრფობისა საგანსა მისსა
 და იმას დანთქამს ჩემი კვეთება“.
 აჰა აღსრულდა. ეხლა დრო არი!
 გუშინვე დაჰკრა შენმა საათმა...
 უყურე, ჩადის მზეცა მღვიმარი!..
 დროა! მომესმა საფლავით ძმის ხმა...
 როს პირველად მე დღეს დავინახე
 ეგ შენი მშვიდი და ნაზი სახე,
 მწუხარებითა ბნელით და მწარით
 სული აღმენტო ჯოჯოხეთსავეთ.
 მაგრამ გაფრინდა აწ გრძნობა ისა,
 ის შებრალება გამიქრა სრულებ,
 და ჩემ აღთქმასა და ჩემსა ფიცსა,
 ვალაჲ! თამამად მე აღვასრულებ!“
 ვით ზამთრის თოვლი მთებშია მქრალი,
 მის წინ მუხლებზედ დაეცა ქალი;
 გოდებას, კენესას, ვედრებას და ცრემლს
 იმ უწყალოს წინ საბრალო აფრქვევს.
 — „ოჰ, საშიშარ ხარ მაგ ცივ თვალითა,
 ეგრეთ უწყალოდ ნუ იყურები!..
 იქით მიბრუნდი!.. ცივ გესლსავეთა
 მე ზედ გადმესხა შენი სიტყვები...
 ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუთუ დასცინი
 ჩემს ყმაწვილურსა და მშიშარს გულსა?
 მითხარი, თორემ შემერყა ტვინი...
 უცოდველისა ცრემლთ ნაკადულსა
 ნუთუ არა აქვს ფასი შენს თვალში?
 ოჰ, შემიბრალე!.. მრქვი, ვით სტირიან
 შენს სამშობლოში, შენს ქვეყანაში!
 მითხარ, იქ ცრემლსა რა-რიგად ჰღვრიან,
 რომ მათებრ მაინც დაგილბო გული
 და შებრალებით აგინთო სული?
 აღრეა, აღრე ჩემთვის სიკვდილი!..
 შემარჩინე მე სიცოცხლე ტკბილი,
 ნუ მართმევ სურვილს, ნუ მართმევ გრძნობას,

გვედრებ, ნუ მართმევ ყმაწვილ-ქალობას!
 რა არის, იცი, შენ, სიხარული?
 გყვარებია შენ ვინმე, თუ არა?
 ყოფილხარ როსმე შეყვარებული
 ისე, როგორც მე? უთუოდ არა!“
 პაჩი კი იდგა შუბლ-შეჰმუსხნული,
 სიკვდილისავით გაჩუმებული.
 — „შენს თვალში არა სჩანს შებრალება,
 ცრემლიც, უწყალოვ, არ იბადება!..
 ვიშ!.. ვიშ!.. უღმერთოვ! რისთვისა მკარგავ!..
 ჯერ ყმაწვილი ვარ და რისთვისა მკლავ!..
 ოჰ, მომითმინე!.. ერთ საათსაცა...
 ერთს წუთსა კიდევ... ერთს... ერთს წამსაცა!..
 მაგრამ წყეული ხმალი გამოჰკრთა
 და თავი სხეულს სწრაფად განშორდა;
 და გასისხლებულ უწყალო ხელით
 დასწვდა, მიწიდგან აიღო ისა,
 და მის მღელვარე შავ ნაწნავებით
 წმენდა დაუწყო თვის ხმლისა პირსა.
 მერეთ მოჰიდა ნაბადი შავი
 და, რა შეხვია უსულო თავი,
 გამოვარდა და მოახტა ცხენსა
 და გაემართა გზას საშურველსა.
 მორჩილი ცხენიც მისი ერთგული—
 უეცრად რითლაც შეშინებული—
 მის ქვეშ მიჰქუხდა, მიჰროდა, ჰბტოდა,
 მიხვიხვიებდა, შიშობდა, ფრთხოდა;
 წასართმევად რა იწევდა თავსა,
 მოუთმენლობით ჰღრღნიდა ლაგამსა, —
 აქაფებული, გაფიცებული
 მიჰროდა მთებში, როგორც შურდული.
 მგზავრო! გვიან არს, ცისკარიც ჰქრება,
 ახლოა ღამე ბურუსიანი;
 კავკასის წვერით გველივით სხლტება
 ღრუბლები ბნელი და ჟინჯლიანი.
 იგინი ჯგუფად შეგროვდებიან

და ბნელ ხრანცებში შავად ჩადიან,
და რა ბუჩქებსა შეეხებიან—
მარგალიტებსა ფოთლებზედ ჰყრიან.
წყარო ჰრბის მღვრიე ნაცრისა ფრადა,
ბალახილამ სცემს იგი ქაფადა,
ნისლიან ხევში მობრწყინავს ისა,
როგორც თვალეზი მოჭრილ თავისა.
ჩქარა, მხედარო! ჰა! ჩქარა წადი!
მხრებზედ მოიგდე შავი ნაბადი,
თასმის სადავე აიკრიფე ხელს,
თასმის მათრახი მოუქნივე ცხენს...
თუმც ჯერ არ მოგდევს არც ავი სული,
არც მხეცი ტყისა, არც ტყვია მტრული,
მაგრამ თუ ლოცვა შენ შეგეძლება,
ილოცე,—მეტი აწ არ იქნება.
— „ჰა! გასწი, ცხენო! მშიშრადა თვალსა
რაზედ უშტერებ შენ-წინა გზასა?
აგე, ის ქვაა წყლით გალესილი,
ის გველი ბრწყინავს წელდაგრეხილი.
ჰე, ამხანაგო! ბრძოლის ველზედა
ბევრჯერ მიწმინდავს შენს ფაფარზედა
ჩემ მკლავთა სისხლი... უბედურ წამში
არა ერთხელა შენ მე დამისხენ;
მაცადე, მივალო ჩვენს ქვეყანაში
და იქ, ერთგულო, შეგასვენებ შენ.
ემაგ შენს ლავამს იქ უფრო ბევრსა
შევასხამ რუსის ოქროს და ვერცხლსა,
და იქნები შენ მშობელ მთებზედა,
მინებებული შენს ნებაზედა.
როდის და როდის გამომეცვალე,
მრქევი, ამხანაგო ჩემო ძვირფასო?
რატომ აღქაფდი შენ ეგრე მალე?
მრქევი, რამ შეგცვალა და რამ დამავსო?
რაღა ჰქმენ ეგრეთ მძიმედ ჩემ-ქვეშა!
აგერ გამოჩნდა მთვარეც ნისლ-ქვეშა!
ნისლით გამოვა და მძინარ ხეებს

ვერცხლად შეასხამს გარს თავის სხივებს.
 მაშინ განვარჩევთ მთებში ველს მწოლელს,
 სადაცა ბნელში სძინავს ჩვენს სოფელს,
 და ჭემათის მწყემსთ ცეცხლისა ბრწყინვას—
 ღამის სიოზე შორითა მთრთოლარს —
 ტყეში და მთებზედ ჩვენ დავინახავთ,
 და გავიგონებთ, რა ახლო მივალთ,
 ჯოგის ყრუ ხრამუნს და ყრუ ზვიზვინსა;
 ცხენები შენს გარს მოგროვდებიან,
 მაგრამ რომ ფეხზედ წარმოვსდგე, მყისა
 ფრუტუნით უკუე შორს გახტებიან:
 შორით გვიგრძნობენ იგი ცხენები,
 რომ მე და შენ ვართ წერის შეილები!“
 ველებსა ღამე ჯერ კიდევ ჰფარავს,
 სოფელს ჭემათსა მშვიდადა სთვლემავს.
 იქ მოხუცია მარტო მღვიძარი—
 მარტო, ვით ძეგლი მუნჯ საფლავისა,
 უძრავად ქვაზედ ის იყო მჯდარი
 გამტვრიანებულ გრძელ გზისა პირსა;
 ღრმა მწუხარებით აღვსებულ თვალსა
 ის არ აშორებს შორს გაწვდილს გზასა.
 „ვინ არს ის მგზავრი? ის სიფრთხილითა
 ძირსა ჩამოდის დაგრეხილ მთითა;
 გრძელფაფრიანსა მის ამხანაგსა
 წინ წაუწვდია დაღლილი თავი;
 ნაბდის ქვეშ რაღაც უჭირავს მგზავრსა,
 მას უფრთხილდება, როგორც თვის თავსა“. —
 და ჰფიქრობს იგი მამა ბედშავი:
 „უთუოდ ძღვენი არის ჩემთანა
 ჩემ ღამაზე ტურფა ლეილასგანა“. —
 აჰა, მხედარი კიდევ მოვიდა,
 მან შეაყენა მთის ძირში ცხენი;
 მთრთოლარე ხელით ნაბადსა შლიდა
 და, რა გაშალა, მის სისხლის ძღვენი
 ბალახებზედა მძიმედ დაგორდა...
 ოჰ! ღმერთო! მაშინ მამა რას ჰგრძნობდა,

ოდეს ზედავდა—ვაი საწყალსა!—
 თავის საყვარელ ლეილას თავსა?
 და ის უუზუნურ აღტაცებაში
 მაგრად ტუჩებზედ მიიკრავს მკვდარს თავს,
 თითქო გარდასცემს მას იმა წამში
 თვის უკანასკნელ ბოლონდელ ტანჯვას...
 ერთსა კვნესაში, ერთსა კოცნაში—
 მთელი სიცოცხლე, გრძნობა და ძალა
 იმ უბედურმა სრულად შთაცალა.
 ეყო, რაც კაცთა და ვაებათა
 დასჩაგრეს, ჯიჯგნეს იმ საწყლის გული!..
 გაწყდა მის გული აწ უეცრად,
 ვით ძაფი დიდ ხნის გახრწნილებული.
 მის უძრავ სახეს, მის უძრავ პირსა
 გადედო ფერი სიკვდილის დღისა.
 ისე სწრაფად მან სული განდევნა,
 რომ მის ბოლონდელ წამისა აზრმა
 ვეღარ მოასწრო სულთან გაფრენა
 და შეირჩინა ზედ სახემ მკვდარმა.
 უყუთრებს დინჯად ჰაჭი მკვდარს ლეკსა,
 მას მის ამბავი არ გაუჟკვირდა;
 დახედა ხმალსა, შეხედა ცხენსა,
 და ისევ სწრაფად მთებში წავიდა.

გავიდა წელი. ყრუ ვიწროებში
 ორი გახრწნილი კაცისა ლეში
 გამველელთა მგზავრთა გზაზედ ენახათ
 და მთის წვერზედა ღრმად დაემარხათ.
 იმათ შუბლზედა ნათლად, ვით ელვა,
 ზედ აღებეჭდნა მტრობასა წყევლა.
 ორივე სისხლში მოსვრილნი იყვნენ,
 მაგრად ჩაკრულნი მიწაზედ იწვნენ—
 გაშეშებულნი, გაყინულები,
 მეგობრად სჩანდნენ,—იყვნენ კი მტრები!
 იქნება ეს არს მხოლოდ ოცნება...
 მაგრამ ესე კი ეჩვენათ მგზავრებს,

რომ ზოჯერ მათი სახე იცვლება
და ემუქრიან ტუჩნი ურთიერთს.
მდიდარი იყო საცმელი მათი,
მათს თოფ-იარაღს ბევრი არ სჯობდა,
ერთში კი იცნეს ბეი-ბულათი
და მეორეს კი ვერავინ სცნობდა.

16 მარტი, 1859 წ.
პეტერბურგი.

მ წ ი რ ი

(ნაწყვეტი)

I

არა-მრავალთა წელიწადს წინა,
იქ, სად ერთვიან და გააქვს გრგვისა
ორთა მდინარეთ, არაგვსა და მტკვარს,
რომელნიც დურად ჩართულ ხელი-ხელ
მიაქანებენ ქვე თვის მღვრიე წყალს, —
იქ მონასტერი ყოფილა ერთხელ.
დღესაცა მგზავრი მთებიდამ ხედავს
ბოძებს, დაქცეულს ალაყაფის კარს,
დღესაც ჩანს ბურჯი, თალი საყდრისა,
მაგრამ მის ქვეშე საცეცხლურისა
სურნელი ბოლი აღარა ბოლავს,
და განთიადის საღვთო გალობას
მოლოცვთა ბერთა ვერ ისმენს მგზავრი.
ეხლა მარტოკა იქ ცოცხალ-მკვდარი
ნანგრევთა მცველი მოხუცებული,
კაცით, სიკვდილით დავიწყებული —
მტკვრისა აშორებს საფლავისა ქვეს,
რომელთ ნაწერნი მოგვითხრობს, გვამცნებს, —
ვითარ ჰქონიათ ადრე დიდება,

ვით წართმევიათ ბედნიერება,
როს ქართველთ მეფე ამა დ' ამ წელსა
რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა.

—

მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა —
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

II

ერთხელ ვიღაცა რუსთ ღენერალი
ტფილისს ვიდოდა მთით მომავალი.
ტყვედ ყრმა მოჰყვანდა ექვსისა წლისა,
ავად გახდოდა; ყრმას შეჰვირვება
ვერ გადეტანა შორისა გზისა;
ლერწმივით სუსტით ტანით იხრება,
ის ფრთხის, შიშობს ვით ქურციკი მთისა,
მაგრამ მტანჯველმა სენმა იმ ყრმასა
ვერ აუჩვილა მომთმენი გული
და მხოლოდ გახსნა მასში იმ ჟამსა
მის მამა-პაპის ძლიერი სული.
უწყალო სენით იქანცებოდა,
უჩივრად ტანჯვით სენსა ებრძოდა,
მარამ არც სულთქმა, არც მცირე კვნესა
არ წასცდენია მის ნორჩ ბაგესა...
სასმელ-საჭმელი ეზიზღებოდა
და ამაყად და მშვიდად კვდებოდა.
სიბრაღულითა ერთ კეთილ ბერმა
თვის სენაკშია მიიღო ის ყრმა,
რა შეეფარა მფარველ კედლებსა,
ბერთ მზრუნველობით გადურჩა სენსა.
მარამ პირველად ყმაწვილურ ლხენას
როგორცა უცხო გაეჩვენოდა,

ერიდებოდა საბრალო ყველას
 და მარტო ხოლმე დაეთრევოდა, —
 სულ მარტო, უხმოდ, დაღონებული...
 ოხვრით შესჭვრეტდა აღმოსავლეთსა,
 თვის სამშობლოზედ ურვით მოკლულნი —
 ცაზედ ეძებდა მშობლიურ მთებსა.
 მერეთ ემონა ტყვეობას ისა,
 იწყო გაგება უცხოს ენისა;
 მონათლა იგი ბერმა კიდეცა,
 და როცა უნდა, ჯერ ქვეყნის უცნობს,
 სამონაზონო აღთქმა მიეცა, —
 გაექცა იგი თვის საპყრობილოს
 ერთ შემოდგომის წყყდიად ლამეში
 და დაიკარგა დაბურულ ტყეში.
 ამაოდ ჩანელეს სამ ღღის ძებნათა,
 ვერ მიხედნენ იმა ყმაწვილის კვალთა,
 მერეთ კი იგი გულშემოყრილი,
 გაფითრებული და ფერმიხდილი, —
 უგრძნოდ მდებარე ველზედა ჰპოვეს
 და მონასტერში კვლავ მოიტანეს.
 საშინლად იყო გაყვითლებული,
 ისე გამხდარი, მისუსტებული,
 თითქო შიმშილი, ან სნეულება,
 ან დიდი ხნისა, რამ შეჭირვება —
 გამოუცდია, მოუთმენია
 და საბრალოსა ზედ დასჩნევია.
 კითხვაზედ პასუხს არვის ეტყოდა,
 დღე-და-დღე უფრო ცხადად სჭკნებოდა.
 მოუახლოვდა მას აღსასრული...
 მაშინა ბერი მოხუცებული
 მოვიდა მასთან დარიგებითა,
 ლოცვებითა და მუდარებითა.
 ამაყად ტყვემა ის მოისმინა,
 თვის სუსტი ღონე შემოიკრიფნა,
 წამოიწია, ტანჯვით წამოჯდა,
 და დიდ ხანს იგი ამას ამბობდა:

„ჩემს აღსარების მოსაღმენლად,
 გმადლობ, მოსულხარ, წმინდა მამაო!
 რაც უნდა იყოს, თუმც ჩანს ძნელად,
 მაინც კარგია, არის საამო —
 კაცის წინაშე მწარე სიტყვებით
 შესუბუქება მოკლულ გულისა,
 მოთხოვნა ტანჯვის, ხვედრისა ხელით
 იმ გულის სიღრმეს ჩამარხულისა.
 მხოლოდ კაცთათვის კი ბოროტება
 მე არ მიქნია, მისთვისც ცხოვრება
 ჩემი ფუჰია თქვენ გასაგონად,
 ახსნა კი სულის არა მაქვს ღონად!
 სიცოცხლე მქონდა, თვით იცი, მცირე,
 ისიც ტყვეობას წყეულს შევწირე;
 მისთანას ორსა ერთს სიცოცხლეზედ,
 მგრგვინავ ბრძოლითა მხოლოდ სავსეზედ, —
 გავსცვლიდი, თუ რომ მე შემძლებოდა...
 ერთს განზრახვასა ეს გული სცნობდა,
 ერთს გულთქმას, მარამ ცეცხლებრ ანთებულს,
 იგი ვით ჭია ჩემში სცხოვრობდა,
 იგი მიღრღნიდა და სდაგავდა სულს!
 იგი ჩემს ფიქრებს განუძახებდა
 ამ ბნელ სენაკით და ლოცვებისგან —
 იმ გასაოცარ, მეგრძოლ, შფოთიან
 ქვეყნისაკენა, სადაც ღრუბლისგან
 კლდენი შავადა ჩაცმულ არიან.
 სადაცა კაცნი თავისა ხმლითა
 თავისუფლობენ არწივსავითა.
 ღამეში ბნელში, მდუღარე ცრემლით,
 ტანჯვით, წუხილით, კვნესით, ვაებით,
 მე ის გულისთქმა გამიზარდნია,
 მასზედ მიოხრავს და მიდარდნია.
 და ეხლა ქვეყნის და ზეცის წინა.
 ამ უკანასკნელ ჩემ წამსა შინა,

მას ვაღიარებ ხმამაღლებით;
თუნდ იყოს ცოდვა თქვენისა მცნებით —
მის მოტყეებას არ გვევდრებით.

IV

„მოხუცო, ბევრჯერ მომისმენია,
რომ სიკვდილისგან მოგიჩინია
შენ ჩემი თავი; მითხარ, რისთვისა?
ამ დაჩაგრულის სიცოცხლისთვისა?
როგორც ნაწყვეტი მეხით ფოთოლი,
დაღონებული, მარტო, ობოლი,
ამ ბნელ კედლებში გამზარდა ბედმა
ბედითა ბერი და სულით კი ყრმა.
მე აქ კაცისთვის არ შემეძლო თქმა
ღვთიურ სიტყვების „მამა და დედა“...
გული მეწოდა ობლობაზედა.
მე მჯერა, ბერო, რომ ისურვებდი,
რომ მე ამ უტყბეს, მშვენიერ სიტყვებს
ამ უდაბნოში გარდავჩვევოდი;
ამაოდ! გული ვერ დაივიწყებს
მას, რომლის ხმანიც მასთან ჩენილან
და აქამომდე შიგ ალბეჭდილან.
ვხედავდი—სხვებსა ჰყავთ მეგობარნი,
აქვს ტკბილ სამშობლო, სახლი და კარნი,
ნათესავნი ჰყავთ;—თავსა ვვაებდი,
ჩემთვისა იმათ ველარ ვპოვებდი,
არამც თუ ცოცხალთ—იმათ სამარეს...
მაშინ რა ფუჭსა აღარ ვღვრიდი ცრემლს...
გულში წარმოვსთქვი ჩუმად ფიცი მე,
რომ ერთს წუთს მაინც, ერთს წუთს როდისმე
ეს მკერდი ჩემი—მთლად ანთებული
ტანჯვით, წუხილით, მივაპყრა სხვა მკერდს,
თუნდ სძგერდეს მასში უცნობი გული,
ეკუთვნიდეს კი ჩემ მშობლიურ თემს.

ვაი! ოცნება იგი შემკული—
ეხლა აღმესპო მშვენებით სრული,
და ვით ვიცოცხლე უცხო ქვეყნადა—
ისეც მოგკვდები ობლად, მონადა.

[1859 წ.]

სიზმარი

შუადღის მზისა სიცხის ქვეშე დაღისტნის ველად,
ტყვიითა გულში ვეგდე უმწედ სიკვდილის მსხვერპლად.
ღრმა წყლული ჩემი ორთქლად რადმე აბოლდებოდა
და წვეთ-წვეთადა მუნით სისხლი მეწურებოდა.

ვეგდე ველისა ქვიშაზედა მარტო და ობლად...
დიდროვან კლდეთა გროვა ჰჩანდა აქეთ-იქითა;
მზე სწავდა იმათ წვეტიან თავთ, მჩინართა ყვითლად,
მეც მწავდა,—მაგრამ მე მეძინა მკვდრისა ძილითა.

და მესიზმრა მე მხიარულად გაჩაღებული
ღამის მეჯლიში ჩემს საშობლო ტკბილსა მხარესა,
ჰქონდათ ჩემზედა მხიარული, გალაღებული
იქ ლაპარაკი და ბაასი ყმაწვილ ქალებსა.

ხოლო მათ შორის ერთი იჯდა ჩაფიქრებული
და იმ მხიარულ ლაპარაკში არ ერეოდა,
მწუხარე სიზმარს წაეღო მის ყმაწვილი სული,
და ღმერთმა იცის, იგი სიზმარს რად ეძლეოდა.

და ესიზმრა მას ქვიშიანი დაღისტნის ველი,
ნაცნობი გვამი იმა ველზედ ეგდო უძრავად,
და იმის გულში მათრთქლავი სჩნდა წყლული ბნელი,
და სისხლი სჩქეფდა გაცივებულ, უწყვეტ ნაკადად.

4 აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი.

წინასწარმეტყველი

მას აქეთ, რაც მან ვინც მეფობს ცაში,
მომცა მე სიბრძნე წინასწარმეტყველის,
გკითხულობ ზოლმე კაცისა თვალში
წერილსა ცოდვის და ბოროტების.

აღმართე სიტყვა საქადაგებლად
სიმაართლისა და სიყვარულისა
ყოველ ჩემ მოძმემ შეუბრალებლად
შმაგად დამიწყო მე სროლა ქვისა.

თავს წავიყარე ნაცარი, ფერფლი,
ქალაქით გლახა გავეარდი შორსა,
და, აჰა, ვცხოვრობ, როგორც ფრინველი,
უფლის საზრდოთი მე უდაბნოსა.

იქ ღვთისა აღთქმას რა ასრულებენ,
მმონებენ არსნი მე მიწიერნი,
თვით ვარსკვლავნიც კი მე მმორჩილებენ,
სხივით მზიარულ მოთამაშენი.

და როს გავივლი ხმოვან ქალაქთა
და ვეშურები ჩემ გზას სიფრთხილით,
მოხუცნი ზოლმე ეტყვიან ყრმათა
თავის-მომწონე ცბიერ ღიმილით:

„უყურეთ! აი მაგალითი თქვენ!
ეგ ამაყია, ჩვენთან ვერ სცხოვრობს;
სულებს უნდოდა დავერწმუნეთ ჩვენ,
რომ მის ბაგითა ღმერთი მეტყველობს!“.

„უყურეთ, შვილნო, ემაგ ბედშავსა,
რა პირქუშია, მოუსვენარი,
უყურეთ, რა-რიგ შიშველი არი,
რა-რიგადა სძულთ იგი ყველასა!..“

4 აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი.

ციცაბი კლდე

ღამე ათია ნისლმა სუბუქმა
ასოვან ციცაბ კლდისა გულზედა;
დილაზედ გაჰკრა მან მხიარულმა
მიმოთამაშით ცის ლაქვარდზედა;

მაგრამ მის კვალი სველი ბეჭდადა
დარჩა მოხუცის კლდისა ნახეთქში.
იგი მარტო დგას: ჩაფიქრდა ღრმადა
და ნელა სტირის სივერანეში.

4 აგვისტო, 1860 წ.
პავლოვსკი.

* * *

ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა,
 ღამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერი
 ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაქვარდ-წყალთანა,
 რინაღდოს, ტანკრედს, ერმინიას ჰმღერს ბედნიერი.

თვისი სიმღერა იმას უყვარს, უფასოდ ჰმღერის,
 ზრუნვას და შიშსა გაწკიცხვისას იგი არა სცნობს,
 არცა დიდებას, არც სახელსა იგი არ ელის
 და დამღუპველთა ზვირთთა-ზედა მღერით გზას იტკბობს.

მეც მისებრ ვმღერი უანგაროდ, შეუშინებლად,
 და ხმანი, ჩემგან მოგონილნი, ზვედრს მიტკბილებენ
 ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად
 მშფოთვარე ზვირთთა-ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ...

1861 წ.

იზლანდიისადმი

არ დაგივიწყებ, არა, არა!.. ვიდრე ჰფეთქს გული,
 ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული!
 ვიდრე სიცოცხლის ჩემის ძაფი სრულ არ გაწყდება,
 შენი, სამშობლოვ, უბედურო, ხსოვნა მექნება.
 ჰოი, ტანჯულო! მაგ მწუხარის სახით შენითა,
 უიმედობის წყლულით გულში, თვალში ცრემლითა,
 შენ უტყუესი ხარ ჩემთვის ყოველ იმა ქვეყნებზე,
 თავისუფლების რომელთ ათბობს მშვენიერი მზე.
 შენ რომ, ვიშ, ტურფავ, იქმნე ისე ძლიერ, მორჭმული,
 თავისუფალი, ბედნიერი და დიდებული,
 როგორც ოცნებით ღლე და ღამე მე მენატრები,—
 რა-რიგ ამაყის სიხარულით თავს მოგვევლები!
 თუმცა დიდების სვითა შენით მე დავსტკებოდი,
 მაგრამ მაშინაც მეტად მე ვერ მეყვარებოდი.
 ვით მიყვარხარ ღლეს, სევდიანი, მკმუნვარ-მწუხარე,
 გულდაკოდილი, მოღრუბლული და მგლოვიარე.
 დე, დაგითრგუნოს მტერმა შენმა თავისუფლება,
 დე, დაგდვას კისრად მძიმე ხუნდი, მძიმე კირთება!
 ხოლო რაც უფრო მწუხარედა ჩვენ-წინ იქნები,
 მით უფრო მეტის გულის-წვითა შენ გვეყვარები.
 ვით არ აღვენთვით სიყვარულით შენდამი ჩვენა,
 როს—ვითა თვის შვილთ ფელიქვანი — გვაწოვებ შენა
 შენსა უბიწო წმინდა სისხლსა, რომელიც არი
 მწვავის ტკივილით შენის წყლულით გადმომდინარი.

5 თებერვალი, 1872 წ



სცემდნო
პიბსა



გლეხთა განთავისუფლების პირველ-ღროების სცენები

I

(ოთახი მიროვოის პოსრედნიკისა: სტოლი დგას, ზის მიროვოის პოსრედნიკი, რამდენიმე გლეხაკი დგას, ორი მებატონე სკამებზედ სხედან).

პოსრედნიკი. აბა, გლახა ჭრიაშვილო! რადგანაც შენ ყველაზედ წინ მოხვედი, შენ უნდა სთქვა, რა საქმე გაქვს ჩემთან.

გლახა ჭრიაშვილი. მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიღამ მეცოდნება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდეც ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი — აი, დამლახვრა ღმერთმა, — სულ არ მავიწყდება, რომ ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, კიდონ ბატონი წამცდება ხვალმე, ნუ შემირისხამთ, შენი ჭირიმე.

პოსრედნიკი. მაგისათვის შენ არავინ არ შეგერისხავს.

გლახა ჭრიაშვილი. ნუ შემატდენ, შენი ჭირიმე, ჩვენ გლეხკაცი ვართ, ყველაფერს მალე დავიჭერებთ ხვალმე. როგორ არავინ შემრისხავს, რომ ბძანებაა — ოც-და-ხუთი მანეთი წაერთოს და ორმოც-და-ათი როზგი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო.

პოსრედნიკი. ეგ ვინ გითხრა შენ?

გლახა ჭრიაშვილი. განა გლეხკაცი რომა ვართ, ზაკონის კანონი ჩვენ კი არ ვიცით, შენი ჭირიმე?

პოსრედნიკი. დღეის ამას იქით, იცოდეთ: ვინც მაგისტანა სულელურს ხმებს ჰყრის ხალხშია, თუ ჩავიგდებ, ძალიან დავასკევიანებ. შენც გირჩევ, მეორედ მაგისტანა სულელობა არავისთან აღარ გაბედო. ეგ სულ ტყუილია და ამასთანაც სამარცხვინოა, რომ თქვენისთანა ჰკვიანი კაცები მაგისტანა სულელურს სიტყვებს იჯერებენ. მერე? თქვი, რა გინდა.

გლახა ჭრიაშვილი. მენა? შენი მშვიდობა და დღეგრძელობა, შენი ჭირიმე.

პოსრედნიკი. მაგის გარდა?

გლახა ჭრიაშვილი. ღმთისა და ხელმწიფის წყალობა.

პოსრედნიკი. შენ, ჩემო საყვარელო, თუ მარტო მაგისტავის მოსულხარ, მაღლობელი ვარ, შეგიძლიან შინაც წახვიდე, ჰხედავ, ხალხი მელის, მაგათი საჩივარიც უნდა მოვისმინო.

გლახა ჭრიაშვილი. არა, შენი ჭირიმე, მენაც მოსახსენებელი მაქვს. აგრემც ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, პატარა მომისმინე. ამათთვის დიდი ბედენა არ არის, რომ ცოტა კიდონ მოიცადონ. მოგახსენო, შენი ჭირიმე?

პოსრედნიკი. გეუბნები, სთქვი-მეთქი და შენ კი ხევისბერისავით ლოცვა-კურთხევას გეუბნები, თითქო დასამწყალობელად მოსულხარო. აბა, რა გინდა, სთქვი.

გლახა ჭრიაშვილი. მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გლეხიან ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდი ხნის კაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მხსომეხდყო. ეს კი ვიცი, რომ

სისხლის წვიმების დრო ყოფილა. (პოსრედნიკი, თითქო მო-
ბეზრდო, მხრებს იწევს) არა, ნუ გაძიწყრები, შენი ჭირიმე,
ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი,
როგორც ზაკონის კანონია.

პოსრედნიკი. ვინ გიშლის? ოღონდ ამასა გთხოვ. ძა-
ლიან ნუ გააგრძელებ, მოკლედ მითხარი.

გლახა ჭრიაშვილი. ოო, გადღეგრძელა ღმერთმა! მაშ
ისევ თავიდან დავიწყებ და ბოლომდინ გავალ, თუ მიბ-
ძანებ.

პოსრედნიკი. თუნდა თავიდან დავიწყე, თუნდა ბოლო-
დან, ოღონდ კი მალე შემატყობინე, ჩემთან რა საქმე
გაქვს.

გლახა ჭრიაშვილი. აი, შენ ღმერთს კი ვენაცვალე!
მაშ თავიდან მოგახსენებ.

პოსრედნიკი. ბძანე.

გლახა ჭრიაშვილი. ისე დალაგებით მოგახსენებ. შენი
ჭირიმე, სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხ-
სენება, სოფელი არავის მოუჭამია. მოსამართლე ხელ-
მწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ
გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიძვრა, ბოლომდინ
მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდან დალაგე-
ბით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყო-
ბილი თავიდანვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსაგით
გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა
ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ,
ჩემს დღეში სამართლის კარი არც-კი დამინახავს, რა ფე-
რია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იც-
ის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის
ღმთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მარ-
თალს მოგახსენებ. აი, ამიტომაც მინდა თავიდან დავიწყო.
ისე სჯობია, თავიდანვე დალაგებით მოგახსენო: პაპა-
ჩემი აზნაური გხლებიათ—ეს დიდხნის ამბავი გახლავს—
ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის
წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთის-რისხვა
არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება?
დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-უღვაშში

ჭაღარა გამომრევია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედავთ, რომ გავეთთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჰირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოგვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა აგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო, (ჩაფიქრდება) რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბძანდებოდრი, აი, პატარა საყდარი არ გაზღავთ, აი, ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი, იქავ, ჩვენებიანთ წინა — ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებული. აბა, მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასული. ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგიკედეს, მალე მაგას გამოიცინობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასული, მაგრამ მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს—ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის სამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მოგახსენე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი. მენა ეხლა ასე, რომ მოგახსენებთ საყდარი-მეთქი, საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის. ასე, რომა... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მაინც-და-მაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის, ასე რომა...

ე რ თ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე თ ა გ ა ნ ი. (თითქო მოთმინებულად გამოვლაო) ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კაი დალაგება გცოდნია. გ ლ ა ხ ა ჰ რ ი ა შ ვ ი ლ ი. (დაცინებას ვერ მიხვედრილი) რა ვქნა, შენი ჰირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასაო.

ი გ ი ვ ე მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდების.

მ ე ო რ ე მ ე ბ ა ტ ო ნ ე. დაეხსენ, სიტყვას ნუ აწყვეტინებ, თორემ, მე რომ მაგისი ამბავი ვიცი, ეგ ისევ თავილამ მოგიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება.

ე რ თ ი გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ ი. რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქ-

რის ქსელსავით გააბი და აღარ ათავებ.

გლახა ჭრიაშვილი. (გლეს) კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. შენა, შვილო, რა გიჭირს? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მე კი არა მკითხავ, რა ნაღველი მაწევს.

პოსრედნიკი. კითხვით კი გკითხავთ და რომ არ იქნა, ვერ შეგვატყობინე!

გლახა ჭრიაშვილი. ლამაზად კი დავიწყე და რომ არ მათავებინებენ! ჰო, იმს მოგახსენებდი: ის საყდარი სულ არ იქნება ხუთის წლით ჩემზედ წინ აშენებული, დიდი ხნისა რად ვიქნები? მაგრამ მაგარი ესაა, რომ მაინც-ღამაინც ჩემ წილს წყალს კიღონაც ჩაუვლია. მენა ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი რომ ვთქვა — ერთი ხუთიოდ წელიწადი იქნება კიღონ ვიცოცხლო, ეხლა ხუთი არ იყოს, შვიდი იყოს, შვიდი არ იყოს, ათი იყოს, სიტყვაა. ჯაფამ ძალიან გამტეხა, აი, შენი ჭირიმე. თოვლივით კი გამათეთრა და—ღმერთმა ასე თქვენც გაგათეთროთ.

პოსრედნიკი. მაღლობელი ვარ დალოცვისათვის. სხვა?

გლახა ჭრიაშვილი. სხვა ისა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გსლებიათ, დიდიხნის ამბავს მოგახსენებ — ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ, თორ...

პოსრედნიკი. მე შენ, როგორც გატყობ, დღეს შენის საქმის გათავებას არ აპირებ. მოდი, ერთ რასმე გირჩევ: პატარა ხანს იქით მიდევ; მე ჯერ ამათ გამოღკითხავ თავიანთ საქმეს და მერე მომიყევ შენი ამბავი. შენთვისაც კარგია, უფრო კარგად მოიფიქრებ.

გლახა ჭრიაშვილი. უჰ, დღეგრძელობა მოგცეს ღმერთმა, ეგ ძლიერ კარგად ბძანე. დიად, კარგი გახლდებათ. გულისყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ. ეხლა ხომ მოგეხსენება, გლეხკაცი ვარ. მართალია, ჩვენს სოფელში სიტყვა-პასუხიანს კაცს მეძახიან, მაგრამ მაგარი ესაა, რომ მაინც კიდე თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება,—ერთი ბეჩავი გლეხი ვარ. ასე რომ, ჩვენობაში სიტყვა-პასუხს კარგად გამოვიყენებ, თქვენთან კი მოფიქრება სჯობია. ეგ კაი სიტყვა ბძანე; ჩემთვის ლამაზად გულისყურს მოვიკრებ, ეხლა,

გლებკაცი ვარ, ბევრი რამ მაგიწყდება, ასე რომ ნახევრის ნახევარიც ვერ მოგახსენე. რომ მოვიფიქრებ და მოვისაზრებ კი, ყველაფერს ზღაპარსავით მოგახსენებ, ასე რომა თქვენ...

პოსრედნიკი. კარგი, კარგი. (მეორე გლესს) აბა, ესლა შენი რიგია. რას იტყვი? (ამ დროს შემოვა მოხუცებული აზნაურიშვილის ქვრივი).

ქვრივი. (სხაპა-სხუპით) თქვენმა მზემ, ეს მეორედ მოსვლის ნიშნებია, ღმერთო, დაგვიფარე (იწერს პირჯვარს). რა ამბავი მოხდა, თქვენი ჭირიმე! სისხლით ნაშოვნი ყმები, მეფე ერეკლეს თორმეტის ბეჭდით დამტკიცებული ოქმები თავზედ დაგვახიეს კი და! (გლესებს). გიხარიათ განა, თქვე უბედურის-შვილებო! ჰი!.. (ქოქოლას აყრის) მეხი კი დაუყარე თქვენ ტილიან თავებს!.. როგორ კისერმოღერებულები დგანან გუშინდელი მატლები!.. უუ, უწინამც ღლე გაგქრობიათ!..

პოსრედნიკი. მე გთხოვთ მაგათ თავი დაანებოთ და თქვენს გაუფრთხილებელ სიტყვებსა ცოტაოდენი პატივი დასდეთ, აქ მოედანი არ არის. თუ რამ საჩივარი გაქვთ, მერე მიბძანეთ. ჯერ ამათ უნდა მოვუსმინო, რადგანაც ესენი თქვენზედ წინ არიან მოსულნი.

ქვრივი. (ისევ სხაპა-სხუპით) სულაც არა, თქვენმა მზემ! ვინ მოგახსენათ? მაგათ ჩემზედ წინ უნდა ილაპარაკონ, მაგათ? მაშ მე კეთილშობილის ქვრივი აღარა ვყოფილვარ, მაშ მე...

პოსრედნიკი. დამშვიდდით. წესისა და რიგის აღსრულებით თქვენ თქვენი კეთილშობილება არ ჩამოგერთმევით. სამართალი ამას ითხოვს, რომ ვინც წინ მოვა, ყველაზედ უწინარეს საქმე იმას უნდა გაუთავდეს.

ქვრივი. სულაც არა, თქვენმა მზემ! აზნაურიშვილს, წინ მოვა, თუ მერე მოვა, გლესთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდევ აზნაურთანაც. ჩვენც ვიცით კანონები, აქაო და თორმეტი შკოლა არ გამოგვივლია, ასე გგონია, არა ვიცოდეთ-რა. მეფე ვახტანგის კანონი ჩვენს წაგვიკითხავს. თუ ეს კანონებიც შეუცვლიათ, გამოგვიცხადეთ მაინცა. (გლესებს) აი, თქვე გველის წიწილებო,

გიხარიანთ განა!..

პოსრედნიკი. უმორჩილესად გთხოვთ მაგათ თავი დაანებოთ და იმ ადგილს, საცა ბძანდებით, პატივი დასდვათ და სიტყვა ფრთხილად იხმაროთ.

ქერიკი. (გულამოძღარად) აბა, ეხლა აგვიშენდა ჩვენ, კეთილშობილებს, ოჯახები, აი! თქვენც, ჩვენი მიწა-წყლის შვილს, კეთილშობილის სისხლსა და ხორცს, ამათი მხარე გჰქერიათ. აბა, თქვენგან რაღას უნდა მოველოდეთ? (გლუხებს) დახე, დახე ამ ცოდვიშვილებს რა ღიმილი მოსდით! (მიუბრუნდება მეზატონეებს) რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ, ხმას ვერ ამოიღებთ? ცა თავზედ გვექცევა. (პოსრედნიკს) აბა, მე რაღა მეტქმის!.. რაღა სამართალი უნდა მომეცეს თქვენგან, თქვენც ამათი მხარე გჰქერიათ. კეთილშობილის ქერიკს მეუბნებით, სიტყვა ფრთხილად იხმარე გლუხეკაცთანაო. ისღა დაგვრჩენია: გულზედ ხელები დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, სხვარა გზა გვაქვს! თქვენი ჰირიმე, ეს რა მესმის: გლუხთან ენა მოიკენიტეო!.. მაშ ჩვენ რაღა გყოფილვართ! (გლუხებს) გიხარიანთ განა! დაიცადეთ, შხამად ამოგივათ ეგ სიხარული. (პოსრედნიკს) ამ დალოცვილმა ხელმწიფემ, ვსთქვათ, ყმები ჩამოგვართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოუტრთმევია, რას გვემართლებით?

პოსრედნიკი. მესამედა გთხოვთ, ღონისძიება მამცეთ ამ გლუხებს საჩივარი მოვუსმინო. დაბძანდით, თქვენი რიგიც მოვა.

ქერიკი. რაო? მე განა მაგათი ამხანაგი ვარ, რომ მაგათ რიგში ჩავდგე, მაგ კახურ ღორებშია. უწინამც დღე გამქრობია!..

პოსრედნიკი. (მოთმინებით გამოსული) მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ თქვენის ურიგო ლაპარაკით იძულებულ გამხდით გთხოვოთ აქედამ გაბძანდეთ.

ქერიკი. (პატარად ფიქრ-მიცემული) რაღა, თქვენი ჰირიმე, რისთვის? კახური ღორები რომ ვსთქვი, სხვა ხომ არაფერი! მაშ განა ტყუილია? ბატონო, ეგენი არ არიან, რომ ოცდახუთ-ხუთ მანეთად დააფასეს! კახური ღორი, თქვენმა მშემ, ზოგჯერ მეტადაც იყიდება. მაგ სულელებს ფიქ-

რადაც არა მოუვიდათ, რომ ერთი ოც-და-ხუთ ხუთიოდ მანეთი თითონ ზედ დაეყარათ, რომ კაცი კაცის ფასად გასულიყო. აი, გლეხები მაგისტანა უსინდისონი არიან, აი, რომ თავის-თავის ფასიც არ იციან. თქვენ კი მიბძანეთ, გლეხთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო! აბა, როგორ ვიხმარო, მაგის ღირსნი არიან განა ეგენი?.. მშვიდობით ბძანდებოდეთ, ღმერთმა თქვენ მშვიდობა მოგცეთ და ჩვენ კი ჩვენს სისხლს არ დავკარგავთ. მშვიდობით, მე თქვენთან ღმერთმა დამიფაროს, რომ კიდევ მოვიდე. თქვენ გლეხების მხარე გჭერიათ, მშვიდობით!..

პოსრედნიკი. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ქვრივი. მაშ მითხოვთ რაღა? კეთილშობილის საჩივარის მოსმენა არ გინდათ?

პოსრედნიკი. მე არ გითხოვთ, თუ თქვენს რიგს მოუცდით და რიგიანად ილაპარაკებთ.

ქვრივი. მაგას თავის-დღეში ჩემს თავს არ ვაკადრებ. ღმერთმა დამიფაროს, თქვენთან ვიჩივლო როდისმე. აზნაურსა და კეთილშობილს თქვენთან სამართალი არა ჰქონია. (ქვრივი გავა და მეორე ოთახში შეხვდება სხვა მებატონეს. ამათი ლაპარაკის ხმა ისმის პოსრედნიკის ოთახში).

მებატონე. ჩემო რძალო, სად მიბძანდები?

ქვრივი. ჯანაბას, ჩემო მაზლო, ჯანაბას! ეხლა დაგვიღვა ჩვენ თვალი, რომ მაგისტანა მოსამართლე დაგვინიშნეს!

მებატონე. როგორ?

ქვრივი. ასე რომ შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო; გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო, არ უნდა უჩივლო გლეხსაო. თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახშულიაო; რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო; მე თქვენს საჩივარს ყურსაც არ ვათხოვებო; ბატონ-ყმობა გადავარდაო და თქვენ ვილა ყრიხართო, სწორედ ამ სიტყვით, ვილა ყრიხართო!

მებატონე. (შეკრთომით) არა, თუ ღმერთი გწამს?

ქვრივი. თქვენზედ მიწა არ მენახოს.

მებატონე. არა, ისე სთქვა, თქვენ ვინა ყრიხართო?

ქერიცი. სწორედ მაგ ლექსით. მერე კიდევ რაო? (ჩაფიქრდება და იგონებს) ასეო, ისეო, თქვენ ვინა ყრიხართო. მერე ვისთან მითხრა? ოთახი საესეა იმ ძაღლის გავარდნილებითა.

მებატონე. არა მჯერა.

ქერიცი. შედი და დაიჯერებ. მე კი ღმერთმა დამიფაროს, მაგასთან ვიჩივლო, ვილაცა გდებულა ეგ თქვენი მირუა, თუ ვილაცა.

მებატონე. (შედის პოსრედნიკის ოთახში; ქერიცი ჯუჯრუტანიდან იუჟრება ყურება-ცქვეტილი). პოსლადნიკს ვახლავარ, მე გახლავარ...

პოსრედნიკი. კარგად გიცნობთ. დაბძანდით, თქვენი ჭირი. (სკამს მიუდგამს. მებატონე ჯდება).

მებატონე. (თავის-თავად ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს!) ეს კაი თვალითა ვნახე. (ამ დროს გაიღება კარები და შემოვარდება ისევ ის ქერიცი).

ქერიცი. თუმცა თქვენ არ გინდათ ჩემი საჩივარი მოისმინოთ, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი, ჩემს საჩივარს ვიტყვი. თუ სამართალს არ მამცემთ, დაილოცა ხელმწიფე, თქვენზედ დიდი მოსამართლეებიცა ჰყავს; მართო თქვენს ანაბარად არა ვართ გაშვებული.

პოსრედნიკი. აი, სკამი ინებეთ. ჯერ ამ გლეხს უნდა გამოვკითხო თავისი საჩივარი. (გლეხს) აბა, რასა სჩივი შენ?

მეორე გლეხი. მენა იმასა ვჩივი, შენი ჭირი, რომ ბატონმა ვენახი ჩამომართო, მამა-პაპის აშენებული.

პოსრედნიკი. რამდენი ხანია მას აქეთ?

მეორე გლეხი. იქნება ერთი ათი-თორმეტი წელიწადი. მე მაშინ ღამისმეხრეობა შემძლებია, როცა ეგ მომხდარა.

ქერიცი. (აწყვეტინებს გლეხს სიტყვას) მე მაგას ვერ მოვითმენ, რომ მაგან ჩემზედ აღრე საჩივარი მოგახსენოს. მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი მიდგა. მე ჩემს საჩივარს მოგახსენებ: ჩემმა გლეხმა...

პოსრედნიკი. (წყრომით) ბატონო, გთხოვთ ღონისძიება მომცეთ ჯერ ამას მოვუსმინო. (გლეხს) რაო, რა სთქვი, როდის ჩამოგართო ვენახი?

მეორე გლეხი. ერთი ათი-თორმეტი წელიწადი იქნება,
შენი ჭირიმე!

ქერივი. ჩემმა კაცმა...

ახალ მოსულ მებატონე. ჩემო რძალო! დააცალე,
რას გეგხირები ხოლმე ლაპარაკში.

ქერივი. ვის დავაცალო, ვისა?.. ამ ტყლაპსა?.. ოჰ, დიდი რამ
მომხდარა, თუ მებატონეს მაგისათვის ვენახი წაურთმე-
ვია. კარგია, რომ ეგ თითონ ძალღზედ არ გაუცვლია. ვერ
უყურებთ, რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი, გვცოდ-
ნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძალის ლეკვებზედ გავცე-
ლიდით. დააცალე! უკაცრაო. მე ის არ გახლავარ, მი-
თხრან: დაჯექ, დავჯდე; მითხრან: ადეგ, ავდეგ. კეთილშო-
ბილის ცოლს მეძახიან, მე ჩემის თავის პატივი ყველგან
ვიცი. (პოსრდნიკს) არა, თქვენგანაც მიკვირს, მაგისთანა
ზღაპრებს ყურს როგორ ათხოვებთ? ვენახი ჰქონია და
ბატონს წაურთმევია. დიდი რამ მომხდარა, თქვენმა
მზემ! როგორ გაუბელნია მებატონეს!.. (გლუხს) მეხი კი
დავყარე თქვენს თავს!.. კიდევ რომ... სჩივიან. ვერ უყუ-
რებთ, ბატონზედ სჩივიან. აი, სად არის ის დრო, რომ
ეხლა შენი ბატონი მაგისათვის არ გაგაწვენივნებს და ფე-
ხებიდან თავამდე ტყავს არ აგაძრობს. კიდევ რომ სჩი-
ვის? უი, უწინამც დღე გაგქრობიათ! (პოსრდნიკს) განა
მაგათ საჩივარიც შეუძლიანთ მებატონეებზედ? მაგრამ
რა! თქვენ მაგათი მხარე გჭერიათ და ყველაფრის ნებას
მისცემთ, ვინ არის პატრონი!

პოსრდნიკი. (მოთმინებულად გაშოსული) მე იმოდენა მოთმი-
ნება ვიქონიე, რომ თქვენს უსაქმო ლაპარაკს აქამდინ
ყური ვუგდე. რადგანაც ეხლა ვხედავ, რომ მაგ უთავო-
ლო ლაპარაკს ბოლო არა აქვს, გთხოვთ ან თავი დაგვა-
ნებოთ და შინ წაბძანდეთ, ან დაბძანდეთ და ხმა აღარ
ამოიღოთ, მინამ თქვენი რიგი არ მოვა.

ქერივი. (სხაპა-სხუპით) ჩემმა გლეხმა ამ ორის კვირის წინად
ქალი გაათხოვა, მღვდელმა უჩემოდ ჯვარიც დასწერა და
საჩექმეს არ მაძლევს. მე გთხოვთ საჩექმეც წამირთოთ,
როგორც რიგია და კანონია, და მღვდელიც გააყრეჭა-
ნოთ. (გლუხებს) ოლოლო თქვენ!.. დავასწარით თუ არა!

პი! ეხლა თუნდ სალამოდინ ვიჯდები. მე ჩემი კი შევას-
რულე და!.. ხმასაც არ ამოვიღებ, ო, თქვენმა მზემ, ეხლა
ხმასაც არ ამოვიღებ. (ჯდება სკამზე და გამარჯვებულივით
აქეთ-იქით იყურება).

პოსრედნიკი. (გლეს) შენ, ჩემო ძმაო, ის ვენახი ველარ და-
გიბრუნდება, რადგანაც შენ თითონ ამბობ, ათი-თორმე-
ტის წლის წინად ჩამომართოვო.

მეორე გლეხი. დიად, წინად იყო ეგ ამბავი, — კაცმა
მართალი უნდა სთქვას!

ქვრივი. (თავის მაზლს მებატონეს) გაიგე, ჩემო მაზლო, ჩემო
ძმაო! აი, მეხი კი დავაყარე მაგის კეთილშობილებას,
ჩვენ სახლიდამაც გვაგდებს და მაგ ტილიან გლესს კი
„ძმაოს“ ეტუნება.

მეორე გლეხი. მაშ მენა აღარა მეშველება-რა, შენი ჰი-
რიმე!

პოსრედნიკი. თუ კანონზედ მივარდა საქმე, ვერაფერი,
მაგრამ მე შენ მებატონესთან მოვილაპარაკებ, იქნება შე-
გაბრალო და თითონ თავის ნებით დაგიბრუნოს.

მეორე გლეხი. მადლობელი, შენი ჰირიმე, შენი. (გავა).

ქვრივი. (თავის მაზლს ჩუმად) ვისი კაცია? (მაზლი ჩუმად ეუბ-
ნება, ვისიც არის) კიდევ იმიტომ!.. ის დიდკაცია, მაგის
ბატონი, და იმიტომაც მაგ ტურტლიანს ვერა უშველა-რა.
მეც არ გამიკვირდა, გლესი როგორ გაამტყუნა-მეთქი, —
თურმე ნუ იტყვი, იმისი ჰშინებია.

პოსრედნიკი. (პირველს მებატონეს) აი, თქვენი გლესიც ჩემს
დაბარებაზედ გაიხლათ, რას უჩივით?

პირველი მებატონე. ვხედავ. მაგაზედ ჩემი ხუთი
თუმანი ყალანია და აი, რამდენჯერ მითქვამს და არ მაძ-
ლევს.

პოსრედნიკი. (ამ მებატონის გლესს) მართალია, რასაც შენი
მებატონე გიჩივის?

გლეხი. ჰაი, ჰაი, მართალია. (მებატონეს) მაგრამ, ბატონო, მა-
გისათვის რად შეიწყუხეთ თავი. აკი მოგახსენეთ, კავკავს
ურმეები გავისტუმრე და, რა წამსაც ჩამომივლენ, მაშინ-
ვე მოგართმევ-მეთქი.

პოსრედნიკი. მაშ, შენ თანახმა ხარ მიართვა ეგ ფული?

გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი! მაშ არა? მაგისათვის ჩემს სულს როგორ დავუმძიმებ. რაც თავი შემისწავლია, შენი ჭირიმე, ვინახავ მაგათა, მაგათის მადლით ღმერთი მეც ბლომად მაძლევს. მე ჩემს მეზატონეს როგორ ვუღალატებ, ღმერთი მაგათ მაგიერ მიხდის. (მეზატონეს) ბატონო, შენი ჭირიმე, რაკი ეგრეა და ძალიან გიჭირს, დღესვე ავიღებ ვალადა და თქვენ კი არ შეგაწუხებთ. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნებოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა. მაგისთვის როგორ გაჩივლებდი? ვაი შენ, ჩემო თავო!.. საჩივრად საქმეს როგორ გაგინდოდი!

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენის მოვალეობის აღსრულებისათვის; წადი, უშოვნად ჩააბარე.

გ ლ ე ხ ი. ჰაი, ჰაი, ჩავაბარებ დღესვე; (მეზატონეს) წამოძახებდი, ბატონო? (მეზატონე აღგება და გაჰყვება გლეხს).

ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (თავის-თავად, ხალხს მალა) ვინა სთქვა, — გლეხმა ჩვენზედ გული აიყარა, მიუტარავს, ვინც ამას იტყვის დღეის შემდეგ. კაი კაც ყოველთვის კარგი იქნება.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დიად, პატიოსანი გლეხი ყოფილა. (მოხუც ბულს მეზატონეს) ეხლა თქვენი საქმე უნდა გავარჩიოთ. ეს თქვენი ნაყმევი იაკო შაიაშვილი იძიებს თქვენგან ერადაც მიწას საკუთრებად; აი, ნასყიდობის ქაღალდი აქვს (მიაწოდებს ქაღალდს).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. (ღიმილით) მე, შენი ჭირიმე, უწინდელი კაცი ვარ, კითხვა არ ვიცი. (გლეხს) იაკო, ეგრეა მიწა?

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. აი, შენი ჭირიმე, ღელის მიწას რომ ეძახიან, ჩვენებიანთ მიწის გვერდზედ, აღმა-დაღმა მიწა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. ის განა ნასყიდია? როდინდელი?

ი ა კ ო შ ა ი ა შ ვ ი ლ ი. პაპი-თქვენისაგან უყიდნია პაპა-ჩემსა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე. პირველად მესძის. მაჰ პაპი-ჩემის ხელი უნდა ეწეროს მაგ ქაღალდზედ. ცხონებულმა წერა კარგად იცოდა. ბიჭო და, თუ ნასყიდი იყო.

ღალას რაღად გაძლევდი?

იაკო შაიაშვილი. ბატონი იყავ და გაძლევდი, მე რა წინააღმდეგობა შემეძლო. მენა და შენა იმისთანა ბატონ-ყმობა არა გექონია, რომ ამელო თავი და სხვასავით მეჩივლა. ღალას რად გაძლევდი? იმიტომ გაძლევდი, რომ შენზედ მენა ჩემი ღღენი არა დამკარგვია-რა. ჩვენი ბატონ-ყმობა ბატონ-ყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი. ჩვენთვის ბატონ-ყმობა არ გადავარდნილა, ისევ-ისე შენ ერთგულ იაკოდ მიგულე.

მოხუცებული მებატონე. მაშ თუ აგრეა, ჩემო იაკო, ეგ ქაღალდი ჯერ ჩემთვის უნდა გეჩვენებინა. მე და შენში სხვა კაცი რა საჭირო იყო? ისეც მოვშველდებოდი. ეგეც რომ არ იყოს, ერთი-ორიოდ ღღის შავ მიწას როგორ დავიშურებდი შენთვის: შენი ღღენი ჩემს ერთგულებაში დაგილამებია.

იაკო შაიაშვილი. ნუ მიწყენ, შენი კვნესამე. რა ვიცო! საშვილიშვილო საქმეა. მენა და შენ რომ ცას შევებერებულეყავით, მაშინ არა მენაღვლებოდა-რა, შენთან არა გამიჭირდებოდა-რა. ვინ იცის, ჩვენ რომ აღარ ვიქნებოთ, რა მოხდეს? ქაღალდს დამტკიცება უნდა. იქნება ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე! საშვილიშვილო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქაღალდი შენის ჭირის სანაცვლოდ გახადოს. ორი ღღის მიწისთვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დაეარღვევინებ!

ქვრივი. (თავის-თავად ბუბუბუბებს) ოო, შე ჭრელო გველო, ფარისეველო! რა-რიგად უძერება გულში!.. უი, ნეტავი ერთი შენი ბატონი მე ვიყო!..

მოხუცებული მებატონე. მართალი ხარ, იაკო, საშვილიშვილო საქმეა. (ცოტა აღელვებით) მე აღარა მეთქმის-რა. (პოსრედნიკს) აბა, ერთი წაიკითხეთ, რა სწერია. აი, ბატონო პოსრედნიკო, პურ-მარილობა ბატონ-ყმობაშიაც ყოფილა თურმე! (პოსრედნიკი ჰკითხულობს ქაღალდს).

პოსრედნიკი. (ბოლოს) „ხელს ვაწერ უთრუთი ...შვილი“,

მოხუცებული მებატონე. უთრუთი პაპა-ჩემი გახლდათ. (გლეს) მაშ რაკი აგრეა, თუნდ შენი ერთგულობა და პურ-მარილიც არ მახსოვდეს, მაინც-და-მაინც პაპი ჩემის ნაფურთხსაც არ ვულალატებდი. მე, მართალია, ერთი ღარიბი აზნაურიშვილი ვარ, ერთი-ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისთვის დიდი რამ არი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, პაპი-ჩემის სახელს მე მჩვრად არ გავხდი, მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გამოგიყენოს!

ქვრივი. (წაიბუტბუტებს) მიუცია!.. მუხრან-ბატონი მობძანდა და უწყალობა!.. დიად, სწორედ დაგიმადლებს კი!..

მოხუცებული მებატონე. (თითქო ეწყინაო) ყველას, ჩემო დაო, თავისი თავი აბარია. მე მუხრან-ბატონი არა ვარ, მე ერთი ღარიბი აზნაურთაგანი ვარ, რომელსაც ერთი ლუკმა ღარიბული პური აქვს და ჰცდილობს, რომ ის ლუკმა შეერგოს. დამიმადლებს, თუ არა,—ეგ თითონ იცის. მე კი, როგორც მივლია, საფლავის კარებამდინ ისევ-ისე ვივლი. (გლეს) იაკო! მე და შენ, მგონი, ერთმანეთზედ გულს არ ავიყრით!

იაკო შაიაშვილი. უწინ ჩემზედ მიწა გენახოს, შენი ჭირი მენა ვარ, ჩემი ღბინი შენა ხარ, გულს როგორ ავიყრი!

მოხუცებული მებატონე. (ლმობიერად) დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი: გაუყრელს ვერავინ ვერ გაჰყრის! (პოსრედნიკს) აბა, შენი ჭირივე, ერთი ქალალდი და გვიწერეთ, ხელი მოეუწერო, თორემ (სარტყელს ორივე ხელით იბღერტს და ღიმილით) ლამის უჭმელობით გავწყდე.

პოსრედნიკი. ეხლავე, ჩემო ბატონო! (პოსრედნიკი სწერს მორიგების ქალალდს და დაწერის შემდეგ ხმამაღლა ჰკითხულობს).

მოხუცებული მებატონე. ძალიან კარგი. (ქვრივის მაზლს) მე წერა არ ვიცი, აი ჩემი ხელი, ჩემ მაგიერ ხელი მოაწერე. (მებატონე ხელს აწერს) ეხლა ხომ შეგვიძლიან შინ წავიდეთ?

პოსრედნიკი. შეგიძლიან წაბძანდეთ. მადლობას მოგახსენებთ მშვიდობიანად მორიგებისათვის. გასაგონადაც

სასიამოვნოა მაგისტანა სიტკობებითი მეზობლობა, როგორც თქვენა გქონიათ.

მ. ხ. უცებ ული ძე ბატონე. მაგას ნუ ბძანებთ, სასარგებლოა, სასარგებლო, თორემ ჩემს სიტყვას მოიგონებთ. (გლეს, მხიარულად) წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლალი ყმა, მტერო, არ შეგეპოვები“-თქო და სხვამ რაც უნდა სიტყვას. მშვიდობით! (გლესიცა და მოხუცებული მებატონეც გადიან).

პ. ს. რედნიკი. (მესამე გლესს) შენ ამათი (უჩვენებს ქერივის მაზღუდ) ნაყმევი არა ხარ?

მესამე გლესი. ჰაი, ჰაი, რომ მაგათი ვარ.

ქერივი. (თითქო თავის-თავს ელაპარაკებაო მწუხარებით) უი, ამ დღის მნახველს! ნაყმევიო და არა ყმაო!.. ღმერთო! რას შეგვასწარ!..

პ. ს. რედნიკი. ეს თქვენი ნაყმევი მოგახსენებთ, რომ ამ წლის თებერვალში სამის დღის მიწა ჩამოგიერთმევიათ.

ქერივის მაზლი. მართალია. ჩემია და ჩამოვართვი ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ბძანებითა.

პ. ს. რედნიკი. სწორედ ვერ შეგიტყვიათ: გამოცხადების დღის აქეთ მებატონეს მთავრობამ ნება არ მისცა, რომ გლესს ჩამოართოს რამე; ვიდრე დებულების ოქმი დაიწერება, იმ დრომდე გლესს ის უნდა ეჭიროს, რაცა სჭერია.

ქერივის მაზლი. ოქმი დიდი ხანია, თქვენმა მზემ, დაწერილი მაქვს და ყუთშიაც მიდევს. მეფე ერეკლეს ოქმია. რომ გაშალოთ, ამ ოთახს თავილამ ბოლომდინ გასწვდება, თორმეტი მეფეთ-მეფის ბეჭედი აზის, ხონთქარსაც ხელი უწერია. აი, თორემ ჩემმა რძალმა კარგად იცის.

ქერივი. როგორ არ ვიცი! იმითი გვიდგა სული, თორემ ჩვენ რა ვიქნებოდით, ის რო არა გვეკონდეს, ხომ სულ ყველაფერს ჩამოგვაცილიდით და ამ დასამიწებს მისცემდით.

პ. ს. რედნიკი. მე მაგ ოქმს არ მოგახსენებთ.

ქერივის მაზლი. სხვა ოქმი კი, სწორედ მოგახსენო, ჩვენ არა გვაქვს. არა, ჩემო რძალო, მგონია, არა გვაქვს?

პოსრედნიკი. რასაკვირველია ის ოქმი, რომელსაც მე მოგახსენებთ, თქვენ არ გექნებათ. ეხლა უნდა დაიწეროს. იმას დებულების ოქმს ეძახიან, რომელშიაც გამოცხადებული უნდა იყოს, თქვენგან რა ერგება გლესს და გლეხისაგან რა გარდასახადი გერგებათ თქვენ.

ქვრივის მამლა. თქვენც არ მამიკვდეთ, ჩემგან გლესს არა ერგოს-რა, და თუ იმისგან მარჯუნებთ რასმე, ეგ თქვენ იცით. ქალაქის დაწერით რომ არ შეგაწუხოთ, განა უქალაქოდ კი არ დაგჯერდებით. ერგოს რამე.. რა უნდა ერგოს ჩემს ყმასა ჩემგანა? რა ჩემი ძმა არის? შენც არ მამიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო. აბა რა? მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდევო და ახალი დაწერეთ. ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ ინება, ყმა გაანთავისუფლა, მიწათ, ბძანა, ბატონისა არისო. მე ჩემი ჩამაბარეთ, მაგას თავისი თავისუფლება მიეცით. აღარც ოქმი და აღარც დავიდარაბა. მშვიდობით და გამარჯვებით! არა, ჩემო რძალო?

ქვრივი. დიად, თქვენმა მზემ! თუ მართალი ვნებავთ, მართალიც ეგ არის.

პოსრედნიკი. მცირე-მამულიანი მებატონე ხომ არა ბძანდებით? სულ რამდენი დღის მიწა გექნებათ?

ქვრივის მამლა. (ასე გგონია, ეწყინაო) მცირე-მამულიანი რად ვიქნები? (ტრაბახობით) მე, სულ ცოტა რომ ვსთქვა, ერთი ოთხას-ხუთასიოდ დღისა მეტი მაინც მექნება.

ქვრივი. (პოსრედნიკს) წიგნში ჩაწერეთ, შენი ჭირიმე, ჩემის ობლების ნუგეშო, რომ ნახევარი ჩემის ობლებისა არის.

ქვრივის მამლა. ეხლა, ჩემო რძალო, რა არი, მაშინვე ბირში მივარდები წოლმე კაცსა. (ჩუმად) ვატყუებ.

ქვრივი. (ჩუმად) მეტყოდი, შე, დალოცვილო, ხმა ამოვიღებდი? (ხმა-მალა) დიად, მარტო მაგის წილად. ზუთასისა რომ არ იყოს, არც კი ბევრით ნაკლები იქნება. მაგრამ მაინც-და-მაინც კი ერთი მაგოდენა ჩემს ობლებს უნდა ერგოს. წიგნში ჩაწერე, შენი ჭირიმე, რომ მთავრობამ იცოდეს.

პოსრედნიკი. მე იმისთვისა გკითხვით, რომ თუ ვინიცო ბაა სამოცს დღეზედ მეტი არ გექნებოდათ, მაშინ ნება

გქონდათ ამ ორის წლის შემდეგ თქვენის ნაყმევებისათვის ჩამოგერთოთ შიწები სრულიად, და ეხლა კი ჩამორთმევა მაინც-და-მაინც არ შეიძლება.

ქერივის შაზლი. (წყრომით) რა არის, ჩემო რძალო, პირში მომვარდები ხოლმე და ადამიანს სიტყვას არ მოაფიქრებინებ. აბა, სადა გვაქვს ოთხას-ხუთასი დღისა, რომ მოჰყვები ხოლმე.

ქერივი. მერე ვინ ამბობს, რომ გვაქვსო? არც ხუთასისა იქნება და არც ოც-და-ათისა, ორივეს წილს მოგახსენებ. ხუ... თა... სი... კი არა! ნეტავი იყოს და, დაე ამ დასამიწუბსაც პრგებოდათ.

პოსრედნიკი. მავას მერეც გამოვიძიებთ. ეხლა კი თქვენის სამის დღის მიწა თქვენს ნაყმევს ისევ უნდა დაუბრუნოთ.

ქერივის შაზლი. რატომ? მიწა ხომ ჩემია. ასე არ ინება ყოვლად შოწყალე ხელმწიფემ?

პოსრედნიკი. დიახს, თქვენია.

ქერივის შაზლი. თუ ჩემია, მევე მაშეცით; მინდა, რომ ჩემი იყოს. მე მინდა ჩემი მიწა მევე მოვიხმარო. ხათაბალა, შენია და შენი კი ნუ იქნებაო, გაგონილა!

პოსრედნიკი. თქვენია, მაგრამ მთავრობამ გლეხის ნაჭერი მიწები ისევ გლეხებს მისცა სახმარებლად, რომ თავის ცოლ-შვილი გამოკვებოს, ხელმწიფისა და მებატონის ხარჯს გაუძღვეს და თქვენ კი, იმის ნიშნად, რომ მიწები თქვენია, დაწესებული გარდასახადი უნდა მოგართოს.

ქერივის შაზლი. არ მესმის. ერთი ეს მიბძანე: მიწა ვი-სია?

პოსრედნიკი. მოგახსენებთ, მებატონისა-მეთქი.

ქერივის შაზლი. თუ მებატონისაა, გლეხს რაღად აძლევთ? მაშ სახელი ჩემი ყოფილა და სახრავი კი იმისი. პო, ეხლა კი მიეხვდი, რაღას მაწვალე, შე დალოცვილო, აგრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო.

პოსრედნიკი. (მოთმინებითა და გამოსულსავით) ერთის სიტყვით, ის სამის დღის მიწა, რომელიც თქვენ, თქვენისავე სიტყვით, ამ თებერვალში ჩამოგიერთმევიათ, გლეხს უნდა დაუბრუნოთ.

ქვირის მაზლი. მაშის მიწა სწორედ უნდა დაუბრუნდეს?

პოსრედნიკი. ყოვლის უარის უთქმელადა. და თუ ჩამოსართმევია, თითონ კანონი ჩამოართმევს თავის დროზედ.

ქვირი. (თავის მაზლს) აკი გითხარ, დაბალი ღობე გნახამეთქი. რატომ იმ გლეხკაცს არ დაუბრუნა ვენახი, თუ აგრეა?

ქვირის მაზლი. მე მგონია, კანონი დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს. წელან იმ გლეხს უბძანე: რაკი ბატონს ვენახი ჩამოუერთმევია, არა გეშველება რაო, — და ეხლა მე მიბძანებ: რაკი ჩამოგირთმევია, უნდა დაუბრუნოვო. ეს სადაური სამართალია?

პოსრედნიკი. იქ სხვა გარემოება იყო და აქ სხვა არის.

ქვირის მაზლი. სულაც არა. იქაც ჩამოართმევია და აქაც. იქ უფრო ძნელიც არის, რომ კაცს გაშენებული ვენახი ჩამოართოს კაცმა და ჩემს კაცს კი, ჩემს საკუთარს ცარიელს სახნავ მიწაზედ, რა ოფლი დახარჯვია, არა, ჩემო რძალო?

ქვირი. დიად, თქვენმა მზემ, თუ მართალი გინდათ, მართალიც ეგ არის.

პოსრედნიკი. ეგ ხომ აგრეა, მაგრამ ის კი დაგავიწყდათ, რომ იქ უწინვე ყოფილა ჩამოართმეული, აქ კი გამოცხადების შემდეგ.

ქვირის მაზლი. (თითქო გაუხარდაო) დიად, კარგი და პატიოსანი! ეგ კარგად ბძანე. მანდ დავდგეთ. მე ჯვარზე და სახარებაზედ დავიფიცავ, რომ როცა მე ის მიწა ჩამოვართვი, გამოცხადებული არ იყო ბატონ-ყმობის გადავარდნა. ჩვენკენ მაგის ჩამი-ჩუმიც არა ყოფილა.

პოსრედნიკი. გამოცხადება იყო 1864 წ. გიორგობის რვასა.

ქვირის მაზლი. აი, ქალაქში რომ გამოაცხადეს?

პოსრედნიკი. დიად.

ქვირის მაზლი. მეც მაგას მოგახსენებ, რომ მაშინ მე იქ არა ვყოფილვარ. ის ერთი შვილი მყავს — უკაცრაოდ, რომ თქვენთან ვიფიცავ — ის ერთად-ერთი შვილი

არ მამიკვდება, მაშინ მე იქ არა გზღებხვარ. აი, თუნდა, კარგია მოწამეც აქა მყავს, ჩემს რძალს ჰკითხეთ. არა, ჩემო რძალო?

ქვრივი. დიად, სწორე ბძანებაა. განა არა, მე კიდევ ვუთხარი: ჩემო მაზლო, წავიდეთ-მეთქი, წავიდეთ-მეთქი, ჩემო მაზლო! ჩვენც ყმები გყავს, ერთი შევიტყოთ, რა ამბავია-მეთქი. ესლა ხომ მოგენსენებათ ჩვენი ქართველების ამბავი: დაზარდა, არ წამოვიდა. ბოლოს კი, დახე, დედაკაცის ჰქვას რომ არ აჰყვა, რა კარგად გამოვიდა! რაკი რომ გამოუტახდებდნენ, მიწას გლეხს ხომ ველარ წაართმევდა!

ქვრივის მაზლი. (თავმოწონედ) მე კი არ ვიცოდი! კაცს შორმხედველობა უნდა ჰქონდეს!.. განა არა, ზედ გადამაკვდა ჩემი რძალი და მაინც არ წავედი.

ბოსრედნიკი. შესაძლოა, რომ იქ არ ჰყოფილიყავით. მერე მაგით რაო?

ქვრივის მაზლი. ისა, რომ მე არ გამოცხადებია, მგონი ცხადია.

ბოსრედნიკი. თქვენ გამოცხადებით, თუ არ გამოცხადებით, ეგ კანონისათვის სულ ერთია. მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ გიორგობის რვას 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეხს ჩამოართოს რამე.

ქვრივის მაზლი. ეჰ, თქვე დალოცვილო, კანონი თქვენს ხელშია, და როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ.

ქვრივი. ოღონდაც, ოღონდაც!..

ბოსრედნიკი. მე განაჩენს დაეწერ და, თუ უკანონობას რასმეს ხედავთ, ზედ დააწერეთ, რომ კმაყოფილი არა ხართ და მერე იჩივლეთ.

ქვრივი. ბევრს რასმე ვხედავთ, მაგრამ გამგონი ვინ არის?

ქვრივის მაზლი. ეჰ, შე დალოცვილო, სად ვიჩივლო? ასე გგონია შვიდი შკოლა გამეთავებინოს, ჩემს გვარს ძლივ დაეწერ ხოლმე. აძლევთ, მიეცით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. (ქვრივს) შენ კი მიყავ ეს საქმე, ბებრუხანავ! მაშინვე კი მიმოწმა— ხუთასი ღლისაო. სადა გვაქვს ხუთასი ღლისა? აბა სადა გვაქვს?

ქვრივი. რაო, ბებრუხანაო! უი შენ თვალეხს!.. აი, კარგია,

რომ მოწამე მყვანდა. (პოსრედნიკს) ჯერ ამან არა სთქვა, თქვენი ჭირიმე, ხუთასი დღისაო? (პოსრედნიკს სიცილი მოს-
დის). არა, ნუ კი იცინით, სწორედ ბძანეთ: ამან არა
სთქვა? ამ ნიშნით, მე სიტყვა მოვუტერო კიდეც: ნახე-
ვარი ჩემის ობლებისა-მეთქი. მერე, როცა მაგანა სთქვა—
სადა გვაქვს მაგდენიო, აკი მეცა ვთქვი—სადა გვაქვს-
მეთქი. ესე არ იყო?

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. ესე იყო, თუ არ იყო, მე ვიცი შენი!..
(გაჯავრებული გადის).

ქ ვ რ ი ვ ი. (წამოხტება და კარებიდან მისძახის) შენ იცი, მე ვიცი
ყურებზედ ხახვს დამაჭარი, ბაიყუშის ბაიყუშო! (შეშო-
ბუნდება და პოსრედნიკს) საშინელი ცრუ რამ არის ეგ წყე-
ულშეჩვენებული. არ გამომცხადებიაო! სტყუის, თქვენ-
მა მზემ, გამოსცხადებია კიდეც და ყველაფერი. მაგისა-
გან გლახკაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვი-
ყო, ცხეში ჩავასმევინებდი, ერთი ბუნტი კაცია, ავის
პირის პატრონი. არ გამომცხადებიაო!.. თქვენც ლამაზად
მიუხვდით. მგონი, მე რომ განიშნეთ, ტყუის-მეთქი, მა-
შინ მიუხვდით. ვის ატყუებს? თქვენ გატყუებთ? აი, ეგ
მურტალი, ეგა!.. კარგად უყავით, რომ გაამტყუნეთ. მაგის-
თანა კაცს ეგრე უნდა. (დაბლა ხმით) ეგ, სწორედ მოგახსე-
ნო, ქურდიც არის, საციმიბროა.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. მაგას თავი დაანებეთ, თქვენ თქვენი სა-
ჩივარი ბძანეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (წამოღება ფეხზედ სკამიდან და მოწიწებით) ეხლა მე მო-
გახსენო, ჩემო დიდებულო ხელმწიფე, ბრძენო და
ბრძენთა-ბრძენო, ქვრივ-ოხრის გამკითხავო, ობოლთა
მწყალობელო, მაღალო და სვიანო, უხვო და მდაბალო!
ამ ორი კვირის წინათ ჩემმა ნაყმევმა თავისი გომბიო
გოგო გაათხოვა, ერთ ვილაც ოხერს მისცა, ერთ თავის-
თანა მუტრუქს. მივუგზავნე ჩემი გოგო და შევუთვალე:
ეხლა, ქალს რომ ათხოვებ, საჩექმეს არა ნაღვლობ-მეთ-
ქი? ყურიც არ შეებღერტა. ეხლა მე თითონ მივუვარდი
და ვუთხარი: საჩექმეზედ რას ამბობ? წადიო, საიღამაც
მოთრეულხარ, იქავაო, სწორედ ამ სიტყვით მიპასუხა,
თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა, ჩემი მაზლი ხომ არა

ვარ, ან იმისი გომბიო ცოლის ამხანაგი, რომ ტყუილი მოგახსენო: სწორედ ეგრე მითხრა. ეგ კიდეე არაფერი. შემოიყარა, ბატონო, ჩემ წინ დოინჯი მუხრან-ბატონივით, ამიწია ჩემ თვალ-წინ და დამიწია მხრები, ჩემ-წინ, ჩემ-წინ, თქვენმა მზემ. აბა, თქვენი ჭირიმე, ეხლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს სჩადის, მეფე ვახტანგის კანონებს და რჯულს არღევს, მერე რაღასა იქს, როცა თავისუფლება, ღმერთმა კი ნუ დაასწროს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება. არა, თქვენვე თქვენის მაღალ-გონიერებითა ბძანეთ! მერე რაღასა იქს? მე რომ თქვენი ვიყო, აბა ჩემგან ჰკუა რად გესწავლებათ, მაგრამ მე რომ თქვენი ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსულის წკეპლითა, იმ საჩექმეს ერთი-ორად წავართმევდი და მომიგდებდი შე საცოდავსა, ერთს ქვრივ-ოხერს, ობლების პატრონს. მაღლიც მაღლად ჩაგეთვლებოდათ და მეც, ქვრივ-ოხერს, მეფე ვახტანგისაგან დაწესებულს, დაბეჭდილს და დამტკიცებულს კუთვნილს მიბოძებდით და თქვენის გაჩენის დღეს მალოცვინებდით. იმას კი ერთ ლაზათიანად მივჯოხავდი, რომ მეორედ აღარ გაებედნა, თორემ ერთი ბუნტი კაცია. ეგენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფე, ღორის ტილივით არიან, ფეხზედ რომ დაისვით, თავზედ აგაცოცდებიან. თქვენ მაგათ კარგად არ იცნობთ, ო, თქვენმა მზემ. სამ დროს შემოვა ამ ქვრივის ნაყმევი. ქვრივ დინახავს თუ არა, სიტყვას გაწყვეტს და გაკაპასებული შეუტევს გლეხსა) რაო, რისთვის მოეთრივე, შე ძაღლის ნათრეგო! აიღვით განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევენო.

გ ლ ე ხ ი. აი, შენი ჭირიმე, ამისათვის გიახელ. აღარა გვაქვს, ბატონო, ამისაგან მოსვენება. აქაო და ხელმწიფემ რად გაგანთავისუფლათო, ლამის ლანძღვითა და თრევით მთელი სოფელი აჰყაროს. ხელმწიფემ გაგვანთავისუფლა, ჩვენი რა ბრალია!..

ქ ვ რ ი ვ ი. მაშ ვისი ბრალია, მაშ ვისი ბრალია! (მოსჩენიკს) სწორედ ამათი ბრალია, თქვენზედ მიწა არ მენახოს! (გლეხს) არზა არზაზედ რომ გააჰრეღეთ და ჩუმ-ჩუმად სამართალში დაძვრებოდით — ბატონები აღარ გვინდაო,

მითამ არ ვიცით, განა!.. აი, შე წუწკის შვილო! რაო? მითამ ჩვენ წავედით და ვითხოვეთ: ყმები ჩამოგვართვითო! (პოსრედნიკს) მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი. დახე, ჩვენ გვაბრალებს, ქვეყნის ცოდვა ჩვენ უნდა დაგვადვას კისერზე! ბუნტია, მა რა არის? ო, თქვენმა მზემ, ბუნტია!..

გ ლ ე ხ ი. (ხვეწით პოსრედნიკს) ერთი წამალი რამ დამდევი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებდეს. ერთი ამას კი მომავლორეთ და, რაც გნებადეთ, ის მიყავი. ამის წყევლისა და ქოქვისაგან სოფელს კი ველარ უხეირნია და. წამოხტება დილით, გამოვა დერეფანში, ამვლელს და ჩამომგლეხს სწყევლის და თან მისძახის ხოლმე: გიხარიათ განაო, გიხარიათ განაო! აი, თქვე ასეთებოო, აი, თქვე ისეთებოო. მენა ხომ რაღა? დღე არ გავა, ცოლ-შვილი არ დამიწოკოს. ერთი, ღმერთი გადღეგრძელებდეს, გადამასახლეთ საითმე და ამ ჯოჯოხეთს კი მამარჩინეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (შეტევით) რაო? გადაგასახლონ? ვინა? ვის შეუძლიან შენ გადაგასახლოს? მაშ მეფე ერეკლეს ხსენება ქვეყანაზედ აღარა ყოფილა; მაშ იმისაგან ბოძებულს თორმეტ მეფეთ-მეფის ბეჭდიანს ოქმსა ძალა აღარა ჰქონია. აბა იქა სწერიხარ, რომ შენ შენის შესავლითა და გასავლითა ჩემი ყურმოჭრილი ყმა ხარ. თუნდა რომ აქავ შუაზედ გასკდე, ეგრეა.

გ ლ ე ხ ი. აღარა ვართ, ქალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა.

ქ ვ რ ი ვ ი. უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ სანეხვეში ჩაგარჩობ მურა-ძაღლსავითა! (პოსრედნიკს) არა, მოწყალეო ხელმწიფე, თუ ეხლა ეგენი არიან ჩვენი ბატონები, ერთი გვიბძანეთ, თუ არა და, რაზედ მალანძღვინებთ, თქვე დალოცვილიშვილო, ამ დროულს დედაკაცს, პატიოსანის აზნაურიშვილის მეუღლესა. ამ ძაღლის ნაშენისაგან როგორ უნდა მეკადრებოდეს, რომ ეგ მეუბნებოდეს —თქვენი ყმა აღარა ვარო.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (ბულზედ მოსული) მე მაგ უშვერისა და ურიგო ლაპარაკისათვის თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, ჯარიმად სამს მანეთს გახდევინებთ და თუ კიდევ არ მო-

იშლით, სამართალში მიგცემთ. მოთმინებიდამ გამოგყევართ.

ქ ვ რ ი ვ ი. (მართლა შეშვართალი) რადა, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, მე თქვენთვის ცუდი სიტყვა არ მომიხსენებია. მე ამ პირუტყვს ვეუბნები. ნუ ინებეთ გაჯავრება, ჩემო მაღალო ხელმწიფევ! სამი მანეთი არა ბძანეთ, აი, იმ ჩემს გლეხს ერთი სამად საჩექმე წავართვათ, როგორც დალოცვილი მეფე ვახტანგის კანონი ბძანებს, — სამი მანეთი კი არა, ექვსი თქვენ ინებეთ, დანარჩენი მე მიბოძეთ. ღმერთმახი, კანონისა მორჩილი არა ვარ, და? ეს გლეხი კი საშინელი მურტალი რამ არის. დახე, მე უნდა მეჩივლა და ამან არ დამასწრო!.. საკვირველია, სად შეიტყობენ ხოლმე. ეს რაც ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმა ჩამოვარდა ქვეყანაზედ მეხად, ეს წუწყის-შვილები სწორედ გულთმისნები შეიქნენ... იმ დღეს, აი დიდი წვიმები რომ გახლდა, — მიწურმა ბანმა ველარ დაიჭირა. გამოვედი გარეთ, — ეს ძაღლ... კინაღამ არ წამცდა—ეს გველ-ხოკერა იქავ ჩემთან ახლო დგას, დავუძახე და ისე ტკბილად დედა-შვილურად ვუთხარი: შვილო გიორგი-მეთქი, (გლეხს) გაგიწყრეს წმინდა გიორგი, (პოსტედნიკს) შვილო გიორგი-მეთქი, თქვენზედ მიწა არ მენახოს; სწორედ ამ სიტყვით: შვილო გიორგი-მეთქი, ჩემო კარგო და პატიოსანო-მეთქი, თქვენმა მზემ, სწორედ ამ სიტყვით, ერთი მოდი და შენის ლამაზ-ლამაზ, მადლიან თათებითა ნიჩაბი აიღე და ბანი დამიტკეპნე, შენებურადა, მითამ მე დედა ვარ-მეთქი და შენ ჩემი შვილი-მეთქი, აგრემც ღმერთი ჩემ-დროულად მოგყრის-მეთქი,—სწორედ ამ სიტყვით, თქვენმა მზემ. ეხლა, რა არის-მეთქი! (ჩაფიქრდება და ალერსის სიტყვებს იგონებს და ვერ მოუგონია) ეხლა, ბევრი რამ ისე ლამაზ-ლამაზი მარგალიტით სიტყვები ვუთხარი, ისე დედა-შვილურადა, როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, დაყვავებით და ლოლიობითა. მაგრამ რა? მეგელს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო, პირი — აი ამოვესოს მაგას შავი მიწით პირი — მომყო, ბატონო, პირი, ასე გამხადა, ასე გამხადა, რომ რაღა მოგახსენოთ. რა ვიცი რაები არ მაკადრა,

თქვენზედ მიწა არ მენახოს. აბა ეგ მოსათმენია? მაგრამ
 რაკი სახარებაში (გლესს) — გავიწყრეს იმისი მაღლი —
 (პოსრედნიკს) რაკი სახარებაში სწერია, — მოთმინებითა
 თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო, მეც მოვითმინე,
 ავიკარ პირი. აბა, ზომ მოგეხსენებათ დარბაისელი კე-
 თილშობილის დედაკაცის ამბავი, ჩემს თავს რად ვაკად-
 რებდი, რომ მაგ ძაღლ... კიდეც კინაღამ არ წამომცდა —
 მაგ ორფეხა მუტრუჟს სიტყვით შევებმოდდი. ავიკარი პი-
 რი, ეს კი ვუთხარი: კარგი, შვილო-მეთქი, ღმერთმა მშვი-
 დობა მოგცეს-მეთქი — სწორედ ამ სიტყვით — თქვენმა
 მზემ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-მეთქი, გაუწყრეს მა-
 გას ღმერთი. როგორც მოგეხსენებათ ჩემი ამბავი, ისე ღე-
 და-შვილურად ვუთხარი, მშვიდობიანად, მაგრამ რა? განა
 მაგათზედ ტბილი და გულმტკიენეული სიტყვა გასჭრის?!
 ესე გახლდათ, ჩემო მოწყალე ხელმწიფე! ეხლა მე ვიცი,
 თქვენ ამ უბედურის-შვილს დააჭერინებთ, ციხეშიაც ჩა-
 სომთ, მაგრამ ამას კი გეხვეწებით — ბევრს ნუ აცემი-
 ნებთ: აზიზადა მყავს გაზრდილი, მაგას — ერთი ორმოც-
 სამოციოდე რუსის წკებლა ჭირადაც და ლხინადაც თავ-
 საყრელად ეყოფა. რა ვქნა? ჩემი გაზრდილია, მაინც
 მებრალება. გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზედ მეტს კი ნუ
 დააკრევენებთ. რაც უნდა იყოს, მე ეგენი, ეგ გველის
 წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შვილებსავით დაგ-
 ვიზრდია, დიდი სიბრალული მაქვს. ეგრე, გეთაყვანე,
 ბევრს ნუ აცემინებთ. თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი
 ოციოდე კიდეც მოუმატეთ, არა უშავს-რა. მაგაზედ მეტს
 კი... აი, მუხლმოდრეკითა გთხოვთ — ნუ გადაჰარბებთ.
 ეს კია, რომ რუსს უნდა დააკრევენოთ როზგებში, თორემ
 ქართველი, ზომ მოგეხსენებათ, მაგისტანებში ქალაჩუნა
 არის, ისე გერ დაკრავს, როგორც ზაკონი და კანონია.
 ამახაც, თქვენმა მზემ, მაგისტვის ვაშობ, თორემ ცემა
 ცემად ჩაეთვლება და ეგ კი ისევ-ისევ ვირად დარჩება. კი-
 დევ მეორედაც გაბედავს და იტყვის: დაე მცემონო, ზომ
 არ მეტკინებაო. და ეგრე გული წაუხდება და მაგის წახ-
 დენა მე არ მინდა, შვილივით გამიზრდია; ჩემი ამაგი ფუ-
 ჭად ჩაიფლის. ეხლა, არ იქნება, რომ კიდეც ჩვენ, მება-

ტონებმა, არ ვიფიქროთ მაგათთვისა. მაგათ ზომ ღმერთმა თავისი ჭკვა არ მისცათ. (ზღუეს) აი, დაგიდგა ეგ თვალი, ზომ ყელს გვაჭრევენებთ ჩვენა, მაგრამ ჩვენ კიდევაც იმოდენა გულის-ტკივილი გვაქვს თქვენი, რომ ჩვენს ზრუნვასა და ცდას მაინც-და-მაინც არ გაკლებთ. (პოსრედნიკს) ეგრე, თქვენს თავს ვენაცვალე, ოთხმოცი იყოს, მეტი კი არა.

1865 წ.

მაჰანკალი

კომედია ორ მოქმედებად

მოქმედნი:

თ. დავითი თათქარიძე — 40 წლისა.

ელისაბედი, მისი ცოლი—35 წლისა.

ლუარსაბი თათქარიძე, ძმა დავითისა—20 წლისა.

მოსე გძელაძე, თავადიშვილი—45 წლისა.

ხორეშანი, სუტ-კნეინად ცნობილი, მაჰანკალი—40 წლისა.

პირველი მოსამსახურე.

მეორე მოსამსახურე.

მზარეული.

ივანე, მოსე გძელაძის მოსამსახურე.

ქორწილის ხალხი, მაყრიონი მეფისა და დედოფლისა.

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს ერთის აზნაურშვილის ეზოს. აზნაურშვილს ქორწილი აქვს. სცენის უკანა მხარეს ხალხი ირევა. მზარეულები და მოსამსახურეები გარბიან და გამორბიან სცენაზედ: ზოგს ქვაბი მიაქვს საჭმლითა, ზოგს პური ხონჩითა, ზოგს ტიკით ღვინო და ამისთანები. ერთი მზარეული სცენის უკანა მხარესა დგას და ქვაბიდან წვესს ურიგებს მოწვეულ გლეხკაცობასა. ეზოში ორგან-სამგან ფანჩატურებია, ერთი მათგანი ავანსცენის მარცხენა მხარესა დგას.

გამოსვლა 1.

მოსამსახურე. კაცო, აღარ მოხედავთ სუფრას, თქვე ოჯახ-დაქცეულებო! სუფრიდან ხალხი აიშალა, მოდით, ავალაგოთ.

მეორე მოსამსახურე. ოჯახიც დაგექცეს და სახლკარიც დაგელუპოს! ჩვენ კი გულ-ხელ-დაკრეფილები ვსხედვართ თუ? ვერ უყურებთ, მთელი დღეა ფეხი არ ჩავგიკრეფია. წადი და თავში ქვა იეცი და შენ აალაგე.

პირველი მოსამსახურე. აი შავი ქვა და ნაცარი ცხელი თქვენ თავს, კაი კაცები თქვენა ხართ (გაღიან).

მზარეული. (უხმამს წვესს გლეხკაცსა) სეავები ხართ, თქვე არ დასაცალეებლნო, რა ღმერთი გაგვიწყრათ! აქაო და მუჭითაო, ხომ ზედ არ შეასკდებით.

გლეხკაცი. შევასკდებით კი არა, მეტსაც ვიზამთ. მაშ ღმერთს მუტვლები იმისათვის მოუცია, რომ ქორწილიდან შინ ცარიელები მივიტანოთ. ეჭვი, გაგვიჯდა გვერდებში! მითამ შენ რაზედ გშურს? შენი რა იხარჯება?

მზარეული. ბიჭო და დღევანდელი დღეა მკლავი აღარ შემრჩა, დაასხი და დაასხი. რა სეავი გაგიჩნდათ მაგ დასალუპავ მუტვლებში! გაძლომა კი არ მოგეკიდათ და!

გ ლ ე ხ კ ა ც ი. ჩვენც მანდა ვართ და! სულ რომ სხვამ არა გეჭამოს, ახლა ცოტაც არის ჩვენა ვჭამოთ სხვანი. ყანაა და ვმკით. რაო ახლა?

მ ზ ა რ ე უ ლ ი. აჰა და თანაც გადაჰყოლიხართ.

გ ლ ე ხ კ ა ც ი. ეგრე იყოს! მოკლას ხარი თივაშა, თუ ერთი ორიოდე ჯამი საფერავის წვენიც მოუკუპრავში გავის-ტუმრე. (გადის.)]

ბამოსცლა 2.

დავითი და ელისაბედი (შემოდიან).

და ვ ი თ ი. ნახე, დედაკაცო, იმდენ ხალხში რა ყოფა დამაწია. ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახია შენზედ.

და ვ ი თ ი. ახია თუ არა, მეტი გზა არ არის, ცოლი უნდა შევრთათ. ატეხილია და რასა იქ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ატეხილია რას მიქვიან? ხომ მაშინვე გაგ-ვეყრება და ცალკე გავა.

და ვ ი თ ი. მაშ არა და შენ მოგიჯდება გვერდით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე შენს შვილებს რა პასუხს აძლევ?

და ვ ი თ ი. დედაკაცო, გაგოყდი, თუ რა დაგემართა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გავგიჟდი კი არა, მართალს ვამბობ, ოთხი ვაჟი და ექვსი ქალი რომ თავზედ მომახვიე, შენს სულს რაღას ეუბნები?

და ვ ი თ ი. ბიჭოს, ასე გონია მარტო ჩემი ბრალი იყოს. მო-გახვიე რა, ქუჩაში აკრეფილები ხომ არ არიან, შენი შვილები კი არ არიან თუ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მეც მაგას ვტირი და ვჩივი.

და ვ ი თ ი. ეხლა გვიანდა არის, ჩემო კარგო!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გვიან კი არა, იმათ პატრონობა უნდათ.

და ვ ი თ ი. მერე ვინ არა პატრონობს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ვინა და შენ. ცოლს რათა პრთავ შენს მშა-სა, თუ პატრონობა გინდა?

და ვ ი თ ი. დედაკაცო, თუ გადარეული ხარ, ეგ მითხარ, თუ არა და რას მიედ-მოედები. სად იმის ცოლის შერთვა და

სად ჩემი შეილები? რა კუდი უნდა გამაბა, არ მესმის.
ელისაბედო. აგონც არა გავაგონოს რა ჩემმა განჩენმა.
აი, ნეტავი ფენი მომტეხოდა და შენს სახლში ფენი არ
შემომედგა.

დავითი. აი, ნეტავი ეგრე ყოფილიყო.

ელისაბედო. აბა მაგ ჭკუის პატრონი სხვას რას იტყოდი.
აი, მეხი კი დაგეცა! მე რომ არა ყოფილიყავი, მგონი
შიშნულით მეორე დღესვე სული დაგელია.

დავითი. მამა შენს ბითურასა აქვს ცხონება, სულ შენს მო-
ნაგარს არა ეჭამ. მზითები არ დამაყვედრო, მამი-შენის
ცხონებას.

ელისაბედო. ქა, ვერ უყურებთ ამ ჯავლავს, რა თოხარიკი
გამოიჩინა! შე უბედურის დღისავ, ენა არ უნდა მოგვარ-
დეს, რომ მამა-ჩემს ეგრე იხსენიებ.

დავითი. ქალო! არ დამეხსნები? რატო ეგრე წიწბითურასა-
ვით ჩამომეკიდე. რა გინდა ჩემგან.

ელისაბედო. ნუ შეჰრთავ მეთქი ცოლს, ნუ! არ გეყურე-
ბა?

დავითი. დიდება შენთვის, ღმერთო! ახლა წინ მე როგორ
გადვუდგე. კაცი იძახის ცოლი მინდაო, მოდი და უთხა-
რი ნუ გინდა-თქო. წელან ვერა ნახე, რა ყოფა დამაწია
იმდენს ხალხში?

ელისაბედო. ეს მაინც ჰქენი, მე დამაცალე.

დავითი. თჳ, ოლონდ ეგ სიკეთე მიყავ და თუნდა ქრთამ-
საც მოგცემ.

ელისაბედო. მაშ შენ სულ არ გაერევი?

დავითი. თუ ხმა ამოვიღო, შენი ლეჩაქი დამხურე.

ელისაბედო. არც ქალის არჩევანში?

დავითი. არც ქალის არჩევანში.

ელისაბედო. მაშ კარგი, ეხლა მე ვიცი, სიტყვას არ გადა-
ხვიდე, აი.

დავითი. შენი ფენი დამკარ მეთქი, შენი ფენი. ოლონდ კი
ამით გადავრჩე შენს წუწუნსა და წმუკუნსა და ხმას
ამოვიღებ!

ელისაბედო. კარგი ერთი, შე ჭკუის გლახავ! თუ ვწუწუ-
ნებ, შენის შვილებისათვის ვწუწუნებ. შენ რა გესმის!

დავითი. რა ვქნა? მამა არა გყოლია სოლომონ ბრძენი და
დედა და შენ საიღამ ჩემულობ ბრძნობასა.

ელისაბედი. უი, მეხი კი დაგაყარე!

დავითი. გაგეცალო, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ამა-
ზედ სხვილათაც დამიროშამ.

ელისაბედი. მაშ არ გაერევი?

დავითი. არა მეტჟი.

ელისაბედი. ეხლა საცა გინდა იქ წაეთრიე. მე ჩემი ვიცი,
(დავითი გადის).

ბამოსვლა 3.

ელისაბედი მარტო.

ელისაბედი. რომ არ შეერთო კარგი იყო, მაგრამ რასა
იქ? (ჩაფიქრდება) ახლა მოვლენ და იტყვიან: ელისაბედი
ცული დედაკაციო. რათა, თქვენი ჭირიმე? ოთხი ვაჟი-
სა და ექვსის ქალის დედა ვარ. არ უპატრონო? არ ვიზ-
რუნო? ჯანი არ გავიგდებინო და იმათ ბინა არ გავუჩი-
ნო? დედა ვარ, რომ სხვა არა იყოს რა, მშობელი დე-
და! ჩემმა მაზღმა ლუარსაბმა რომ ცოლი არ შეირთოს
და თავისავით სულელები არ გააშენოს, ქვეყანა დაი-
ლუპება თუ? მამულ-დედული უნდა გაგვიყოს, ნახევა-
რი გაიტანოს და ჩემს შვილებს ყელეები დასჭრას. მაშ
არ ვინაღვლო? მაშ თავში ქვა არ ვიცე? ჩემს ნაშობს
შვილებს ყელეებსა სჭრიდნენ და მე ჩემის თვალით ვუ-
ყურებდე და ზმა არ ამოვიღო? ეს კი დედაკაცობაა, და
ლუარსაბს კი, იმ ერთად-ერთს კაცს, რომ ცოლი არ
შეერთა, ხელი შეეუშალო, ათი უსუსური ბავშვი გლახა
მათხოვრობისაგან დავიხსნა, ის კი დედაკაცობა არ არ-
ის? თუ მე არ ვებრალეები იმ სულის მტერს ლუარსაბსა,
თავისი ღვიძლი ძმისწულები მაინც როგორ არ ებრალე-
ბა. უცხონი ზომ არ არიან. უი, თქვენს დედასა, შვილე-
ბო! (ჩაფიქრდება) დეე, შეირთოს ცოლი, ჩადგეს ჩემის
შვილების ცოდვაში. თუ დედაკაცი ვარ, ამას მაინც მო-

ვახერხებ, ასეთი ქალი შევერთო, რომ იმისაგან უშვილობის იმედი იყოს. გამიგონია, უშვილობა ზოგჯერ ჯიშმა, მოდგმამ იცისო. ერთი იმისთანა მოდგმა მეგულებს ჩვენში. მაშინ სულ ერთი იქნება, რაკი უშვილოდ ამოწყდება, ჩემს შვილებს დარჩებათ ყველაფერი. ჩემს ბედობაზედ სუტ-კნენინაც აქ არის, ქორწილში. ოსტატი დედაკაცია, ის უნდა მივუჩინო ამ საქმეს. იმას ოღონდ კი ფული დაანახვე და მშობელ მამას საფლავიდან ამოიღებს. წავიდე ერთი, როგორმე მარტოდ ჩავიგდო და აქავ გავათავო საქმე. რა ვქნა? დედის მოვალეობა მძიმეს! (გაღის).

ბამოსვლა 4.

ხორეშანი და მოსე გძელაძე შემოდინ და ავანსცენაზედ ღვებიან.

მოსე გძელაძე. აბა რაღა გეხვეწო, ჩემო ხორეშან! შენ იცი და შენმა დედაკაცობამ. ხალხი სუფრიდამ აიშალა და საცაა ისიც აქ ფანჩატურებში მოვა მოსასვენებლად. ისლი დროა. პატარა ნაქეიფარიც არის. შენ იცი!

ხორეშანი. ძნელს საქმეს კი მკიდებ. აბა იმ ხნის ქალი როგორ გაგისალო! ყმაწვილს, — შენ თითონ ხომ ნახე, — პირის ბუსუსი ჯერ თმადაც არ გადაჰქცევია.

მოსე გძელაძე. ეჰ, ჩემო ხორეშან, თუ მოინდომებ, რა გაგიჭირდება. თუ ხელს მოჰკიდებ, მგონი არქიელსაც კი ცოლი შეპრთო, შენი ამბავი რომ ვიცი. ჩემგან კი არა გესწავლება-რა, მაგრამ დავიჯერო — ქალის ხნიერობაში მოტყუება ვერ მოახერხო!

ხორეშანი. რატომ, რატომ? ცხენი ხომ არ არის, კბილები გაუსინჯონ. მაგრამ თვალ-ტანადაც რომ ვერაფერი მოსაწონია, აბა ამას რაღა ვუყოთ? ნუ გეწყინება კი, შენი ჭირიმე, საქმეზედ ვლაპარაკობ.

მოსე გძელაძე. ახლა ენაზედ ბრჭყალი მოგედება, რომ უთხრა, კალმით ნახატია-თქო. ბაჟს ხომ არავინ გვართმევს. ესთქვათ, შე დალოცვილო, თუ გაგვივა.

ხო რ ე შ ა ნ ი. ქა, მერე თავის თვალთ არა ნახავს? მაშინ რაღა ეუთხრა. ტყუილიც არის და ტყუილიც. მაგას კი ძალიან მოკლე ფეხები აქვს.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ეჰ, შე დალოცვილო, საცა ენაა გძელი, იქ ფეხები გინდა მოკლე იყოს, გინდა გძელი, არაფერია. შენსავით ენამეტყველობის სახელი მქონდეს და მაგ ცოტაზედ დავლონდებოდი? მაშ ოსტატს დედა-კაცს რაში გეძახის ეს მთელი ევროპია ხალხი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა, აქაო და ოსტატს მეძახიან, მახინჯს მზე-თუნახავად ხომ არ გადავაქცევ!

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ტყუილად ნუ მიძნელებ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ნურც შენ ადვილებ ეგრე, შე კურთხეულის შვილო!

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ხორეშან, ოღონდ შე მამის მოვალეობიდან გამომიყვანე და ის საცოდავი ქალი დამიბინავე და რა ვიცი? ყმად რომ დამისახლო, შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები. ო, თავი არ მაშიცვდება.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, დაგპირდი და სიტყვა უკანვე როგორღა წავიღო, თორემ ეგ საქმე ჩემგან ხელის-მონაკიდებელი არ იყო.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. (ყელს უწევს) ხორეშან, შენი ტყბლის სულის ჭირიმე! აბა, ეს ჩემი თავი და შენი ხმალი, ოღონდ გაშითხოვე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეუბნები, დაგპირდი და სიტყვას უკანვე ვეღარ წავიღებ-მეთქი. ქა, აგერ ისიც შოდის. ჩქარა წადი, ერთად არა გვნახოს და არ გაგვიწყრეს ღმერთი.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. აბა, ვინძლო!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. გეუბნები, მე ჩემსას არ დავიშურებ-მეთქი და შენც კი შენი დაპირებული არ დაგავიწყდეს.

მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ე. ფულზედ ამბობ? შენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი, აკი გითხარი. ჩემი სიტყვა სიტყვაა. მაგის ფიქრი ნუ გაქვს. მითამ ჯიბეში გქონია (გაღის).

ბამოსვლა 5.

ხორეშანი მარტო.

ხორეშანი. ამისთანა ოინბაში კაცი მეორე არ დადის დე-
დამიწის ზურგზედ. ეშმაკს ნევის ყუნწში გააძვრენს!..
მითამ თავის გუნებაში ფეხის ქირას წინათ არ იძლევა.
ერთი ხუთიოდ თუმანი მამიგდო, ეს ბე იყოსო. ახლა
რა არის? საქმე გაურიგო, მერე აიღოს და, პუპუზ, პირ-
ში ჩალა გამომავლოს. (ქოქოლას აყრის ორივე ხელით) აი,
მეხი კი დაგეცა მაგ წიწლაკიან თავზედა! რა დაბალი ლო-
ბე მე მიპოვა!.. უი, უწინაშე დღე არ უნდა გაუქრეს ხო-
რეშანსა, რომ მოსე გძელაძემ მოატყუოს! დამაცა! დე-
დაკაცი არ ვიქნები, დედაკაცი, თუ შენვე არ მეხვეწე-
ბოდე, აი ფული და წაიღეო. ჭერ ერთი აქ მოფიხრიკო
ფონი. მე ხორეშანს მეძახიან!..

ბამოსვლა 6.

იგივე და ლუარსაბი (შექეიფიანებული).

ლუარსაბი. (პუბლიცისკენ) ბიჭოს, ეს ვინ ოხერია!

ხორეშანი. უკაცრაოდ, შენი ჭირიმე, იქნება მოსასვენებ-
ლად მობძანდი ფანჩატურ-ქვეშ და მე კი აქ დაგიხვდი.

ლუარსაბი. არა მიშავს რა, ნურას უკაცრავოდ.

ხორეშანი. ახლა რა ვიცი, ნაქეიფარი ბძანდები.

ლუარსაბი. ო, ო, ო! ქეიფი იყო, რომ ჩვენ გავეჩეთ. გე-
რა ხედავთ ამ წიტიან აზნაურშვილსა, რა ქორწილი გაგ-
ვიჩადა!

ხორეშანი. (პუბლიცისკენ) ქა, უთუოდ არ იცის, რომ ჩემი
ბიძაშვილია. (ლუარსაბს) ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი გახ-
ლავთ.

ლუარსაბი. თუნდ ორთ ხელმწიფის შვილი იყო. კაც-
მა მართალი უნდა სთქვას: კაი ქორწილი გადაიხადა, კაი,
რომ მეტი აღარ იქნება, კაი შეძლებიხაც კი ყოფილა, შე
და ჩემმა ღმერთმა, ე თქვენი ბიძაშვილია თუ რაღაცაა.

ხორეშანი. დიახ, აქვს ერთი უწყინარი და უტკივარი ლუკ-
მა-პური.

ლუარსაბი. ხუმრობაა, მთელი ქვეყანა, კაცი თუ ქალა, აქ
შეუყრია. კარგად დაგვხვდა. აბა ტყუილი როგორღა
ვსთქვა, ძალიან კარგად დაგვხვდა. ბევრ კაი თავადი-
შვილს გაუჭირდება, ო, მე და ჩემმა ღმერთმა. ყოჩაღ,
აზნაურშვილო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ! რა ქეიფი
გაგვაწევინა, რა ქეიფი! ლხინი იყო, რომ თქვეხა მოწო-
ნებულს. რა ჩაკრული თქვეს! აბა ჩაკრული ის იყო, აი!
ჭიმი კი ვერ მიჰყვა ნაცარასა, თუ თქვენც იტყვი. მე-
ტად მაღლა აუწია. ძალიან ხმა აქვს. ლამაზი ბანიც შეხ-
ვდათ. უჰ, ბანი იყო, რომ ის იყო! კარგადაც დავლიეთ.

ხორეშანი. ღმერთმა შეგარგოთ.

ლუარსაბი. არც ღვინო იყო ურიგო, ღვთის წინაშე. ისე
შემერგო, როგორც ღედი-ჩემის რძე, ო, მე და ჩემმა
ღმერთმა. აი პატარა ხანს ჭიდილი გამართა სადილს
უკან და მინამ გათავდებოდა, ცაცხვის ქვეშ ცოტა ჩამძი-
ნებოდა. მგონი ორჯერაც ხეირიანად ვერ ჩავთვლიმე და
თითქმის გამომნელდა კიდეც. ტყუილი. ცოდვაა, ძალიან
კაი ღვინო იყო.

ხორეშანი. (პუბლიკისაკენ) უი, დამიდგა თვალი, ახლა მე
რაო?

ლუარსაბი. აი ბეჩავ კახეთო, მაინც შენი ყურძნის წვენი
სულ სხვაა! სწორედ მოგახსენო, ეს ჩემი პირველი სმა
იყო.

ხორეშანი. (პუბლიკისაკენ) ქა, აღარ ათაგებს.

ლუარსაბი. პირველი ასე, რომ დიდ ხალხში ამის მეტად
არ მისვამს. განა არა, უწინაც მისვამს, მაგრამ წვრილ-
ფეხობაში. ჩასათვლელი არ არი. დღეს კი რომ ვსვი, ხალ-
ხში ვსვი. მერე როგორ ხალხში? მთელის ჩვენის მხრის
თავად-აზნაურობა, ქალი თუ კაცი, სუ აქ არის ერთად
თავმოყრილი. აქ სმა სახელია და მგონი ვიშოვე კიდეც
სახელი, აი, ამ წიტიანმა ლუარსაბმა. ეგრე კი ნუ მიუყ-
რებთ. ლამაზად დავლიე.

ხორეშანი. (პუბლიკისაკენ) ქა, ქადაგად ჩავარდა, თქვენმა
მზემ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ანჯიქოს გვერდით დამსვენეს. ანჯიქო ხომ გა-
გიგონიათ, კახეთში თავი მსმელია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) ვიშ, გეთაყვანეთ. (ლუარსაბს) გათ-
ქმული და სახელოვანი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. სახელოვანო!.. სახელოვანი ვის ეკადრება?
სმაში კოპიტიშვილია, აი, ფალავანი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. სააპყრანია, შენ ნუ მომიკვდები, სააპყრანი.
(პუბლიკისაყენ) ეს რა ჭირს გადავეკიდე, თქვენი ჭირიმეთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დამსვენეს და თანაც მეუბნებიან: აბა, შენ იცი,
როგორც გაუძღვებიო, სახელი თუ გინდა, სახელიც ეგ
იქნებაო. ვახსენე ღმერთი, გადავიწერე პირჯვარი და მო-
ვუჯეგ გვერდით. მოვუჯეგ, მაგრამ რა მოვუჯეგ. გულს
სულ ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ხუმრობაა, ანჯიქოსთან სმა!..

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიდი გაბედვა ყოფილა თქვენგან, შენ ნუ მო-
უკვდები ჩემს თავს. (პუბლიკისაყენ) გული გამიწვრილა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მითამ რატომაო? ეგრე კი ნუ მიყურებთ, მე
გული შიგნიდანა მაქვს, მაშ! ჩემის თავის იმედი რომ არა
ჰქონოდა...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ო, ო, იმედი გაბედულობის ნიშანდურია. მარ-
თალსა ბძანებთ. (პუბლიკისაყენ) მე რის ღარდი მაქვს და
ეს რაებს მართვინებს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რაღა გაგიგრძელოთ...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) კიდეც მოჰყვა!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ლამაზადა ვსვით, ისე დალაგებით, დაწყნა-
რებით. ის დალოცვილიც მართლა რომ კაი მსმელი ყო-
ფილა, ისე ალაღი, უტყუარი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კაი მსმელია, ძალიან კაი მსმელი, ისე ალაღი,
უტყუარი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კარგადაც შევხვდით ერთმანეთსა, ისე თქვენი
მოწონებული.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) უი, დამიდგა თვალი, ეს თავისას
არ იშლის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჯობნით როგორა ესთქვა ვაჯობე-მეთქი, სუფ-
რიდამ ერთად წამოვდეგით. სმა კი, მე და ჩემმა ღმერ-
თმა, გავუწორე, ესეც დიდი საქმეა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დიახ, ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი დააბ-

რუნოსო, დაჭერად ჩათვლებათ, ნათქვამია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კარგად უთქვანს მაგის მთქმელს, ღვთის წინაშე. სხვები კი ისე შემოგვეფანტნენ, როგორც ძერას წიწილები. ქვეყანა სე შემოძქეროდა, ვერ უყურებთ ამ ცინგლიანს ლუარსაბსაო, ამ გუშინდელ ჭყლინტსაო, რა დევს შეეჭიდაო და სმა გაუსწორაო. ქვეყანა ამას იძახდა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (მუბლიყსავენ) ქა! აღარ ათავენს, თუ რა ღმერთი უწყრება.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. გვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ და ბევრბადედამ ინატრა ჩემისთანა შვილი. აბა თუ ღმერთმა კაცს შვილი მისცეს, ამისთანაო, სულ ამას იძახოდნენ. თორემ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, იქა ბძანდებოდით.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. როგორ არა, მთელი ქორწილია და შენი ქება, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (მუბლიყსავენ) ჭკვიანი დედაკაცი ყოფილა. (ხორავანს) მაშ ტყუილს ვიტყოდო? ჩემი რძალი ელისაბედი... ხომ იცნობთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ძალიან კარგად. დიდი კეთილი რამ არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კეთილი კი არა, სულ ლოყებს იკაწრიდა სიკაპასით, ლუარსაბმა თავი რად იჩინაო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (მუბლიყსავენ) ეს ვერაფერი მომივიდა!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჯავრით იჭაჭებოდა, ჯავრით.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, ცოტა ბოროტიც კია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა თქვენა გკითხავთ: ღმერთს ჩემთვის უნარი მოუცია და არ გამომეჩინა? არა, თქვენა გკითხავთ, არ გამომეჩინა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. შური, ჩემო კარგო, სულ შური. მაგითი არა ვართ დაღუპული ჩვენ, ქართველები! ო, ო, თქვენი რძალი,—დიდი ბოროტი რამ არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა რათა შურს ჩემი კარგი, თუ ავი სული არ არის. თუ კი უცხონი შემომნატრიან, ის ნათესავი მაინც არის, რომ სხვა არა იყოს რა!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გენაცვალე! ეხლანდელ დროში ნათესავობა საღლა არის. მე იმისთანა უგულო დედაკაცი ჯერ არ შემხედრია, დედაკაცი ლამის დავბერდე.

ლუარსაბო. აი, დაშადალს! ერთი მეც ცოლი შევიტო
და ოჯახს მოვეციდო, ზოგიც მაშინ ნახოს თავისი თამაშა.
ხო რე შანი. (პუბლიცისკენ) ზოგი ფათერაკი მარგებელიაო,
ეს კარგად გამოინაპირა.

ლუარსაბო. არა, შემომდგომია და მეუბნება, რა დროს 'მე-
ნი ცოლიაო. ბიჭო და მე უფრო არ უნდა ვიცოდე, დრო
არის, თუ არა? არა, თქვენა გკითხავთ, ჭკვიანი დედაკა-
ცი ბრძანდებით, მე უფრო არ უნდა ვიცოდე?

ხო რე შანი. (მითმომოპრცხობს) უი, ქა! მაშ ვინ უნდა იცო-
დეს.

ლუარსაბო. ეგა ბძანეთ და! აჲ, ჩემო რძალო, ხომ ოსტა-
ტი დედაკაცი ხარ, მაგრამ არც კი მე ვარ, ლვთის მად-
ლით, სულელი.

ხო რე შანი. შორი-შორს სიტყვა კია, და ოქნება ეხლა ჩემ-
ზედ ჰფიქრობთ, ეს ვინ ოხერიაო, უცხო კაცს თავზედ
წამომდგომიაო...

ლუარსაბო. ეჲ, ეჲ! გუთმისანი ყოფილხართ, მე და ჩემ-
მა ღმერთმა. უკაცრაოდ კი ვარ და სწორედ ეგ ვიფი-
ქრე, წელან პირველად რომ დაგინახეთ.

ხო რე შანი. მაგრამ უცხო რად ვიქნები? დედის თქვენის
მეგობრობა და ხატრი რომ მაგონდება, იმისი სიყვარუ-
ლი და პურ-მარილი, თქვენ ჩემად მიმაჩინხართ. უცხო
რად ვიქნები? აი ამოდენა (ხელო დაბლა აჩვენებს) ხელ-
ში მჭერიხართ, ხელში მითამაშებიხართ. ეხლა ამბობთ,
ქვეყანა მე შემომნატრისო, — ასეთი ბაღლი იყავო, ასე-
თი, რომ ქვეყანას მაშინვე შენზედა პრჩებოდა თვალი.
მაშინვე ამბობდნენ, ერთი სახელოვანი კაცი დადგებო,
თუ მამას არ დაემჯობინები, ნაკლები აღარ იქნებო.
ღმერთმანი, არ გამართლდა და! მთელი ეს ქორწილის
ხალხია და შენი ქება. ჯაღო უყავი, შენ გენაცვალე, ამო-
დენა ხალხს, თუ რა ამბავია.

ლუარსაბო, არა, მამა არ წამიწყდება. ეს იყო, ანჯიქოს
სმა გავუსწორე, რა ვქნა, უნარი მაქვს და!

ხო რე შანი. (პუბლიცისკენ) კიდევ არ გააბას და არ გამიწყ-
რეს ღმერთო. (ლუარსაბს) ეს მთელი ქვეყანა რომ შემოგ-
ნატროდა, მე სინარუდით აღარ ვიყავი. უი, შენ კი გე-

ნაცვალს ჩემი თავი, რამოდენა კაცი შექმნილხარ, რა ტურფა და მშვენიერი. ერთი კარგად დამენახვე, რომ შენის ყურებით დავსტკბე (ლუარსაბი იჰიმება თავ-მოწონებით). იფ, იფ! მართლა რომ ბევრი დედა გინატრებს... უი, ჯვარიმც გწერია, თვალი არა გკრა. აბა შეჰშურდები შენს რძალს, მა რა იქნება. წელან მეუბნება, ცოლი რად უნდაო, აი მეხი კი დავეცი იმის შურიან თავს! ცოლი შენისთანას უნდა, რომ მარგალიტით შვილები გარს ეხვევოდნენ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. იმას კი დაუნიჟნია, ცოლი რად უნდაო!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, უწინამც დღე დაუბნელდეს! ჰო, ის უნდა მომეხსენებინა, დედა-თქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით. დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა. დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედა-თქვენი ხომ არ გახსოვთ?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. არა, მე ძუძუთა დავრჩენილვარ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. აბა საიღამ გეხსომებათ! ის უბედური რომ ღმერთს თავის უმანკო სულს აბარებდა...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დედა-თქვენი, ბატონო, დედა-თქვენი რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა — იმისი დამკარგავი მე ცოცხალი რაღადა ვარ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (ტირის და ტირილის ხმით მკლავით ცრემლს იწმენდს) ო, მე და ჩემმა ღმერთმა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, მადლობა ღმერთს, ღვთის ნებას ვერავენი წაუფა. რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჭექი. აბა, არ მიშორებდა და! ყველანი დაითხოვა ჩემს გარდა. მამა-თქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული ბძანდებოდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მიცვალებული კი არა, მას უკან თუნდ ექვსი წელიწადიც კიდევ იცოცხლა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) ახლა მამა რომ არ ჩამეკერებინა, არ იქნებოდა? (ლუარსაბს) მართლა, მართლა, რამ დამავიწყა? აი, სიბერე რა არის. ხსოვნამ მიღალატა. (პუბლიკისაყენ) ქა! რა შავ ქვად მინდოდა მამა. (ლუარსაბს) დიახ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე, ჩემს მახსოვრობას!.. თი-

...თონ თავის პირით არ მიბძანა...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დედამ განა?

ხორეშანი. არა, ბატონო, მამა-თქვენმა. დიახ, თითონ თავის პირით მიბძანა: ჩემო დაო, ვიცი რა სიყვარული და ტრფილუბა გაქვს შენა და ჩემს ცოლსაო. წადი, ფეხით მოუჯექო, იამება შენ რომ გნახავსო, ისე ჩემი ნახვაც არ იამებაო. მამი-თქვენის სიტყვებია, შენზედ მიწა არ მენახოს. მამა-თქვენი დიდი დარბაისელი კაცი ბძანდებოდა, სახელოვანი, გათქმული და ყველასაგან პატივცემული. (პუბლიკისაჲნ) იამა, თქვენმა მზემ. (ლუარსაჲს) დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი, განა მარტო საქრისტიანოში, სათათრეთშიაც. იმისი ხმა და სახელი დაღისტნამდინ იყო გავარდნილი. რუსეებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. უშველებელი კაცი სადმე იყო თურმე.

ხორეშანი. ერთი ვეშაპი რამ ბძანდებოდა, სწორედ ვეშაპი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მე კი კარგად არ მახსოვს და მოგახსენებენ, ასეთი ხელები ჰქონდაო, რომ ჩვენი თედოს გამომცხვარი ლავაში რომ გაგეშალაო, ვერ გასწვდებოდაო ვერც სიგანეზედ, ვერც სიგრძეზედაო. დიდი მსმელიცა ყოფილა.

ხორეშანი. კახეთში ცალი არა ჰყოლია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ნეტა ანჯიქო და ის როგორ მოვიდოდნენ.

ხორეშანი. ანჯიქო იმასთან რა სახსენებელია. კაცი თურმე კამეჩს შასჭამდა. ჰო, რას მოგახსენებდი?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რომ მამი-ჩემის სახელი დაღისტნამდე იყო გავარდნილი, რომ რუსეებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, რომ კამეჩს შასჭამდაო...

ხორეშანი. უი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ეგ ხომ მეც ვიცი. რაზედ დავიწყე ლაპარაკი, ის ველარ მომიგონია. აი, შენ გეთაყვანე, სიბერემ ეს იცის. წუთის წინათ რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს და მამი-თქვენის სიკვდილი, ოცი წლის ამბავი, რომ არ მახსოვდეს, რა საკვირველია! (პუბლიკისაჲნ) მეონი გავასწორე, რა შავ ქეად მინდოდა მამის ხსენება!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. თორმეტი წლის ამბავია, ოცისა რად იქნება.

ხორეშანი. (წამოხტება და პუბლიკისაკენ) ქა! ეს რა მემართება დღეს, თქვენი ქირიმე. ვთქვათ, გავბრიყვდი და მამა ვახსენე, ახლა ჩოტკში რომ არ ჩავმდგარიყავ, კინ დამემდურებოდა.

ლუარსაბი. (გაკვირვებული თავისთავად) ე რატო ეგრე წამოფრინდა. რა ეკალმა უჩხვლიტა, ნეტა ვიცოდე.

ხორეშანი. (ლუარსაბს) ახლა ხომ მოგხსენებათ, სიტყვაა, თუნდ თორმეტისა იყოს, მაინც საკვირველი არ არის. ჰო, იმას ვამბობდი. (ჩაფიქრდება) ქა, რაზედ დავიწყე ლაპარაკი?

ლუარსაბი. (პუბლიკისაკენ) ღმერთმა ნუ იცის შენი თავი.

ხორეშანი. ჰო, მართლა, იმას მოგახსენებდი: ცხონებული დედა-თქვენი რომ თავის უმანკო სულს ღმერთს აბარებდა, ყველანი დაითხოვა ჩემ-გარდა, და როცა მარტოკანი დავრჩით, მიბძანა თავის სირინოზის ხმითა: მე, ჩემო გულითადო მეგობარო, დიდი ხნის სიცოცხლე აღარა მაქვსო; ვიცი, ჩემი სიყვარული დიდი გაქვს,—აი ეს შენ და ეს ჩემი ობლებიო. შენ იყავი ამათი დედა და პატრონიო. ეს რომ ბძანა, — უი იმ უბედურის დღის მნახველსა, — გული ამოუჯდა. (ლუარსაბი მკლავით ცრემლს იწმენდს). მეც ღაბა-ლუბით წამომივიდა ცრემლი, ბევრი ვიტირეთ. მერე ხომ განუტევა კიდევ ის ანგელოზი სული.

ლუარსაბი. (ტირილის ხმით) საწყალმა დედა-ჩემმა, განა?

ხორეშანი. დიახ, დედა-თქვენმა. მე როგორც თავზარდაცემული ისე გიყსავით დავრბოდი თურმე, ეგონათ მწუხარებას ვერ ავიტან და ჭკუილამ შევცდები. დიდი სიყვარული გვქონდა. ისე ვიყავით, თითქო ერთი ხორცი გვაქვს და ერთი სულიო. დედა-თქვენიც — ვაი იმის დამკარგავსა — ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ზატსავით უნდა ელოცნა. ახლა იმისი მნახველი შენი რძალი ელისაბედიც იტყვის, მეც დედაკაცი ვარო. უი, (ორივე ხელით ჭოქოლას აყრის) მეხი კი დავაყარე, სწორედ მაგასა ჰგვანდა, აი, თუ არ დაუშლია. დედაკაცი ბძანდებოდა-მეთქი — მე თქვენ მოგახსენებთ — რომ სადედოფლო იყო სწორედ. შენი რძალი ელისაბედი კი არ ჩადგეს იმის ფეხში, აი ღმერთი იმას უშველის. მესამე დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვაქი.

(ლუარსაბი კიდევ ცრემლს იწმენდს). დიდი სამღვდელოება იყო მოპატრუებული. მოგახსენებენ, გვამის გასაპატიოსნებლად მამა-თქვენს არქიელიც უნდოდა მოეწვია, მაგრამ დროშკის ცხენები ვერ ეშოვნათ, რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ბალღები ღარჩით. თქვენა და თქვენი ძმა დავითი პატარები იყავით. შენ მაშინვე შემოიყვარდი, შენკენ მაშინვე უფრო მამიწევდა გული, არ ვიცი კი რად. დავითიც ხომ იმისი ნაშობი შვილი იყო, მაგრამ შენ ჩემთვის სხვა იყავი მაშინვე. მე ხომ შენ არ გეხსომები?

ლუარსაბი. არა, არ მახსოვხართ.

ხორეშანი. მგონი, არც კი იცი ვინა ვარ.

ლუარსაბი. დღევანდლამდე არც კი მინახვინხართ. დღეს კი ყმაწვილებმა მითხრეს, სუტ-კნენინა თუ გაგიგონია, აი ეს არისო.

ხორეშანი. (წამოხტება და პუბლიკისაკენ) ჭა, ვერ უყურებთ რაებს შიბედავს!

ლუარსაბი. (თავის-თვალ) ბიჭოს, რაზედ აიტყიცა.

ხორეშანი. ეგ რა სთქვი, ყმაწვილო? სუტ-კნენინა ვის ეკადრება!

ლუარსაბი. მაშეგ არა გქვიანთ?

ხორეშანი. (პუბლიკისაკენ) ჭა, სახელი ჰგონია ამ ტუტუცს. (ლუარსაბს) რა პასუხია? სუტ-კნენინა რად მერქმევა.

ლუარსაბი. რა ვიცი, მთელი ქვეყანა კი მაგას იძახოდა!

ხორეშანი. იძახოდა და ბევრიც მიუქარავთ. მე ხორეშანი ვარ, ხორეშანი. რა მიუქარავთ, თქვენი ჭირიმე: სუტ-კნენინაო!!

ლუარსაბი. მე სწორე სახელი მეგონა, უკაცრაოდ, არ ვიცოდი.

ხორეშანი. არ ცოდნა არ ცოდვაო. საქმე გამოჰლევიან და დაუყებდნიათ. ჰო, იმას მოგახსენებდი: აბა, საიღამ გეხსომებოდით. (პუბლიკისაკენ) სუტ-კნენინაო, პირში კი წამომასხალა და! (ლუარსაბს) შენ მაშინ სამის წლისა იქნებოდი, მე რომ ქმარი მომიკვდა. ის დღეა და ეს დღე, გამოვესალმე ქვეყანას, შინიღამ ფეხი არ გამომიდგამს. სინარული ჩემთვის აღარ არის, ქვეყანა ჩემთვის სულ შავებშია ჩაცმული. ვარ ესე უპატრონო, უნუგეშო, ჭკრივ-

ოხერი... (პუბლიკისკენ) სუტ-კენინაო!.. ვერ უყურებთ ამ სასაცილოს!

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეგ ყველა ყველა და ახლა მე რაო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მომიტევე კაღნიერება... ხომ მოგეხსენებათ, დედაკაცის გული ჩვილია. გული რომ ველარ მითმენს, რა ვქნა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. დედაკაცო და, მე რა შუაში ვარ, რომ გული არ გითმენს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რაცა ხარ, შენა ხარ, შენ გენაცვალოს შენი ხორეშანი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. აღარა ხუმრობ, აი!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ხუმრობა რას მიქვიან. რა ვქნა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, აქ (გულზედ ხელს იღებს) რომ ცეცხლი მიკიდია, ის მაღაპარაკებს მე უბედურსა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისკენ) დახე ამ ქოფაკსა, ჩემი ღიყვარულიც ჩავარდნია მითამ. (ხორეშანს) რა ღროს თქვენი ეგუებიო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მეც მაგასა ვჩივი და ვტირი, რომ ეგრე უდროოდ დავნელდი და დავიღუპე. რაღა გაგიგებლო, შენ გეთაყვანე, მოკლე სიტყვა სჯობია...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (პუბლიკისკენ) ღმერთი-რჯული, მეტყვის, შამირთეო. (ხორეშანს) არა, დედი, არა... თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იქნება თავი მოგაწყინე ჩემს ბედშობაზედ ლაპარაკითა. ჰო, იმას მოგახსენებდი: თქვენ სამის წლისა იქნებოდით, მე რომ ქმარი დავკარგე...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კიდევ ეგ არის და! მე ჯერ ძუძუ-მწოვარა ვყოფილვარ, რომ შენ ერთი ქმარი ამოგიჭამია კიდევ, და საიღამ სადო. ღვთისა მაინც აღარ გეშინიან?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ღვთისა რად უნდა მეშინოდეს, შენ გენაცვალე. მე ღვთის უნებურს საქმეს არა ვჩადი; ცოლ-ქმრობა იმისაგან არის დაწესებული, ვენაცვალე იმის მადლს. მე იმის სახელით და ნებით მოვსულვარ. აი, დამაცადეთ, გაიმბოთ...

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ფიე! რას გადავეკიდე, თქვენი ჭირიმე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჰო, იმას მოგახსენებდი: ის დღეა და ეს დღე,

მოგშორდით და აღარ მინახეხართ. მაგრამ გულით კი ისევ თქვენთან ვიყავი. აბა, მიყვარდით და სიყვარული არ მასვენებდა.

ლუარსაბი. კიდევ! დამეხსენ ერთი, თუ ღმერთი გწამს. ხორეშანი. (პუბლიკისაყენ) რა ვქნა, ცეცხლს რაზედ იგიღებს ეს ყმაწვილი...

ლუარსაბი. მაგ დროული დედაკაცი!.. დედად შემეფერებო, რომ სხვა არა იყოს რა.

ხორეშანი. უი, შენ კი გენაცვალოს ხორეშანი, რომ დედის შენის ანდერძს არ გადასდიხარ. რა ვუყოთ, რომ დედად შეგეფერები? დედის შენის ნებაც ეგ იყო.

ლუარსაბი. (გაოცებით) რაო?

ხორეშანი. მოგახსენო. ერთს ღამეს — აი ეს სამი თვეც არ იქნება—დამეძინა...

ლუარსაბი. (პუბლიკისაყენ) აი ნეტავი აღარ გაგელვძინა.

ხორეშანი. ვნახოთ, ღრმა ძილში რომ ვარ, ერთი სასწაული მომევიღინა. ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქმოფენილი, განწმენდილი და განსპეტაკებული, თვალწინ გამომეცხადა.

ლუარსაბი. (პირჯვარს იწერს) როგორ? ისე ცხადად, ცხადად?

ხორეშანი. სიზმარს მოგახსენებ, მაგრამ ისეთი სიზმარი იყო, რომ ბევრს ცხადსა სჯობია. ხორეშან, მიბძანა სულმა ცხოველმა: მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და განსპეტაკებული. მაშინვე მუხლზედ მოვეხვიე დედი-თქვენის სულს...

ლუარსაბი. რაო?

ხორეშანი. დედი-თქვენის სულს-მეთქი. დედი-თქვენის სული ბძანდებოდა (ლუარსაბი პირჯვარს იწერს) მუხლზედ ნუ მეხვევი, ნუ, მიბძანა ხელახლად.

ლუარსაბი. (პირჯვარის წერით) რატომო?

ხორეშანი. მე შენგან გული მტკივაო. რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსაო. დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდაო. ლუარსაბს რატომ არა ჰპატრონობო. ეგ არის შენი ალექსანდრო? სამი ღამე

ერთმანეთზედ მომევიწიებოდა და სულ ამას მიბძანებდა, შენგან დაუტირებელი არ მოგვცდე.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემზედაც ჯავრობდა?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაჲნ) ფონს მივაგენი. (ლუარსაჲს) ჯავრობით კი არა ჯავრობდა, მაგრამ არ იყო, რომ ცოტა სამღურავივით არ შემოგითვალა: რატომ ცოლს არ ირთამ და არ გამახარებო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემი რძალი კი იძახის, რა დროს შენი ცოლიაო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ფუ, ეშმაკსა!.. აბა, იმ ანგელოზის სულთან შენი ეშმაკი რძალი რა სახსენებელია!.. ჯვარი აქაურობასა... ჰო, იმას მოგახსენებდი: თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, უფლისა წინაშე მე აღთქმა მივეც, რომ პატრონობა გაგიწიო, და აბა როგორ ვუღალატო. აი დღეს მოვიდა ჩემი აღთქმის დღეცა. რა წამსაც დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგეყებია საცოდავი ქალი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ქალი? მაშ წელან... დიდება შენთვის, ღმერთო, სწორედ გადავირიე...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამან ყათილის მხარ-ბეჭი, სიტუტრფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. უი, მშვენიერთა მშვენიერო!..

ლ უ ა რ ს ა ბ ი. კიდევ!.. ერთი კარგად გამაგებინე, ი.უ ღმერთი გწამს: შენა ხარ, თუ სხვა.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! სხვა რა პასუხია? თვითონ მე ვარ, მე, ხორეშანი, დედი-შენის გულითადი მეგობარი-მეთქი. სხვა რად ვიქნები.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ახლა, თუ ადამიანისა არა გრცხვებიხ, ღმერთისა მაინც არ გეშინიან!.. მაგ დროული დედაკაცი...

ხ ო რ ე შ ა ნ ი. დროული რა პასუხია! ქალს ქალობით მიწუნებ თუ? (პუბლიკისაჲნ) ქა, იქნება შეუტყვია, რომ მახინჯია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მიწუნებო!.. დედაკაცო, გაგიუდი, თუ რა დაგმართვია. არ დამეხსენები?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაჲნ) შეუტყვია, თქვენმა მზემ და დავილუპე კიდევ. (ლუარსაჲს) შენმა გარდაჲ, ქალს ვერ დამიწუნებ, ვერა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვერ დაგიწუნებ, კი არა, მეტსაც ვიზამ. გაგონილა, თქვენი ჭირიშე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) სწორედ, შეუტყვია. (ლუარსაბ) ვერა-მეთქი, შენმა გარდამ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ფიე!.. ახლა ძალად მომაწონებ, რაღა!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ურიგო არ არის, შენ ნუ მოუტყვებდი ჩემს თავს. როგორი ყარამანიც შენა ხარ, ისეთი სალბიხურამან ის არის.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ისა, დედაკაცო?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. სწორედ ტარიელ და ნესტან-დარეჯანი იქნებით, ორივე რომ ერთად შეგყაროთ. არც გვარი და ჩამომავლობა აქვს დასაწუნი: ძმათი გვარი მუხრან-ბატონთან ერთს ფურცელზედ არის თურმე ჩაწერილი.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვისი? რას ამბობ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ვისზედაც გელაპარაკები. კაი ქალი, კაი ოჯახი, სახელგანთქმული ნათესაობა — ერთი ბიძა მაიორი ჰყავს, მეორე — დიამბეგია ყაზახ-ბორჩალოში, ფულიცა აქვს მზითვად, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო პარკში აქვს გამოკრული იმის მამას. მეტი რა გინდა?

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ის მინდა, რომ ერთი შემატყობინო, ვისზედ ლაპარაკობ, სწორედ გამაგებინე, თორემ ჯავრით ლაშის გული ბუდიდამ ამომიხტეს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მერე დედი-შენის სურვილიც ეგ არის. ის ახგელოზი ამას წინათაც მომეგლინა და შიბძანა: შენის ბიძაშვილის ქორწილში წადიო, ლუარსაბიც იქ იქნებაო, და ჩემ მაგიერ უთხარი, უთუოდ ის ქალი შეირთოსო, ბედი კარზედ მისდგომიო, ელისაბედს ნუ გაახარებს და ბედს ხელიდამ ნუ გაუშვებსო. მეც აბა რას ვიქმოდო, ავდექი და წამოვედი, თორემ ქორწილებში სიარული რა ჩემი საქმეა — ერთი ქვეყანას განშორებული დედაკაცი ვარ, სულის საქმეზედ შემდგარი. მოვედი და თვალი მოკკარი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურ ქალის გულში, უბედურს-მეთქი, იმიტომ — რომ იქნება შენ იმაზედ არც კი ჰფიქრობ და ის კი სანთელსავით იქა დნება.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ვინ ქალია?

ხორეშანი. აბა გამოიცან.

ლუარსაბი. ფული რა ერთი აქვს, ფული?

ხორეშანი. ორასი თუმანი, სულ ბაჯაღლო ოქრო.

ლუარსაბი. მამაცა ჰყავს?

ხორეშანი. დიდი გათქმული და სახელოვანი.

ლუარსაბი. არც ქვრივია?

ხორეშანი. ქვრივი რად იქნება? გასათხოვარია.

ლუარსაბი. ეგრე იტყოდი, "შე დალოცვილო, წელანვე და გაათავებდი. მე კი საიღამ სად წავედი. კინაღამ არ გავ-
ბრიყვდი და ე დარბაისელი დედაკაცი არ გამოგლანძღე.

ხორეშანი. გეგონა ქვრივსა გრთავდი და იმიტომ განა?

ლუარსაბი. რაც მეგონა; ის მე ვიცი. ახლა სახელს აღარ
მეტყვი?

ხორეშანი. დიამც იყოს... გძელადიანთ ქალი.

ლუარსაბი. მოსესი?

ხორეშანი. ქა, შენ ვინ გითხრა?

ლუარსაბი. ვიცი, რომ ის არის.

ხორეშანი. საიღამ, ქა?

ლუარსაბი. ორას თუმანს მზითებს იმისას ამბობენ. კაი
ფულია, მე და ჩემმა ღმერთმა.

ხორეშანი. არც ქალია ურიგო, "შენ ნუ მოუკვდები ჩემს
თავს. ზომ არ გინახავთ?

ლუარსაბი. არა, მაგრამ ერთხელ სადღაც ყური მოგვარ
და მას აქეთია იმ ქალზედ შამივარდა გული, და რაკი დე-
და-ჩემსაც უბძანებია...

ხორეშანი. დედი-შენის ბძანებაა საქმე, ჩემო კარგო, თო-
რემ სხვა ქალი განა არ იშოვება. უთხარი ლუარსაბსაო,
ეგ ქალი შეირთოსო, თუ უნდა რომ დედა აქ, საიქიოს,
მინც გაახაროსო. ამაზეა, შვილო, ნათქვამი, ცოლ-ქმრო-
ბის საქმე ცაში რიგდებაო. უჰ, რა-რიგად გაუხარდება
ქალსა! მაშ ნებას დამრთამ შენ მაგიერ ვილაპარაკო? უჰ,
რა-რიგად გაუხარდება ქალს-მეთქი, რა-რიგად!

ლუარსაბი. თორემ მაშა კი, შე ვიცი, ცხვირ-ზევით აიცი-
ლებს.

ხორეშანი. აიცილებს კი არა, იქნება მეტიცა ქნას. შენ მაშ
გძელადიანთ მოსეს არ იცნობ? ხელმწიფის შვილმა რომ

სთხოვოს, იქნება მაშინაც დაფიქრდეს, ასეთი კაცია.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მაშ იმისაგან არა ხარ მოგზავნილი?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. რას ბძანებ... იმისგან რომ ვიყო, საქმე ხომ გათავებული იქნებოდა. ის არის, რომ თითონ მამა დიდს უარზედ დგას.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. მითამ რაში მიწუნებს? გვარი იმაზედ ნაკლები მაქვს, თუ ოჯახი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ახლა ხომ მოგეხსენებათ, პატარა თავმომწონე კაცია. დიდი ცდა უნდა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ცდა კიდევ შენს ხელშია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ცდა ხომ იქნება, მაგრამ სხვაც არის საჭირო. ხომ გაგიგონია, მშრალი ლუკმა კაცს ყელზედ დაადგებაო. ქრთამი უნდა, ქრთამი, ჩემო კარგო.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ჩემს კისერზედ იყოს. მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. იქნება ჩემს გასამჯელოზედ ამბობდე. უი, შენ გეთაყვანე, შენა! მაგას ვინ მოგახსენებს? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია გათქმულია. თუნდ ეგეც არ იყოს, დედის-შენის შვილს მე უნდა გამოვართვა რამე? მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არა ვიქ... ეგ შენ იცი და შენმა გულუხვობამა.., მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო. ერთი ოცი იოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობელნი შეძლებისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძინათ მოსესათვის ბეჭედი, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დაეუღბოთ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ეხლა სად ვიშოვო ოცი თუმანი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. მაგაზედ ნუ შესწუხდები. შენ თამასუქი მომეც და ფულს მე გიშოვი. (პუბლიკისაკენ) მეტი რა გზაა.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ბატონი ხარ, თუნდა ეხლავე.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეს კი უნდა იცოდე, ჩემო კარგო, დიდს სარგებელს გამოვართმევინ.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. რა ვუყოთ? როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. რაც უნდა გამომართონ. მე საღერღელი ამეშალა კიდევ-და!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისაკენ) ჰო, ვაცხონე მამა-შენი! მეც ეგ

მინდოდა. (ლუარსაბს) მაშ ყური დამიგდე. შენ ჯერ უარზედ დადევ. ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი მაგრა დააჭირე. იქნება იმ ქოფაკს გძელაძეს, როცა დავიყოლიებ, ჭახრაკი ახლა შენიდამ მოვუჭიროთ და მზითები მეტი დავსტყუოთ. შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

ლუარსაბი. ძალიან კარგად. რა სულელი მე მნახე, რომ არ მესმოდეს.

ხორეშანი. (პუბლიცისკენ) არც კი სოლომონ ბრძენი ბძენდები, თუ მკითხამ. (ლუარსაბს) მაშ ეხლა მე ვიცი. დღესვე თამასუქს დავაწერინებ, შენ ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

ლუარსაბი. თამასუქი წინ მოგცე?

ხორეშანი. მაშ, ქა! წელან შენვე არა სთქვი, თუნდ ეხლავეო.

ლუარსაბი. ესთქვი რა, განა ჩემი სიტყვა ბეჭედიან. სიხარულმა ამიტაცა და მათქმევინა.

ხორეშანი. მაშ ფულს ისე ვინ განდობს? მე თითონ რომ მქონდეს, ხომ იცი, არ დაგიჭერდი. სომეხს უნდა გამოვართვა. აბა, სომეხი ისე გვანდობს?

ლუარსაბი. მეტი რა ჩარაა. კარგი, ეგრე იყოს.

ხორეშანი. მერე როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი ვარ, ერთი ორჯერ პურს მაინც მაჭმევ... შენი გვარი გულუხვობაში და პურმარილობაში გათქმულია.

ლუარსაბი. ეგ ხომ ეგრე იქნება და. ერთი ეს მითხარ, ქალი მართლა კარგია?

ხორეშანი. წიგნში და ხელთ-საქმეში ისე გაწურთნულია, ისე გაწურთნულია, რომ რა გინდა, სულო და გულო, იმან არ იცოდეს.

ლუარსაბი. წიგნი რა ჯანაბად მინდა. დიამბეგად დავსომთუ? შენ ერთი ეს მითხარ, ელფერზედ როგორია.

ხორეშანი. მაგას ნულარა მკითხამ, კალმით ნახატია, კალმით. (პუბლიცისკენ) აგრემც ღმერთი უშველის გძელაძიანთ მოსეს.

ლუარსაბი. მაშ ჯერ უარზედ დავდგე, რაღა.

ხორეშანი. გეუბნები, ჰო-მეტყი. ამას შენთვის ვამბობ, თორემ შენ თითონ იცი, მე აქ გამორჩომა არა მაქვს, ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მომცემს. ახ, ნეტავი კი ეს საქმე მოვახდინო და! სწორედ გვრიტები იქნებით, გვრიტები!.. ბევრი არ შემოგნატრებენ!

ლუარსაბი. მაშ ერთი აუჩქარე, შენი ჭირიმე, თუ ეგრეა.

ხორეშანი. მე ვიცი და ჩემმა დედაკაცობამ. ოცი თუმანი კი, თავისის კუთვნილის სარგებლით, ჯვარს დაიწერ თუ არა, მაშინვე უნდა ჩამაბარო, მოვალეს მივცეთ, თორემ ესტიბარს გამიტეხ.

ლუარსაბი. მაგისი ფიქრი ნუ გაქვს.

ხორეშანი. ეხლა წადი, ამხანაგებში გაერიე, აქ არავინ დაგვინახოს, თორემ ზომ იცი, კუდს რასმეს გამოაბმენ.

ლუარსაბი. მშვიდობით. აბა შენ იცი. (გადის. ხორეშანი მეორე მხარეზედ აპირებს გასვლას და წინ შეეფეთება მოსე გძელაძე).

გამოსვლა 7.

ხორეშანი და მოსე გძელაძე.

ხორეშანი. უი, ქა, გული კინალამ გამიხეთქე კი და!, მოსე. აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო, ქალია თუ ვაჟი?

ხორეშანი. ვაი რომ ქალია.

მოსე. რაო? არ ირთამს?

ხორეშანი. არა.

მოსე. რას ამბობს?

ხორეშანი. ქალი არ მოსწონს. ნუ გეწყინება კი და უპარილო არისო.

მოსე. ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე?

ხორეშანი. არსად, მაგრამ ვილასაც სულის მტერს უთქვამს.

მოსე. მაშ თუ არ უნახავს, ბურთი კიდეც ხელთა გვქონია.

ხორეშანი. როგორ?

მოსე. თუ შენ შემეწევი, ჩემო საყვარელო დაო, და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდეც საქმეზედ მოვა.

ხორეშანი. აბა, გეთყვავ, მე რაღა ხევეწნა მეჭირება. შენ-
თვის ხომ თავსაც არ დავიზოგავ. (პუბლიკისაჲენ) აგრეჲც
ღმერთი გიშველიდეს.

მოსე. მაშ თუ ეგრეა, ყური მომიგდე: ჩვენი გოგო ვარდისა-
ხარ როგორ მოგწონს.

ხორეშანი. (პუბლიკისაჲენ) ჰმ, მესმის. ეხლა კი გავაბი ოც
თუმანში, თქვენმა მზემ. (მოსეს) ერთი ტურტა რამ არის,
მარილიანი.

მოსე. უფრო კარგი არ იქნება, ჩემის ქალის ტანისამოსით
რომ მოვრთოთ?

ხორეშანი. ერთი ორად დაშვენდება.

მოსე. ახლა შენ რას იტყვი, რომ ნიშანის მომტანს ის გოგო
ვაჩვენოთ ჩემის ქალის მაგიერ.

ხორეშანი. უი, ჩემს თვალებსი ეგ რა პასუხია. ქა! ნიშანის
მერმედ საქმრო რომ მოვა ქალის სანახავად, მაშინ რაღას
იზამ?

მოსე. იქამდინ ვილა დააცლის. ღღეს რომ ნიშანი მოიტაცოს,
მესამე ღღესვე ჯვარის წერა დაუწიშნოთ. საღლა მოი-
ცლის, რომ ქალის სანახავადაც მოვიდეს. იმათაც მომ-
ზადება უნდათ.

ხორეშანი. ჯვარის საწერად ხომ მოვა, მაშინ რაღასა იქ?
გვირგვინქვეშაც გოგოს ხომ ვერ დაუყენებ?

მოსე. მერე მე ვიცი, შენ ოღონდ მანდამდე მოიყვანე საქმე,
მერე ჩემი კისერი იყოს.

ხორეშანი. არა, გეთყვავ, მე მაგ საქმეში ხელი დაძიბანია.
მე მაგას ვერა ვიქ. ეხლავ გეუბნები.

მოსე. რატომ?

ხორეშანი. იცის, რომ ქალი არ გივარგა და აბა როგორ
მოვატყუოთ?

მოსე. ახლა სასაცილოდ მიგდებ, რაღა. შენი ხელობა ეგ არის,
ჩემო ხორეშან, და მე მეკითხები? განა თითონ არ იცი,
ჩემგან ჰკვა არ გესწავლება, მაგრამ დამცინი, რაღა. ეჰ,
შენც ერთი! აღამიანო, ნიშნის მომტანი რომ მოვა და იმ
გოგოსა ნახავს, არ მივა და არ ეტყვის: რას გაგიუბულ-
ხარო, ქალია, რომ თვალეები ზედ დაგრჩებაო. თუნდ ეგ
არ იყოს, ერთი ხუთიოდ თუმანი და იმისი ჯანი, ასეთს

ავალპარაკებ, რომ...

ხო რე შ ა ნ ი. ძმა რომ გამოჰგზავნოს?

მოს ე. უფრო კარგი. ზომ იცი, ჩვენ ქართველობაში ძმა უფრო გაიმეტებს ძმას, ვიდრე უცხო ვინმე. იმას უფრო მალე დავაღბობ ქრთამით. თუნდ ეგ არ იყოს, რასაც თავის თვალთ ნახავს, ის არ უნდა უთხრას? თორემ ფულიც ზომ არა მშურს.

ხო რე შ ა ნ ი. არა, გეთაყვანე, მე მაგ ცოდვაში ვერ ჩავდგები, ერთი სულის საქმეზედ შემდგარი დედაკაცი ვარ.

მოს ე. (პუბლიკისაყენ) აი, ღმერთი შენ გიშველის.

ხო რე შ ა ნ ი. აი შენი ბედ მოცემული ხუთი თუმანი. (ფულს აწვდის) მე კი ხელი დამიბანია. (პუბლიკისაყენ) მართლა კი არ გამომართოს და!

მოს ე. (არ ართმევს) მაშ მალატობ! მაშ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა! მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრალება! შენს სულს რაღას ეუბნები? ეჰ, მუხთალო წუთისოფელო! სულ ტყუილი ყოფილა პურ-მარილიც, პატივის-ცემაც, სიყვარულიც და მეგობრობაც! სულ ფუჰ, ფუჰ! ეჰ, შენი ნებაა. ეს კი იცოდე, რომ გულში შხამწასმული ისარი გამიყარე, სპილენძის ტყვია მომარტყი, სპილენძისა, უსისხლოდ სული ამომხადე, ურჯულო ლეკსავით დამკალი.

ხო რე შ ა ნ ი. შენ ნუ მომიკვდები, მოსე, და იმ შენის სახის ჩემს უბედურს ქმარს პირშავად არ შევეყრები საიქიოს, რომ შენის ოჯახისათვის, შენის სამსახურისათვის თავს არ დავიზოგავდი, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც.

მოს ე. (პუბლიკისაყენ) ფულზედ მიდგა საქმე. (ხო რე შ ა ნ ი) რა გუყოთ, რომ არის? განა ჩვენ კი არ ვიცით სამსახურის გადახდა, რა უმაღლური კაცი მე მნახე. ათი თუმანი არ დაგპირდი, ხუთმეტი იყოს, შე დალოცვილო.

ხო რე შ ა ნ ი. აბა, გეთაყვა, ფული რა სახსენებელია. თმით მათრევენ სიბერის დროს, თმით. სულს წავიწყებდ, რომ სხვა არა იყოს რა.

მოს ე. ოცი იყოს.

ხო რე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) მეტს ავა. (მოსეს) ეჰ, შენც ერთი.

გეუბნები, აქ ფული სათქმელი არ არის-მეთქი. საქმე დიდი გასაბედვია.

მოსე. ოც-და-ხუთი იყოს.

ხორეშანი. დიდი თავის გამომეტება კი უნდა.

მოსე. ხომ მოხერხდება?

ხორეშანი. ეჰ, შენც ერთი: ცის ქვეშეთ რა არ მოხერხდება, შენა თქვი, კაცმა თავი გაიმეტოს...

მოსე. ოცდა ათი იყოს. მეტი კი აღარ შემიძლიან, თუნდა აქავ აქ მოსაჭრელი თავი (ყვლზედ აჩვენებს) აქ მომპერი (გულზედ აჩვენებს).

ხორეშანი. რატომ, რატომ, ყველაფერი შეიძლება. მაგრამ ნიშნობაში კი მეც უნდა ვიყო, რომ თუ მოხერხდეს, „ჩისტად“ მოხერხდეს. ეს არის ჭირი, ამ კაბით ხომ არ მოვალ.

მოსე. ბაშუსტა! კაბაც შენი ჭირის სახაცვლო იყოს.

ხორეშანი. მაშ ყური მათხოვე. თუ დავიყოლიე, მე იმას ნიშანის მოსატანად ძმას გამოვაგზავნივ. შენ მართალი სთქვი წელან, ჩვენში თუ ძმამ ძმას თვალი არ გამოსთხარა, სხვა ვინ გამოსთხარის. ძმას გამოვაგზავნივ, მეხ გოგო ლამაზად მოჰრთე, ეცადე კი არავინ გაგვიგოს. წესამედღეს ქორწილი უთუოდ უნდა მოახდინო. მოიგოთე რამ მიზეზი, ჭკვიანი კაცი ხარ. მერე ხომ შენ იცი. ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება. ფული კი სულ ეხლა მიბოძე.

მოსე. აბა, ეხლა ხელად მაგოდენა ფული საიდან მექნება, სხვის სახლში ვარ სტუმრად. ნიშნობა გათავდება თუ არა ფულს დიდის მადლობით უნაკლულოდ ჩაგაბარებ. ეხლა კი ეგ ხუთი თუმანი ისევ ბედა გქონდეს. თუ არა და, ეგეც მე მიბოძე და სულ ერთად მოგართმევ. აბა მე უფრო კარგად შევინახავ.

ხორეშანი. (პუბლიკისაკენ) მამა გიცხონდება. (მოსეს) ოცი მაინც იყოს ეხლა. რა ვიცი, იქნება როგორ დაჰქირდეს.

მოსე. არა მაქვს-მეთქი თან, ხორეშანის სიცოცხლემ. აჰა, ოც-და-ხუთი მანეთი კიდევ მიგდია ჯიბეში, თუ გნებავს, ამასაც მოგართმევ. (იღებს ჯიბიდან).

ხორეშანი. ეჰ, რაც არის, არის, ფულის გულისათვის როგორ შეგაწუხო, ათი მაინც შეასრულე. შენს საქმეს მოვახმარებ, თუ გამიჭირდა, თორემ მე ამის სიხარბე არა

მაქვს.

მოსე. აჰა, ჯანი გავარდეს ამ ხუთ თუმანსაც. (აძლევს) ალა-
ლია, ღვთის წინაშე, შენისთანა კაი დედაკაცისათვის.

ხორეშანი. საკაბე კი მალე მიბოძე, რომ შეეკერვა მოვას-
წრო.

მოსე. მაგ ათ თუმნიდამ შეიკერე და მერე გავსწორდებით.
აბა, ხორეშან, ცხენები შეაკაზმული მიღვა, შინ მივდივარ,
შენ იცი და შენმა დედაკაცობამ (გაღის).

ხორეშანი. ფიქრი ნუ გაქვს. დანარჩენი ნიშნობის ღამეს,
აი, ოცი თუმანი. საკაბეშიაც უნდა გავსწორდეთ, იცოდე.

მოსე. (მობრუნდება და კარებიდან) მაშა? ჩემი სიტყვა სიტყვაა.
მშვიდობით.

ბამოსვლა 8.

ხორეშან და ელისაბედი (მეორე მხრიდან შემოდის და აქეთ-იქით იყურება,
ხომ არავენ არისო).

ხორეშანი. ქა! ამას რაღა მოარბეინებს ჩემთან, იქნება შე-
იტყო?

ელისაბედი. ხორეშანს ვახლავარ, ჩემს დაუვიწყარს ხო-
რეშანს. ეგრე უნდა, ხორეშან, ამოდენა ხნის ნაცნობები
ვართ და ერთხელ არ შემოგიხედნია ჩვენკენ. ხორეშანი
მომიკვდეს, ხორეშანი, თუ დღე და ღამ ამ ფიქრში არ
ვიყო: ნეტა ეს ხორეშანი ჩვენსა რატომ არ დადის-მეთქი.

ხორეშანი. (პუბლიკისაყენ) უი, შენ მოუკვდი ხორეშანს, რაც
მაგას მართალს ამბობდე!

ელისაბედი. აი დღესაც აქ მითხრეს, შენი ხორეშანი აქ
არისო, ქორწილში. ისე ქორწილი არ მიამა, როგორც ეს
ამბავი. ამოდენა ხალხში გეძებე, გეძებე და ვერა გნახე.
ბოლოს მითხრეს, აი იქ ფანჯატურებში დასეირნობსო.

წამოვედი და ძლივს გიპოვე. ეგრე უნდა, ხორეშან, ეგრე?

ხორეშანი. რა გქნა, შენ გენაცვალე. ერთი ქვრივ-ოხერი
დედაკაცი ვარ, ვგდივარ ჩვენს სოფელში, ჩემს ქოხში,
ურემი მე არ მაბადია და მსლემგელი, რომ წავიდე სადმე

და ჩემის კეთილის-მყოფელის სურვილი მოვიკლა. თქვენი სოფელიც ჩვენზედ არც ისე ახლოა, რომ ფეხით მაინც გადმოვიდე, და ვარ ასე ქვეყანას მოშორებული. ეხლაც თუ აქა მხედავთ, ისიც იმიტომ, რომ მასპინძელი ჩემა ბიძაშვილია, ურემი გამოეგზავნა და შემოეთვალა, შვილთა ვაქორწილებო და უშენობა არ იქნებაო, გადმოდიო. აბა, შენ გეთაყვანე, ლხინია, თუ ტირილია, ნათესავი ნათესავს ვერ გამოაკლდება. სხვებზე როგორ გიკითხვით, კნენა ელისაბედ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეართ, რაღა, ამ წუთისოფლის მაყურებელნი.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. კნიაზი, თქვენი შვილები, ხომ კარგად სუფეგენ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მადლობელი ვარ. ახლა, ჩემო ძვირფასო ხორეშან, შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. უი, შენ გეთაყვანე, შენა! შენ, დიდებულის ქმრის პატრონს, ისე რა გაგიჭირდება, რომ ჩემებზე ბედშავთან სათხოვარი გქონდეს. ხუმრობ, შენ ნუ მოუქვდები ჩემს თავს, ხუმრობ, აბა იმ ხელმწიფე ქმრის პატრონი...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხორეშანის სიცოცხლემ, მართალს გეუბნები; ძალიან დიდი სათხოვარი საქმე მაქვს, ძალიან დიდი, პირობა კი უნდა მომცე—ამისრულო.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ქა! შენ მიბძანო და არ აგისრულო! ეგ რა ბძანე?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ვიცოდი, ჩემო ხორეშან, რომ მაგას იტყოდი. თუმცა კი თვალი ერთმანეთზედ შორსა გვქონდა, გული კი ახლო გვქონია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. (პუბლიკისკენ) აგრემც ღმერთი გიშველის. (ელისაბედს) ბძანე, შენ გეთაყვანე, ბძანე. მე ღირსიც არა ვარ თქვენის ბძანებისა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხომ იცი, ჩემო ხორეშან, მე ერთი მაზლი მყავს, ოცის წლის ყმაწვილია, უცოლო. ლუარსაბს უნდა იცნობდეთ?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. არა, გამიგონია კი. მერე, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი.

ელისაბედ ი. ახლა როგორც სახლში უფროსი, მე იმის მოვალეობაში ვდგევარ. მე უნდა ვუპატრონო, დავაბინავო, ცოლი შეერთა. აბა, ზომ იცი, ჩემის მეტი პატრონი არავინა ჰყავს.

ხო რე შ ა ნ ი. ცოლის შერთვას უბირებთ?

ელისაბედ ი. დიახ, ჩემო ზორეშან. რა გქნა? ჩემი მოკალღობაა, დედაც იმისი ეხლა მე ვარ და მამაცა.

ხო რე შ ა ნ ი. თითონ ყმაწვილი კი მოწადინებულია?

ელისაბედ ი. არა, მაგრამ მინამ მე ცოცხალი ვარ — რა ვიცი, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ — მინდა, რომ ის დაბინავებული ვნახო. მადლის საქმეა, სხვა არა იყოს რა, აბა ყმაწვილია, არსად არ გააბან-მეთქი.

ხო რე შ ა ნ ი. კარგად გიფიქრიათ, თქვენმა მზემ. აბა, ვისაც გულ-შემატკივარი რძალი ჰყვანდეს, თქვენისთანა. (პუბლიკისაყენ) კარგი ამბავი არ იქნება, ამანაც ქრთამი ზომცეს, ცოლი შეპრთეო.

ელისაბედ ი. მაშ, შენ გეთაყვანე, ნათესაობა და თავისიანობა მისთვის არის გაჩენილი, თუ დიდი პატარას უპატრონებს.

ხო რე შ ა ნ ი. ოღონდაც, ოღონდაც!

ელისაბედ ი. ახლა შენ იმასა გთხოვ, რომ კაი ოჯახის ქალი ამოუჩიო.

ხო რე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) აკი მოგახსენეთ, ეს ლა აკლია, გძელაძიანთ ქალი შემეხვეწოს.

ელისაბედ ი. არავინ გეგულება იმისთანა?

ხო რე შ ა ნ ი. აბა ვინ უნდა მეგულებოდეს?

ელისაბედ ი. გძელაძიანთ მოსეს ქალს რა უჭირს?

ხო რე შ ა ნ ი. (პუბლიკისაყენ) ქა! ეს რა კაი ფეხზედ ამდგარვარ მე დღეს?

ელისაბედ ი. ერთი ეს კია, რომ საცა მაგათ გვარის ქალი შესულა, უშვილობით ამომწყდარან. აი, ჯიმშერიანთ ვასო, პაჭიჭიანთ პეტრე, წერვაძიანთ ივანე, მუხუდაძე სოლომონ. სულ გძელაძიანთ ქალები არა ჰყვანდათ? ზოგს ისე მოუკვდა ცოლი, რომ შვილი არა ჰყოლია, ზოგი თითონ მოკვდა ისე, რომ შვილი არ დარჩენია. შენ ზომ არა შეგიტყვია რა?

ხორეშანი. მართალია, გძელაძიანთ გვარის ქალს მოსდგამს უშვილობა. (პუბლიცისკენ) მიგიხვდი, ქალბატონო.

ელისაბედი. ეგ მაშინებს და მალონებს, თორემ რა უჭირს მოსეს ქალს.

ხორეშანი. (პუბლიცისკენ) მე ვიცი, შენ რაც გაშინებს. (ელისაბედს) მართალია, ჯიში მაგისთანა აქვთ, მაგრამ ყველაფერი ბედაა.

ელისაბედი. მეც მაგის იმედითა ვარ. პა, ხორეშან, შენ რას იტყვი?

ხორეშანი. რისას?

ელისაბედი. გძელაძიანთ მოსეს ქალისას, ძალიან აქებენ ხორეშანი. არა, მოდგმით კი მოსდგამთ, მაგრამ... მოსე გძელაძე თქვენის მაზლისათვის არ გაიმეტებს თავის ქალს. თუ პოლკოვნიკი არ არის, ქალს არ მივცემო.

ელისაბედი. თუ შენ მოინდომებ...

ხორეშანი. არა, შენ გეთაყვანე, მიბძანე წყალში გადავარდიო, გადავვარდები, და მოსე გძელაძესთან კი არ მიგეზავნები. აბა, წინათვე ვიცი, თავი თავს არ მოვა, და რაზედ შევრცხვე ეს დროული დედაკაცი. მეტად მალა იწევს თავს.

ელისაბედი. ხორეშან, ჩემო ძვირფასო დაო! უარს ნუ მეუბნები. აბა, შენთვისაც მადლია და ჩემთვისაც, იმ ობოლს ლუარსაბს ბინა გავუჩინოთ, თორემ დაიღუპება, ყმაწვილია, ვინ იცის რა-რიგად წაიხდინოს თავი. არა, შენ გეთაყვა, შენც შეგიტყვია, რომ გძელაძიანთ გვარს ქალს უშვილობის მოდგმა აქვთ?

ხორეშანი. როგორ არა. ეგ მთელმა ქვეყანამ იცის, ვანა მარტო მე და თქვენ.

ელისაბედი. ახლა იქნება მოსეს ქალს არ გამოჰყოლია. წელან შენვე არ სთქვი, ყველაფერი ბედის საქმეაო? მართალია, ჩემო კარგო, ქალი ძალიან საოჯახო ქალიაო, კაი მზითები აქვსო, და მეტი რა უნდა? დანარჩენი ღვთის ნებაა. ნუ მეტყვი, გეთაყვა, უარს, თუ ღმერთი გწამს, ხელი მოჰკიდე.

ხორეშანი. არა, შენი ჭირიმე, წელანაც მოგახსენებ, შენის გულისათვის თუნდა წყალში გადავვარდები, და მაგას

- კი ნუ შემომაკვთა მოსე გძელაძე მოკედება და მაგას არა იქს. ვიცი იმისი ამბავი.
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მადლის საქმეა-მეთქი, ობოლი ყმაწვილია, თორემ შენს გასამრჯელოსაც წინ არ ვუდგევარ. როგორც განდა, მიმსახურე.
- ხორე შ ა ნ ი. მიმსახურე, რა ბძანებაა! თქვენ ბატონი და მე თქვენი ყურმოჭრილი ყმა. უი, ჩემს თვალებს! მაშასწაურეო. მე უნდა გემსახუროთ, მე!
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაშ თუ ეგრეა, ხელი ხელს, ჩემო ხორეშან, და მადლი ღმერთს. (ხელს გაუწვდის).
- ხორე შ ა ნ ი. (ბუბლოცისაყენ) ამისი ცარიელი ხელი რა მეპიტნავენა, თქვენი ჭირიმე.
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რაღას ჩაფიქრდი, ჩემო ხორეშან!
- ხორე შ ა ნ ი. არა, გეთაყვა, ტყუილად თავს ვერ შევირცხვენ, მძიმე ტვირთია.
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა, ვიცი, წასვლა-მოსვლა მოგჯნდება, მაგას ხარჯი უნდა, აი სახარჯოც, ჩემო ხორეშან. (აწვდის ფულს) ცოტაზედ ამ ხანად ნუ დამემძღურებო, მერე სხვა იქნება.
- ხორე შ ა ნ ი. (გამოართმევს. სინჯავს ბევრია თუ ცოტაო) არა, გეთაყვანე, ფული რა სათქმელია, არ იქმონენ, არა. ჭერ ღომ მოსე გძელაძე და მერე...
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე ვინდა?
- ხორე შ ა ნ ი. თქვენი მაჯლი ლუარსაბი. აბა შეტყუდილი ეჭნება, რა მოდგმაცა აქვთ გძელადიანთ ქალებს.
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. შენ გძელაძე თქვი, თორემ ჩემი მაჯლისა ფიქრი ნუ გაქვს. ქა, ხომ არ შემეშალა? რამდენი მოგეცი?
- ხორე შ ა ნ ი. მაგდონი არაფერი, სულ კენტი ოცდახუთ მანეთიანია.
- ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, ქა! აკი შემშლია. შენთვის ოთხი თუშანი მქონდა გადადებული. აი ხუთმეტი მანეთიც. კინაღამ უკანვე არ გავიყოლე. (აწვდის ფულს) თუ ფული კიდევ დაგჭირდეს, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავ. ოღონდ შემატყობინე და მეორე დღესვე ბიჭის ხელით გაახლებ.
- ხორე შ ა ნ ი. (ართმევს და ჯიბეში იდებს) ეგ არის, რომ თქვენს

ხათრს რა ვუყო, თორემ ჩემგან გასაბედი კი არ იყო. თქვენ რომ არა ბძანებულიყავით, მაგ საქმეს დღის სავალზედაც არ მივეკარებოდი.

ელისაბედი. მაშ იმედი მქონდეს?

ხორეშანი. ის იმედი, რომ მე ჩემის მხრით შევეცდები. ეს კია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, თუ ფული რამ დამჭირდება, შევატყობინებ და არ დამიგვიანო.

ელისაბედი. გეუბნები, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავ-მეთქი. მაშ ეგრე, რალა?

ხორეშანი. დიახ, ეგრე.

ელისაბედი. აი, დაიძებებული მივდივარ, ჩემო ხორეშანი! არა, მართალი კია, რომ უშვილობის მოდგმა აქვთ?

ხორეშანი. ეგ მაწუხებს და ეგ მადღონებს, რომ მართლა ეგრეა, თორემ კაი მოგცეს, კაი ქალი ის იყოს. მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა. ნუ გეშინიან.

ელისაბედი. ღმერთო, ხომ შენ იცი, მე იმისათვის კარგი მინდა, და თუ უშვილო იქნება, მადლობა ღმერთს. მშვიდობით, ჩემო ხორეშანი, შენ იცი და შენმა დედაკაცობამ. (გადის).

გამოსვლა 9.

ხორეშანი (მარტო).

ხორეშანი. აი მეხი კი დაგაყარე, კაი სული შენა ხარ. უშვილობის იმედითა ჰრთამ რალა ცოლს, რომ სხვა ვერა გაგიწყვია-რა. არა, ძალიან არ მეხვეწებოდა, თუ გიყვარდე, ნუ დამზოგავო. თუ დაგზოგო, შენი ტურტლიანი ფეხი დამკარ!.. ქა, ყველა ყველა და დღეს ეს რა ბედი დამეცა, თქვენი ჭირიმე. სამივ კი ერთად გაებმენ ერთს მახეში და! იმ ბრიყვმა რალა წამოროშა, სუტ-კნეინაო! სუტ-კნეინა რად ვიქნები?

(ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეორე

მოსე გძელაძის სახლი, სოფლურად მოწყობილი.

გამოსვლა 1.

მოსე გძელაძე (მარტო).

მოსე. ამ ნიშნობამ კი მშვიდობით ჩაგვიარა, ქორწილს კი როგორ გადავურჩებით, არ ვიცი. მართლა და, ეს დაწყევლილი გოგო, რა ლამაზი იყო ჩემის ქალის ტანისამოსში. ლუარსაბის ძმა დავითი სულ გადაირია, ნიშანი რომ მოუტანა. თან მოყოლილებმაც ვერა შეგვაძცნიეს რა. ხვალ-ზევით უთუოდ ჯვარის-წერა უნდა იყოს-მეთქი. არც ისინი არიან უარზედ. აი ხვალ-ზევითაც დღეს არის. აბა, მოსევ, შენი გაჭირების დროც ეს არის. დღეს მოვა ლუარსაბი ჯვარის-საწერად. დღესვე უნდა გადავწერო ჯვარი, თორემ, თუ დრო დასცალდათ, შენი მტერი. რა-საკვირველია, მაყრიონი თან ბლომად მოჰყვება. ვინ იცის, რა ჩხუბი და დავიდარაბა ატყდეს. მეც კი ბლომა ხალხი შეეცარე. აბა ერთი უკან დაიხიონ! ერთს სისხლის ღვრას მოახდენენ. დარიგებულნი მყვანან. ორასი თუმანი პირობა მქონდა-მეთქი, ასე ვუთხარ ჩემიანებს, და ეხლა სამასს ითხოვენ-მეთქი და რალაც მიზეზებს მიღებენ-მეთქი, რა არის მეტი ღამტყუონ. მაგას ნუ მიზამთ-მეთქი, რომ თათქარიძეებმა დაგვიბრიყვონ. დამიჯერეს. ნეტავი არ გვინდაო, ეგ გაბედონო და ჩვენ ვიციითო. თუ ის აქედამ ჯვარ-დაუწერელი წაგვივიდესო, მაშინ დიდი დაიკვეხო-სო. მეც ჩემი თადარიგი დამიჭერია. სუტ-კნენინა აქ მიზის და იმისათვის მითქვამს: ჰა, არამც და არამც ქალი არ დამიგვიანო-მეთქი. რა წამსაც სასიძო მოვა, მინამ ის ტანისამოსს გამოიცვლის, ქალი მორთული საყდარში წაყვანილი იყოს-მეთქი. იქ რაც მოხდება, მოხდეს, ჯვარდაუწერელს კი არ გაუშვებ და! (ჩაფიქრდება) ეჰ, ეს ჯვარის-წერაც ჩხუბით იქნება, თუ დავიდარაბით, ასე თუ ისე ჩაივლის. საქმე ეს სუტ-კნენინაა. შემომდგომია, პირობა ასე

გვექონდაო, რომ ნიშნობის მერმეთ, ჯვარისწერამდე, და-
ნარჩენი ფულიც უნდა მომცეო. ოცი თუმანი უნდა მიე-
ცე მითამ იმის ჭკუით. რაღა მიქნია. ახლა რა არის, —
მაშინებს, მეტი რა გზა აქვსო, ეხლავ ფული არ მომცე-
სო. მითამ და თუ ეხლავ არ მივეცი, ჯვარის-წერას და-
გიშლიო. აი მაშ ეს მოსე გძელაძე (უღაპვებზე დადიხვამს)
არ ვიქნები, ეს მოსე-მეთქი, თუ პირში ჩალა არ გამო-
გავლო და რაც დამცინცლე, მარტო იმაზედ არ დაგსო.
აი, მაჭანკალო, შენ უნდა მოატყუო მოსე გძელაძე, რა-
ღა! მაშ. რაღა კაცი ვიქნები, რომ შენისთანებს ყურზედ
ხელი არ მოვკიდო, წყალზედ არ ჩავეყვანო და წყალდაუ-
ლეველი უკანვე არ წამოგიყვანო. ესეც კია, უარი რო-
გორ ვუთხრა? ეხლავ ყელში დანას დამაჭერს, მინამ ჯვა-
რის-წერა კიდევ წინ გვიდევს. ახლა ისიც ხომ სულელი
არ არის, ჯვარის-წერა დამაცალოს. საცაა ის წყეული შე-
მოვა, და თხოვნას დამიწყებს. აი ძალიც ხსენებაზედ.

ბამოსვლა 2.

იგივე და ხორეშანი (გვერდით მოუჯდება).

ხორეშანი. ქალი მზად არის. მინამ ისინი ტანთ დაიცუ-
ლიან, ქალი საყდარში იქნება. ჰა, რა კარგად მოდის საქმე,
მოსეჯან! მომილოცავს შვილის ბედნიერება. დიდი ჰა-
პან-წყევტა კი გამოვიარე, შენზედ მიწა არ მენახოს. აი
ეხლავ სულ ცივს ოფლში ვიწურები. ხუმრობა საქმეა?
ნიშნობაში ერთი ქალი ვაჩვენეთ, გვირგვინ ქვეშ კი სხვა
უნდა დაუყენოთ. გული გულის ადგილას აღარა მაქვს,
სულ აღის და ჩამოდის: რომ შეგვიტყონ-მეთქი, ხომ
დავიღუპენით. მინამ ჯვარს დაიწერს, მე კი ჩემი დამე-
მართება და, ცალკე შიშითა, ცალკე სირცხვილითა!
თმებით მათრევენ, თმებით. სულ რისთვის? ჩემი მოსეს
გულისათვის (ხელს სცემს მუხლზედ), შენ გენაცვალოს ხო-
რეშანი!

მოსე. ეჰ, შე დალოცვილო! თმებით გათრევენ რა, პირველი
და უკანასკნელი იქნება შენთვის! თმებით ათრევენ! შენი

ხელობა სხვა რა არის? თმებით ათრევენ!

ხორეშანი. (შეერთება) არა, მაგას მართლა მეუბნები, ქა?

მოსე. მაშ არა და გეხუმრები.

ხორეშანი. ეხლა განა?

მოსე. ეხლაცა და უწინაცა.

ხორეშანი. მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ეგრეა. მე კი გამისტუმრე, როგორც პირობა გეჟონდა, და მერე შენ იცი. უმადურობას კაცი არ მოუკლავს.

მოსე. მერე ხელს ვინ გიჭერს? საცა გინდა, იქ წაბძანდი.

ხორეშანი. ქა, რა პასუხია? დაპირებული მიბოძე და წავალ. შენ ხომ არ შემოგაბერდები.

მოსე. დაპირებულიო? რაც დამტყუე, იმასაც ვნანობ, და გგონია კიდევ გავბრიყვდე და მოგცე რამე?

ხორეშანი. ახლა ეგ ნამუსია? ამ დროული დედაკაცი ფოშტის ცხენისავით მარბენი, თავი შემარცხვენინე, სული წამაწყმენდინე და როცა საქმე საქმეზედ მოვაყვანე, ეხლა მაგას მეუბნები, რაღა! ნამუსია?

მოსე. ის კი ნამუსია, რომ აგიღია ეგ გამოყრუებული თავი. სოფელ-სოფელ დაეთრევი და მაჭანკლობ? ნამუსია? შარშან რომ იმ პრადალა დიამბეგს ათი თუმანი გამოართვი სამაჭანკლოში და ქალი მიპკვარე. ნამუსია? ქალებს რომ რაღაც წამლებს ასმევ, ნამუსია?

ხორეშანი. მაშ თუ ეგრეა, შენი მყრალი ფეხი დამკარ თავში, შენი მყრალი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიშალო.

მოსე. მაშ შენი ლაფ-დასხმული ლეჩაქი დამხურე, შენი ლაფ-დასხმული ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურისაყენ არ გიკრა თავი, და იქ არ დაგამწყვდიო, მინამ ჭვარის-წერა არ გათავდება.

ხორეშანი. რაო? დაგამწყვდიოო? უი, მეხი კი დაგეცა ჭაგ წითიან თავზედ, დამამწყვდევე რა, შენი მოახლე გოგო თუ გგონივარ, ან შენი გომბიო ქალი.

მოსე. ვსთქვათ, რომ ვიღაც სუტ-კნეინა ბძანდები და მაჭანკლობ, მაგით მითამ რაო? რას მიზამ? მიჩივლებ თუ? არა. მგონია, შენი თავი სადიამბეგოდ გაიხადო. ბევრი ცოდვა გაწევს მაგ არ-დასაცალებელს სულზედ, სულ ერთი ერთმანეთზედ შეგეყეცენ, და მაშინ ციმბირი კი

არა, მგონი ციმბირსაც გადაგაცილონ, შე ტყუილო კნეინავ, შენა! ეს ის დიამბეგი კი ნუ გგონია, პრადლას რომ ეძახდნენ, აი რომ უმაჟანკლებდი ხოლმე და ხელში ბურთსავით ათამაშებდი. ასე გაგიხდის საქმეს, რომ სულ თავი და ბედი იწყევლო.

ხო რე შანი. ყურებზედ ხახვი არ დამაჭრათ ან შენ და ან შენმა ცხვირმოკნენტილმა დიამბეგმა. უი, უწინამც დღე გაგქრობიათ შენცა და იმასაცა.

მოსე. აი, თუ არ დაგაჭრი. მე ახლავ გაჩვენებ საით გიკრავ თავს. შენ რომ კატასავით ჩამოგახრჩო კიდეც, ხმასაც არავინ გამცემს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივო. მერე რომ არა დამაბრალო-რა, ეხლავ მიჩვენე ჯიბეებში რა გაქვს. (მივარდება და ჯიბიდან ამოართმევს ლურჯს ხელცახოსს. ხელცახოსსა შლის და პოულობს თავის ათს თუმანს და ელისაბედის ოთხს თუმანს) ოჰ, ჩემს ათს თუმანს უბლარტნია კიდეცა, ოთხი თუმანიც მოუგია. ბარაქალა, სუტ-კნეინავ! (ფულებს ჯიბეში იდებს) ეს ქაღალდი რაღაა? (კითხულობს) რაო? ჩემი სიძის თამასუქია! ეს რაღა ამბავია, შე ქოფაკო! ოცი თუმნის თამასუქი იმისათვისაც დაგიტყუენია! ეს ვინ მოგცა შენ? ჰა, ვინ მოგცა-მეთქი!

ხო რე შანი. ახლა შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი, ისევ შენის საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვინიცობაა ჩვენი ეშმაკობა შეეტყო და უარზედ დამდგარიყო, ამ თამასუქს პირში წავუყენებდი და ვეტყოდი: დაიწერე ჯვარი, თორემ დიამბეგთან წარვადგენ და სულ ნაღდს დაგათვლევენ-მეთქი. შენ აბა ეხლა რაღად დამიჯერებ, გაჯავრებული ხარ.

მოსე. თუ ეგრეა, რატომ აქამდის არ მაჩვენე?

ხო რე შანი. ახლა ვიფიქრე, რომ ვაჩვენო-მეთქი, ვაი თუ ამის იმედით საქმეს გული აღარ დაუდოს-მეთქი. რა ვიცი, ხორციელები ვართ.

მოსე. ახლა მაგითი გინდა მომატყუო განა?!

ხო რე შანი. აკი გითხარ: აღარ დაიჯერებ-მეთქი. რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დამიჯერებ. შენა გგონია, გატყუებ? აბა მაგას როგორ გაგიბედავდი. განა არ ვიცი, მაგაებში ჩემი ოს-

ტატი შენი შაგირდი იქნებოდა? თუნდა კიდევ გატყუებდე, — ეგ თამასუქი შენ მიირთვი — ნახე. რა საგნებელი სწერია—მზითებში გაუბარე და მე ეგ შენი ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო! რა ვუყოთ, ქალს ათხოვებ, ბევრი ხარჯი მოგდის. სირცხვილიც არის ეხლა შენ მეტი გამოგართოს ვინმემ. ჩემს საკუთარს, ნაწვავ-ნადაგს ოთხს თუმანს ხომ წინ არა უდგა-რა და არა, შენ გენაცვალე.

მოსე. აი, შე ეშმაკის ბუდე! თავი მოიკატუნე განა, წელან სხვილ-სხვილადა ჰფქვავდი! აბა, ჩემო სუტ-კნენიანე! ეს თამასუქიც მე დამრჩება და ეს ჩემი ათი თუმანიც. სწორედ გითხრათ, არც ეს შენი ოთხი თუმანი დამადგება ყელზედ. შენ კი გომურის მაგიერად ხულაში დაგამწყვდევე, რომ ჯვარის-წერამდე არ გამცე და საქმე არ ამიერიო. სულ ერთი-ორის საათის საქმეა, ბევრს ხანს არ შეგაწუხებ. მერე კი შენი აღარ მეშინება, რაც გინდა ჰქენი. ბიჭო!

გამოსვლა 3.

იგინივე და ბიჭი.

მოსე. (ბიჭს) ეს ტყუილი-კნენიანა ხულაში წააბძანე, ხალიჩაც მიართვი, მუთაქაც. ხუმრობა არ არის, არ გაგვიწყრეს ღმერთი და არ გაგვიცივდეს, თბილად ამყოფე. ეს კი უნდა ჰქმნა, კარი კლიტით გარედამ გადაუკეტე, რომ ვინიცობაა ცივი ნიაღვი არ მიედინოს. ჯვარის-წერას გავათავებთ თუ არა, თქმა ნულარ გინდა, მიდი და დიდის პატივით გამოაბძანე ხულიდამ ეს დარბაისელი სუტ-კნენიანა. თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, ვაი შენი ბრალი. (ბიჭი არ იძვრის, ხუმრობა ჰგონია).

მოსე. არ გეყურობა, შე არამზადავ! (დაუბრაცუნებს ფეხებს). (ბიჭი წასწვდება ხორეშანს).

ხორეშანი. (მოსეს) უი, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ტყუილი გაჯავრობა რა-რიგად გიხდება. ამ (ბიჭზედ აკენებს) სულელმაც დაიჯერა, ასე ჰგონია ამ ბრიყვს, მართ-

ლწ ტბაძანებ, გლეხკაცია, ვერ მიხვდა. ნუ გაუწყრები
სიბრძნისათვის, აგრემც გენაცვალოს ჩემი თავი.
(ბიჭი შეჩერდება და უკან დაიწევს).

მოსე. (სიცილით) დახე ამ ოინბაზს! ხუმრობაში უნდა ჩამი-
ტაროს, (ბიჭს წყრომით) რას შედეგი, შე წუწის შვილო,
წაიყვანე-მეთქი!
(ბიჭი ხელს ჩაჰკიდებს).

ხორეშანი. ჩემი ოთხი თუმანი მაინც მომეც. იმას რაღას
მემართლები? ჩემი ნაწვევ-ნადაგია.

მოსე. (ბიჭს). გაიყვა-მეთქი!

ხორეშანი. (ხელიდამ გამოეცლება ბიჭს) ქა! შენ აღარა ხუმ-
რობ. როგორ თუ გამიყვანოს. აი, აქავ შენ წინ ეხლავ
თავს მოვიკლავ. დამამწყვდიოს, რა პასუხია! აღამაღხა-
ნობაა?

მოსე. (ბიჭს) არ გეყურება, წაათრიე-მეთქი!
(ბიჭი ისევ ხელს ჩაავლებს, ხორეშანი ხელიდამ გამოეცლება).

ხორეშანი. ქა, იქნება ჩემი სიტყვა ხუმრობა გგონია. მაგ
სირცხვილს კი არა ვჭამ და აი ეხლავ შენ-წინ ჩემის და-
ნითვე ყელს გამოვიჭრი. (გაცხარებული ჯიბიდან დანას იღებს,
ხსნის და ყელთან მიიტანს) გამოვიჭრა?

მოსე. აბა, თუ დედაკაცი ხარ, გამოიჭერ.

ხორეშანი. (დაუჟავს დანას და არხეინად ჯიბეში იღებს) გამო-
ვიჭრა რა, გიჟი ზომ არა ვარ. (პუბლიცისაკენ) ახია, შენზედ,
შე ქოფაკო თავო, (თავში ხელს იცემს) ახია! ახლა არ გამი-
კითხამთ? ჩემს ოთხს თუმანს რაღას მემართლება, თუ ავი
სული არ არი.

მოსე. (ბიჭს) გაიყვა-მეთქი. (ბიჭს მიჰყავს).

ხორეშანი. მეტი რა გზა არის, ახია შენზედ, ახი, შე ქო-
ფაკო ხორეშან! წინ გამოართმევდი და! (გაღიან).

ბამოსვლა 4.

მოსე და მეორე ბიჭი (შემოვარდება).

ბიჭი. მეფიონი გიახლება, ბატონო, მეფიონი.

მოსე. ბევრი ხალხი ჰყავთ?

ბ ი ჭ ი. მაგდენი არაფერი.

მ ო ს ე. წავიდე, არ მომასწრონ, ქალი საყდარში დავახვედრო და ჩემი ხალხიც მივრეკო. (გაღის).

ბ ი ჭ ი. აბა, სეირი იქნება, რომ ეს იქნება, აი! პაი, პაი, პაი! აი, დალახვრა ღმერთმა! ეს ჩვენი ბატონი რა ოსტატი კაცია, თქვენი ჭირიმეთ.

(სცენა გამოიცვლება. სცენა წარმოადგენს საყდრის ეზოს. საღამო ხანია. სცენის მარცხენა მხარეს საყდრის კუთხე მოჩანს და საყდრიდამ ჩამოსავალი კიბე).

ბამოსვლა 5.

ღავითი და ლუარსაბი (საყდრიდამ გამოდიან და ჩამოდიან კიბეზედ).

ლ უ ა რ ს ა ბ ი. ღავით! აკი მზეთუნახავიაო, კაცო!

ღ ა ვ ი თ ი. მოგვატყუეს. ჯვარი არ დაიწერო. მაგრად დადგე, არ გაცდინონ. აი, შენი სასიამოროც მოდის. შენ იქით წადი, მე ვიცი და მაგან.

ლ უ ა რ ს ა ბ ი. (მიმავალი) არა, მე რატომ აღარ უნდა ვიცოდე, რა სულელი მე მნახა, თქვენი ჭირიმე (გაღის).

ბამოსვლა 6.

ღავითი და მოსე (შემოდის).

მ ო ს ე. (ხელს მოჰკიდებს ღავითს და ავანსცენაზედ გამოიყვანს) კნია-ზო ღავით! ეს რა ამბავია! ქალი საყდარშია და საქრმო ახლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი. ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახის შვილები მთხოვდნენ, რომ არ მივეცი.

ღ ა ვ ი თ ი. აი, ბატონო, ქალი მანდ არის და ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის.

მ ო ს ე. ეხლა, განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთამს შენი ძმა. როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი! არა, მე თავზედ ლაღს არავის დავასხმევინებ. ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა

და აქედამ ცოცხლები ველარ წახვალთ. გაგონილა? საქ-
რმო ჯვარის-საწერად მოვიდეს, ნაკურთხი ბეჭედი ჩე-
მის ქალისა ხელზედ ჰქონდეს, ქალი მომზადებული საყ-
დარში მიმაცვიანოს, ამოდენა ხალხი მომაწვევინოს, და
ჯვარი კი აღარ დაიწეროს. ან ღვთისა გეშინოდეთ, ან
კაცისა გრცხვენოდეთ. გაგონილა, თქვენი ჭირიმეთ!

და ვ ი თ ი. ის კი გაგონილა, პატარძალი შესცვალონ? ეს შე-
ნი ქალი არ არის, არა!

მ ო ს ე. ახლა რომ ვერა მოგიხერხებიათ რა, სირცხვილით მა-
გას იგონებთ, რაღა. აი მთელი მიღეთის ხალხი აქ არის,
დაიფიცებენ, რომ ჩემი ქალია.

და ვ ი თ ი. ეხლა კი ვიცი, რომ შენი ქალია, მაგრამ პირველ-
ში კი სხვა გვაჩვენეთ. არა, ბატონო, ჩემი ძმა ჯვარს არ
იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრე-
ბი. მუქარა ტყუილია.

მ ო ს ე. მაშ მოსე გძელაძე თავადიშვილი არა ყოფილა, თუ
თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ. ჩემის ცოცხალის
თავით მაგას ვერ ვკადრებ ჩემს გვარეულობას. სულ აქ
არიან, თავებს დაიხოცავენ, ეგ რომ შეიტყონ. რაო? მე
ცოცხალი ვიყო და თათქარიძეებმა ქალი და ოჯახი უნდა
შემირცხვენინო? თათქარიძეებმა! მაშ მე ქუდი არა მხუ-
რებია, კაცი არა ვყოფილვარ! აი, ბეჩავ გძელაძიანთ მო-
სევ, განა ეგრეც წაგიხდა სახელი? აბა ვნახავთ, როგორ
არ დაიწერს ჯვარს!

და ვ ი თ ი. აი ვნახავთ.

მ ო ს ე. უკანასკნელი სიტყვაა?

და ვ ი თ ი. უკანასკნელი.

მ ო ს ე. დავით! ერთი აქეთ მობძანდი. (ორივ წინ წადგებიან). ეს
თოთხმეტი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა.

და ვ ი თ ი. თოთხმეტ თუმნად ძმა უნდა გავყიდო?

მ ო ს ე. ოცი იყოს. ღმერთი-რჯული, ოლონდ გვირგვინი კი
დაიდგან და ისე შეიყვარებენ ერთმანეთს, როგორც რა
ვიცი. ჩვენში სულ ეგრე არ არის, შენ გეთაყვანე. ნუ
მიწყენ კი, აბა თუნდ შენი კნეინა, რა მზეთ-უნახავი ის
არის, მაგრამ ერთმანეთი კი გიყვართ. გვირგვინმა ეგ
იცის. ეჰ, ვხედავ გეცოტავენ, ოცდა-ათი იყოს. წავალ

და ეხლავ მოგიტან. (გადის).

და ვ ი თ ი. (მარტო) არა, ერთის მხრით კი მართალი სთქვა, მე და ჩემმა ღმერთმა! გვირგვინი დიდი საქმეა.

ბამოსკლა 7.

დავითი და ელისაბედი (შემოვარდება ქორწილისათვის მორთული).

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (ხელს მოჰყიდებს) ერთი აქ მობძანდი, აქ! შენ არ შემომფიცე, არ გავერევიო? ჰა, არ შემომფიცე? რა-ზედა ჰშლი დაწყობილს საქმეს? ჰა, რაზედა ჰშლი-მეთქი? აქ საქორწილოდ მოვსულვართ და შენ კი ლამის ჩხუბი ასტეხო და ლანძღვით და თრევით წაგვიღონ აქედამა. ხალხს საყდრიდამ არ უშვებენ, თორემ თავ-პირ დაგამტვრევდნენ. ასეთი შფოთი და ჩოჩქოლია საყდარში.

და ვ ი თ ი. ერთი თავიდან მამშორდი, თუ ღმერთი გწამს, რა შენი საქმეა, რომ აქ მოვარდი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, შე უტვინო, უტვინო! ახლა გინდათ, რომ თათქარიძეებს საქოლავი აგვიგონ. ქალი საყდარში მიაყვანინეთ სახელგანთქმულ ოჯახისშვილს, თქვენს ტოლს თავადიშვილს, და ეხლა უწუნებთ? სადა გქონდათ აქამდინ ეგ დასაბრმავებელი თვალები? აღარ გინდათ, აღამიანებად გახსენოთ-ლა ვინმემ?

და ვ ი თ ი. ქალო და, ვერა ხედავ, რა ოინი გვიყვეს? აბა ის მახინჯი ოჯახში როგორ შევიყვანოთ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უ, უ, როგორ გეკადრებათ! თათქარიძიანთ რძალი თუ არ მზეთ-უნახავი, ვის გაუგონია! აი მესი კი დაგეცათ.

და ვ ი თ ი. შენი მზეთ-უნახაობაც გვეყოფა განა, თუ არ დაგიშლია.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უი, გაგიწყდეთ ეგ ქოქი, რომ აღამიანის ყადრიც არ იცით.

და ვ ი თ ი. აგე, ბატონებო, წამოიყარა აღვირი და ეხლა შენი მტერი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მინამ მე თქვენს ოჯახში ვარ, მაგ სირცხვილს

ოჯახში არ შეგატანებთ. არა, როგორ? ქალი ითხოვოთ, დანიშნოთ, საყდარში შეიყვანოთ, ხალხი საქორწილოდ მოაწვევინოთ, და თქვენ კი დაჰკრათ ფეხი და უკანვე გაიქცეთ. უი თქვენს თვალებს! ლუარსაბს თუ მჭეთ-უნახავი ქალი არ მიუსვით გვერდით, ქვეყანა დაიღუპება, ო, თქვენმა მზემ. მხრებზედ ჯინჯილები და გულზედ ჯკრები არ დაუბნელოს!

დავითი. ახლა აღარ დამეხსენები? რა გინდა, დედაკაცი, ჩემგან? ახა, ღმერთო ჩემო!

ელისაბედი. აბა, დედაკაცი არ ვიქნები, დედაკაცი, თუ თქვენ ლეჩაქმობეულები არ გაგისტუმროთ აქედამ. აბა, ნუ დაიწერს ჯვარს. მე დავწერ ჯვარს, მე! ძალად შევათრევენებ საყდარში და ჯვარს გადავწერ. მაშ ხუმრობა გგონიათ ქალის გაუპატიურება, ოჯახის შერცხვენა! აბა, ერთი გაბედე და ძმას ნუ დაიყოლიებ, მერე გიჩვენებთ მე თქვენს თამაშასა. ასეთი ყოფა დაგაწიოთ, რომ ქვეყნის სამარცხვინოდ გაგიხადოთ ეგ უტვინო თავები.

დავითი. (პუბლიკისაკენ) მართლა-და ერთს რასმეს ბიბრულობას გვაგმევს ეს ბაიყუში. უნდა როგორმე მოვახერხო, თორემ თქვენ არ იცნობთ ამ აშაქარს. (ვლისაბედს) კარგი, გამეცა. აგერ თითონ მოსეც მოდის. იქნება საქმე საქმეზედ მოვიყვანო უაყალმაყალოდ.

ელისაბედი. კარგი, გაგეცლები, და ვაი შენ, თუ ლუარსაბს ჯვარი არ დაუწერია. (გადის და მობრუნდება) ლეჩაქებს დაგხურავთ-მეთქი, ლეჩაქებს.

გამოსვლა 8.

დავითი და მოსე (შემოდის).

მოსე. აჰა, ესეც შენი ოცდაათი თუმანი (აძლევს). შენ იცი და შენმა კაცობამ.

დავითი. (ფულს ჯიბეში იღებს) აბა, შენ აქ სადმე მიეფარე პატარა ხანს და მე ჩემს ძმას ვინახულებ. (ორნიც გადიან. პატარა ხანს უკან დავითს მოჰყავს ლუარსაბი).

გამოსვლა 9.

დავითი და ლუარსაბი.

დავითი. ლუარსაბ! ცუდი საქმე დაგეგმართა, ძმაო! მაგრამ როგორმე უნდა გავასწოროთ. სირცხვილია, ქვეყანა ყბად აგვიღებს, საქოლავს აგვიგებენ.

ლუარსაბი. მა რა მოგვივა, რომ მაგათგან მოვტყუვდეთ და ეგ მაიმუნი წავიყვანოთ. არა, შენ ჩემი ფიქრი ნუ გაქვს: ხანჯალზედ რომ ამაგონ, შენს სიტყვას არ გადავალ, მაგრად დავდგები.

დავითი. ბიჭო და, მაგრად დგომას კი არ გეუბნები. სირცხვილია-მეთქი.

ლუარსაბი. სირცხვილი და ისეთი!

დავითი. აბა კარგად ჩაფიქრდი: კაცს ქალი დაუვნიშნეთ, ამოდენა ხალხი საქორწილოდ მოვაწვევინეთ, ამოდენა ხარჯი ვაქმნევინეთ, ქალი საყდარში მივაყვანინეთ, ჩვენ კი დავკარით ფეხი და საყდრიდამ გამოვცვივდით. ხუმრობაა? ახლა უკან როგორღა უნდა დავდგეთ?

ლუარსაბი. მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ. უკან რად დავდგები. მითხარ, მაგრად იდეგო, და ვიდგები კიდევ. თუ კაცები არიან, ადგილიდამ დამძვრენ. თუ ძალაზედ მივარდა, ასე გავიბოტები, როგორც ჩვენა შვინდა მოზვერი.

დავითი. კაცო, მე მაგას კი არ გეუბნები, თავზედ ლაფი როგორ უნდა დავასხათ-მეთქი.

ლუარსაბი. თავზედ ლაფი რა საკადრისია! ისე ავდგეთ და ჩვენ ჩვენთვის წავიდეთ.

დავითი. მერე ამოდენა ხარჯი ხომ უნდა ვუზღოთ, სხვა არა იყოს რა. რას ვემართლებით: კაცს ხარჯი უქმნია, მთელი მილეთის ხალხი მოუწვევია. მგონი ჩვენი მამულები სულ რომ აწერონ, არც კი აუდგეს!

ლუარსაბი. მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია. თავი დავანებოთ, ჩქარა წავიდეთ, თორემ...

დავითი. ახა, ღმერთო ჩემო, რამ გადარია. რო წავიდეთ, ახლა ხარჯს არ აუზღამ, კაცო!

ლუარსაბი. რა ხარჯს, რას ამბობ?

დავითი. აი ქორწილის ხარჯს, თუ ნებით არა, სამართალ
ძალით წაგართმევს. ხუმრობა კი ნუ გვონია, რაც ჩემგან
წილი გერგება...

ლუარსაბი. რაღა რაც წილი, ნახევარი-თქო.

დავითი. ჰო და იმ ნახევარს სულ მთლად გავიყიდინ და
იქნება არც კი აუღდეს. არა, ძმაო, სხვა გზა არ არის, ჯე-
რი უნდა დაიწერო.

ლუარსაბი. ახლა შენ რომ მითხარ, მავრად დადგეო,
იმიტომ, თორემ მე და ჩემმა ღმერთმა, მეც კი მინდა.
არც ისეთი მახინჯია, ღმერთი, რჯული.

დავითი. შენც არ მომიკედე, ნიშნობაში ისეთი შევინოდა,
რომ თვალი ზედ დაგვრჩა. ახლა ქალია, ზოგი კრთომა,
ზოგი მორცხობა, ზოგი ამოდენა ხალხი, საკვირველიც არ
არის, რომ სახილამ მოიშალოს.

ლუარსაბი. ელენთამაც იცისო, გამიგონია. ელენთა-ნაჭა-
ში ქალი გვირგვინქვეშ თურმე გაშავდება. იქნება ეგეც
იყოს.

დავითი. სწორედ ეგ უნდა იყოს. მეც არა ვთქვი, ეს ქალი
რამ გამოცვალა-მეთქი.

ლუარსაბი. მაშ ჯვარი დავიწერო?

დავითი. აბა სხვა გზა არ არის.

ლუარსაბი. არა, თუ გიყვარდე, ნიშნობაში მართლა ლა-
მაზი იყო?

დავითი. კალმით ნახატი-მეთქი.

ლუარსაბი. მაშ ჯვარს დავიწერ.

დავითი. ძალიან კარგს იზამ.

ლუარსაბი. მზითვის ფულს ხომ გვაძლევს?

დავითი. ჯვარს დაიწერს თუ არაო, მეორე დღესვე მოვარ-
თმევო.

ლუარსაბი. ორას თუმანს, სულ ბაჯალლო ოქროს?

დავითი. ჰო, ორას თუმანსაო.

ლუარსაბი. რატომ ეხლავ არ იძლევა?

დავითი. ახლა წინათვე ვის გაუგონია? რომ ფეხი დაჰკრა
და გაიქცე, სადა გდიოს?

ლუარსაბი. მე და ჩემმა ღმერთმა, ჰკვიანი კაცი ყოფილა.
მაშ ჯვარს ვიწერ, წავიდეთ. (ორნი გადიან და საყდარში
შედიან).

ბამოსცლა 10.

მოსე (შემოდის).

მოსე. (ხელებს იფშენეტს სიხარულით) წავიდნენ ჯვარის დასაწერად. აბა, რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანას, ამას იტყვიან. იფ, მოსევ, ძლივს გულიდამ ლოდი არ აიცალე? არც ჩხუბი, არც დავიდარაბა. ერთი ოცდაათი თუმანი კი დამსხლიტეს ტყუილ-უბრალოდ, მაგრამ რა ვუყოთ? ხომ საქმეზედ მოვიდა. მაინც ბარაქალა, მოსევ, რომ ეგრე გადაურჩი ამ ხათაბალას. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო. ამ სიხარულზედ სუტ-კენინასაც გამოვავებებინებ. ახლა ის აღარას დამაკლებს. ბიჭო, (შემოვა ბიჭი) წადი და ის ტყუილი კენიან გამოუშვი, ეყოფა. (ბიჭი გადის).

ბამოსცლა 11.

მოსე და ელისაბედი (საყდრიდამ გამოდის).

ელისაბედი. მღვდელმა დაიწყო ჯვარის წერა, ცხელა საყდარში, ველარ გავძელ. ბატონო მოსევ, ძალიან მიამა თქვენმა მზემ, რომ ეს უსიამოვნო ამბავი ეგრე მშვიდობიანად გათავდა. მომილოცნია ქალის ბედნიერება. თქვენმა მზემ, ჩვენც კი მოსალოცავნი ვართ. თქვენის ოჯახის ქალი, თქვენისთანა კაცის მოყვრობა, დიდი ბედნიერებაა ჩვენის ოჯახისათვის.

მოსე. გმადლობ, შენი ჭირიმე, გმადლობ. არც მე ვემდური, თქვენმა მზემ, ჩემის ქალის ბედსა. კაი ოჯახში შევიდა. ოჯახს რომ თქვენისთანა პატრონი ჰყვანდეს, იქ ბედნიერებაა და ბედნიერება. პირმოთნეობაში კი ნუ ჩამომართმევთ და, თქვენი დედაკაცობის ამბავი რომ არა მცოდნოდა, იქნება ჩემი ქალი არც კი გამემეტნა. განა თუ გვარის-შვილობით დავიწუნებდი თათქარიძიანთ მოყვრობას,—აბა, ჩემი ტოლი თავადიშვილები არიან, — მაგრამ საქმე ის არის, რომ ოჯახს თქვენისთანა სასიქა-

დულო რძალი ჰყვანდეს. ჩემი ქალი ამით უფროა ბედნიერი, რომ თქვენს სეულში იქნება.

ელისაბედი. გმადლობთ ქებისათვის, თუმცა კი ვიცი, რომ ეგ მარტო თავაზით მოგდით.

მოსე. აბა, მაგას როგორ მიბრძანებთ. ყრუ ხომ არა ვარ, ბატონო, მთელი ქვეყანაა და მაგალითად თქვენა ჰყევხართ.

ბამოსვლა 12.

იგივენი და ხორეშანი.

ელისაბედი. ოჰ, ხორეშან! ქა, სად იმალებოდით? სადა ხარ, რომ აქამდის არსადა სჩანდი?

ხორეშანი. (პუბლიკისაყენ) ღმერთმა ნუ იცის მოსეს თავი. (ელისაბედს) ეჰ, ეს მოსე ხომ დაეინებულები კაცია. დამსო, ბატონო, ქალს მზითევი ჩაულაგეო. ვეუბნები, განა მერე კი ვერ მოვასწრობთ-მეთქი. არაო, წინ წაგდებული საქმე სჯობიაო. აქამდი სულ მაგ საქმეში ვიყავ. არა, მოსეჯან? (პუბლიკისაყენ) აი აგრემც ღმერთი ამას უშველის.

მოსე. ახლა რა მექნა? სხვა დროს შენ კაცი ხელში ველარ ჩაგიგდებდა და დავსაქმე. ახლა რა არის, ხორეშან, რომ მამუნათებ.

ხორეშანი. უი, შენ გენაცვალოს ხორეშანი, გამუნათებ რა სათქმელია, ნეტავი ამაზედ ერთი ათასად მეტი შემეძლოს, რომ მაგიერი გადაგიხადო. აი (ყელზედ აჩვენებს) აქამდინა ვარ შენგან დავალებული. ჩემს სიტყვას რომ პატივი დასდე, ლუარსაბს ქალი მიათხოვე და ამათთან პირნათლად გამომიყვანე, განა, ეგ ჩემთვის ცოტაა?

მოსე. მე ვარ მადლობელი, მე, რომ ეგ მოახდინე.

ხორეშანი. მოსე მოუკედეს ხორეშანს, თუ ეგ შენი მადლობა მე ძვირად არ მიღირდეს.

მოსე. (პუბლიკისაყენ) დახეთ, ამ ქოფაკს!..

ხორეშანი. (ელისაბედს იქით მიყვანებს) ხომ კარგად მოვიდა საქმე, თქვენის სურვილისამებრ. ერთი ცოდვა კი ავკიდებ ამ ჩემს სულს. უშვილო მოდგმის ქალიაო, ქვეყანა ამბობს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. (პუბლიკისკენ): მეც ეგ მინდოდა. ამ სულელს
კი ჰგონია, რომ მე ეგ ძალიანა მწყინს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ეჰ, რაც მოხდა, მოხდა. ყველაფერი ღვთის ნე-
ბაა. თქვენ ნუ მოუკვდებით ხორეშანს, თქვენს ოთხს თუ-
მანს რვა თუმანი კიდევ ჩემი დავაყარე, აბა დაგპირდით
და უნდა შემესრულებინა. ახლა რას მიბძანებთ?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიდს მადლობას, ჩემო ხორეშან!

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჭა! ცალიერ მადლობას რას ვაქნევ? რვა თუ-
მანი დავხარჯე-მეთქი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მერე?

ხ ო რ ე შ ა ნ ი. თქვენის იმედით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. იი, თვალიმც გამოგხეთქია.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჭა! შენც ეგრე? იქნება გგონია, მართლა შენი
სურვილი აისრულე და იმათ შვილი არ ეყოლებათ! უი,
შენი ფეხი დამკარ, შენი ფეხი, თუ სულ ტყუპ-ტყუპი არ
ვაყოლო. დამაცა!.. (მიუბრუნდება მოსეს) ახლა, მოსეჯან, მე
რალას მიპირობ?

მ ო ს ე. ერთს ლაზათიანს პანჩურს.

ხ ო რ ე შ ა ნ ი. ჭა! ყველამ კი გამომავლო პირში ჩალა და! რა
გქნა? ქვეყანა დაჰკვიანდა, თუ მე გავსულელდი.

(ფარდა)

შ ე ნ ი ზ ნ ე ბ ი¹

გვ. 12. „ყ ვ ა რ ლ ის მ თ ე ბ ს“, დაიწერა 1857 წ. (იხ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის ფონდი, კრებული 108).

ავტორის მასში შეუტანია რიგი ცვლილებები, რასაც მოწმობს ი. ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტფ., 1892 წ. (ქვემოთ შემოკლებით 1892 წ. გამოცემა). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება თხზ. სრული კრებულის პირველ ტომში წარმოდგენილი ტექსტი. აქვე შევნიშნავთ, რომ ტექსტზე საყურადღებო დაკვირვება აქვს რუსუდან კუსრაშვილს, რომელიც მომავალი აკადემიური გამოცემისათვის სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. იხ. მისი წერილი „ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტების დასაზუსტებლად“, აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 107—8. (ქვემოთ აღნიშნული ნაშრომი შემოკლებით: აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3).

გვ. 21. „ს ა ნ თ ე ლ ი“, დაიწერა 1857 წ. 16 დეკემბერს პეტერბურგში. ცნობები ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება აღნიშნული გამოცემის მიხედვით.

გვ. 22. „ხ მ ა ს ა მ ა რ ი დ ა მ“, დაიწერა 1857 წ. 27 დეკემბერს პეტერბურგში. ცნობები ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება აღნიშნული გამოცემის მიხედვით.

გვ. 25. „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი“, დაიწერა 1858 წ. 7 მარტს პეტერბურგში. ცნობები ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება აღნიშნული გამოცემის მიხედვით.

გვ. 27. „ჩ ი ტ ი“, დაიწერა 1858 წ. 7 მარტს პეტერბურგში. ცნობები ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი იბეჭდება აღნიშნული გამოცემის მიხედვით.

გვ. 30. „გ უ თ ნ ის დ ე დ ა“, ლექსის პირველი ვარიანტი ავტორს დაუმთავრებია 1858 წლის 4 ივნისს პეტერბურგში (ცნობები ამის თაობაზე იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 426, სადაც მითითებულია ავტოგრაფი A, დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში № 120 და ავტოგრაფი B, დაცულია კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. ჭავჭავაძის ფონდი, კრებული 108). ლექსის ბოლო ვარიანტი დათარიღებულია 1863 წლით, როგორც ამას მოწმობს 1892 წ. გამოცემა. ტ. I. გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემაზე.

წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა თხზ. სრული კრებულის პირველ ტომში მოთავსებულ აღნიშნული ლექსის ბოლო ვარიანტს.

¹ წინამდებარე შენიშვნები ძირითადად ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულს, პავლე ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1951, ტ. I და თბ., 1950, ტ. II (ქვემოთ შემოკლებით, თხზ. სრული კრებული). რიგ შემთხვევაში გათვალისწინებულია სპეციალური ხასიათის გამოკვლევებიც.

გვ. 31. „ს ი მ ლ ე რ ა“, დაიწერა 1858 წ. 4 ივნისს პეტერბურგში. ცნობები ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრულ კრებულში, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 32. „მ ე ც შ ა ე თ ვ ა ლ ე ბ ს“, დაიწერა 1858 წ. ტიარლევო-ში (სოფ. პეტერბურგის მახლობლად, სადაც ისვენებდა პოეტი ზაფხუ-ლობით სტუდენტობის დროს), რასაც მოწმობს ავტოგრაფი B, რომელიც დაცულია კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, იხ. ი. ჭავჭავაძის ფონდი, კრებული 108 (დაწვრილებითი ცნობები იხ. თხზ. სრულ კრე-ბულში, ტ. I, გვ. 426, სადაც ცნობები მოტანილია ამ ლექსის სხვაგვარ დათარიღებაზეც).

წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა თხზ. სრული კრებულის პირველ ტომს, ოლონდ B ავტოგრაფისა (ხელნაწერთა ინსტ. ი. ჭავჭავაძის ფონ-დი, 108) და ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემის მიხედ-ვით პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონი გასწორებულია. ნაცვლად თხზულებათა სრული კრებულის წაითხვისა: „ვით ქარიშხალში ავ — ფოთნი ზღვანი“, წინამდებარე გამოცემაში იკითხება: „ვით ქარიშხალში აღმშფოთნი ზღვანი“ (დაწვრილებით აღნიშნული ცთომილების გამო იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 108).

გვ. 33. „გ ი ყ ვ ა რ დ ე ს“, დაიწერა 1858 წ. 23 ივნისს ტიარლევოში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრე-ბული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 34. „ს ი ზ მ ა რ ი“, დაიწერა 1858 წ. 15 ივლისს ტიარლევოში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრე-ბული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამო-ცემას.

გვ. 35. „ლ ო ც ვ ა“, დაიწერა 1858 წ. 17 ივლისს ტიარლევოში. დაწ-ვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 36. „უ ც ხ ო ე თ შ ი“, დაიწერა 1858 წ. 23 ივლისს ტიარლევოში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრე-ბული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 37. „ლ ო თ ი ს რ ჩ ე ვ ა“, დაიწერა 1858 წ. 1 აგვისტოს ტიარ-ლევოში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გა-მოცემას.

გვ. 38. „რ ო დ ე მ დ ი ს“, დაიწერა 1858 წ. 1 აგვისტოს ტიარლევო-ში, დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრე-ბული, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 39. „ლ ო ც ვ ა“, დაიწერა 1858 წ. 28 აგვისტოს ტიარლევოში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრულ კრე-ბულში, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 40. „ვ ი ხ ი ლ ე ს ა ტ რ ფ ო...“, დაიწერა 1858 წ. 26 ოქ-ტომბერს პეტერბურგში. არსებობს ლექსის სხვაგვარი დათარიღებაც

(1859 წ.). ძველ ხელნაწერთა მონაცემების შედარებით აქ გაზიარებულია პირველი დათარიღება. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 41. „ერთხელ ჯდა ჩემთან...“, დაიწერა 1858 წ. 26 ოქტომბერს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 42. „მართო მივცურავ...“, დაიწერა 1858 წ. 5 ნოემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 43. „ღად თუნდ მოვკვდე...“, დაიწერა 1858 წ. 19 ნოემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 44. „ქართლის დედას“, დაიწერა 1858 წ. 15 დეკემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428, წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 46. „მაშინ დავსტკბები...“, დაიწერა 1858 წელს. ლექსი შემონახულია ორი ძირითადი ვარიანტით. პირველის თარიღია 1858 წელი, ხოლო მეორე გასრულებული ჩანს იმავე წლის 15 დეკემბერს. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგენილი ლექსის მეორე ვარიანტს ეყრდნობა.

გვ. 47. „ბევრი ვიტანჯე...“, დაიწერა 1858 წ. 26 დეკემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 48. „რისთვის მიყვარხარ?“, დაიწერა 1858 წ. 31 დეკემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 49. „მითხარით, რისთვის...“, დაიწერა 1858 წელს პეტერბურგში. არსებობს სხვა თარიღიც (1859 წელი), თუმცა პირველი უფრო სარწმუნო ჩანს, რადგან ეყრდნობა ადრეულ ნუსხას. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 50. „ჩემი თარია რაღა...“, დაიწერა 1858 წელს პეტერბურგში. არსებობს სხვა თარიღიც (1857 წელი). წინამდებარე გამოცემაში გაზიარებული დათარიღება ეყრდნობა ავტოგრაფულ ნუსხას B (კეკელიძის ს.ხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. პავლევიძის ფონდი. ხელნაწერთა კრე-

ბული 108). დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 53. „ს მ ა გ უ ლ ი ს ა“, დაიწერა 1859 წ. 11 იანვარს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 54. „გ ა ვ ს წ ო რ დ ე თ , ბ ე ღ ო!“ დაიწერა 1859 წ. 19 იანვარს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 55. „ვ ა ი , მ ა ს...“, აქ წარმოდგენილია ამ ლექსის ბოლო რედაქცია, რომელიც 1892 წლის გამოცემის ცნობით გასრულებულია 1360 წელს. არსებობს ამ ლექსის ადრეული, შედარებით უფრო ვრცელი ვარიანტიც, რომელიც ავტოგრაფული ნუსხების ჩვენებით შესრულებულია 1859 წლის 19 თებერვალს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430. წინამდებარე ტექსტი, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს ლექსის ბოლო ვარიანტს და ეყრდნობა თხზ. სრული კრებულის ზეპოაღნიშნულ გამოცემას.

გვ. 56. „ც ი ო რ ნ ი ხ მ ე ბ ი“, დაიწერა 1859 წ. 27 მარტს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 57. „ნ ა ნ ა“, არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. პირველი ვარიანტის თარიღია 1859 წლის 6 აპრილი, პეტერბურგი. მეორე ვარიანტს თარიღად ნაჩვენებია აქვს 1859 წლის 13 აპრილი, პეტერბურგი. მესამეს და, როგორც ჩანს, საბოლოო ვარიანტს იგივე 1859 წლის 13 აპრილი აქვს მიწერილი, ოღონდ დაწერის ადგილის ჩვენებას გარეშე (დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430). წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ლექსის ბოლო ვარიანტი სათანადო დათარიღებით (ოღონდ, აღნიშნულია ავრეთვე დაწერის საერაუდო ადგილი — პეტერბურგი). ტექსტი ეყრდნობა თხზ. სრული კრებულის პირველ ტომს.

გვ. 60. „ე ლ ე გ ი ა“, დაიწერა 1859 წ. 4 ივნისს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 61. „მ ტ კ ე რ ი ს პ ი რ ა ს“, თხზ. სრული კრებულის I ტომში წარმოდგენილი ვერაუდით, დაიწერა 1859 წელს, ხოლო სხვა წყაროებით ნაჩვენებია რიცხვი (3 ოქტომბერი) და დაწერის ადგილი — ტფილისი (დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431). წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 62. „ო ჰ , ს ა დ ა რ ი ა ნ...“, დაიწერა 1859 წ. 30 ნოემბერს. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული,

ტ. I, გვ. 431. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.
გვ. 63. „დაკარგული ედემი“, დაიწერა 1859 წ. 26 დეკემბერს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 64. „ალაზანს“, დაიწერა 1859 წელს. ასეთი ვარაუდი ხელნაწერთა შეჯერების საფუძველზეა მიღებული. დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431.

ლექსის მე-20 სტრიქონი 1892 წლის გამოცემაში წარმოდგენილი იყო მარცვალნაქულად: „მეც უდროოდ გამერია თმებში ჭაღარა“. ასეა ეს სტრიქონი 1914 წლის გამოცემაშიც (გედევანიშვილისეული გამოცემა). 1925 წლიდან კი გამოცემებში, მათ შორის თხზულებათა სრულ კრებულში, გვხვდება ასეთი ჩასწორება: „მეც უდრო-უდროდ გამერია თმებში ჭაღარა“.

როგორც ჩანს, ცთომილების მიზეზია 1892 წლის გამოცემაში გაპარული კორექტურული შეცდომა, რომლის გასწორება უცდია 1925 წლისა და მომდევნო გამოცემათა რედაქტორს. ავტოგრაფთა ჩვენების მოშველიებით წინამდებარე გამოცემაში აღდგა ავტორისეული წაკითხვა: „მეც უდრო-უდროდ გამერია თმებში ჭაღარა“. დაწვრილებით ტექსტის აღნიშნული ადგილის გასწორებაზე იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 108—9.

გვ. 65. „მძინარე ქალი“, დაიწერა 1860 წ. 19 ივნისს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 66. „მწუხარება“, არსებობს ამ ლექსის ორი ვარიანტი. ორივე ვარიანტი, როგორც ჩანს, თითქმის ერთდროულად 1860 წლის 11 ივლისს უნდა იყოს შესრულებული პეტერბურგის მახლობლად მდებარე აგარაკ პავლოვსკში (დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 432). აღნიშნულ გამოცემაზე დაყრდნობით წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ლექსის მეორე, ბოლო ვარიანტი.

გვ. 67. „მეუშა“, არსებობს ამ ლექსის ორი ვარიანტი, თითქმის ერთდროულად შესრულებული 1860 წლის 12 ივლისს აგარაკ პავლოვსკში (ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 432). აქ წარმოდგენილი ტექსტი შეიცავს ლექსის მეორე ვარიანტს და ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 70. „ალექსანდრე პავლიჩი“, არსებობს ამ ლექსის ორი ვარიანტი, პირველი შედარებით მომცროა. ხელნაწერებისა და პირველი ნაბეჭდი ტექსტების შეჯერებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ პირველი ვარიანტი შესრულდა 1860 წელს, 16 ივლისს პავლოვსკში, ხოლო მეორე ვარიანტი გასრულებულია იმავე წელს, ოღონდ წყაროების მიხედვით თვე და ადგილი არ ჩანს (დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433).

წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგე-

ნილ ლექსის მეორე, ბოლო ვარიანტს, ოღონდ ილიას სიცოცხლეშივე გამოცემულ რიგ პუბლიკაციებზე დაყრდნობით შეიცვალა რამდენიმე წაკითხვა: პირველი სტროფის მეორე და მესამე სტრიქონთა — „ხან მეკლისში მოჰყვინდება, გულს ჩაგეკერის, ჰლალობს, ჰხარობს“ — ნაცვლად აქ იკითხება: „ხან მეკლისში შეჰყვინდება, გულს ჩაგეკერის, ჰლალობს, ხარობს“. მესამე სტროფის მესამე სტრიქონის — „შეჰყვინდებ სტროფოს“ — ნაცვლად აქ იკითხება: „შეჰყვინდებ ეარდსა“. ლექსის ბოლო სტრიქონის — „დაუდგროძელ დროთ ბრუნვასა“ ნაცვლად აქ იკითხება: „დაუნდობელ დროთ ბრუნვასა“. აღნიშნულ გასწორებათა შესახებ დაწერილებით იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 110.

გვ. 71. „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, დაწერა 1860 წელს. დაწერილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. ლექსის რიგ წაკითხვაზე გამოთქმულია საყურადღებო შენიშვნები, რომლებიც სპეციალური ხასიათის მსჯელობას მოითხოვს მომავალი აკადემიური გამოცემისათვის (იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 111—2).

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ტრადიციული ტექსტი (იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 58), ოღონდ გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში გამოთქმული რიგი შენიშვნა. მეორე სტროფის დასაწყისში „ვინ იცის, თანა...“ შეცვლილია წაკითხვით: „ვინ იცის განა...“ ამავე სტროფის ბოლო სტრიქონში „ჩასჰკენე“ შეცვლილია ფორმით „ჩაჰკენე“.

გვ. 72. „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, აღნიშნული ლექსი იბეჭდებოდა ვარიანტების განყოფილებაში, როგორც წინა ლექსის ადრეული ვარიანტი (იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 291). შეყვარებამ ცხადყო, რომ იგი თუმცა თავისი განწყობილებით ახლოსაა წინა ლექსთან (იგულისხმება ცნობილი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“), მაგრამ, მიუხედავად ფრაგმენტულობისა, ფაქტურად დამოუკიდებელი ქმნილებაა. ამდენად, აღნიშნული ვარიანტი სავსებით იმსახურებს, რომ მან დაკავოს კუთვნილი ადგილი ილიას სხვა ძირითად ნაწარმოებთა შორის, რაც კიდევ არის განხორციელებული წინამდებარე გამოცემაში (დაწერილებით იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 113—4).

ლექსი დაწერილია 1860 წ. 19 ივლისს პავლოვსკში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. წინამდებარე ტექსტიც იბეჭდება აღნიშნული გამოცემის მიხედვით.

გვ. 73. „ს. . . ჩ. . . სას“, დაწერილია 1860 წ. 21 ივლისს პავლოვსკში. დაწერილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

ინიციალებში „ს...ჩ...სას“ იგულისხმება სოფიო ჩაიკოვსკაია. ილიას ერთი პირველი ბიოგრაფის გრ. ყიფშიძის ცნობით, იგი კომპოზიტორ ჩაიკოვსკის და იყო (იხ. ი. ჰავევაძის თხზ. 1914 წლის გამოცემა, გვ. XVI-II).

გვ. 74. „ჩ...სას“, დაწერილია 1860 წ. 22 ივლისს პავლოვსკში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას. ლექსის ადრესატი იგივეა (იხ. წინა ლექსის კომენტარი).

გვ. 75. „პოეტო“, დაწერილია 1860 წ. 23 ივლისს პავლოვსკში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას, ოღონდ პირველი სტროფის მესამე სტრიქონში „არა მარტო ტკბილ ხმებ ის თვის...“ ნაცვლად იბეჭდება „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“, რაც, როგორც ჩანს, ავტორისეულია (დაწვრილებით იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 114).

გვ. 76. „მესმის, მესმის...“, დაწერილია 1860 წ. 29 ივლისს პავლოვსკში. დაწვრილებით დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 433. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას, ოღონდ შეცვლილია პირველი სტროფის ბოლო სტრიქონი. ნაცვლად წაითხვისა „დასათრგუნვლად მონობისა...“ აქ იკითხება „დასათრგუნვლად მონებისა“. გასწორება ეყრდნობა ავტოგრაფების ჩვენებას, ამასთან, „მონებისა“ შესაძლებელი ფორმაა, კონტექსტისათვის შესაფერი და რითმისაც ასწორებს (მტკრევისა — მონებისა). დაწვრილებით გასწორების თაობაზე იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 113.

გვ. 77. „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, დაიწერა 1860 წელს. არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. დაწვრილებით მათ შესახებ, ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 434. ბოლო ვარიანტი ეყრდნობა 1892 წლის გამოცემას, რომელიც შესულია თხზ. სრული კრებულის ძირითად ტექსტად. წინამდებარე ტექსტიც ამ უკანასკნელს ეყრდნობა.

გვ. 79. „ჩემო მკვლელო!..“, დაიწერა 1860 წლის აგვისტოში პავლოვსკში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 434. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 80. „იანიჩარი“, დაიწერა 1860 წ. 5 ნოემბერს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 81. „გახსოვს, ტურფავ...“, დაიწერა 1860 წ. 5 ნოემბერს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 82. „დაბნელდა სული...“, დაიწერა 1860 წ. 25 დეკემბერს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 83. „უსულდგმო ცხოვრება...“, დაიწერა 1860 წელს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე

იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 84. „წუხილი“, დაიწერა 1860 წელს, როგორც ამას ვარაუდობს პავლე ინგოროყვა. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 436. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას, სადაც ძირითად ტექსტად წარმოდგენილია ამ ლექსის მეორე ვარიანტი, ოღონდ ინგოროყვასეულ გამოცემაში იბეჭდებოდა უსათაუროდ. ასევე, მესამე სტრიქონი ნაცვლად წაიკითხვისა „და იმ სიმღერას ჩემს წუხილს ვანდობ“ აქ ასე იკითხება: „და იმ სიმღერას ჩემს წუხილს ვანდობ“, რასაც მხარს უჭერს სათანადო წყარო და აგრეთვე კონტექსტი (დაწვრილებით ლექსის სათაურსა და აღნიშნულ გასწორებაზე იხ. ალმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., № 3, გვ. 109).

გვ. 85. „ჩემო სიმღერავ...“, დაიწერა 1860 წელს, როგორც ამას ვარაუდობს პავლე ინგოროყვა. დაწვრილებით დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. ოღონდ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: აღნიშნულ გამოცემაში ეს ლექსი წარმოდგენილია წინა ლექსის („წუხილი“) ვარიანტად და დაბეჭდილია დამატებებში, სინამდვილეში კი, მიუხედავად მცირეოდენი მსგავსებისა, იგი დამოუკიდებელი ლექსია, განსხვავებულია როგორც შინაარსით, ისე მოცულობით. წინამდებარე გამოცემაში იგი ინგოროყვასეული გამოცემის დამატებიდან გადმოტანილია ძირითად ტექსტად (დაწვრილებით იხ. ალმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., № 3, გვ. 113).

გვ. 86. „ძმის სიკვდილზე“, დაიწერა 1860 წელს. დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 436. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 87. „ღამე“, გამოთქმული ვარაუდით, ლექსი დაიწერა დაახლოებით 1857—61 წლებში, ილიას სტუდენტობის დროს, დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 436. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 88. „გაზაფხული“, დაიწერა 1861 წ. 28 იანვარს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 436. არსებობს ამ ლექსის ორი ოდნავ განსხვავებული ვარიანტი. აქ წარმოდგენილია აღნიშნული გამოცემის ძირითადი ტექსტი.

გვ. 89. „მას აქეთ...“, დაიწერა 1861 წ. 6 აგვისტოს ყვარელში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 90. „ჩემო კალამო...“, დაიწერა 1861 წლის ოქტომბერში ყვარელში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437. არსებობს ამ ლექსის ორი ვარიანტი. აქ წარმოდგენილია აღნიშნული გამოცემის ძირითადი ტექსტი.

გვ. 91. „გაზაზ...“, დაიწერა 1863 წელს. დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღ-

ნიშნულ გამოცემას. ლექსის სათაურის ინიციალებში იგულისხმება გიგო აბხაზი, ილიას დისწული, ვაჟი ილიას დის. ნინო ჰავევაძე — აბხაზისა (იხ. აღნიშნული გამოცემა, გვ. 399).

გვ. 92. „1871 წელი, 23 მაისი“, დაიწერა 1871 წ. 29 მაისს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 93. „რავაკეთეთ, რას ვშერებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, დაიწერა 1871 წ. 24 აგვისტოს. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 98. „ბედნიერი ერი“, დაიწერა 1871 წ. 29 აგვისტოს. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 100. „გამოცანები“, დაიწერა 1871 წ. 7 დეკემბერს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 104. „კიდეც გამოცანები“, დაიწერა 1871 წ. 7 დეკემბერს. დაწვრილებით ავტოგრაფებზე და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 109. „პასუხის პასუხი“, დაიწერა 1872 წ. 28 იანვარს. დაწვრილებით ხელნაწერებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 114. „ჩვევა“, დაიწერა 1872 წ. 29 აგვისტოს. დაწვრილებით ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 115. „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ დაიწერა 1872 წ. 15 სექტემბერს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 116. „ადარცა ნატვრა...“ დაიწერა 1877 წელს. დაწვრილებით დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 117. „კ. ბ. მ-სას“, დაიწერა 1877 წელს. დაწვრილებით დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას. ლექსის ადრესატი არ არის მითითებული შენიშვნებში.

გვ. 118. „ბაზალეთის ტბა“, არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. ბოლო ვარიანტი, გამოთქმული ვარაუდით, დაიწერა 1883 წლის 14 ივლისს. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 439. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ლექსის ბოლო ვარიანტი.

გვ. 120. „და მაკვირი“; გამოთქმული ვარაუდით, იგი დაწერა 1886 წელს. დაწვრილებით დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 439. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 124. „კითხვა — პასუხი“, გამოთქმული ვარაუდით, იგი დაიწერა 1894 წელს. დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 440. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 126. „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, გამოთქმული ვარაუდით, იგი დაიწერა 1894 წლის დეკემბერში. მისი პირველი პუბლიკაცია მოხდა 1895 წლის „ივერიის“ პირველ ნომრებში. დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 440. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 139. „რად გვინდა ვინ ხარ...“ გამოთქმული ვარაუდით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს ოთხმოცდაათიან წლებში. დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 440. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 143. „აჩრდილი“, არსებობს პოემის რამდენიმე ვარიანტი. პირველი ვარიანტის თარიღია 1859 წლის 26 იანვარი, ხოლო დაწერის ადგილი პეტერბურგი ჩანს. პოემის საბოლოო გასრულების თარიღია 1872 წელი. ფიქრობენ, რომ პოეტმა ბოლო რედაქცია დამთავრა დუშეთში, სადაც იგი ამ დროს მსახურობდა. აქ წარმოდგენილია როგორც პირველი, ისე ბოლო რედაქციის თარიღი. დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას, ოღონდ შეტანილია რამდენიმე ცვლილება.

მე-5 თავის მე-15 და მე-16 სტრიქონები — „იქ ერთხელ ქართვლის სიცოცხლე ჰდუღდა, იქ მამულისთვის ქართვლის ხმა ჰქუხდა“ შესწორდა ასე: „იქ ერთხელ ქართვლთ სიცოცხლე ჰდუღდა, იქ მამულისთვის ქართვლთ ხმა ჰქუხდა“.

მე-12 თავში მე-13 სტრიქონი „და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან“ ასე შესწორდა „უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან“.

მე-19 თავის მეოთხე სტრიქონი: „შენმა მოძულემ და მოლაღემ უცხო მთავარმა“ ასე შესწორდა: „შენმა მოძალემ და მოლაღემ უცხო მთავარმა“.

აღნიშნულ სწორებათა შესახებ დაწვრილებით იხ. აღჰანაძე „კრიტიკა“ 1984 წ., № 3, გვ. 114-6 იქვე წერილის ავტორის რუსუდან კუსრაშვილის მიერ წარმოდგენილია სხვა დაკვირვებები „აჩრდილის“ ტექსტის გამართვასთან დაკავშირებით, რომლებიც სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს პოემის აკადემიური გამოცემის განხორციელების დროს.

გვ. 161. „ქართვლის დედა“. არსებობს პოემის რამდენიმე ვარიანტი. პირველი ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს 1860 წლის 14 ივლისს პავლოვსკში, ხოლო საბოლოო რედაქციის თარიღად ნივარუდებია 1871 წლის 18 მარტი, შესრულების ადგილად კი დუშეთი. აქ წარმოდგენილია როგორც პირველის, ისე ბოლო რედაქციის თარიღები. დაწვრილებით ხელნაწერებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული

კრებული, ტ. I, გვ. 478. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას, ოღონდ შეტანილია რამდენიმე შესწორება.

სტრიქონი „შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა“ შესწორდა ასე: „შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა“.

სტრიქონი „მშვიდობით, დედი! ძნელია შენი დათმობა“ შესწორდა ასე: „მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა“.

დაწვრილებით აღნიშნულ სწორებათა გამო იხ. აღმანახი „კრიტიკა“, 1984 წ., №3, გვ. 116-7. იქვე წარმოდგენილია სხვა დაკვირვებები, რომელთა გათვალისწინება მომავალი აკადემიური გამოცემის საქმეა.

გვ. 169. რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებაში, დაიწერა 1860 წლის 11 დეკემბერს პეტერბურგში. არსებობს აგრეთვე ამავე პოემის მცირე ესკიზები, რომლებიც ჩართული იყო ასევე ესკიზურ მოთხრობაში „კაკო“ და რომელთა შესრულება ივრალდება 1858-9 წლებში. დაწვრილებით ხელნაწერებსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 435. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 187. „მეფე დიმიტრი თავდადებული“, არსებობს პოემის რამდენიმე ვარიანტი. ვარაუდით, ჯერ კიდევ 1860 წელს ილიას დაუწერია შედარებით მომცრო ლექსი „მეფანდლურე“, რომელიც შემდეგ შესავალი სახით შესულა პოემაში. ამდენად პავლე ინგოროყვა მას მომავალი პოემის ესკიზად მიიჩნევს. 1860 წლის 12 სექტემბრის თარიღით არსებობს პოემის შედარებით ვრცელი ვარიანტი. პოემის საბოლოო რედაქციის ბეჭდვა დაწყებულია 1878 წელს („ივერია“ №1, 1878 წელი, 5 იანვარი, მოთავსებულია პოემის პირველი თორმეტი თავი). პოემა სრულად დაიბეჭდა 1879 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში. ამდენად, პოემის საბოლოო რედაქციის შემუშავების თარიღად მიჩნეულია 1878 წელი. დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 439. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 213. „განდებილი“, დაიწერა 1883 წლის 6 თებერვალს. პოემა იწერებოდა 1882-3 წლებში. ზემოთ აღნიშნული თარიღი ერთეის პოემის პირველ პუბლიკაციას („ივერია“, 1883 წ., № 2). დაწვრილებით პოემის დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 439. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 235. „ჩიტო“, თარგმანი შესრულებულია 1856 წ. 17 ნოემბერს თბილისში (ლექსის ავტორზე მითითება არ არის დაცული). დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 441. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 237. „ბედა მჭადაგებელი“, თარგმანი გოეთედან, შენარულებულია 1857 წლის 23 აგვისტოს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 424. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 239. „რა ტკბილ არს...“ თარგმანი ვალტერ სკოტიდან, შესრულებულია 1858 წლის 9 თებერვალს პეტერბურგში. ავტოგრაფსა

და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 240. „ც რ ე მ ლ თ ა შ ი ნ ა ნ ლ გ ე შ ი“, თარგმანი შილერიდან, შესრულებულია 1858 წლის 12 თებერვალს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 242. „ს ტ ი რ ო დ ე თ!“ თარგმანი ბაირონიდან, შესრულებულია 1858 წლის 23 თებერვალს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 425. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 243. „ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა“, თარგმანი ჰუშკინიდან, შესრულებულია 1858 წლის 27 ივნისს ტიარლევოში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 243. „ა ნ გ ე ლ ო ზ ი“, თარგმანი ჰუშკინიდან, შესრულებულია 1858 წლის 27 ივნისს ტიარლევოში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 426. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 244. „წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი“, თარგმანი ჰუშკინიდან, შესრულებულია 1858 წლის 23 ივლისს პეტერბურგში (ასეა თხზ. სრული კრებულის ტექსტში, ტ. I, გვ. 238, ოლონდ. ამავე გამოცემის შენიშვნებში თარგმანის შესრულების ადგილად დასახელებულია სოფ. ტიარლევო, იხ. გვ. 427). ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 427. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 246. „რ ო ც ა შ ე ვ ე ყ უ რ ე ბ...“ თარგმანი ჰაინეიდან, შესრულებულია 1858 წლის 22 დეკემბერს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 246. „ლ ო ყ ი თ მ ო ე ბ ყ ა რ...“ თარგმანი ჰაინეიდან, შესრულებულია 1858 წლის დეკემბერს პეტერბურგში. დაწვრილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 428. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 247. „მ ე ც ა მ ქ ო ნ ი ა...“, მიბაძვა ჰაინესი, დაიწერა 1859 წლის 19 იანვარს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 248. „ჩ რ დ ი ლ ნ ი მ ა ლ ა ლ მ თ ე ბ ი ს ა...“, თარგმანი ოთუკერტიდან (ფრიდრიხ რიუკერტი, 1788—1866, გერმანელი პოეტი და მეცნიერი, აღმოსავლური პოეზიის მთარგმნელი) შესრულებულია 1859 წლის 18 იანვარს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწვრილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 429. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 248. „ქ ა რ თ ა თ ა ნ ა“, თარგმანი რიუკერტიდან, შესრულებულია

ლია 1859 წლის 16 მარტს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 431. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 249. „ს ი ხ ა რ უ ლ ი“, მიბაძვა, შესრულებულია 1859 წლის 7 მარტს პეტერბურგში. ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 250. „პ ა ჯ ი ა ბ რ ე კ ი“, თარგმანი ლერმონტოვიდან, შესრულებულია 1859 წლის 16 მარტს პეტერბურგში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 266. „მ წ ი რ ი“ (ნაწყვეტი), თარგმანი ლერმონტოვიდან. გამოთქმულია ვარაუდი, რომ თარგმანი შესრულებულია 1859 წელს, დაწარმოებით 4 ივნისსა და 30 ნოემბერს შორის. დაწერილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 430. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 271. „ს ი ზ მ ა რ ი“, თარგმანი ლერმონტოვიდან, შესრულებულია 1860 წლის 4 აგვისტოს პავლოვსკში, ავტოგრაფებსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 434. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 272. „წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი“, თარგმანი ლერმონტოვიდან, შესრულებულია 1860 წლის 4 აგვისტოს პავლოვსკში. ავტოგრაფსა და დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 434. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 273. „ც ი ც ა ბ ი კ ლ დ ე“, თარგმანი ლერმონტოვიდან, შესრულებულია 1860 წლის 4 აგვისტოს პავლოვსკში, ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 434. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 274. „ზ ღ ვ ა თ ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს...“, თარგმანი ანდრე შენიეიდან, შესრულებულია 1861 წელს. დათარიღებაზე დაწერილებით იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 437, წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 275. „ი რ ა ნ დ ი ი ს ა დ მ ი“, თარგმანი ტომას მურიდან, შესრულებულია 1872 წლის 5 თებერვალს, გამოთქმული ვარაუდით — დუშეთში, დაწერილებით ავტოგრაფსა და დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. I, გვ. 438. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 279. „გ ღ ლ ე ბ თ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ დ რ ო ე ბ ი ს ს ც ე ნ ე ბ ი“, დაიწერა 1865 წელს. დაწერილებით პიესის დათარიღებაზე და პირველ პუბლიკაციებზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 600. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

გვ. 304. „მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი“, ეს კომედია, რომელიც ილიასავე „კაცია-აღამიანის!“ საფუძველზეა შექმნილი, დაიწერა დაახლოებით 1861 წლისათვის. დაწერილებით პიესის დათარიღებაზე იხ. თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 600—601. წინამდებარე ტექსტი ეყრდნობა აღნიშნულ გამოცემას.

სარედაქციო კოლეგიისაგან	6
ილია ჭავჭავაძე — ს. ცაიშვილის წინასიტყვაობა	7
ლ ე ქ ს ე ბ ი	
ყვარლის მთებს	19
სანთელი	21
ხმა სამარიდამ	22
გაზაფხული (ჟვიშ, გაზაფხული...)	25
ჩიტი	27
გუთნის-დედა	30
სიმღერა	31
მეც შავს თვალებს	32
გიყვარდეს	33
სიზმარი	34
ლოცვა („მამაო ჩვენო...“)	35
უცხოეთში	36
ლოთის რჩევა	37
როდემდის	38
ლოცვა („ოდეს დემონი...“)	39
*** („ვიხილე სატრფო...“)	40
*** („ერთხელ ჯდა ჩემთან...“)	41
*** („მართო მიეცურავ...“)	42
*** („დაე თუნდ მოგკედე...“)	43
ქართლის დედას	44
*** („მაშინ დავსტკბები...“)	46
*** („ბევრი ვიტანჯე...“)	47
რისთვის მიყვარხარ?	48
*** („მითხარით, რისთვის...“)	49
ჩემი თარიარალი	50
ხმა გულისა	53
გავსწორდეთ, ბედო!	54
*** („ჟვავი, მას — ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად...“)	55
ციურნი ხმები	56
ნანა	57
ელეგია	60
მტკვრის პირას	61

*** („ოჰ, სად არიან, სიჰაბუყევ...“)	62
დაკარგული ედემი	63
ალაზანს	64
მძინარე ქალი	65
მწუხარება	66
მეშა	67
ალექსანდრე ჭავჭავაძე	70
ნიკოლოზ ბარათაშვილზედ („ეჲი დაგკარგეთ!...“)	71
თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ („როს წარგიყითხე...“)	72
ს...ჩ...სას	73
ჩ...სას	74
პოეტი	75
*** („მესმის, მესმის...“)	76
ქართველ სტუდენტების სიმღერა	77
*** („ჩემო მკვლელო!...“)	79
იანიჩარი	80
*** („გახსოვს, ტურფავ...“)	81
*** („დაბნელდა სული...“)	82
*** („უსულდგმულო ცხოვრება...“)	83
წუხილი („როცა წუხილი...“)	84
*** („ჩემო სიმღერავ, ნუ დაღუძმდები...“)	85
ძმის სიკვდილზედ	86
ღამე	87
გაზაფხული	88
*** („მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან...“)	89
*** („ჩემო კალამო...“)	90
გ. აბზ...	91
1871 წელი, 23 მაისი	92
რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით...	93
ბედნიერი ერი	98
გამოცანები	100
კიდევ გამოცანები	104
პასუხის პასუხი	109
რჩევა	114
*** („ჩემო კარგო ქვეყანავ...“)	115
*** („ალარც ნატერა და ალარც იმედია...“)	116
კ. ბ. მ-სას	117
ბაზალეთის ტბა	118
დამაკვირდი	120
კთხვა-პასუხი	124
ოზ-ხმინი სახალწლო ოპერეტი	126
*** („რად გეხნდა ვინ ხარ...“)	139

პოემაები

აჩრდილი	143
ქართლის დედა	161
რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან	169
მეფე დიმიტრი თავდადებულს	187
განდევილი	213

თარგმნილი ლექსები და პოემაები

ჩიტი	235
ბელა მქადაგებელი (გეტედან)	237
*** („რა ტყბილ არს“ — ვალტერ სკოტიდან)	239
ცრემლთა შინა ნუგეში (შილლერიდან)	240
სტიროდეთ (ბაირონიდან)	242
ჰეშმარიტება (პუშკინიდან)	243
ანგელოზი (პუშკინიდან)	243
წინასწარმეტყველი (პუშკინიდან)	244
*** („როცა შევეყრება“ — ჰეინეიდან)	246
*** („ლოყით მიეპყარ ჩემსა ლოყასა“ — ჰეინეიდან)	246
*** („მეცა მქონია კარგი მამული“ — მიხაძეა ჰეინესი)	247
*** („ჩრდილნი მაღალ მთებისა“ — რიუკერტიდან)	248
კართა თანა (რიუკერტიდან)	248
სიხარული (მიხაძეა)	249
პაჯი აბრეკი (ლერმონტოვიდან)	250
მწირი (ნაწყვები, ლერმონტოვიდან)	266
სიზმარი (ლერმონტოვიდან)	271
წინასწარმეტყველი (ლერმონტოვიდან)	272
ციცაბი კლდე (ლერმონტოვიდან)	273
*** („ზღვათა მფლობელის“ — ანდრე შენიეიდან)	274
ირლანდიისადმი (ტომას მურიდან)	275

სცენები. პიესა

გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები	279
მაჰანკალი	304
შენიშვნები	352

Чавчавадзе Илья Григорьевич
ИЗБРАННЫЕ СОЧИНЕНИЯ В ПЯТИ ТОМАХ

Том I

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1985

რედაქტორი ნუკრი აბესაძე
მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე
მხატვრული რედაქტორი დავით ღუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ეთერ ციხელაშვილი
კორექტორები: ნანა ბაზუაშვილი, გულნარა მაღანია
გამომშვები მერი წიგწივაძე

ს. ბ. № 4618

გადაეცა წარმოებას 14.05.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 01.02.85. საბეჭდო ქაღალდი № 1. 84×108¹/₃₂. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19, 32. პირ. საღ. გატ. 19, 37. სააღრ.-საგა-მომცემლო თაბახი 14,38. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 1933.

ფასი 1 მან. 90 კპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ეპკრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.